

ექლენება საქართველოს სასკლმწიფოებზიუი
დამოუკიდებლობის აღგენის 30-ე წლისთავს
(1991-2021)

*Dedicated to the 30th anniversary
of the Restoration of the
State Independence of Georgia
(1991-2021)*

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2021

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

ISSN 1512-3154

Studies in Modern and Contemporary History

2021 № 1 (25)

Publishing House MERIDIANI
Tbilisi 2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

2021 № 1 (25)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2021

უაკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/“...
ა-984

მისამართი რედაქტორი:

ავთანდილ სონღულაშვილი

სარედაქციო კომპანია:

მიხეილ ბახტაძე

ირაკლი გაბისონია

გია გელაშვილი

ოთარ გოგოლიშვილი

ჰადჯი-მურად დონოგო

(მაჰაჩყალის უნივერსიტეტი)

შოთა ვადაჭკორია

გუნტის ზემიტისი

(ლატვიის ისტორიის ინსტიტუტი)

ნუგზარ ზოსიძე

ვასილ კაჭარავა

იგორ კვესელავა

ვაჟა კიკნაძე

თამარ კიკნაძე

ალექსანდრე მოსიაშვილი

უჩა ოქროპირიძე

რიმვიდას პეტრაუსკასი

(ვილნიუსის უნივერსიტეტი)

ანჟეი პუშტო

(ვიტაუტას დიდის უნივერსიტეტი)

გელა საითიძე

(რედაქტორის მოადგილე)

ლელა სარალიძე

ხათუნა ქოქრაშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი)

დოდო ჭუმბურიძე

(რედაქტორის მოადგილე)

ივანე ჯაგოდნიშვილი

ნიკო ჯავახიშვილი

(რედაქტორის მოადგილე)

ოთარ ჯანელიძე

საგამომცემლო საბჭო:

ირინა არაბიძე, ლელა მიქიაშვილი, შორენა მურუსიძე, მზია ტყავაშვილი.

PUBLISHING COUNCIL:

Irina Arabidze, Lela Mikiaashvili, Shorena Murusidze, Mzia Tkavashvili.

გამომცემლობა „მერიდიანი“, 2021

თბილისი, ალ. ყაზბაგის 47, ☎: 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com

EDITOR-IN-CHIEF:

Avtandil Songulashvili

EDITORIAL BOARD:

Mikhail Bakhtadze

Irakli Gabisonia

Gia Gelashvili

Otar Gogolishvili

Hadji-Murad Donogo

(University of Makhachkala)

Shota Vadachkoria

Guntis Zemītis

(Institut of History of Latvia)

Nugzar Zosidze

Vasil Kacharava

Igor Kveselava

Vazha Kiknadze

Tamar Kiknadze

Aleksandre Mosiashvili

Ucha Okropiridze

Rimvydas Petrauskas

(Vilnius University)

Andžej Pukšto

(Vytautas Magnus University)

Gela Saitidze

(Deputy editor)

Lela Saralidze

Khatuna Kokrashvili

(Executive secretary)

Dodo Chumburidze

(Deputy editor)

Ivane Jagodnishvili

Niko Javakhishvili

(Deputy editor)

Otar Janelidze

შინაარსი
CONTENTS

საქართველას სასუბიექტუბიუი დამოუკიდებლობის აღდგენა – 30
The Restoration of the State Independence of Georgia - 30

ავთანდილ სონღულაშვილი..... 11
საბჭოთა კავშირის დაშლის წინაპირობები და საქართველოს
დამოუკიდებლობის აღდგენა
Avtandil Songulashvili
Preconditions of the Collapse of the Soviet Union and Restoration of
Independence of Georgia

საქართველას ისტორია
The History of Georgia

დავით ჯავახიშვილი..... 30
ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრთა მიმოსვლის მარშრუტის
დადგენისათვის (1795 წლის საქტემბერი)
Davit Javakhishvili
To Determine the Retreat Route of Kartli-Kakheti Royal Family Members
(September 1795)

ოთარ გოგოლიშვილი..... 46
ბათუმის მოსახლეობა მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ
ოცწლეულში
Otar Gogolishvili
The Population of Batumi in the 19th century and the First Twenty Years of the
20th century

უჩა ბლუაშვილი, ცირა მესხიშვილი.....53
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლა ქვეყნის
ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და ეროვნული
საპირობის გადარჩევითვის

Ucha Bluashvili, Tsira Meskhishvili

*The Struggle of the Democratic Republic of Georgia for the Preservation of
the Territorial Integrity of the Country and the Solution of the National Issue*

დოდო ჭუმბურიძე.....82

პარტიულ და სახელმწიფოებრივ ინტერესთა კონფლიქტი
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ
ემიგრაციაში (კიტა ჩხენკელის წერილების მიხედვით)

Dodo Chumburidze

*Conflict of Party and Political Interests in the Government of the Democratic
Republic of Georgia in Exile (according to letters of Kita Chkhenkeli)*

საქართველო და მსოფლიო

Georgia and the World

ნიკო ჯავახიშვილი..... 110

ანსუხი და ანსუხელნი – საქართველოს ისტორიაში (XIV-XVIII
საუკუნეები)

Niko Javakhishvili

Antsukhi and Antsukhians in the History of Georgia (in XIV-XVIII centuries)

***Andrew Andersen* 128**

The Caucasus Front of World War I: Implications for Georgia.

ენდრიუ ანდერსენი

პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტი: შედეგები
საქართველოსთვის

ქსოფლიო ისტორია

The History of the World

არჩილ ჩაჩხიანი.....145

სულთანი მეჰმედ VI და გენერალი მუსტაფა ქემალი (ათათურქი) –
დიდი დაპირისპირების დასაწყისი

Archil Chachkhiani

*Sultan Mehmed VI and General Mustafa Kemal (Ataturk) – the Beginning of
Big Conflict*

ვასილ კაჭარავა.....166

რონალდ რეიგანის ადმინისტრაცია და პოლონეთის კრიზისი

Vasil Kacharava

Ronald Reagan Administration and Polish Crisis

პოლიტიკა

The Policy

ლევან ბერია181

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და რუსეთის
საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში

Levan Beria

*Commonwealth of the Independent States and Russian Foreign Policy in the
Post-Soviet Space*

ვეფხვია ჩალაბაშვილი.....201

აშშ-ს გეოსტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში

Vepkhvia Chalabashvili

Geostrategic Interests of the USA in South Caucasus

გვანცა აბესაძე210

ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და ძალთა განაწილება
სამხრეთ კავკასიაში

Gvantsa Abesadze

New Geopolitical Realities and Distribution of Power in the South Caucasus

განათლება. კულტურა

The Education. The Culture

ნატო სონღულაშვილი.....221

ეკონომიკა და განათლება საქართველოს დემოკრატიულ
რესპუბლიკაში (1918-1921)

Nato Songulashvili

*National Economy and Education in the Democratic Republic of Georgia
(1918-1921)*

ნათია მამალაძე.....241

კულტურა, როგორც „რბილი ძალის“ უმეადგენელი კომპონენტი

Natia Mamaladze

Culture as an Element of Soft Power

ისტორიოგრაფია

The Historiography

მერაბ კალანდაძე.....259

მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო
სახელმძღვანელოები (1918-1921), როგორც ამ დარგის ისტორიის
წყარო

Merab Kalandadze

*The First National School Textbooks in World History (1918-1921) as a Source
of History in this Field*

წყანთოტღნეობა

Source Study

დავით მერკვილაძე.....277

პეტრე ბუტკოვი ქალაქ-სიმაგრე მოზდოკის დაარსების შესახებ

Davit Merkviladze

Peter Butkov on the Founding of the Fortress Town of Mozdok

გია გელაშვილი.....297

მაქს ფონ ტილმანი კავკასიის შესახებ

Gia Gelashvili

Max von Thielmann about the Caucasus

გია გელაშვილი.....325

მაქს ფონ ტილმანი ქუთაისში

Gia Gelashvili

Max von Thielmann in Kutaisi

თეატრისი

ViewPoint

ჯემალ გახოკიძე, სოფიო მიდელაშვილი, ავთანდილ დემეტრაშვილი.....343

მშვიდობიანი სახელმწიფოს მშენებლობა აფხაზეთთან და ოსებთან ერთად

Jemal Gakhokidze, Sophio Midelashvili, Avtandil Demetrashvili

Peaceful State Building together with Abkhazians and Ossetians

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით
სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. გამოქვეყნებული
მასალების სიზუსტეზე და შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, კორპუსი XI
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და
უახლესი ისტორიის განყოფილება

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა – 30

ავთანდილ სონღულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

საბჭოთა კავშირის დაშლის წინაპირობები და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

ისტორიამ კატეგორიულად უარყო ისეთი ხელოვნური ერების შექმნის შესაძლებლობა, როგორც იყო „საბჭოთა ხალხი“. ასეთი ქმედებები მხოლოდ დაპყრობილი ქვეყნების დენაციონალიზაციისა და განადგურების პრიმიტიულ ტენდენციას წარმოადგენდა.

XX საუკუნის 80-იანი წლები კაცობრიობის ისტორიაში შევიდა, როგორც ტოტალიტარიზმის მსხვერვისა და ანტისაბჭოური გარდაქმნების ეპოქა. ტოტალიტარიზმმა შეწყვიტა არსებობა, თუმცა დაგვიტოვა ყალბი დოქტრინებისა და იდეოლოგიის ნანგრევები, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირეს.

საბჭოთა კავშირის დაშლას პირველ რიგში ხელი შეუწყო ეკონომიკის არასწორმა მართვამ და მისგან გამონვეულმა კრიზისმა. ხრუშჩოვისა და მისი მემკვიდრეების ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად 80-იანი წლების დასაწყისში მივიღეთ სასურსათო პროგრამა. ფაქტობრივად, „საბჭოთა ეკონომიკა“ სულს ღაფავდა. მალაზიის თაროებიდან უნგრული ბატი და კუბის კარტოფილი

შემოგვცქეროდა. თვის ბოლოს დასავლეთ გერმანული ქათამი და კარაქი იყიდებოდა. ზამთარში პოლონეთის სტაფილოს შეექცეოდა რუსეთი... [1, 394]. აი, ასეთ სისტემაში მოხვდა საქართველო და ათეული წლების განმავლობაში მისი შემადგენელი ნაწილი იყო...

შეიძლება ითქვას, რომ არსად, მთელ მსოფლიოში არცერთ ქვეყანას არ ჰქონდა საბჭოთა კავშირის მსგავსი ბიუჯეტი. აქ ყოველი რესპუბლიკა, მხარე, ოლქი მთხოვნელის როლში გამოდიოდა, ხოლო კმაყოფაზე ყოფნა – ინიციატივის დაღუპვას იწვევდა. უკეთ მუშაობას აზრი ეკარგებოდა, სამაგიეროდ, აქტიურდებოდა წერილების შედგენა დახმარებისათვის. მთავარია გცოდნოდა როგორ გამოგეთხოვა, სულ ერთია ფული იქნებოდა ეს, პროდუქტი, პირუტყვის საკვები, საქონელი თუ სხვა. უფრო მნიშვნელოვანი იყო გცოდნოდა, როგორ მიგელო, ვიდრე შენ თვითონ გაგეკეთებინა.

ამ საოცარი ბიუჯეტის პირობებში ქალაქს არ შეეძლო თვითონ მიეღო გადაწყვეტილება, აეშენებინა თავისთვის საავადმყოფო თუ არა; სოფელს — აეშენებინა თუ არა სკოლა; ადგილობრივ საბჭოებს ისიც კი არ შეეძლოთ, რომ თვითონ განესაზღვრათ საკუთარი მუშების ხელფასი. ყველაფერი წყდებოდა ცენტრში [2].

ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო წარმოებული მზა პროდუქცია, არამედ დაკომპლექტებული ნაწილები, დეტალები, ნახევარფაბრიკატები და სხვ. მაგალითად, მინსკის საავტომობილო ქარხანაში თვითმცლელის შექმნაში მონაწილეობას იღებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის 1240-ზე მეტი ქარხანა, რუსეთის ფედერაციის ათობით ქალაქი. უკრაინა ქარხანაში გზავნიდა მანქანის მზა დეტალებს, ლატვია – რადიო და ელექტროხელსაწყოებს, ლიტვა – კომპრესორებს, საქართველო – პლასტმასისა და რეზინტექნიკურ ნაწარმს, აზერბაიჯანი ლითონებს. ყაზახეთი – სათბობს და ა. შ. თავის დროზე მინსკის საავტომობილო ქარხანას სხვადასხვა დაკომპლექტებულ დეტალებს აწვდიდა რსფსრ, უკრაინისა

და ბალტიისპირეთის 55 სანარმო [3, 81]. მთავარი იყო, რომ თვითონ ბელორუსიას არ ჰქონოდა შესაძლებლობა საკუთარი ძალებით ავტომობილი გამოეშვა.

საბჭოთა ეკონომიკის ძირითად თავისებურებას წარმოადგენდა კიდევ ერთი გარემოება: იშვიათი როდი იყო შემთხვევა, როცა რომელიმე რესპუბლიკიდან, სხვა რესპუბლიკაში იგზავნებოდა ნედლეული, იქ მზადდებოდა ნახევარფაბრიკატები და უბრუნდებოდა იმავე რესპუბლიკას პროდუქციისათვის საბოლოო სახის მისაცემად, მაშინ როდესაც რესპუბლიკაში ნედლეულსა და ქარხანას შეიძლება რამდენიმე კილომეტრი აშორებდა ერთმანეთისაგან. საბოლოოდ, ეს პროდუქცია მესამე რესპუბლიკაში იგზავნებოდა. ასეთ, ერთი შეხედვით უაზრო განლაგებას მილიონობით ზარალი მოჰქონდა, მაგრამ ერთ საქმეს აკეთებდა – რესპუბლიკებს ისეთი ძაფებით აკავშირებდა ერთმანეთთან, რომ თვითგამოყოფის კონსტიტუციური უფლება ფიქცია ხდებოდა [4, 76].

მრავლიდან მოვიტანოთ საქართველოს მაგალითი: გორში მუშაობდა ბამბის მძლავრი კომბინატი მაშინ, როცა საქართველოში გრამი ბამბა არსად მოჰყავდათ, ნედლეული კი შემოდოდა თურქმენეთიდან, რათა, ღმერთი არ გამწყრალიყო და, თურქმენეთს თვითონ არ დაემუშავებინა საბოლოოდ თავისი პროდუქტი. საქართველოდან გაჰქონდათ ჩაის ნედლეული და რუსეთის ქალაქებში ფუთავდნენ, ქართული ღვინო ცისტერნებით მიჰქონდათ მოსკოვში და იქ ღვინის ქარხნებში ასხამდნენ... უფრო დიდი კურიოზი იყო ჭიათურის მანგანუმის საბადოს და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ურთიერთობა. ეს ორი ქართული ქალაქი ერთმანეთისაგან რაღაც ოცდაათიოდე კილომეტრითაა დაცილებული. ამ დროს ჭიათურიდან მანგანუმის მადანი დასამუშავებლად გაჰქონდათ საზრღვარგარეთ და დონეცკში, ხოლო იგივე მადანი შემოჰქონდათ ბრაზილიიდან და დონეცკიდან. ცდება თუ ვინმე ფიქრობს, რომ არავის ესმოდა ასეთი ეკონომიკის უვარგისობა, ზარალიანობა. მაგრამ თუკი საბ-

ჭოთა კავშირი მართლაც „შეგნებულად“ მიდიოდა რაიმე მსხვერპლზე, ეს სწორედ ის მსხვერპლი იყო, გაღებული იმისთვის, რომ რესპუბლიკები ისე ყოფილიყვნენ ერთმანეთთან დამოკიდებულნი, არავის სცოდნოდა, ვინ რას ქმნის, ვინ რის მაქნისია და, რაც მთავარია, არავის შეძლებოდა დამოუკიდებლად არსებობა [4, 188-189].

აღსანიშნავია, რომ რიგის საკონდიტრო ფაბრიკა 30 წელი იბრძოდა იმისათვის, რათა მოსკოვს დაემტკიცებინა ტორტის ახალი რეცეპტი [5].

1985 წელს საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ხელისუფლებაში მოვიდა ახალი ძალა მიხეილ გორბაჩოვის მეთაურობით. ახალმა ლიდერმა და მისმა გუნდმა ადრევე გაიაზრა საბჭოთა კავშირში არსებული სოციალიზმის სუროგატის უპერსპექტივობა, მაგრამ მაშინ კომუნისტურ ხელმძღვანელობაში ძალზე ძლიერი იყო სოციალიზმისა და დემოკრატიის შეთავსების ილუზია. სწორედ, სოციალიზმის დეფორმირებული მოდელის გაჯანსაღების (და არა მისი შინაგანი აფეთქების) მიზნით დაიწყო ქვეყანაში ფართო და ყოვლისმომცველი „პერესტროიკა“ [6, 9].

1985 წლის 23 აპრილს გაიმართა სკკპ ცკ აპრილის ცნობილი პლენუმი, სადაც გორბაჩოვმა წამოაყენა თავისი მომავალი კურსის – გარდაქმნის კურსის ძირითადი მომენტები. ხალხმა იმ დროს მისი ირწმუნა და მიიღო ახალი აზროვნების პოლიტიკა. ბორის ელცინის შეფასებით „ყველასათვის ცხადი იყო, რომ ასე ცხოვრება, მუშაობა, როგორც ეს წლების მანძილზე ხდებოდა, აღარ შეიძლებოდა, ქვეყნისათვის ეს თვითმკვლევლობას ნიშნავდა. გადაიდგა სწორი ნაბიჯი. რა თქმა უნდა, ეს იყო რევოლუცია ზემოდან [7, 102]. ამ დროიდან კომუნისტურმა დოგმებმა დაკარგეს ძალა ადამიანთა გონებაზე. საბჭოთა იმპერია, რომელიც ამ დოგმებზე იყო დაფუძნებული, იშლებოდა. მართლაც, აღნიშნული პროცესი, ფაქტობრივად, რევოლუციას წარმოადგენდა [8, 7].

დაიწყო სისტემის მექანიზმის ნგრევა. ქვეყანა უცბად აღ-

მოჩნდა ანარქიის პირობებში, ეკონომიკის არაკონტროლირებად სიტუაციაში [9, 260]. განსაზღვრული ძალები, რომლებსაც დასახული ჰქონდათ არა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დაშლა, არამედ, მთლიანად „დერჟავას“ მოსპობა მთელი ძალებით გააქტიურდნენ [9, 264].

ცნობილია, რომ მსოფლიოში პურის ფასი ყველაზე იაფი იყო საბჭოთა კავშირში. შემთხვევითობას არ წარმოადგენდა, რომ ყოველწლიურად 7 მილიონი ტონა გამზადებული პურფუნთუშეული იყრებოდა ნაგავში, 10-12 ტონა პურის მარცვლეული საქონლის საკვებად გამოიყენებოდა, 40-45 ტონა კი საზღვარგარეთ გაჰქონდათ [9, 272].

საზოგადოება შოკირებული აღმოჩნდა „გარდაქმნის“ შედეგებით. მათ კარგად ახსოვდათ, რომ 1985 წლამდე და 1988 წლამდეც კი ქვეყანაში, ეკონომიკური თვალსაზრისით, არცთუ ცუდად იყო საქმე. მაღაზიის თაროები არ იყო ცარიელი. კვების პროდუქტები და სამრეწველო საქონელი ხელმისაწვდომი იყო ფართო საზოგადოებისათვის. 100-200 მანეთიანი ხელფასით შეგეძლო გეცხოვრა. მილიონობით ადამიანი ყოველ წელს დასასვენებლად მიდიოდა სამხრეთ რაიონებში [10, 145].

საბჭოთა კავშირის დამანგრეველ პროცესს თან სდევდა დანაშაულის არნახული ზრდა, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაული მთელი ქვეყნის მასშტაბით. გაიზარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის რიცხვი პიროვნების მიმართ. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ძარცვამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, გაორმაგდა პირადი ქონების ქურდობის რაოდენობა. დიდი და პატარა ქალაქების ქუჩებში, სოფლებში, მუშათა დასახლებებში, როგორც კი შებინდებოდა საშიში ხდებოდა ქუჩაში გამოსვლა. მოქალაქეები აშკარად დაუცველი აღმოჩნდნენ. სამართალდამცავი ორგანოები, ფაქტობრივად, თავს ვერ ართმევდნენ დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლას. ციხეები და ბანაკები პატიმრებით გადაივსო. გახშირდა თავდასხმები სამართალდამცავებზე. ნათლად გამოიკვეთა სახელმწიფო ჩინოვნიკების კავშირი დამნაშა-

ვეთა სამყაროს წარმომადგენლებთან [10, 89].

ამავე დროს, მთელ საბჭოთა კავშირს ერთბაშად მოედო არაფორმალური გაერთიანებების ბუმი. ტრადიციული განმარტებით, „არაფორმალური“ იყვნენ ნებაყოფლობით გაერთიანებული თვითმოქმედი ფორმირებები, რომლებიც აღმოცენდნენ „ქვეყნიდან“ დაწყებული ინიციატივით და შემდეგ იქნენ ცნობილი არსებული ხელისუფლების მიერ.

აღნიშნული მოძრაობიდან გამოიჩინა „სახალხო ფრონტი“, რომლის ფორმულირება პირველად მოხდა ე. წ. „გარდაქმნის“ საწყის ეტაპზე ესტონეთში. მოგვიანებით, „სახალხო ფრონტი“ მოქმედებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში [11, 9-10].

რესპუბლიკური სახალხო ფრონტი, როგორც წესი, აბორიგენი ერის მოძრაობას წარმოადგენდა. მის წინააღმდეგ, ხშირ შემთხვევაში, აღმოცენებას იწყებდა ინტერმოძრაობა ანუ ინტერფრონტი, რომელიც, ძირითადად, აერთიანებდა იმავე რესპუბლიკის რუსულენოვან მოსახლეობას. ასე მოხდა ბალტიისპირეთის თითქმის ყველა რესპუბლიკაში. განწირულის უკანასკნელ გაბრძოლებას ჰგავდა პოლიტიკურ არენაზე სოციალისტური ორიენტაციის არაფორმალური ჯგუფების გამოჩენა (მეცნიერული კომუნიზმის ასოციაცია, ნოვატორთა სოციალური ფრონტი, მუშა-მარქსისტთა ჯგუფი, „მუშათა გზა“ და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ასეთი ჯგუფები ეროვნულ მოძრაობას დაუპირისპირდნენ [11, 11].

80-იანი წლების მეორე ნახევარში ჩვენს რესპუბლიკაშიც შეიქმნა არაფორმალური გაერთიანებები, რომლებმაც მოგვიანებით პოლიტიკური პარტიების სტატუსი შეიძინეს. მათ შორის, აღსანიშნავია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელმაც თავდაპირველად კულტურულ-საგანმანათლებლო ამოცანები წამოაყენა. ცოტა ხნის შემდეგ ეს საზოგადოება პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული იდეების მქადაგებელი გახდა.

1988 წელს აღნიშნულ საზოგადოებას გამოეყო და ცალკე

პოლიტიკურ პარტიად გაფორმდა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, რომლის ლიდერები გახდნენ გ. ჭანტურია, ი. ბათიაშვილი და ი. ნერეთელი. უკვე 1989 წლის დასაწყისში ნერეთელი და ბათიაშვილი გამოეყვნენ ჭანტურიას და შექმნეს „ეროვნული დემოკრატიული პარტია“, რომელსაც ასევე ეწოდებოდა საქართველოს დემოკრატიული პარტია. ყველა ამ პარტიას საპროგრამო და საწესდებო პრინციპები ერთმანეთის მსგავსი ჰქონდა და მიმართული იყო საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლისა და სახელმწიფოებრივი დემოკრატიული აღდგენისაკენ.

ეროვნული მოძრაობის გაძლიერების კვალდაკვალ მოსკოვმა უკვე 1989 წელს „მოკრძალებულად“ ჩაგვიტარა ეკონომიკური ბლოკადის პირველი გაკვეთილები – ნავთობის, ენერგეტიკის, პურის და სხვა ნედლეულისა და პროდუქტების შეზღუდვა. გაჩნდა რიგები, დაძაბულობა, გაღიზიანება... მომრავლდა საქართველოში შემოსული ცარიელი ვაგონები, რომლებზეც ცარციტ ეწერა: „Это вам за свободную Грузию!“, „Свободную Грузию стройте без русского леса!“ და ა. შ. შედეგმაც არ დააყოვნა. საქართველოში მეტნაკლებად იწყო გავრცელება „ცენტრისათვის“ სასურველმა განწყობილებამ. დაფიქსირდა დიალოგები: „ეს გინდოდათ?“ აი, თქვენი თავისუფლება და დემოკრატია!“, „რას ჭამთ ანი, შეგხედავთ?!“, „ხომ ხედავთ ურუსეთოდ არ შეიძლება! სადაა ბენზინი, შაქარი, კარაქი... უარესს გვიზამენ!..“ [12, 81, 82].

პოლიტიკური პროცესები კიდევ უფრო მძაფრდებოდა. ანტისაბჭოთა გამოსვლებით გამოირჩეოდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. 1988 წლის 16 ნოემბერს ესტონეთის უმაღლესმა საბჭომ რესპუბლიკის სუვერენიტეტი გამოაცხადა [13, 6]. 1989 წლის 23 აგვისტოს ბალტიის რესპუბლიკების მოსახლეობის მეოთხედმა – თითქმის ორმა მილიონმა ადამიანმა – ცოცხალი ჯაჭვი შექმნა ვილნიუსიდან ტალინამდე, რაც დაახლოებით 670 კილომეტრს შეადგენდა [13, 7].

შეიძლება ითქვას, რომ 1989 წლისათვის მოსკოვის წინაშე

რჩებოდა არჩევანი – ან უნდა ეხმარა უკანასკნელი გაბედული ძალისხმევა თავისი ბატონობის აღსადგენად მასობრივი სისხლისღვრის მეშვეობით, რასაც შეეძლო მოჰყოლოდა არა მარტო მძლავრი შიდა და გარე აფეთქება, არამედ, ალბათ, გამალებული შეიარაღებისა და ამერიკასთან მტრობის გაძლიერება, ან უნდა დანებებულიყო. გორბაჩოვის რეფორმისტულმა ხელმძღვანელობამ, რომელსაც ეპირფერებოდა, თავს ევლებოდა და ქრთამავდა კიდევ დასავლეთი, ხოლო ბოლო ეტაპებზე, რომლითაც მარჯვედ მანიპულირებდნენ პირადად პრეზიდენტი ბუში და გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი, აირჩია მეორე კურსი. ამის შედეგი იყო ქაოსი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, შემდეგ კი კაპიტულაცია [14, 17-18].

1990 წლის 11 მარტს ლიტვის უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რის შედეგადაც დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შეუქცევადი პროცესი [15, 184]. მანამდე, ლიტვაში ყოფნის დროს მ. გორბაჩოვს მასპინძელთა მხრიდან მიღების გულთბილი ფონი საუბრებში მკვეთრი ტონის დაკავების საშუალებას არ აძლევდა და საბოლოო ჯამში მ. გორბაჩოვმა ერთ-ერთ შეხვედრაზე ისიც კი განაცხადა – თუ თქვენ ფიქრობთ უჩვენოდ უკეთ იცხოვრებთ, ნება თქვენიაო. რასაკვირველია, მოსკოვისათვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხისთვის სერიოზული ფსიქოლოგიური სტიმული იყო.

ამ პერიოდისათვის, რაც ბალტიისპირელთა ტაქტიკისა და სტრატეგიის დამახასიათებელ მომენტად იქცა (განსხვავებით, საქართველოსა და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკისაგან), იყო ცენტრთან ბრძოლის მოქნილი, უმთავრესად ნაკლებად კონფრონტაციული, სამართლებრივი ხასიათი. უპირველეს მიზნად იქნა აღიარებული მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის არსებობის დამტკიცება და მისი ოფიციალური დაგმობა მოსკოვის მიერ. ეს ამოცანა ბრწყინვალედ სრულდებოდა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ა. იაკოვლევის კომისიამ დაადასტურა სტალინის მოსკოვსა და ჰიტლერის ბერლინს შორის არსებული სამარცხვინო გარიგე-

ბა და დაგმო იგი. სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობას სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ ოფიციალურად დაედასტურებინა კომისიის გადანყვეტილება. ეს უკვე „ბალტიური გზის“ პირველი სერიოზული, შეიძლება ითქვას, ეტაპობრივი მნიშვნელობის გამარჯვება იყო. მოსკოვმა მთელი მსოფლიოს გასაგონად აღიარა, რომ მან ბალტიისპირეთის სუვერენულ სახელმწიფოთა ანექსია მოახდინა. ამის შემდეგ სრული დამოუკიდებლობის მიღწევა ამ რესპუბლიკებისთვის უკვე დროის საკითხად იქცა [16, 13].

არაფორმალური ჯგუფების ლიდერებმა ქართველი ხალხის გამოფხიზლებისათვის დიდი შრომა გასწიეს. მათი ორიენტაცია დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე, რადგან ის არსებითად შეესაბამებოდა ერის ინტერესებს. არაფორმალურების გავლენით ბევრ მოვლენას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თავისი სახელი დაერქვა და სწორად შეფასდა. განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ხალხის თვითშეგნების ზრდა, ისტორიული წარსულისადმი მიბრუნება, სათუთი დამოკიდებულება ერის სულიერი და კულტურული მიღწევებისადმი.

აღნიშნულ პერიოდში, ას ტაძარზე მეტი გადაეცა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებს დაუბრუნდა ძველი ისტორიული სახელები. მუშავდებოდა ქართული ეროვნული კონცეფცია [17, 21].

შეიძლება ითქვას, რომ „გარდაქმნის“, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესმა საქართველოში საზოგადოებრივი აქტიურობის დიდი აღმავლობა გამოიწვია. ჩვენი ქვეყნის პროგრესულმა ძალებმა სამართლიანი სოციალური, ეკონომიკური და ეროვნული მოთხოვნები წამოაყენეს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მიჩვეული იყო ქვეყნის ავტორიტარულ-მბრძანებლური მეთოდებით მართვას და ამიტომ მოუმზადებელი შეხვდა ხალხის უჩვეულო მოთხოვნებსა და აქტიურობას. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ვერ გამონახა საზოგადოების მართვის ახალი ფორმები და ადმინისტრაციული მეთოდებითა და ძალის პოლი-

ტიკით სცადა მის წინაშე დასმული პრობლემების გადანყვეტა. ამ გზით საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობამ ერთ ხანს თითქოს მოახერხა კიდეც საზოგადოების აქტიურობის შენელება და მწვავე პრობლემების თავიდან აცილება, მაგრამ, პრობლემების ნაწილობრივი გადანყვეტის გზით, ბოლომდე ძლიერდებოდა უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური საქმიანობისა და მუშაობის სტილის მიმართ. იგი აღარ შეესატყვისებოდა არც საჯაროობისა და გარდაქმნის პროცესებს, რომელიც ჩვენში მკვიდრდებოდა, და არც ეროვნულ მოთხოვნებს, რომლებიც სრულიად სამართლიანად აღმოცენდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

მწვავე ეკოლოგიური და ეროვნული პრობლემების მიმართ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის არასწორ პოზიციას განსაკუთრებით მკვეთრად არაფორმალური ჯგუფების ლიდერები დაუპირისპირდნენ. პარტიის ხელმძღვანელობისა და არაფორმალურების პოზიციათა მკვეთრი პოლარიზაციის გამო, მალე მათ შორის გაძნელდა დიალოგი და ყოველგვარი ურთიერთობა. ხელმძღვანელი ორგანოების არასწორი პოზიციიდან გამომდინარე, რაც საზოგადოების მოთხოვნათა უგულებელყოფაში და იძულებით დათმობებში გამოიხატებოდა, ხალხი გაუცნობიერებლად და უნებურად სულ უფრო შორდებოდა მათ ორიენტაციას და უახლოვდებოდა არაფორმალური ჯგუფების პოზიციას. ყოველივე ამან მალე ხელისუფლების სრული იზოლაცია გამოიწვია, მან დაკარგა საზოგადოების მართვის შესაძლებლობა. ხალხის სამართლიანი მოთხოვნების უგულებელყოფას მოჰყვა მიტინგები და სამოქალაქო პროტესტის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა — შიმშილობა [17, 70-71].

კრემლის მესვეურნი და სამხედროები კარგად ხედავდნენ, რომ საბჭოთა იმპერიის რეჟიმი სულს ლაფავდა, ამიტომ ყველა ღონეს ხმარობდნენ როგორმე შეეჩერებინათ ბოროტების იმპერიის ნგრევა. შემთხვევითი დამთხვევები არ უნდა ყოფილიყო მ. გორბაჩოვის გამგზავრება უცხოეთში და დასავლეთ გერმანელი

„მოყვარული“ პილოტის „იდილიური“ შემოფრენა წითელ მოედანზე. კიდევ ერთი ვიზიტი და ნინა ანდრეევას სტალინისტური პოლიტიკური პლატფორმის გამოქვეყნება ცენტრალურ გაზეთში. გენერალური მდივნის პატივით მიღება დიდ ბრიტანეთში და უპრეცედენტო კაცისკვლა თბილისში.

სწორედ, მოდერნიზებული იმპერიის დამცველთა ძალებს აძლევდა ხელს ნაციონალისტური შუღლის გაღვივება სომხეთსა და აზერბაიჯანში და შემდეგ, მათ დედაქალაქებში კომენდანტის საათის დაწესება. რა უცნაურად დაემთხვა მინისტრის შემდეგ პოლიტიკური კრიზისის ჩაცხრობა სომხეთში, ახალი დაძაბულობის კერის შექმნა აფხაზეთში... [18].

9 აპრილის შემდეგ საქართველოში, ფაქტობრივად, მოისპო კომუნისტური დიქტატურა, მაგრამ დემოკრატია არ დამყარებულა. იგი რადიკალთა დიქტატურამ შეცვალა. ამავე პერიოდში გავრცელდა ხმები, რომ არაფორმალურ ორგანიზაციათა და ჯგუფთა ლიდერები იმუქრებოდნენ მთავრობის, როგორც უკანონოსა და თვითმარქვია ხელისუფლების განადგურებაზე. დასახელებული იყო თარიღი, როცა ისინი აპირებდნენ კომუნისტებთან ანგარიშსწორებას. ასეთი ხმების გავრცელებამ შეუწყო ქართველი ერის გარკვეული ნაწილის დაცვილებას ეროვნულ მოძრაობასთან. ეს იყო არაფორმალთა ლიდერების შეცდომა, რადიკალებთან ურთიერთობა გაუჭირდა ინტელიგენციის დიდ ნაწილს, რომელმაც გარკვეულწილად ნეიტრალური პოზიცია დაიკავა.

1990 წლის 14 მარტს შედარებით რადიკალურად განწყობილმა ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ეროვნულ ძალთა საგანგებო კონფერენცია – ეროვნული ფორუმი მოინვიეს. ფორუმზე მარტის არჩევნების ჩაშლის მოთხოვნასთან ერთად კომუნისტური ხელისუფლების ალტერნატიული კოალიციური მთავრობის შექმნის საკითხიც დაისვა.

1990 წლის ოქტომბრისათვის ახალი, ამჯერად, უკვე მრავალ-

პარტიული არჩევნები დაინიშნა. ეროვნული მოძრაობის ერთმა ნაწილმა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ამ ახალ არჩევნებში, მეორე ნაწილი კი კვლავ ბოიკოტის ტაქტიკის ერთგული დარჩა. გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა დატოვეს ფორუმი. არაფორმალებს შორის დაპირისპირება აშკარა ბრძოლაში გადაიზარდა.

დაუმორჩილებლობის ტაქტიკის ერთგულმა ძალებმა უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნების იდეას – ეროვნული კონგრესის არჩევნების იდეა დაუპირისპირეს. მათი აზრით, კონგრესი არ უნდა ყოფილიყო ხელისუფლების ალტერნატიული ორგანო, მას მხოლოდ ეროვნული ძალების მაკოორდინებელი ლეგიტიმური ორგანოს ფუნქცია უნდა შეესრულებინა.

კონგრესის არჩევნები 30 ოქტომბერს დაინიშნა. დაპირისპირებული ეროვნული ძალები „კრემლის აგენტის“, „სამშობლოს მოლალატის“ იარლიყებით აჯილდოებდნენ ერთმანეთს. საქმე შტაბბინების ტყვიებით დაცხრილვამდე და ფიზიკურ ანგარიშსწორებამდეც კი მივიდა.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა, არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებული დემოკრატიული ძალებისა და დისიდენტური მოძრაობის დაუოკებელ სურვილს წარმოადგენდა, არამედ, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების, კაპიტალისტური სისტემის თანამეგობრობის ოცნებაც იყო. ის რაც ვერ შეძლო გარეშე და შიდა მოძრაობამ (თუმცა დააჩქარა ეს პროცესი), როგორი ბანალურიც არ უნდა იყოს, რუსეთის მოდერნიზებული საბჭოური იმპერია დაამსხვრია თავად კომუნისტური პარტიის მმართველმა ჯგუფმა – გორბაჩოვისა და იაკოვლევ-შევარდნაძის ტანდემის სახით (ბუნებრივია, ამას ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და ზნეობრივმა კრიზისმა).

ჯერ კიდევ. XIX საუკუნის გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი კლაუზევიცი აცხადებდა, რომ რუსეთი არ იყო ის ქვეყანა, რომელსაც „გარედან“ დაიმორჩილებდი. მისი აზრით, საჭირო

იყო ამ კოლოსის შიგნიდან დაცემა.

საბჭოთა რუსეთში, უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომში განცდილი მარცხის შემდეგ, 20-იანი წლების დასაწყისში რუსი კადეტების ლიდერმა პ. მილიუკოვმა ანტისაბჭოურ ოპოზიციას მოქმედების ახალი ტაქტიკა შესთავაზა, რომელიც გათვლილი იყო საბჭოთა საზოგადოების „შიგნიდან“ დასანგრევად [19, 79]. ეს იდეა კიდევ უფრო განავითარა XX საუკუნის 50-იანი წლების ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ჟოზეფ მაკარტიმ. მისი აზრით, სოციალისტურ ქვეყნებში საჭირო იყო კომპარტიის ისეთი ლიდერები, რომლებიც თვითონ დაანგრევდნენ არსებულ სისტემებს.

1990 წლის 28 ოქტომბერი – არჩევნების დღე დიდმნიშვნელოვან თარიღად შევიდა საქართველოს უახლეს ისტორიაში. პირველად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩატარდა მრავალპარტიული, არასაბჭოური, დემოკრატიული არჩევნები. ჩამოყალიბდა საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატთა კორპუსი 246 კაცის შემადგენლობით. ამათგან 155 დეპუტატი – „მრგვალი მაგიდა“ – თავისუფალი საქართველო, 64 – საქართველოს კომპარტია, 12 – საქართველოს სახალხო ფრონტი, 4 დეპუტატი – „დემოკრატიული საქართველოს ბლოკი“, თითოთითო დეპუტატი ბლოკებიდან „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ და „სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება“ – 9 დამოუკიდებელი დეპუტატი.

კომუნისტებს, შეიძლება ითქვას, არავითარი წინასაარჩევნო კამპანია არ ჩაუტარებიათ. თუ მოვლენებს დღევანდელი გადასახედიდან შევხედავთ, მათი მოქმედება სწორიც იყო. შექმნილი ვითარების საერთო ფონზე კომუნისტების გამარჯვების შემთხვევაში ანარქია, ქაოსი და, ალბათ, სისხლისღვრაც გარდაუვალი იქნებოდა. პროცესების ამგვარ განვითარებას ყველა მოერიდა. საბჭოთა კავშირის დაშლის ორგანიზატორები უკვე ამკარად მუშაობდნენ. მექანიზმი მოქმედებდა. სწორედ, ამიტომ გენერალი გუმბერიძე გამოიყურებოდა ვითარცა დათრგუნული,

გამსახურდია კი მისი მთელი პარტიის დამმარცხებელი. სინამდვილეში, გუმბარიძეს და საერთოდ ხელისუფლებას ხელთ ეპყრა უმძლავრესი საბჭოთა სტრუქტურები. ნუ დაგვავიწყდება, რომ საბჭოთა საქართველოს მილიციას კრემლი აძლევდა წლინადში 150 მილიონ მანეთს, სუკ-ს – 140 მილიონს, პროკურატურას – 7 მილიონს. აი, ეს ორგანოები იცავდნენ მას, და არავის არ უნდა ჰგონებოდა, რომ კრემლის ინტერესების საზიანოდ [20, 336]. საბჭოთა სტრუქტურებს, რომ „მრგვალი მაგიდის“ სასარგებლოდ არ ემუშავა, არჩევნების შედეგები იქნებოდა ისეთი, როგორც მოესურვებოდათ მის ორგანიზატორებს [20, 389]. ამიტომ იყო, რომ ბლოკი „მრგვალი მაგიდა“ არჩევნებამდე უზენაეს საბჭოს სხვადასხვა მეთოდებით კარნახობდა თავის სურვილებს – არჩევნების ვადის გადაწვევას, მისთვის ხელსაყრელი საარჩევნო კანონის მიღებას და სხვ. ბევრი მათგანისათვის, ოღონდ კომუნისტებს არ გაემარჯვათ, სულ ერთი იყო, ხელისუფლების სათავეში ვინ მოვიდოდა. როგორც გარეშე, ისე შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორიც „მრგვალი მაგიდის“ სასარგებლოდ მუშაობდა. ხალხი სამოცდაათწლიანი მძიმე ისტორიიდან გამოსავალს ეძებდა [21, 250].

30 ოქტომბერს ეროვნული კონგრესის არჩევნებმა ამომრჩეველთა საკმარისი რაოდენობა – 50%-ზე მეტი ვერ შეაგროვა. არჩევნების ვადა რამდენჯერმე გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა გამოცხადდა არჩევნების შედეგები, რომელიც მისი ორგანიზატორების მიერ კანონიერად იქნა ცნობილი.

არჩეულმა ეროვნულმა კონგრესმა დაადასტურა, რომ არ მისწრაფვის ძალაუფლების თავის ხელში აღებისაკენ და კმაყოფილდება მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ლეგიტიმური ორგანოს სტატუსით [6, 25, 26].

მოგვიანებით, ეროვნული კონგრესისა და ხელისუფლებას მიმოსული „მრგვალი მაგიდის“ გაერთიანების ცდა მარცხით დამთავრდა.

1990 წლის 14 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს რესპუბლი-

კის უზენაესი საბჭოს პირველი სესია. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ზვიად გამსახურდია.

დეპუტატებმა ამავე სესიაზე მიიღეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის კანონი. სესიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის ახალი ატრიბუტიკა: სახელმწიფო დროშა და ეროვნული ჰიმნი.

მომაკვდავის უკანასკნელ გაბრძოლებას ჰგავდა, როდესაც 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ რეფერენდუმი დანიშნა. მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა ერთადერთ კითხვაზე: „თვლით თუ არა საჭიროდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების განახლებული ფედერაციის შენარჩუნებას, რომელშიც მთელი სისრულით იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანთა უფლებები და მოვალეობები“. ახალ ფედერაციაში „ნებისმიერი ეროვნების“ უფლების დაცვას საბჭოთა ხელმძღვანელობა ავტონომიური წარმონაქმნების დამოუკიდებლად შესვლის გზით ფიქრობდა. ეს გარემოება წინააღმდეგობას მარტო მოკავშირე რესპუბლიკებში არ იწვევდა. ასეთი პერსპექტივა თვით რუსეთის ფედერაციაშიც ბევრისთვის მიუღებელი იყო.

რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი ექცემა რესპუბლიკამ – ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, მოლდოვამ, სომხეთმა და საქართველომ განაცხადა. ცხრა რესპუბლიკაში რეფერენდუმი მაინც ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 80 პროცენტმა, რომელთა 76 პროცენტმა მხარი დაუჭირა განახლებული სახით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, 21 პროცენტმა წინააღმდეგ მისცა ხმა.

17 მარტის საპირისპიროდ, 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი დანიშნა. ჩატარებული რეფერენდუმით მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, რის საფუძველზეც 9 აპრილს მიიღეს დამოუკიდებლობის აქტი. ამავე წლის 26 მაისს კი საყოველთაო არჩევნების შედეგად ქვეყნის პირველი პირი

გახდა პრეზიდენტი — ზვიად გამსახურდია, რომელმაც აღნიშნულ თანამდებობამდე ხანგრძლივი და რთული გზა გაიარა, დისიდენტობიდან-პრეზიდენტობამდე [22, 293, 295-296]. საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირი, ანუ რუსეთის დიდი იმპერია დაიშალა 1991 წლის 30 დეკემბერს. გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირი შეიქმნა 1922 წლის 30 დეკემბერს. იმპერიაში შემავალი ყველა რესპუბლიკა დამოუკიდებლობის გზას დაადგა და მათ შორის ქართველმა ხალხმაც დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება მოიპოვა.

საქართველო და ქართველი ხალხი დიდი გამოცდის წინაშე დადგა. მას უნდა დაემტკიცებინა, რომ შესწევს საიმისო ძალა, დამოუკიდებლად იარსებოს და დაფუძნდეს როგორც სახელმწიფო [23, 210].

პარალელურად, კომუნისტურ სახელმწიფოთა ბლოკის დაშლის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების დომინირება საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული ფაქტი იყო; ისტორიის კუთვნილებად ქცეული საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ აღიარებული რუსეთის ფედერაცია გეოპოლიტიკურ ნოკდაუნში იმყოფებოდა და ცდილობდა ეპოვა ასე თუ ისე შესაფერისი ადგილი უნიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში. მაგრამ რუსეთი, რომელიც საბჭოთა კავშირის არა მხოლოდ სამართალმემკვიდრე იყო, არამედ კიდევ უფრო მეტად თავისი დიდმპყრობელური წარსულის მიმართ აგრესიული ნოსტალგიით შეპყრობილი, იმპერიული აზროვნების საკმარისზე მეტი გამოცდილების მქონე აქტორი, ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში ყველაზე გაფართოებული იმპერია გამოდგა, რომლისთვისაც ტერიტორიული ექსპანსია პოლიტიკურ იმპერატივად იყო ქცეული, ხოლო სივრცობრივი გაფართოება მისი განვითარების ატრიბუტად [24, 210].

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ერთი მთავარი ფაქტორი იყო გასათვალისწინებელი. კერძოდ, როდესაც „მოიპოვებ დამოუკიდებლობას, ესე იგი ვილაც შენზე გავლე-

ნას კარგავს და ის უსათუოდ გებრძვის მისთვის მისაღები ყველა გზით და საშუალებით“ [23, 140].

P.S. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენი ქვეყანა სამ ნაწილად დაიშალა. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“) გასულია საქართველოს იურისდიქციიდან და მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარებულია რუსეთის ფედერაციისა და რამდენიმე ეგზოტიკური სახელმწიფოს მიერ. რუსეთს ამ „რესპუბლიკებთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც, როგორც აფხაზეთის, ასევე „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიებზე განთავსებულია რუსეთის სამხედრო ბაზები. დანგრეულია ქვეყნის ეკონომიკური და სამრეწველო პოტენციალი; მოსახლეობა ხუთ-ნახევარი მილიონიდან დავიდა სამ მილიონამდე. პარალიზებულია მეცნიერებისა და განათლების სისტემა. ზოგჯერ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ჩვენ სამშობლოს კი არ ვათავისუფლებთ, არამედ სამშობლოსაგან ვათავისუფლებით“. ამდენად, ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებშია ამ მძიმე რეალობის შეცვლა.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Л. Пияшева, Тяжелая колесница проехала по нашему поколению, сборник: „Суровая драма народа“, Москва, 1989.
2. Литературная газета, 1988, 16 ноября.
3. Национальные отношения в развитом социалистическом обществе, Москва, 1977.
4. რ. მიმინოშვილი, რამდენი მტერი ჰყავს საქართველოს?! თბილისი, 1990.
5. Известия, 1988, 19 июня.
6. უ. ბლუაშვილი, პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1988-1991 წწ. თბილისი, 1994.
7. Б. Ельцин, Исповедь на заданную тему, Ленинград, 1990.

8. Джордж Сорос, Советская система к открытому обществу, Москва, 1991.

9. В. Крючков, Личное дело, часть первая, Москва, 1997.

10. В. Крючков, Личное дело, часть вторая, Москва, 1997.

11. ა. სონლულაშვილი, პანკები, ჰიპები, მეტალისტები... და ქალები, თბილისი, 1996.

12. ა. კალაძე, ის მაინც ბრუნავს, თბილისი, 1991.

13. С. Островский, Балтийский путь, журн. „Загадки истории“, 2021, №5.

14. ზბიგნევ ბჟეზინსკი, ცივი ომი“ და მისი შედეგები, ჟურნალში: „პოლიტიკა“, 1994, №1-2.

15. С. М. Червонная, Абхазия – 1992: Посткоммунистическая вандея, Москва, 1993.

16. ნ. ტატიშვილი, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა „ბალტიური გზა“, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1993, №9.

17. ა. სონლულაშვილი, 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია, თბილისი, 1999.

18. კომუნისტი, 1989, 16 აპრილი.

19. Историки спорят, Москва, 1989.

20. ვ. გოგუაძე, მე არც წარსულის, არც მომავლის არ მშინია, თბილისი, 1993.

21. ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბილისი, 1993.

22. ნატო სონლულაშვილი, საბჭოთა რეჟიმი და ქართული ეროვნული იდეა (1921-1991), თბილისი, 2018.

23. ჯემალ გახოკიძე, ბენვის ხიდზე, თბილისი, 2013.

24. ნ. ხონელიძე, გეოპოლიტიკა – ტერმინი, ცნება, სამეცნიერო დისციპლინა, მსოფლმხედველობა... კრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, VI, თბილისი, 2009.

Avtandil Songulashvili

Doctor of Historical Sciences, Professor, Ivane Javakishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology, The Head of Department of the Modern and Contemporary History

Preconditions of the Collapse of the Soviet Union and Restoration of Independence of Georgia

Summary

The first reason for the collapse of the Soviet Union was the mismanagement of the economy and the crisis caused by it. In 1985, M. Gorbachev and his team, who were at the head of the government, began a series of transformations, which eventually put an end to the existence of the Soviet Empire.

In the second half of the 80s, in the footsteps of the national movement, political parties were created in Georgia and they managed to hold the first multi-party elections of the Supreme Council on October 28, 1990. The bloc «Round Table - Free Georgia» won the most seats.

Based on the referendum held on March 31, 1991, the Act of Independence of Georgia was adopted on April 9 and Zviad Gamsakhurdia became the president of the country as a result of the general elections on May 26.

საქართველოს ისტორია

დავით ჯავახიშვილი

*ისტორიის დოქტორი, საქართველოს კულ-
ტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს თანამშრომელი*

ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის ნაპრთა

მიმოსვლის მარშრუტის დადგენისათვის

(1795 წლის სექტემბერი)

სპარსეთის საიმპერიო ტახტის პრეტენდენტმა ალა-მაჰმად-ხანმა (1741-1797), შემდგომში – პირველმა შაჰმა ყაჯართა დინასტიიდან (1796 წლიდან), სცადა, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798) თავის ვასლად ექცია. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ერეკლემ მოხერხებულად ისარგებლა ნადირ-შაჰის მოკვლის (1747 წ.) შემდეგ სპარსეთში დაწყებული ხანგრძლივი არეულობით, გამოვიდა ამ იმპერიის დაქვემდებარებიდან და ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1783 წლის 24 ივლისს, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში გაფორმებული ტრაქტატის თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფო – რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა.

ამ მფარველობითი ტრაქტატის რატიფიკაცია იმავე წელს მოახდინა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა II-მ (მეფობდა 1762-1796 წლებში), ხოლო ერეკლე II-მ – ეს მომდევნო წლის 24 იანვარს გააკეთა. ამის საფუძველზე ქართლ-კახეთის მეფე – რუსეთის იმპერატრიცას ვასალი გახდა [1].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტახტისმადიებელი ალა-მაჰმად-ხანის შეთავაზებას – ნებაყოფლობით დაბრუნებულიყო

სპარსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში – ერეკლე II აღარ (და ველარც) დათანხმდებოდა.

„პატარა კახის“ საყვარელი ასულის – თეკლა ბატონიშვილის (1776-1846) ვაჟი – ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი (1802-1869) წერდა: „განძვინებული აღამამადხან მეფე ირაკლიზედ მოდიოდა, მაგრამ თან თურმე ეშინოდა, – მეფე ირაკლი გონიერი კაცია, ამასთან ნადირშას გაზრდილი და ამის გამო სიფრთხილით უნდა მოვიქცეო. ამისათვის კაცებს უგზავნიდა და უნდოდა, როგორმე მიეზიდა თავის მხარეს. უკანასკნელად კიდევ სთხოვა – ერთი შენი შვილი და მეორე ერთი შენი შვილიშვილი მამეც მძევლად და ესეც, – რომ რუსეთის მეგობრობაზედ ხელი აიღე, მაშინვე გავტრიალდები და წავალო“ [2, 160].

ისტორიკოს პლატონ იოსელიანის (1809-1875) ცნობით, ერეკლე II-მ ალა-მაჰმად-ხანის დესპანს, ზიად-ხან ხოელს განუცხადა: „მრავალჯერ ვართ მოტყუებული სპარსთაგან, მრავლად მათგან ტანჯულნი; სარწმუნოება ჩვენი ვერ დაგვაკავშირებს სპარსეთსა. მიმიცია სიტყვა და წერილითი პირობა ვიყო კავშირითა მტკიცითა შეკრული რუსეთისა ხელმწიფესთან, რომელიც არის ერთისა სარწმუნოებისა ჩემთან მექონი, ერთისა ეკლესიის შვილი, ერთისა ხმითა მადიდებელი ღვთისა“ [3, 49].

სწორედ ერეკლე II-ის ასეთი შეუვალი პოზიცია გახდა მიზეზი სპარსელთა საქართველოზე გამოლაშქრებისა.

1795 წლის 11 სექტემბერს, კონანისთან მომხდარ ბრძოლაში, მცირერიცხოვან ქართულ ჯარს, რომელიც მეფე ერეკლე II-ის სარდლობით, გამრულად იბრძოდა, საბოლოოდ მაინც სძლია სპარსეთის მრავალრიცხოვანმა არმიამ, რომელსაც ალა-მაჰმად-ხანი წინამძღოლობდა. ამას შედეგად მტრის ურდოების თბილისში შემოჭრა მოჰყვა. ამ თავდასხმისა და მისი შედეგების ისტორია სათანადოდ არის შესწავლილი პროფესორ იასე ცინცაძის [4], თეიმურაზ პეტრიაშვილის [10] და სხვათა მიერ.

ქართლ-კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქი, სადაც მანამდე თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მომხდურს ფეხი

აღარ დაუდგამს, მტერმა პირწმინდად გაძარცვა, დაარბია და გაანადგურა.

სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული დავით გიორგის ძე ბაგრატიონი (1767-1819) თავის თხზულებაში „ახალი ისტორია“ გვამცნობს: „იქმნა ბრძოლა ველსა ზედა კრწანისისასა. იძლივნენ ქართველნი“ [5, 23].

უფლისწულ დავითის უმცროსი ძმა – ბაგრატ გიორგის ძე ბაგრატიონი (1776-1841) თავის თხზულებაში „ახალი მოთხრობა“ გვაუწყებს: „იძლივნენ მეფენი სპარსთაგან. აღიღეს ქალაქი ტფილისი, მოაოხრნეს წმინდანი ეკლესიანი, იავარჰყვეს ხალხნი, აოტნეს, მოსწყვიტეს და ტყვე ჰყვნეს. მოწვეს ტფილისი და ეგრეთვე საუნჯეცა მეფისა ხელთ იგდეს“ [6, 65].

ზემოთ მოყვანილ წყაროში ხსენებულ სიტყვაში „მეფენი“ იგულისხმებიან ერეკლე II და მისი შვილიშვილი (ასულის ვაჟი) – სოლომონ II (1772-1815), რომელიც იმერეთში 1789-1810 წლებში მეფობდა.

მტერთან შეტაკებაში განცდილი მარცხის მიუხედავად, 75 წლის მეფე მაინც ბრძოლის ყინით იყო ანთებული და თბილისის დატოვებას არ ჩქარობდა. ავლაბრის ხიდზე მყოფმა ერეკლემ სცადა შეტევაზე გადასულიყო და დედაქალაქში შემოჭრილ სპარსელებს შეებოდა. არადა, მას იმხანად მხოლოდ 150 მეომარიღა შერჩენოდა, რომელთაგან უმეტესობა დაჭრილი გახლდათ.

საგულისხმოა, რომ მხოლოდ თავისი შვილიშვილებისა და სიძის (ასულის ქმრის) – იოანე მუხრანბატონის (1755-1800) ჩარევით გახდა იძულებული მეფე ერეკლე II, რომ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, დედაქალაქი დროებით დაეტოვებინა [7, 763].

ალექსანდრე ორბელიანი გვამცნობს: „ივანე მუხრანის ბატონმა მეფის ირაკლის ცხენის ჯილავს ხელი უტაცა, გამოატრიალა. ერთის მხრითაც ბატონიშვილი აღმასხან (იგივე ვახტანგ) მივარდა, მეორეს მხრით ბატონიშვილი იოანე. უკან ცხენსაც ქიზიყის მოურავმა მათრახი დაუკრა და საჩქაროდ გაარბენინეს გულმოკლული საცოდავი ერეკლე“ [8, 45].

ერეკლე II თავისი 150-კაციანი ამალისა და ერთგული ქვეშევრდომის – ალი-სულთან შამშადილელის 300-კაციანი რაზმის თანხლებით, გაემართა ჩრდილო-დასავლეთისაკენ, შემდეგი მიმართულებით: თბილისი–გლდანი–ცხვარიჭამია–ბინმენდი–დუშეთი. დუშეთში ღამის გათევის შემდეგ, ისინი ანანურში გადავიდნენ [9, 193].

არსებობს ცნობა, რომ თავდაპირველად ისინი წავიდნენ მახათას მთისაკენ, მაგრამ გზად დადევნებული ახლობლის რჩევით, იქიდან გეზი იცვალეს და საგურამოსა და დუშეთის გავლით ანანურში ჩავიდნენ. იმჟამად ანანურში იმყოფებოდა სამეფო ოჯახი, რომელიც არაგვის ერისთავთა ყოფილი რეზიდენციის (ციხე-სიმაგრის) მახლობლად ცხოვრობდა [10, 66-67].

ანანურში რამდენიმე დღის ყოფნის შემდეგ, უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, სამეფო ოჯახმა მთიულეთში, კერძოდ, ცხავატის თემში გადაინაცვლა.

აქვე განვმარტავთ, რომ „ცხავატი“ ერეკლე მთიულეთის სამხრეთ ნაწილს, კერძოდ, რეგიონს, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას სოფელ მთიულთკარიდან (მდებარეობდა დღევანდელი დაბა ფასანაურის მახლობლად) – სოფელ ქვეშეთამდე. მთიულეთის ჩრდილოეთ ნაწილს, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ქვეშეთიდან ჯვრის უღელტეხილამდე, დღევანდელი კურორტის გუდაურის ჩათვლით, – „ხადა“ ეწოდებოდა.

უფლისწული თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონი (1782-1846) თავის თხზულებაში „ახალი ისტორია“ გვამცნობს, რომ სპარსელებმა „აღიღეს ტფილისი და მოწვეს და თვით მეფე განივლტო მთიულეთს“ [11, 65].

ამ ფაქტიდან კიდევ ერთხელ ხდება ნათელი, რომ გასაჭირში ჩავარდნილ ქართველ მეფეებს ყველაზე საიმედო თავშესაფრად ეგულებოდათ სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი და მათ შორის – მთიულეთის რეგიონი, რომელიც დარიალის კარიბჭისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა.

სხვათა შორის, დედაქალაქში მყოფმა მოსახლეობამ აყრა

და მთებში გახიზნვა ჯერ კიდევ მტრის შემოსევამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო. ერეკლე II-ის ბრძანების თანახმად, 8 სექტემბრის საღამოს თბილისი დატოვეს ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრებმა, კერძოდ, დედოფალმა დარეჯან დადიანმა (1734-1807) და მისი შვილების უმრავლესობამ. მათ შორის გახლდათ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II (1762-1827), ერისკაცობაში – თეიმურაზ ბატონიშვილად ნოდებუღი.

აღსანიშნავია, რომ ერეკლე II-ის ყველა შვილი იმხანად მთაში არ გახიზნულა. მათ შორის იყვნენ ბატონიშვილები: მამის ბრძანებით სიღნაღში მყოფი სამეფო ტახტის მემკვიდრე გიორგი (1746-1800), რომელიც შემდგომში მეფე გახდა და ცნობილია გიორგი XII-ის სახელით (მეფობდა 1798-1800 წლებში), რუსეთში მყოფი მირიანი (1767-1834), რომელიც გენერალი გახლდათ, არაგვის ყოფილი საერისთავოს მფლობელი ვახტანგი/ალმასხანი (1761-1814), რომელიც 300 არაგველით მამის მხარდამხარ იბრძოდა კრწანისის ბრძოლაში, ასევე, მეფის ის ასულნი, რომლებიც იმხანად უკვე გათხოვილნი იყვნენ და სხვ.

თბილისიდან მთებში მიმავალი სამეფო ოჯახის წევრთა პატრონობა მეფემ დაავალა იულონ ბატონიშვილს (1760-1816) [4, 180-181], რომელიც ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის შვილთა შორის, იმხანად ყველაზე უფროსი გახლდათ. თავდაპირველად, მათ თავი დუშეთს შეაფარეს. მას შემდეგ კი, რაც ალა-მაჰმად-ხანის გამარჯვების ამბავმა დუშეთამდე ჩააღწია, სამეფო ოჯახი მთიულეთში, კერძოდ კი, სწორედ ზემოხსენებულ ცხავატის თემში გახიზნა.

მთიულეთისაკენ მიმავალ ერეკლე II-ს ალა-მაჰმად-ხანმა დაადევნა 4000 კაციანი ჯარი, რომელსაც ქალბ-ალი-ხან ნახჭევანელი მეთაურობდა. ჟინვალთან მომხდარ შეტაკებაში ეს მდევარი სასტიკად დაამარცხა და განდევნა ფშავ-ხევსურთა და შამშადილელთა 500-კაციანმა ლაშქარმა.

15 სექტემბერს თბილისში ჩასული დამარცხებული და მნიშვნელოვნად შეთხელებული ჯარის ხილვამ ყაჯარი ფრიად შეამ-

ფოთა. მან სცადა ერეკლე II-სთან მოლაპარაკება, რაც უშედეგოდ დასრულდა [9, 190-194].

ანანურში დაბანაკებისთანავე მეფე ძალების მოკრებას შეუდგა. მან გავლენიან ფეოდალებს, კერძოდ, ქართლში – ამილახვრებს და ორბელიანებს, ხოლო კახეთში – ჩოლოყაშვილებს შეუთვალა, რომ ლაშქარი შეეგროვებინათ, ორი კვირის სამყოფი ნუზლი (საკვები) მოემარაგებინათ და მის დაძახილზე საომრად მზად ყოფილიყვნენ.

18 სექტემბერს ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სარდლებს ასეთი შინაარსის წერილობითი ბრძანება გაუგზავნა: „ანანურში და იმ ადგილებში თავკაცებით მოდიო. ხიზანი (ამ ტერმინში იგულისხმება „ცოლ-შვილი“. – დ. ჯ.) მთიულეთს დავაყენეთ. თქვენ უნდა თავადნი და აზნაურნი ვინც იმყოფებით, ვინც სახლში ორნი და სამნი იყვნეთ, ერთი ჩვენთან უნდა მოხვიდეთ. აქ სურსათის ნაკლებობა არის და რამდენიმე დღის სურსათი თან უნდა მოიტანოთ. ვინც ჩვენი ერთგულია, ახლა გამოჩნდება“ [9, 194].

იმავე დღეს, თავად ამილახვრისადმი გაგზავნილ წერილში ერეკლე II წერდა: „ქ. ჩვენ მაგიერათ მის ბრწყინვალეობას, ბატონ ამილახორს ოთარს მრავალი მოკითხვა უამბუთ. მერე ომს უკან შენი და მაგ მხრის ამბავი აღარა ვიცით-რა. ჩვენ აქ მთიულეთსა ვართ. გუშინ აღამაჰმად ხანს ჩვენთვის წიგნი მოეწერა. მირზა გურგინაშვილი ყარამან და მერაბ ალას ძმა გამოეგზავნა, შერიგება ბეჯითად მოენდომებინა და ოთხი რამ ჩვენთვის თაქლიბი ექნა: შვილის მიცემა, აზატ-ხანის ნაქონი თვალისა, ერთი საათისა და ყარაბაღის ელისა. ელი ხომ ჩვენ ხელთ აღარ არის და სხვებზე ნება მივეციოთ და თითონ აღეთქვა იმდენის სულის ქრისტიანეთ ტყვეთ უკლებრათ მოცემა და ქალაქის აშენება. – „მე ხომ აქ სხვას, თათარს ვერვის დავსვამ. მემკვიდრე ვალი შენ ხარ და შენვე უნდა იყოო“.

მრავალი ტყვე ჰყავთ და იმათთვის გამოსამეტებელი იყო, რაც ეთხოვნა. ჩვენ ეხლა ანანურსა და იმ ადგილებში თავკაცით მოვედით და ხიზანი მთიულეთს დავაყენეთ. თქვენ უნდა, რომ

რომელნიც ზემო ქართლის თავადნი და აზნაურნი იმყოფებით, ვინც სახლში ორნი და სამნი იყვნეთ, ერთი ჩვენთან უნდა მოხვიდეთ. აქ სურსათზედ ნაკლებობა არის და რამდენსამე დღის სურსათი თან უნდა მოიტანოთ. რომელიც ჩვენი ერთგულია, ეხლა გამოჩნდება“ [9, 194-195].

აქვე დავსძენთ, რომ ზემოხსენებული ოთარ რევაზის ძე ამილახვარი (1756-1827), რომელიც იყო სახელოვანი გივი ანდუყაფარის ძე ამილახვრის (1689-1754) ძმის შვილიშვილი, იმხანად გახლდათ საამილახვროს თავკაცი, ქალაქ გორის მოურავი და ზემო ქართლის სადროშოს სარდალი. ოთარის და – სალომე რევაზის ასული ამილახვარი (1766-1827) ცოლად ჰყავდა ზემოხსენებულ უფლისწულ იულონ ერეკლეს ძე ბაგრატიონს, ხოლო ასული – ელენე ოთარის ასული (1783-1866) – გაათხოვეს უფლისწულ თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონზე (1782-1846) [12, 369-371]. ამდენად, ოთარ ამილახვარი ორგზის იყო დანათესავებული ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახთან, კერძოდ, საკუთარი დისა და ასულის მეშვეობით.

ვინაიდან ერეკლე II-სთან დაწყებულ მოლაპარაკებებს ალამაჰმად-ხანისათვის სასურველი შედეგი არ მოჰყვა, მას შეეშინდა, რომ ქართველები მოულოდნელად თავს არ დასხმოდნენ და გაცულა ამჯობინა [4, 166]. 20 სექტემბერს მისი ლაშქარი თბილისიდან აიყარა და დიდძალი ნადავლით დატვირთული და 15 ათასი ტყვეთ დაიძრა [7, 764-765] განჯისაკენ, საიდანაც შუშაში გადავიდა [9, 195].

თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „დაჰყო უკუე ხოჯამან რვა დღეი სოღალუხს. მუნით აიყარა და შთავიდა მულანსა და მუნით წარვიდა ხორასანსა ზედა“ [11, 65].

დედაქალაქიდან აყრილი ქართლ-კახეთის მეფის, დუშეთს თავშეფარებული მისი ცოლშვილისა და თანმხლებ პირთა გადაადგილების მარშრუტის თაობაზე საყურადღებო ცნობებს გვანწვდის სასულიერო მოღვაწე – იოანე ქართველიშვილი (1772-1816). იგი, როგორც კარის ხუცესი და მდივანი უფლის-

ნულ იულონ ერეკლეს ძე ბაგრატიონისა (1760-1816), თან ახლდა სამეფო ოჯახს, რომელიც მთიულეთისაკენ მიდიოდა.

ქართველიშვილი თავის მემუარებში წერს, რომ 8 სექტემბერს, როდესაც ალა-მაჰმად-ხანი თავისი ლაშქრით იაღლუჯას დაბანაკდა, „ღამესა ამას, აიყარნენ სამეფო ფომილია და წარჩინებულნი ვინცა მყოფიყვნენ მას ჟამსა ტფილისს შინა და წარვიდნენ სახიზრად მთიულეთს.

ეჰა! საკვირველი და საგლოველი რომელ, წარჩინებულთა ცოლნიცა მრავალნი ვიდოდეს ქვეითად, ვინათგან ვერ შოვობდეს ცხენსა ავდარსა, წვიმასა და ტალახსა შინა მძაფრსა; ვინათგან შვიდეულისა უმეტესაცა ჟამსა, იყო წვიმა გარდუღებული და ესრეთ გავყევ მეცა მაშინ მათ, მეფის ძის იულონის შეწევნით. ვიარეთ ღამე იგი და დღე მეორე კვირიაკე. დღესა მესამესა, ორშაბათს, ძლივ შეუძელ მიწევნად დუშეთს. დავჰყავით დღე იგი და ღამე მუნ ია (11) სექტემბერი. დაღამდა რა დღე სამშაბათი, საღამო ჟამს მოვიდა ჰამბავი შესანუხებელი, საგლოველი და სატირელი... მეფეთა დამარცხებისა და ქალაქსა შინა შესევისა.

აიყარნენ ფომილია სამეფო და სხვანი, მყოფნი დუშეთით და წარვიდნენ მთიულეთს. გავყევ მეცა მათ ქვეითად... გათენდა, რა მივედით ანანურს. მუნ იყო საკვირველ ხილვა ხალხისა მის, რამეთუ ვერვინ იხილვიდა სხვასა რაიმესა ეგოდენსა ერსა შინა, გარნა დუმილსა და მოსწრაფედ სიარულსა. ეგოდენ იყო ხალხი იგი, რომელ ანანურიდამ ვიდრე მუხრანის მინდვრადმდე, ვერსადა იხილავდი გზასა ცალიერსა, რომელსა ზედა არა ვიდოდნენ უმეტეს ქვეითნი, ქალნი მორთულნი და ცოლნი წარჩინებულთანი...

მივედით სეკდებრის იგ (13) მთიულეთს, ცხაოტს, რამეთუ მუნ დაებანაკათ სამეფოს ფომილიას... აქა მთიულეთსა შინა რაოდენიცა ხანი დავყავით, გამოვიარეთ შიმშილი ფრიადი, რამეთუ არა იყო პური, არამედ უფროსლა გამოვიზარდენით ხორციითა და ცერცვითა. მივედით რა ხუთშაბათს, ღამე იგი და დღე პარასკევი სეკდებრის იდ (14) დავყავ მუნ, რამეთუ იყო დღესასწაული

დიდი, საუფლოსა და ცხოველს მყოფელის ჯურის ამაღლება.

მეფე ირაკლი მობრძანდა მუნ და არავინ იყო მღუდელი დღესა მას გარდა ჩემისა. მუნ ულოცე ცისკარი და მნუხრი, თვინიერ ყოვლისა ცერემონიისა...

დავყავით ვიდრე კზ (27) სეკდემბრამდე მთიულეთს, სხვათა და სხვათა ადგილთა. დღესა ამას... წამოვედით ნაზლაიძის კარიდამ. მას ღამესა მოვედით ამირიძის კარს; მეორეს დღეს, პარასკევს ვლეთ საღამომდინ, დავრჩით ქალასა შინა. შაბათს, სეკდემბრის კთ (29) მოვედით ანანურს ქვეით, ერთს მცირეს სოფელში და კვირას, სეკდემბრის ლ (30) ჩამოვედით დუშეთს... მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი და ფომილია სამეფო... მეფე სამეფოს ფომილით კახეთს წაბრძანდა“ [13, 72-76].

ჩვენი ვარაუდით, ზემოხსენებული „ნაზლაიძის კარი“ უნდა ნიშნავდეს მთიულეთის რეგიონის ზედა ნაწილში, კერძოდ, ხადას თემში მდებარე სოფელ ზემო მღეთას, სადაც ნაზლაიძეთა საგვარეულოს თავისი თავდაცვითი ნაგებობა – „ნაზლათციხე“ (ამჟამად – „ლევანიანთ ციხე“) ჰქონდა [14, 37].

იმხანად, ნაზლაიძეები მხოლოდ ამ სოფელში მკვიდრობდნენ. რაც შეეხება იქვე მოხსენიებულ „ამირიძის კარს“, იგი უნდა იყოს სოფელი ამირთკარი, რომელიც მთიულეთის რეგიონის ქვემო ნაწილში, კერძოდ, ცხავატის თემში მდებარეობს. ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში ამირიძეც და ნაზლაიძეც ნაცვლის თანამდებობაზე იხსენიებიან. გარდა ამისა, ნაზლაიძეთა გვარის რამდენიმე წარმომადგენელი იმხანად მოურავისა და ციხისთავის თანამდებობებს იკავებდა [15, 99; 16, 21-23].

ამდენად, იოანე ქართველიშვილის მოგონებიდან ირკვევა, რომ 1795 წლის 30 სექტემბერს, ქართლის მთიანეთში თავშეფარებული ერეკლე II, თავის მეუღლესთან – დარეჯან დადიანთან და შვილთა უმრავლესობასთან ერთად – კახეთის მთიანეთში გადავიდა. მან ქართლში დატოვა თავისი ვაჟი – უფლისწული იულონი, რომელიც გორში გადავიდა [13, 76].

სხვა საისტორიო წყარო გვამცობს, რომ მეფე ერეკლე, დარე-

ჯან დედოფალი და მათი ოჯახის ნევრთა უმრავლესობა ჯერ თიანეთში ჩასულა, ხოლო შემდეგ – ახმეტაში, სადაც ისინი ორ კვირას დარჩენილან [9, 195].

საბოლოოდ, ქართლ-კახეთის მეფე, თავის ცოლშვილთან ერთად, გადავიდა თელავში მდებარე სამეფო რეზიდენციაში, სადაც კარგა ხანს დარჩა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ გიორგი ჯავახიშვილთან (1941-2015) საუბარში მთიულეთის სოფელ ზემო მლეთის მცხოვრებმა ნინო ნიკოლოზის ასული ოგბაიძე-ბუთხუზისამ (1901-1988) გაიხსენა: „მამაჩემისაგან გამიგონია, რომ სპარსთაგან ჩვენი ქალაქის ალების შემდეგ, მეფე ერეკლეს ოჯახი თავს აფარებდა ჩემს წინაპრებთან – ოგბაიძეებთან, რომლებიც ცხავატში მკვიდრობდნენ. მტრის მოახლოების გამო, ხელმწიფის ცოლშვილი გადმოსულა მლეთაში, სადაც თავი ნაზლაიძეთა ციხეს შეაფარეს. აქედან უფრო ახლოს იყო დარიალი, საიდანაც რუსეთს შეიძლებოდა გახიზნვა. ანანურში მდგარმა მეფემ ამოაკითხა ჯერ ცხავატში და ბოლოს – ხადაში დაბინავებული თავის ცოლშვილს“.

კობაიძეთა საგვარეულოში შემორჩენილი გადმოცემის თანახმად, მეფე ერეკლე II რამდენიმე დღე მთიულეთის სოფელ ზემო ჩირიკში მდებარე კობაიძეთა ციხე-სახლში გაჩერებულა. იმ შენობის ნანგრევებს კობაიძენი დღესაც მიგვანიშნებენ.

აქვე დავსძენთ, რომ ოგბაიძეთა საგვარეულო სოფელი იყო ცხავატის თემში, თეთრი არაგვის მარცხენა ნაპირას მდებარე ოგბანი. ეს სოფელი დასახლებულია გერმანელი მოგზაურისა და მეცნიერის, დოქტორ იოჰან ანტონ გიულდენშტედტის (1745-1781) თხზულებაში მოყვანილ მთიულეთის აღწერაში, რომელიც მან საქართველოში მოგზაურობის პერიოდში (1771-1772 წლები) ჩაატარა [17, 269]. მთის ზედა ზოლში მდებარე ოგბანი მოგვიანებით ნასოფლარად იქცა, ვინაიდან მისი მცხოვრებნი თანდათან ჩასახლდნენ მის მომიჯნავე, ქვედა ზოლში განლაგებულ სოფლებში – გოგნაურსა და სალაჯურში, რომლებიც ასევე ცხა-

ვატის თემში შედიოდა [18, 32]. ეს სოფლები დღესაც არსებობს.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ოგბაიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი ტრადიციულად იყვნენ ცხავატის თემის გამაერთიანებელი სალოცავის – „ცეცხლიჯვრის“ დეკანოზები [19, 126].

დეკანოზი – მთიულეთში იგივეა, რაც ფშავეში – ხევისბერი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სალოცავების სამსახურში ხევისბერები იდგნენ. ხევისბერის ფუნქციას წარმოადგენდა: ხატობის გაძლოლა, დროშის გამობრძანება, დამწყალობება, დარისხება, სადავო საქმეთა გარჩევა, ომის დროს ხევისბერი თემიდან გამოსულ რაზმს მეთაურობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი ებრძოდნენ ქართველ მთიელებში არსებულ ღვთისშვილთა რწმენას და ხევისბერობას, როგორც წარმართობის გადმონაშთს, მათ ხევისბერობა ბოლომდე მაინც ვერ მოშალეს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მათ მთიულეთში, ხევსა და თუშეთში მოახერხეს ქართული სიტყვა „ხევისბერის“ ჩანაცვლება ბერძნული „დეკანოზით“, რაც დღემდე გამოიყენება.

საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ სცადა, რომ მთაში ბუნებრივად არსებული ხევისბერობა სახელმწიფოს სამსახურში ჩაეყენებინა. ამიტომაც, XIV საუკუნეში ოფიციალურად დაკანონდა ხევისბერის თანამდებობა, რომლის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრა მეფის გიორგი V ბრწყინვალის (მეფობდა 1299 და 1318-1346 წლებში) მიერ მიღებულ „ძეგლისდებაში“ და ხევისბერი პატივით – აზნაურს გაუტოლდა [20, 33; 21: 13].

საგულისხმოა, რომ ქართლ-კახეთის მეფისა და მისი ცოლ-შვილის მთიულეთში ყოფნის ისტორიული ფაქტი აისახა ქართულ პოეზიაშიც, კერძოდ, ლექსში „დანაბარები“, რომლის ავტორიც ვაჟა-ფშაველა (1861-1915) გახლავთ [22, 19-21]. ამ შესანიშნავ ლექსში გადმოცემულია, რომ კრწანისის ბრძოლაში დამარცხებული, მტრის მიერ თბილისის აოხრებით სიბერეგამწარებული და მთიულეთს შეხიზნული ერეკლე II თავის ლურჯა ცხენს დედაქა-

ლაქისაკენ აგზავნის და თან აბარებს:

„დარეკონ, უთხარ, ქალაქში
სამგლოვიარო ზარიო.
ნულარ ელიან, სრულ გასწყდა
ერთგული ქართველის ჯარიო.
ვინც მილალატა, იმათი
გამგებელია ჯვარიო.....
სხვა მოიძიონ პატრონად,
სხვას დაუკროდენ თავიო,
სხვას შამაარტყან ნელზედა
ჩემი ნარტყამი ხმალიო.
ნადი, ტიალო ლურჯაო,
სწრაფად იარე, მალადა,
შენც სხვა მოსძებნე მხედარი,
მე წელს მოვიდრეკ ძალადა.
მე რისთვის დავრჩი ცოცხალი,
ცოდვა ვქენ შეუნდობარი,
ვერ მოვკვდი იქა, საცა სხვა,
ერთი ქართველი მხედარი.
არ დამაცალეს შვილებმა
მტრისთვის შამეკლა თავია...
ალარ დამწვავდა თვალებსა
ქვეყნის სვე-ბედი შავია!
მე ვერ წამოვალ თბილისსა,
ველარა ვნახავ თვალითა,
თვით ქართველთაგან შემუსვრილს
და მორწყულს ცოდვა-ბრალითა.
ან აქ, – მთიულეთს...დავრჩები,
ერთგულნი ყმანი არიან,
ან არა, წავალ კახეთსა,
თელავი მიყვარს ძალიან“ [22, 21].

მართლაც, მთიულთა ერთგულება საქართველოსა და ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიისადმი კიდევ ერთხელ დადასტურდა 1795 წლის სექტემბერში, როდესაც 300-მარაგველმა თავგანწირულად იბრძოლა კრწანისის ბრძოლაში, რის შემდეგაც თბილისიდან დევნილი მეფე ერეკლე თავისი ცოლშვილით სწორედ მთიულებმა შეიფარეს.

* * *

ამრიგად, წინამდებარე სტატიაში, ქართულ საისტორიო და ფოლკლორულ წყაროებზე დაყრდნობით, დავადგინეთ, თუ როგორი იყო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის, მისი ცოლისა და შვილთა უმრავლესობის მოგზაურობის მარშრუტი 1795 წლის სექტემბერში, რის გამორკვევაც ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არავის უცდია.

აღნიშნულ პერიოდში, მეფე ერეკლე II-ის მიმოსვლის მარშრუტი, დაწყებული 11 სექტემბრიდან, შემდეგნაირი გახლდათ: კრწანისი – ავლაბარი – მახათა – გლდანი – ცხვარიჭამია – ბინმენდი – დუშეთი – ანანური – ოგბანი – ზემო ჩირიკი – ზემო მღეთა – ანანური – დუშეთი – თიანეთი – ახმეტა – თელავი.

რაც შეეხება დარეჯან დედოფლისა და მისი შვილების უმეტესობის მიმოსვლის მარშრუტს, დაწყებული 8 სექტემბრიდან, იგი ასეთი იყო: თბილისი – დუშეთი – ანანური – ოგბანი – ზემო მღეთა – ამირთკარი – ანანური – დუშეთი – თიანეთი – ახმეტა – თელავი.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვალერიან მაჭარაძისა, თბილისი, 1983.
2. ალექსანდრე ორბელიანი, მოგონება, ნიგნში: ქართული მწერლობა, ტომი IX, შემდგენელნი აკაკი ბაქრაძე და რევაზ თვარაძე, ჯუმბერ ჭუმბურიძის რედაქციით, თბილისი, 1992.

3. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი განწერელისა შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936.

4. იასე ცინცაძე, ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წელი), თბილისი, 1963.

5. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბილისი, 1941.

6. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბილისი, 1941.

7. მამია დუმბაძე, ზურაბ ცქიტიშვილი, საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვანება. ირანელთა შემოსევა 1795 წელს, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.

8. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში, ყურნალი „მოამბე“, № 8, ტფილისი, 1895.

9. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, 1980.

10. თეიმურაზ პეტრიაშვილი, კრწანისის ბრძოლა, თბილისი, 2016.

11. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბილისი, 1983.

12. დავით ჯავახიშვილი, კახეთის ბატონიშვილთა მეუღლეები, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, № 3, 2008.

13. იოანე ქართველიშვილის მემუარები, ავთანდილ იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1952.

14. რუსუდან ხარაძე, ალექსანდრე რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბილისი 1965.

15. ვახტანგ ითონიშვილი, არაგვის ხეობა, თბილისი 1986.

16. ვახტანგ ითონიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი 1992.

17. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილი, თბილისი, 1962.

18. ნიკო ჯავახიშვილი, ქართლის სამეფოს მონეტების განძი ოგბანიდან, ჟურნალი „ისტორიანი“, № 52, თბილისი, 2015.

19. როლანდ თოფჩიშვილი, ქართველთა გვარსახელების ისტორიიდან, წიგნი I, მთის რეგიონების გვართა ეთნოისტორიული შესწავლის ცდა, თბილისი, 2003.

20. ნიკო ჯავახიშვილი, ოგბაიძენი (საგვარეულოს ისტორიისათვის), თბილისი, 2005.

21. ნიკო ჯავახიშვილი, ცხავატის ცეცხლიჯვრის საიდუმლო, ჟურნალი „ისტორიანი“, № 72, თბილისი, 2016.

22. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი (ლექსები, მოთხრობები, პოემები, პუბლიცისტიკა, წერილები), შეადგინა და განმარტებანი დაურთო გივი ბოჯგუამ, თბილისი, 1987.

Davit Javakhishvili

*Doctor of History, National Agency for
Cultural Heritage Preservation of Georgia*

To Determine the Retreat Route of Kartli-Kakheti

Royal Family Members (September 1795)

Summary

The founder of the Qajar dynasty – Agha Mohammad Khan (1741-1797) was enthroned as king (shah) of Persia (Iran) in 1789, but was not officially crowned until March 1796, overthrowing Lotf Ali Khan from the Zand dynasty in 1794.

The reign of the Agha Mohammad Khan was marked by the return of a centralized and unified Iran and the transfer of the capital to Tehran, where it still remains.

He is also known for his cruel and predatory behaviour, especially during the campaign against Georgia, as he wanted the king of Kartli-Kakheti (Eastern Georgia) Erekle/ Irakli II (1720-1798) from the royal dynasty of Bagrationi to become his vassal.

On September 11, 1795, in the battle of Krtsanisi, a large army of the Persians led by Aga Mohammad Khan defeated the Georgian army, resulting in the temporary occupation of Tbilisi. He sacked the town, killed many of its inhabitants and moved about 15000 Georgian prisoners to Persia.

After leaving Tbilisi, Erekle II joined his family members in their shelter, which was in the Tskhavati community, and then in the Khada community. This fact indicates that during the difficult times, the Georgian kings considered the mountainous part of Eastern Georgia and particularly the Mtiuleti region, which was on the way to the Dariali gate (to Russia), as the safest place. King Ereklei II and most of his family moved to Kakheti on September 30.

In the presented article, based on folklore and historical sources, the details of the route of the king and the members of his family back to Kakheti in September 1795 have been identified. This issue has not yet been studied in Georgian historiography.

Apparently, the route began on September 11 and looked like this:

Ktsanisi–Avlabari– Makhata–Gladani–Tskhvarichamia–Bitsmendi–
Dusheti–Ananuri–Ogbani–Zemo Tsiriki–Zemo Mleta–Ananuri–
Dusheti–Tianeti–Akhmeta–Telavi.

The journey of Queen Darejan and most of her children began on September 8 and looked like this: Tbilisi–Dusheti–Ananuri–Ogbani–
Zemo Mleta–Amirkari–Ananuri–Dusheti–Tianeti–Akhmeta–Telavi.

ოთარ გოგოლიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ბათუმის მოსახლეობა მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის პირველ ოცწლეულში

1807 წელს ბათუმში იმოგზაურა ფრანგმა მოგზაურმა ადრიან დიუპრემ, რომლის მონაცემების მიხედვით, იმხანად, ბათუმის მთელი მოსახლეობა უდრიდა 2 ათასს კაცს, რომელთაგან ქალაქის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართველები შეადგენდნენ.

მოგზაური მაშინდელ ბათუმს ასეთ შეფასებას აძლევს: „აქაიქ მიმოფანტული სახლებით იგი უფრო ვრცელ სოფელს ნააგავს, ვიდრე ქალაქს. ბათუმი გაშენებულია ზღვის სანაპიროზე, აქვს ერთადერთი ღია რეიდი აღმოსავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან, დასავლეთით იგი დაცულია ქვიშიანი კონცხით. რეიდი ღრმაა და ხომალდებისათვის ისევე უსაფრთხოა, როგორც საუკეთესო ნავსადგურები“ [1, 262-263].

აღნიშნული პერიოდისათვის დღევანდელი ბათუმი მართლაც რომ ქალაქად ჩამოყალიბების სტადიაში გახლდათ. მისი განაშენიანების დაჩქარების მიზნით, ოსმალეთის ხელისუფლება (აჭარა იმხანად ოსმალთა ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა – ო. გ.) ბათუმში ჩამოსახლებას (ეროვნების მიხედვით) დიდად უწყობდა ხელს. ცნობილი მკვლევარი ს. ანისიმოვა ამასთან დაკავშირებით წერდა: „ბათუმის ახალი დასახლების ათვისების მიზნით, 1807 წელს ოსმალეთის ხელისუფლებამ ნება დართო თურქ და ბერძენ ემიგრანტებს, 1866 წლიდან კი აფხაზ მუჰაჯირებს, არენდით აეღოთ მიწის ნაკვეთები ქალაქის ტერიტორიაზე“ [2, 37].

ოსმალეთის ხელისუფლების მსგავსმა გადაწყვეტილებამ საგრძნობლად დააჩქარა ქალაქის განაშენიანების პროცესები, რომლის პარალელურად მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეო-

ბის რაოდენობა ბათუმში.

1872 წლისათვის ბათუმში მოსახლეობის რაოდენობა აღემატებოდა 4970 სულს, აქედან ბერძენი იყო 350 სული, სომეხი – 120 სული, ქართველი კი 4500 სული.

ბათუმში აღნიშნული პერიოდისათვის ცხოვრობდნენ, აგრეთვე, თურქები, ჩერქეზები, აფხაზები და ზანგები.

1878 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა უდრიდა 3000 სულს. მოსახლეობის ასეთი შემცირება გამონვეული გახლდათ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, რომლის ზეგავლენითაც ბევრი ადგილობრივი მოსახლე გადაიხვეწა თურქეთში მუჰაჯირად.

ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ (პორტო-ფრანკოს სტატუსი ბათუმს მიანიჭა ბერლინის კონგრესმა და იგი მოქმედებდა 1878-1886 წლებში – ო. გ.) ბიძგი მისცა ქალაქში ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას, რომლის პარალელურადაც იზრდებოდა მოსახლეობის რაოდენობაც.

1882 წელს, ქალაქ ბათუმში ჩატარდა მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა, რომლის დროსაც გამოვლინდა, რომ ქალაქში იმხანად ცხოვრობდა 8661 სული, მათ შორის 6921 მამაკაცი და 1740 ქალი.

იმ დროისათვის ქალაქში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები შემდეგი რაოდენობით: ქართველები – 3156 სული, რუსები – 980 სული, თურქები – 603 სული, სომხები – 908 სული, აფხაზები – 377 სული, სპარსელები – 112 სული, ებრაელები – 179 სული, ბერძნები – 1106 სული, გერმანელები – 145 სული, ფრანგები – 24 სული, იტალიელები – 18 სული, ინგლისელები – 10 სული [3, 460].

1882 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა რელიგიური მრწამსის მიხედვით ასეთ სურათს იძლეოდა: მართლმადიდებლები – 3158 სული, სომეხ – გრიგორიანელები – 436 სული, სომეხი კათოლიკენი – 176 სული, პროტესტანტები – 101 სული, რუსი სექტანტები – 42 სული, იუდაველები – 179 სული, მუსლიმანები – 1282 სული. [3, 460].

მოსახლეობის კლასიფიკაცია დასაქმების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: ვაჭრები და ნოქრები – 584 სული, შინამოსამსახურეები – 582 სული, მუშები – 465 სული, მენავეები – 63 სული, ექიმები – 18 სული, ბებიქალები – 6 სული, მეაფთიაქენი – 7 სული, მასწავლებელი – 15 სული, მხატვარი – 1 სული, გაზეთის რედაქტორი – 1 სული, მკინძავი – 2 სული.

1883 წლიდან ქალაქ ბათუმის გარესამყაროსთან სარკინიგზო ხაზით დაკავშირებამ კიდევ უფრო დააჩქარა ქალაქში მრეწველობისა და ვაჭრობის აღმავლობა, ამის პარალელურად გაიზარდა მისი მოსახლეობაც.

1890 წლის 17 ივნისს ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რომლის საფუძველზეც დამტკიცდა, რომ ქალაქში სულ ცხოვრობდა 18123 კაცი, რომელთაგან მუდმივი, ძირითადი მოსახლეობა შეადგენდა 14674 სულს. ჯარისკაცები, რეიდზე მდგარ გემთა მეზღვაურები, მოსამსახურეები, მოსწავლეები; ე. ი. ბათუმის დროებითი მცხოვრებნი შეადგენდნენ 3449 სულს. საინტერესოა, რომ მამაკაცთა რაოდენობა უდრიდა 14 180 სულს, ქალთა რაოდენობა კი 3943 სულს. ბათუმის მოსახლეობა ეროვნებათა მიხედვით იძლეოდა შემდეგ სურათს: ქართველები – 3571 სული, ანუ მთელი მოსახლეობის 19,72 %; რუსები – 4161 სული, 22,95 %; სომხები – 3128 სული, 17,25 %; ბერძნები – 1995 სული, 11,0 %; ებრაელები – 862 სული, 4,76 %; თურქები – 1172 სული, 6,48 %; 1890 წლის აღწერის პერიოდში სოციალური მდგომარეობის მიხედვით ბათუმში ცხოვრობდნენ: გლეხები – 6795, მეშჩანები – 4240 სული, საზღვარგარეთელი ქვეშევრდომები – 2030 სული, გაურკვეველი წოდებისანი – 1514 სული, აზნაურები – 1404 სული, ბეგები და ალები – 9 სული, თავადთა წოდებისანი – 116 სული, აზნაურთა მაძიებელი – 3 სული, შლიახტიჩი – 1 სული, მოქალაქეები – 1171 სული, ვაჭრები – 375 სული, დაბალი ჩინის პირები – 216 სული, სასულიერო წოდებისანი – 144 სული, თადარიგის ჯარისკაცები – 44 სული, ძველი მოსახლეობა – 24 სული, მაღალი ჩინის მოხელეები – 36 სული, უკანონდ შობილნი

– 6 სული, სულ – 18123 სული. აღნიშნული დროისათვის ბათუმის მოსახლეობის 51,98 % გახლდათ წერა-კითხვის მცოდნე [4, 11-12].

1897 წლის 28 იანვარს ჩატარდა სრულიად რუსეთის მასშტაბით მოსახლეობის აღწერა, რომლის დროსაც დადგინდა, რომ ქალაქ ბათუმში ცხოვრობდა 28508 სული, მათ შორის 20439 მამაკაცი და 8169 ქალი. აღნიშნული დროისათვის ქალაქში დროებით მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენდა 1714 სულს. ბათუმის მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით იმხანად იძლეოდა ასეთ სურათს: ქართველები – 6087 სული, რუსები – 7144 სული, სომხები – 6839 სული, ბერძნები – 274 სული, ებრაელები – 1064 სული, პოლონელები – 722 სული, გერმანელები – 299 სული, ჩერქეზები – 65 სული, თურქები – 1654 სული (უნდა აღინიშნოს, რომ იქვე, თურქების რაოდენობას რუსმა შოვინისტებმა მიაწერეს აჭარლები – ო. გ.) სხვა დანარჩენი ეროვნებისანი – 1870 სული. რელიგიური მრწამსის მიხედვით, აღნიშნული პერიოდისათვის ბათუმში ცხოვრობდნენ: მართლმადიდებელნი – 15495 სული, რასკოლნიკები – 137 სული, სომეხ-გრიგორიანელები – 6150 სული, სომეხ-კათოლიკენი – 662 სული, რომაელ-კათოლიკენი – 1385 სული, სხვადასხვა პროტესტანტები – 334 სული, მაჰმადიანები – 3156 სული, იუდაელები – 1179 სული, სხვა სარწმუნოებისანი – 10 სული.

ბათუმში მოსახლეობის ზრდას განაპირობებდა მრავალი სამრეწველო ობიექტის შექმნა, რომელთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ცხადია, საჭირო იყო დიდი რაოდენობით მუშახელი.

მთელი 25 წლის განმავლობაში, სახელდობრ, 1897 წლიდან 1922 წლამდე ბათუმის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა და 1922 წლისათვის მიაღწია 32302 სულს.

ბათუმის მოსახლეობის საშუალო ზრდა პროცენტებში წლების მიხედვით გვაძლევს ასეთ სურათს: 1878 წლიდან 1882 წლამდე ქალაქის მოსახლეობის ზრდა შეადგენდა 47,0 %-ს, 1882 წლიდან 1886 წლამდე – 17,7 %-ს, 1886 წლიდან 1890 წლამდე

– 5,6 %-ს, 1890 წლიდან 1897 წლამდე – 8,2 %-ს, 1897 წლიდან 1917 წლამდე – 1,1 %-ს. 1917 წლიდან 1918 წლამდე ქალაქის მოსახლეობის კლებამ შეადგინა 56,6 %, რაც გამოწვეული იყო არასტაბილური მდგომარეობით, 1918 წლიდან 1920 წლამდე მოსახლეობის ზრდა შეადგენდა 97,8 %-ს, 1920 წლიდან 1922 წლამდე – 16,9 %-ს, 1922 წლისათვის ბათუმში სულ ცხოვრობდა 60810 სული. აქედან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ბათუმის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა გაცილებით დიდია, ვიდრე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სხვა ქალაქებისა. ამ ჩვენი განაცხადის დასადასტურებლად მოვიყვანთ მოსახლეობის ზრდის პროცენტულ მაჩვენებლებს სხვადასხვა ქალაქებში (ბათუმთან შედარებით) წლების მიხედვით:

	1897 წელი	1922 წელი	1927 წელი
სოხუმი	5,0	7,5	6,2
ფოთი	4,6	4,9	4,6
ბათუმი	17,69	26,1	15,2

ბათუმში მოსახლეობის პროცენტული ზრდა მართლაც რომ გაცილებით დიდია [5, 27-29].

1917 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა უდრიდა 35048 სულს. 1918 წლისათვის იგი შეადგენდა 15875 სულს, აქედან ქართველები – 2238 სულს, ანუ მთელი მოსახლეობის 14,6 %-ს, სომხები – 288 სულს (1918 წლისათვის სომეხი მოსახლეობის ასეთი მკვეთრი შემცირება გამოიწვია ოსმალეთის ჯარის მიერ ბათუმის დაკავებამ 1918 წელს – ო. გ.), ანუ 1,9 %-ს, რუსები – 3669 სულს, ანუ 23,8 %-ს, ებრაელები – 750 სულს ანუ 4,9 %-ს, გერმანელები – 4878 სულს, ანუ 31,7 %-ს.

1922 წლისათვის ბათუმის მოსახლეობა მთლიანად შეადგენდა 60810 სულს, აქედან ქართველები – 18232 სულს, ანუ 30,0 %-ს, სომხები – 10720 სულს, ანუ 17,6 %-ს, ებრაელები – 3699 სულს, ანუ 6,1 %-ს, ბერძნები —7629 სულს, ანუ 12,6 %-ს.

1922 წელთან შედარებით 1927 წლისათვის ბათუმში მოსახლეობა შემცირდა მთელი 20 %-ით. აქედან ბერძნები – 62,7 %-ით, ებრაელები – 48,2 %-ით, სომხები – 31,6 %-ით, რუსები – 17,0 %-ით. რაც შეეხება ქართველობას, იგი შემცირდა მხოლოდ 448 სულით, რაც მთელი ქართველი მოსახლეობის მხოლოდ 2,5 %-ს უდრდა. [5, 27-29] ყოველივე ეს ქართველი მოსახლეობის სტაბილურობაზე მიგვანიშნებს.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გამბა ჟ., მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბილისი, 1887.
2. Анисимов С., Побережья Батуми, Батуми, 1911.
3. Батуми и его окрестности, Батуми, 1906.
4. Батуми и его население, Батуми, 1891.
5. აჭარის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 35.

Otar Gogolishvili

*Doctor of Historical Sciences, Professor of Batumi
Shota Rustaveli State University*

The Population of Batumi in the 19th century and the First Twenty Years of the 20th century

Summary

This article deals with the growth of the population of the city of Batumi after 1878 when Batumi has returned to mother-Georgia. The growth of the population of the city was caused by the transformation of Batumi into an industrial city. The growth of the number of industrial enterprises determined the growth of the population of the city. From 1878 to 1927 the quantity of the population sometimes increased, sometimes decreased, depending on a political situation, but the Georgian population always was in a majority despite the fact Russian Shovinists artificially increased the quantity of the non-Georgian population when Batumi was a part of the Russian Empire (this growth is reflected in statistics).

უჩა ბლუაშვილი

ისტორიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ცირა მესხიშვილი

ისტორიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და ეროვნული საკითხის გადაწყვეტისთვის

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, სწორი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებასა და მის პრაქტიკულ რეალიზაციას. საქართველო ოდითგან მრავალეროვნული და მრავალკონფესიური ქვეყანა იყო. საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ეთნოსისა და განსხვავებული აღმსარებლობის წარმომადგენლები აქ ჰარმონიულად ცხოვრობდნენ და თანამშრომლობდნენ, მაგრამ რუსეთის კოლონიური მმართველობის წლებში ერთაშორისი ურთიერთობები საგრძნობლად დაიძაბა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ პოლიტიკას უნდა მოეხსნა ეს დაძაბულობა, აღედგინა ნდობისა და მეგობრობის ატმოსფერო ერთაშორის ურთიერთობებში. უამისოდ ძალზე გაჭირდებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განმტკიცება.

ქართული სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპები დამოუკიდებლობის აქტშივე იყო განსაზღვრული. ამ დოკუმენტის მე-5 მუხლი აცხადებდა: „საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორათ უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.“ მე-6 მუხლი კი გვამცნობდა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“. [1, 3]

1918 წლის 13 სექტემბრის კანონით საქართველოს ეროვნულმა უმცირესობებმა უფლება მიიღეს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აერჩიათ თავიანთი 26 წარმომადგენელი. ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში სომხებმა მიიღეს 10 ადგილი, აზერბაიჯანელებმა – 4, აფხაზებმა – 3, რუსებმა, ოსებმა, ქართველმა ებრაელებმა – თითოეულმა ორ-ორი, ბერძნებმა და გერმანელებმა – თითო-თითო ადგილი.

1918 წლის 1 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. მასში ნათქვამი იყო: „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა; 2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულ ენაზედ; 3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლია სიტყვა წარმოსთქვას დედაენით.“ ეროვნულ უმცირესობათა ეს უფლება განამტკიცა დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამაც, რომლის მე-14 თავის 137-მუხლში ნათქვამი იყო: „არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდენტი.“ [1, 25]

დემოკრატიულ საქართველოში ეთნიკური უმცირესობებისთვის 306 სკოლა ფუნქციონირებდა. აქედან – 81 – სომხური, 66 – ბერძნული, 60 – რუსული, 48 – ოსური, 31 — აზერბაიჯანული, 20 – აფხაზური;

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ-

სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესი დაგვირგვინდა 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული კონსტიტუციით. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ქართული პოლიტიკური აზრის დიდი მონაპოვარია. მასში ასახვა ჰპოვა მაშინდელი მსოფლიოს მონინავე ქვეყნების პროგრესულმა გამოცდილებამ. დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია თავის დროის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია იყო.

1921 წლის კონსტიტუციით „საქართველოს განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალს ოლქს“ ენიჭებოდათ ავტონომიური მმართველობა.

კონსტიტუცია იცავდა საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ინტერესებს. ნებისმიერი აღმსარებლობა კანონის წინაშე თანაბარი უფლებით სარგებლობდა.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო 1921 წლის კონსტიტუციამ ამოქმედება ვერ მოასწრო. ამის მიუხედავად მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის ისტორიაში. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა შემდგომი ათწლეულების მანძილზე სწორედ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს და 1921 წლის კონსტიტუციას ეფუძნებოდა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობები, ჯერ კიდევ, დამოუკიდებლობის აღდგენამდე დაიწყო. საბჭოთა რუსეთი ცდილობდა აფხაზური და ოსური სეპარატიზმის ნაქეზებას, თურქეთი ყოველმხრივ ახალისებდა რელიგიურ ფანატიზმს აჭარაში, საინგილოსა და სამცხე-საათაბაგოში. თავიანთი დამპყრობლური მიზნებისთვის ორივე სახელმწიფო აქტიურად იყენებდა მშრომელი მასების სოციალურ უკმაყოფილებასაც.

1918 წლის თებერვლის დასაწყისში აფხაზეთის სახალხო საბჭომ საქართველოს ორ თანაბარ სუბიექტს შორის თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობები შესთავაზა. ქართულმა მხარემ ეს შეთავაზება კატეგორიულად უარყო. 1918 წლის

9 თებერვალს, საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, აფხაზეთი ფართო ავტონომიის საფუძველზე რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში. 1918 წლის მარტში, რუსეთის ნაქეზებით და მხარდაჭერით, აფხაზები კვლავ გააქტიურდნენ. მათ აფხაზეთის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი შექმნეს და სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ამ უკანასკნელმა დახმარების თხოვნით საბჭოთა რუსეთს მიმართა. სოხუმში შევიდა 2 ათასიანი ყუბანელ კაზაკთა ნითელი არმია, რომელმაც მანამდე გუდაუთასთან ქართული ჯარი დაამარცხა. აპრილ-მაისში ქართული არმიის ნაწილები მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ აჭარაში შემოჭრილი თურქების წინააღმდეგ. ამის მიუხედავად, საქართველოს სახალხო გვარდიამ ვალიკო ჯუღელის ხელმძღვანელობით, მაისში სამურზაყანოდან (ოჩამჩირეს რაიონიდან) სოხუმს შეუტია და აფხაზი სეპარატისტები და მათ დასახმარებლად მოსული ყუბანელი კაზაკები სასტიკად დაამარცხა. გაგრისკენ უკანდახეულ სეპარატისტებს ეროვნული გვარდია აღარ დაედევნა. 1918 წლის 8 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის განსაზღვრა აფხაზეთის სახალხო ყრილობას დაევალა. ყრილობა უმოკლეს დროში უნდა მოწვეულიყო. მანამდე კი საზოგადოებრივ წესრიგს აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიცავდნენ ქართული გვარდიის ნაწილები. აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის ფუნქციას სახალხო საბჭო შეასრულებდა. საქართველოს მთავრობაში მოწვეული იქნებოდა აფხაზეთის წარმომადგენელი - აფხაზეთის საქმეთა მინისტრი.

მაღე აფხაზმა სეპარატისტებმა უარი თქვეს 8 ივნისის ხელშეკრულების შესრულებაზე და საომარი მოქმედებები განაახლეს. ქართულმა ჯარმა სეპარატისტებისა და აფხაზეთში კვლავ დაბრუნებული ყუბანელი კაზაკების ჯარი დაამარცხა და სოხუმში დაიკავა. ამჯერად, ქართული ჯარი აღარ დაკმაყოფილდა სოხუ-

მის დაკავებით და შეტევა განაგრძო. 22 ივნისს მაზნიაშვილი გაგრაში შევიდა, 2 ივლისს მან ადლერი აიღო, 6 ივლისს – სოჭი, 26 ივლისს კი – ტუაფსე.

რუსეთის სამხრეთში იმ ხანებში ძალაუფლება საბჭოთა ხელისუფლებისადმი დაპირისპირებული რუსეთის მოხალისეთა არმიის ხელში იყო. ამ არმიის სარდალმა გენერალმა ალექსეევმა ყუბანის რესპუბლიკა დააარსა და თავის მიზნად ბოლშევიკებისგან რუსეთის განწმენდა გამოაცხადა. ალექსეევი მტრულად შეხვდა ქართული ჯარის აქტიურობას და საქართველოს რუსული ტერიტორიების დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვა. საქართველოს მთავრობამ მას საზღვრების დადგენის მიზნით მოლაპარაკება შესთავაზა. 1918 წლის 25 სექტემბერს მოლაპარაკება დაიწყო. ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ევგენი გეგეჭკორი (საგარეო საქმეთა მინისტრი) და გენერალი მაზნიაშვილი. რუსულმა დელეგაციამ ქართველებს ტუაფსეს, სოჭისა და გაგრის დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვა. ქართულმა დელეგაციამ გაგრის რაიონზე რუსეთის პრეტენზიების უსაფუძვლობა დაასაბუთა. სოჭისა და ტუაფსეს შესახებ კი აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიებზე პრეტენზიას არ აცხადებდა, მაგრამ ამ საკითხზე მოლაპარაკების გამართვას რუსეთში სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ შექმნილ მთავრობასთან აპირებდა.

მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო.

აფხაზთა სახალხო საბჭოში კი ანტიქართული განწყობა სულ უფრო ძლიერდებოდა. არ წყდებოდა მოხალისეთა არმიის დახმარებით აფხაზეთში გადატრიალების მოხდენის ცდები. ამის გათვალისწინებით 1918 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ დაითხოვა აფხაზთა სახალხო საბჭო და ახალი არჩევნები დანიშნა. 1918 წლის შემოდგომაზე გენერალმა დენიკინმა სამხრეთ რუსეთში არსებული მთელი ანტისაბჭოთა ძალები „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალების“ სახელით გააერთიანა. საქართველოს მთავრობის ქმედებებით გაღიზიანებულმა დენიკინმა ტუაფსესთან დიდ ძალებს მოუყარა თავი და აფხა-

ზეთში შემოჭრისთვის მოემზადა. საქართველოს მთავრობამ დახმარებისთვის ინგლისს მიმართა. ქართული მხარე მზად იყო სოჭიდან ქართული სამხედრო ნაწილები იმ პირობით გაეყვანა, თუ იქ რუსეთის ჯარი არ შევიდოდა. ინგლისი, რომელსაც დენიკინის დახმარებით საბჭოთა წყობილების დამარცხების იმედები ჯერ კიდევ არ გადაწურვოდა, საქართველოს გულისთვის რუსი თეთრგვარდიელი გენერლის წყენინებას მოერიდა. დეკემბრის ბოლოს, ქართული ჯარის მიერ ტუაფსესა და სოჭის დატოვებისთანავე, იქ დენიკინის ჯარები შევიდნენ. 1919 წლის დამდეგს მათ ბრძოლები გაგრის რაიონში გადმოიტანეს და მდინარე ბზიფამდე ტერიტორიის ხელში ჩაგდებას შეეცადნენ. 1919 წლის 14 ივნისს, პარიზის საზავო კონფერენციაზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა კარლო ჩხეიძემ წერილობით მიმართა კონფერენციის მონაწილე დიდი სახელმწიფოების მეთაურებს და მოუწოდა მათ მიეღოთ ზომები საქართველოს წინააღმდეგ დენიკინის მოხალისეთა არმიის აგრესიის აღსაკვეთად. დასავლეთის რეაქცია თანაგრძნობას არც ამჯერად გასცილებია. წითელი ჯარების მიერ დენიკინის არმიის განადგურების შემდეგ ქართულმა ჯარმა გაგრის რაიონი კვლავ დაიბრუნა.

1919 წლის გაზაფხულზე საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე აფხაზთა სახალხო საბჭოს ახალი შემადგენლობა აირჩიეს (თავმჯდომარე არზაყან ემუხვარი). 20 მარტს ახალმა საბჭომ მხარი დაუჭირა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიურ საფუძველზე დარჩენას.

რუსი ბოლშევიკების წაქეზებით საქართველოდან გამოყოფას მიეღწეოდნენ შიდა ქართლის ოსი სეპარატისტებიც. 1917 წლის ბოლოს მათ შექმნეს „სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო“. ეს მაშინ, როდესაც არანაირი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, არც მაშინ და არც არასდროს მანამდე, ასეთი სახელწოდებით ბუნებაში არ არსებობდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ოსი სეპარატისტები ცხინვალის რეგიონის საქართველოსგან მოწყვეტას შეეცადნენ, თუმცა სახალხო გვარდიამ

და ქართულმა ჯარმა ოსთა ამბოხის ჩახშობა ადვილად მოახერხეს.

ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და იქ 1919 წელს დენიკინის მოხალისეთა არმიის შესვლის შემდეგ, ოსი სეპარატისტები დენიკინელთა დახმარებით შეეცადნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზებას. 1920 წელს ოსი სეპარატისტები უკვე საქართველოში მყოფი ინგლისის ჯარის სარდლობის ანტიქართული განწყობის გამოყენებას ცდილობდნენ. მათ შეიარაღებითა და ფულით ქმედით დახმარებას უწევდა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო და სომხეთის მთავრობაც. 1920 წლის 15 მარტს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, „სამხრეთ ოსეთის“ მშრომელთა სახელით, საბჭოთა რუსეთს „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში დახმარების თხოვნით მიმართა. 6 მაისს „სამხრეთ ოსეთის“ რევკომმა მიიღო დადგენილება როკის რაიონში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ. იმავე დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „სამხრეთ ოსეთი“, ანუ ისტორიული შიდა ქართლი, უერთდებოდა რუსეთს.

ცხადია, ოსი სეპარატისტები საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან მჭიდრო კავშირში მოქმედებდნენ. ამ დროისთვის უკვე გასაბჭოებული იყო აზერბაიჯანი და ახლა რუსეთის უახლოეს გეგმებში საქართველოსა და სომხეთის გასაბჭოება შედიოდა. 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების შემდეგ რუსეთი ღიად ველარ ჩაერეოდა საქართველოს შინაურ საქმეებში და ოს სეპარატისტებს სამხედრო ძალით ველარ დაეხმარებოდა. 7 მაისის ხელშეკრულებით რუსეთი უპირობოდ აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ვალდებულებას კისრულობდა არ ჩარეულიყო საქართველოს შინაურ საქმეებში. მე-3 მუხლი აწესებდა საზღვრებს საქართველოსა და რუსეთს შორის, მე-4 მუხლის ძალით ზაქათალისა და სოხუმის ოლქები რჩებო-

და საქართველოს შემადგენლობაში. ხელშეკრულების „განსაკუთრებული საიდუმლო დამატების“ თანახმად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კომუნისტური ორგანიზაციები ლეგალურად დაიშვებოდნენ.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ, ერთი მხრივ, განამტკიცა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულის საერთაშორისო ავტორიტეტი და გზა გაუხსნა მის დეიურედ აღიარებას, მეორე მხრივ, მან მოადუნა ქართული სახელმწიფოს ყურადღება აგრესორისადმი, საშუალება მისცა ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებს ღიად ეწარმოებინათ ძირგამომთხრელი მუშაობა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ეროვნული დემოკრატებისგან განსხვავებით, რომლებიც აჯანყებული ოსი სეპარატისტების მიმართ გადამჭრელი ზომების დაუყოვნებლივ გატარებას მოითხოვდნენ, სოციალ-დემოკრატები ქართული ორიენტაციის მქონე ოსებზე დაყრდნობით ოსებთან შემრიგებლური პოლიტიკის გატარებას ცდილობდნენ. ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნოე რამიშვილი მიმართავდა ეროვნულ-დემოკრატებს: „თქვენი პოზიცია... აუარესებს საქართველოს მდგომარეობას. თუ თქვენ დაინტერესებული ხართ, რომ საქართველოს რესპუბლიკა დამშვიდდეს, საჭიროა ყველა ელემენტთან შერიგება. ჩვენ ვიცით, რომ ოს დემოკრატთა ერთი ნაწილი არის ბოლშევიკური ნაწილი, მაგრამ ოს დემოკრატთა შორის არის მეორე ნაწილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ საჭიროა მჭიდრო შეკავშირება საქართველოსთან... თქვენგან ხშირად გვესმის მთლიან საქართველოზე ლაპარაკი და თუ თქვენ საქმიანად დაინტერესებული ხართ, უნდა ემსახუროთ ყველა ნაწილის შეკრებას.“ (2, 29) სოციალ-დემოკრატთა სხვა წარმომადგენელი – ალექსანდრე ლომთათიძე კი აღნიშნავდა: „ჩვენი პოლიტიკა ოსებისადმი ისეთივე უნდა იყოს, როგორც ქართველებისადმი... ჩვენ სხვა გზას ვერ დავადგებით. საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა იყოს კანონიერი შვილი და არა გერი.“ [2, 30]

მაგრამ, სამ წელიწადში სამჯერ აჯანყებული ოსების მიმართ

სოციალ-დემოკრატებიც კატეგორიულად განენწყვნენ, რასაც ოსი სეპარატისტების მიერ ქართველთა მიმართ აჯანყებების დროს ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკე განაპირობებდა. საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა 1920 წლის 17 მაისს სპეციალური ნოტით გააპროტესტა აჯანყებული სეპარატისტების მიმართ ქართული ჯარის ქმედებები. „ჩვენ შეშფოთებით შევიტყვეთ, რომ სამხრეთ ოსეთში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, ამ ხელისუფლების ჩასახშობად გაგზავნილია ქართული ჯარები. ჩვენ მოვითხოვთ, ... რომ თქვენ გაიწვიოთ ეს ჯარები, რადგან ვთვლით, რომ ოსეთს აქვს უფლება ყავდეს ისეთი ხელისუფლება, როგორსაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნება ყოვლად გაუმართლებელი ჩარევა სხვის შინაურ საქმეებში“... – ნათქვამი იყო ნოტაში. [2, 34]

ჩიჩერინს საკადრისი პასუხი გასცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა: „**საქართველოს მთავრობა უკიდურესად შეშფოთებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს განზრახვაზე იარაღით ჩაახშოს საბჭოთა რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთში. საქართველოს საზღვრებში არ არის სამხრეთ ოსეთი, არამედ საქართველოში მყოფი ოსური დასახლებები მდებარეობენ არასადაო ტერიტორიაზე თბილისის გუბერნიის ძველი საზღვრის სამხრეთით. იმ სასაზღვრო ხაზის სამხრეთით, რომელიც დადგენილია საქართველოსა და რუსეთს შორის. ... მას შემდეგ, რაც საჭოთა რუსეთმა მშვიდობიანი ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, თავის ტერიტორიაზე არ დაუშვას ორგანიზაციები, რომელთა მიზანიცაა საქართველოში არსებული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენ გაუგებრობად... მიგვაჩნია თქვენი გამოსვლა საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში ვითომ და არსებული საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად“.** [2, 35]

ევგენი გეგეჭკორის ეს პასუხი, როგორც დიპლომატიური, ისე პატრიოტული თვალსაზრისით, დიპლომატიური პოლემიკის

ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

1920 წლის 28 მაისს ოსმა სეპარატისტებმა მიიღეს „სამხრეთ ოსეთის მემორანდუმი“, რომელშიც ისტორიული შიდა ქართლი რუსეთის ნაწილად იყო გამოცხადებული.

საქართველოს ეროვნული გვარდია და ქართული ჯარის რეგულარული ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ. ოსი სეპარატისტების აჯანყება განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე იქნა ჩახშობილი. შიდა ქართლის თითქმის მთელი ოსური მოსახლეობა ჩრდილოეთ ოსეთში გადაიხვეწა.

თურქული აგრესიის შედეგად ძალზე რთული იყო ვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც. როგორც უკვე ითქვა, 1918 წლის 4 ივნისს ხელშეკრულებით თურქეთის ხელში აღმოჩნდა მთელი აჭარა მდინარე ჩოლოქამდე, ყარსისა და არტაანის ოლქები, ასევე ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები აბასთუმნისა და აწყურის გამოკლებით. თურქეთი ამით არ დაკმაყოფილდა და ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოლქებში რეფერენდუმი ჩაატარა. რეფერენდუმი საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევებით, დაშინების, შანტაჟისა და ანტიქართული აგიტაციის პირობებში ჩატარდა. ცხადია, ასეთი „რეფერენდუმის“ შედეგად მოსახლეობამ თურქეთის შემადგენლობაში აღნიშნული ტერიტორიების დარჩენის განწყობა „დაადასტურა“. 1918 წლის ივლისში თურქები ზაქათალის (საინგილოს) ტერიტორიაზე შეიჭრნენ და მოსახლეობაში ანტიქართული აგიტაცია გააჩაღეს.

ამიერკავკასიაში თურქეთის აგრესია მხოლოდ პირველ მსოფლიო ომში მისი დამარცხების შემდეგ შეწყდა. 1918 წლის 30 ოქტომბრის ინგლის-საფრანგეთსა და თურქეთს შორის დადებული მუდროსის ზავით თურქეთმა დატოვა ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიები. ამ ძნელბედობის ჟამს აჭარის ქართული პატრიოტული ძალების დარაზმვის საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს **მემედ-ბეგ აბაშიძემ, ასლან-ბეგ აბაშიძემ, ზია-ბეგ აბაშიძემ** და სხვა ქართველმა პატრიოტებმა. 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში მემედ-ბეგ აბაშიძის ინიციატივით გამარ-

თულმა ქართველ მაჰმადიანთა ყრილობამ დედასამშობლოსთან – სამუსლიმანო საქართველოს შეერთება მოითხოვა. სამუსლიმანო საქართველოში აღდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია. ეს საერთო-ქართული საქმის დიდი გამარჯვება იყო.

მუდროსის ზავის თანახმად, აჭარაში თურქეთის ჯარის ნაცვლად ინგლისის ჯარები განლაგდნენ. 1920 წლის თებერვალში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე ოსმალეთისა და ამიერკავკასიის ტერიტორიული გამიჯვნის საკითხიც განიხილეს. სომხებმა, ინგლისელების მხარდაჭერით, ბათუმის სომხეთისთვის გადაცემის საკითხი წამოჭრეს. ქართული მხარის ენერგიული პროტესტის შემდეგ ინგლისმა ბათუმი პორტო-ფრანკოდ (საერთაშორისო ნავსადგურად) გამოაცხადა. საქართველოს მთავრობამ ეს გადაწყვეტილებაც გააპროტესტა. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დადგენილება ბათუმის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების შესახებ. 1920 წლის მარტის დამდეგს საქართველოს ჯარი ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე შევიდა. ამას ინგლისის სამხედრო მისიის მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. ქართველებმა შეძლეს ინგლისელების დარწმუნება, რომ საქართველოს ეს ნაბიჯი ბოლშევიკური საფრთხისგან ბათუმის ერთობლივი დაცვის საჭიროებით იყო ნაკარნახევი. საბჭოთა რუსეთის მიერ დენიკინელთა არმიის განადგურების შემდეგ ინგლისელები ქართველების მიმართ უფრო დამთმობნი გახდნენ და ბათუმში ქართული ჯარის ყოფნას შეურიგდნენ.

ქართველი პოლიტიკოსები შემფოთებით ადევნებდნენ თვალს საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის დაახლოებას. 1920 წლის ოქტომბერში ქემალისტურმა თურქეთმა სომხეთს შეუტია და ნოემბრის დამდეგს ყარსი აიღო. თურქები სამუსლიმანო საქართველოზეც აცხადებდნენ პრეტენზიებს. საქართველოს ხელისუფლებამ ინგლისის მთავრობას სთხოვა, ბათუმის ოლქში თავისი ჯარის მცირე ნაწილი მაინც დაეტოვებინა, მაგრამ რუსეთ-პოლონეთის ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთის დიდი

სახელმწიფოები პესიმიზმმა შეიპყრო. მათ ხელი აიღეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაზე. 1920 წლის ივლისში ინგლისელებმა ბათუმის ოლქი ოფიციალურად გადასცეს საქართველოს მთავრობას და ქვეყანა დატოვეს. ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე საქართველოს სუვერენიტეტი კიდევ ერთხელ აღდგა. თუმცა, საქართველო საბჭოურ-კომუნისტური რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის წინაშე მარტოდმარტო აღმოჩნდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა სცადა სომხეთმაც. სომეხი დამნაკები საქართველოსგან ყოვლად უაპელაციოდ ძირძველი ქართული ტერიტორიების – ჯავახეთის, ქვემო ქართლის, ბათუმის ტერიტორიების დათმობას მოითხოვდნენ. მათი არგუმენტები ასეთი იყო: 1. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო სომხეთი საქართველოზე მეტად დაზარალდა. ჩვენ ისტორიული ტერიტორიების დიდ ნაწილი დავკარგეთ, საქართველომ ეს დანაკლისი მცირედით მაინც უნდა აგვინაზღაუროს. 2. ჯავახეთში და ქვემო ქართლში მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს სომხები შეადგენენ, ბათუმი კი სომხებს იმიტომ უნდა დაგვითმოდ, რომ ჩვენ ზღვაზე გასასვლელი არ გავგაჩნიაო.

ცხადია, ქართულმა მხარემ კატეგორიულად უარყო სომხეთის ეს აბსურდული პრეტენზიები.

1918 წლის ოქტომბერში, როგორც კი მუდროსის ზავის თანახმად, თურქეთმა ლორეს რაიონი დატოვა, იქ სომხეთის ჯარი შეიჭრა. პარალელურად, სომხებმა ჯავახეთის და შიდა ქართლის სხვა ქართული ტერიტორიებიც დაიკავეს. საქართველოს მთავრობას სომხური აგრესიის შესახებ ცნობები მოსდიოდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში იმედოვნებდა, რომ საქმე დამოუკიდებლად მოქმედ ბანდიტურ შენაერთებს ეხებოდა და არა სომხეთის რეგულარულ ჯარს. საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს შორის ომის პირველი კვირების მანძილზე წარმოებული მიმონერა თვალნათლივ წარმოაჩენს ერთი მხრივ სომხური მხარის მზაკვრობასა და ცბიერებას, მეორე მხრივ, ქართული

მხარის პოლიტიკურ სიბეცესა და გულუბრყვილობას. სომხური მხარის რეგულარული ჯარის ნაწილებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ ქვემო ქართლისა და ჯავახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, უკვე დაღვრილი იყო ათეულობით ქართველი ჯარისკაცისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლი, თბილისში და დანარჩენ საქართველოში სომეხი მღვდლები უკვე აფიცებდნენ სომხურ დროშაზე ადგილობრივ სომხებს, რომლებიც იქვე ეწერებოდნენ სომხურ არმიაში საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად, საქართველოს სომხობის ერთი ნაწილი უკვე აგროვებდა ფულს და იარაღს სომხეთის არმიის დასახმარებლად, საქართველოს მთავრობას კი კვლავ ჯიუტად არ სჯეროდა ფაქტების და მიამიტურად სწამდა სომხეთის მთავრობის, რომელიც არცთუ ისე ძნელად გასაშფრი სიცრუით არწმუნებდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ საქართველოს საზღვრებში შემოჭრილი სამხედრო ნაწილები სომხეთის რეგულარული ჯარი კი არა, მის კონტროლს დაუქვემდებარებელი ბანდები იყო.

1918 წლის 9 დეკემბერს სომხეთის ჯარები ბორჩალოს მახლობლად შეიჭრნენ. ქართულმა ჯარმა მდინარე ხრამამდე დაიხია. სომხეთის მთავრობამ საქართველოს ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა ტერიტორიების დატოვება თბილისითურთ (აქაც იგივე არგუმენტი - თბილისის მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენენო). 1918 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მოიწონა მთავრობის პოზიცია სომხეთის აგრესიის სამხედრო საშუალებებით აღკვეთის შესახებ. 20 დეკემბერს ქართული რეგულარული ჯარი და სახალხო გვარდია შეტევაზე გადავიდა. სომხეთის ჯარმა დიდი დანაკარგებით უკან დაიხია, რამდენიმე დღის შემდეგ კი უკანდახევა პანიკურ გაქცევაში გადაიზარდა. დეკემბრის მიწურულს ქართული მინა-წყალი მტრისგან მთლიანად გაიწმინდა. სომხეთი სრული პოლიტიკური და სამხედრო კატასტროფისგან ინგლისმა იხსნა. ამიერკავკასიაში ინგლისის სამხედრო მისიამ კატეგორიულად მოსთხოვა საქართველოს მთავრობას სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა. 1918

ნლის 31 დეკემბერს საომარი მოქმედებები შეწყდა. ლორეს სადავო ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. იქ ინგლისის ჯარები ჩადგნენ.

სომხეთ-საქართველოს ომი ნამდვილ სამამულო ომად იქცა. მაშინდელი ქართული პრესა აღფრთოვანებული წერდა ქართველთა მაღალი საბრძოლო სულისკვეთების შესახებ: „**თამარის დროიდან ჩვენმა ისტორიამ არ იცის ქართველი ერის ასე ერთობით გამოსვლა. ბრძოლის ველზე გამოვიდა თუშ-ფშავ-ხევსური, ქართლ-კახეთი, სამეგრელო და გურია, სვანეთი და იმერეთი, მესხეთი, აჭარა და ჯავახეთი. ამ გამოსვლამ განამტკიცა აზრი, რომ ქართველობა გაჭირვებაში ერთი და განუყოფელია.**“ [3, 456]

ქართველი ჯარისკაცები საბრძოლო გამირობისა და მამაცობის მასობრივ მაგალითებს აჩვენებდნენ. 1918 წლის 19 დეკემბერს, გამთენიისას, ეკატერინოფილდში (ბორჩალოს მაზრა) მძინარე 600 ქართველ გვარდიელს მოულოდნელად თავს დაესხა ორი ათასამდე სომეხი. ქართველებმა ხელჩართული ბრძოლა მიიღეს და მასში გამარჯვებულნი გამოვიდნენ. ქართული მხარის დანაკარგი მოკლულთა სახით 30 კაცს შეადგენდა. სომხებმა 100-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგეს, კიდევ 100 ტყვედ ჩავარდა. 29 დეკემბერს ქვეითებისა და ცხენოსნებისგან შემდგარმა ქართველთა ერთმა ესკადრონმა მოულოდნელი იერიში მიიტანა შულავერზე. ბრძოლა გასროლის გარეშე, პირდაპირ ხიშტებით დაიწყო. ესკადრონმა ასამდე მოწინააღმდეგე ააგო ხიშტებზე, ხელთ იგდო ორი ზარბაზანი და ორი ტყვიამფრქვევი. იერიში იმდენად სწრაფი იყო, რომ მტრის არტილერიამ მხოლოდ სამი ჭურვის გასროლა მოასწრო. ქართული რაზმის დანაკარგი ერთ კაცს შეადგენდა.

ამასთან, ქართული ჯარი ამ ომშიც ტრადიციული ქართული დაუდევრობით იბრძოდა. ჩვენს მიერ უკვე აღწერილ ეკატერინოფილდის ბრძოლაში მძინარე ქართველებს მტერი ასე ადვილად იმიტომ მიეპარა, რომ მთელ ჯარს ღამით ერთი საგუშაგო პოსტიც კი არ ეყენა. გენერალი მაზნიაშვილი თავის მემუარებში ქართველთა დაუდევრობის ერთ ასეთ ამბავსაც იხსენებს: 25 დე-

კემბერს გვარდიელთა სამტრედიის ნაწილმა შულავერის მიმდებარე სტრატეგიული მაღლობი აიღო, მაგრამ მძიმე ბრძოლებით მოპოვებული მაღლობი იმავე ღამით დატოვა და ჩაის დასალევად სოფელ სარაჩლოში განლაგებულ ძირითად ნაწილში ჩამოვიდა. მეორე დღეს გვარდიელებმა მაღლობი ისევ ბრძოლით აიღეს.

სომხეთ-საქართველოს ომის მიმართ მეტად საძრახისი პოზიცია დაიკავა საქართველოს სომეხთა ეროვნულმა საბჭომ და საქართველოში მცხოვრები სომეხების ერთმა ნაწილმა. სომეხთა ეროვნული საბჭოს შენობაში (არამიანცის სახლი „ზემელზე“) ფარულად მიმდინარეობდა სომხურ ჯარში მოხალისეთა ჩანერა, სახსრებისა და იარაღის შეგროვება და სხვა. სწორედ ამ ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა მასობრივ დაპატიმრებებს, დამნაშავეთა ერთი ნაწილი ქვეყნიდან გაასახლეს. დაიხურა პროდაშნაკური გაზეთები. მდიდარ სომეხ ვაჭრებს და მრეწველებს, რომლებიც აშკარად აფინანსებდნენ დაშნაკთა ანტიქართულ ქმედებებს, ქონება ჩამოერთვათ, მათ საბანკო ანგარიშებს კი ყადაღა დაედოთ.

ცხადია, საქართველოში მცხოვრები სომეხების არცთუ ისე მცირე ნაწილი გაემიჯნა სომხეთის მთავრობის პოზიციას, სომეხ ექსტრემისტთა ანტიქართულ გამოხდომებს. მაგალითად, შესანიშნავმა სომეხმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ოვანეს თუმანიანმა, სომხეთ-საქართველოს ომის დროს ერევანში ჩარჩენილ თავის ქალიშვილებს შეუთვალა: **თუ ქართველების წინააღმდეგ ომში რაიმე ფორმით მონაწილეობას მიიღებთ, დაგწყევლით და თქვენს მამობაზეც უარს ვიტყვიო.**

არაერთი სომეხი ეროვნების ჩვენი მოქალაქე იბრძოდა ქართულ ჯარშიც.

მაინც რატომ წამოიწყეს დაშნაკებმა ომი ყველა თვასაზრისით მათზე უფრო ძლიერ მონაწილედგესთან – საქართველოსთან? საიდან იღებს სათავეს სომეხ ექსტრემისტთა წრეგადასული ამბიციები? ამ კითხვებს სომხეთის მთავრობის მაშინდელმა მეთაურ-

მა კაჩაზუნმა 1923 წელს შემდეგნაირად უპასუხა: „ჩვენ ილუზიების სქელი ატმოსფერო შევექმენით ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენი სურვილები ჩაუწერვეთ სხვებსაც. რეალობის ყოველგვარი შეგრძნება დავკარგეთ და ოცნებებში გავერთეთ. ჩვენ გადაჭარბებით ვაფასებდით სომეხი ხალხის შესაძლებლობებს, მის პოლიტიკურ ძლიერებას“. [3, 473]

საგულისხმო, მაგრამ დაგვიანებული აღიარებაა.

1919 წლის 10-17 იანვარს თბილისში ბრიტანულ-ქართულ-სომხური კონფერენცია გაიმართა. მხარეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სომხეთ-საქართველოს ომის დასრულებისა და „ლორეს ნეიტრალური ზონის“ ფორმირების შესახებ. მოხდა საზღვრების დემარკაცია, განისაზღვრა ქართულ-სომხური საჯარი-სო გარნიზონების რაოდენობა და მათი დისპოზიცია. საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე ლორეს ნეიტრალურ ზონაში ქართული და სომხური ჯარი უნდა მდგარიყო.

ამრიგად, სომხეთის მთავრობამ კარგად გამოიყენა ინგლისის ანტიქართული განწყობა და ომში დამარცხების მიუხედავად შეძლო სასაზღვრო კონფლიქტი მისთვის მაქსიმალურად მომგებიანი პირობებით გადაწყვეტილიყო.

თურქეთის ანტიქართული ქმედებების შედეგად სეპარატისტული მოძრაობა გაღვივდა სამხრეთ საქართველოშიც. ჯერ კიდევ, 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციიდან მალევე, ახალციხის მაზრის მაჰმადიანებმა აბასთუმანში ყრილობა გამართეს და მასზე ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის (ოზაკომის) წარმომადგენელი შალვა მალლაკელიძეც მიიწვიეს. ყრილობის მიზანი ახალციხის, ახალქალაქის, ფოცხოვის და აჭარის მხარეთა გაერთიანება და საქარველოდან მათი გამოყოფა იყო. მაჰმადიანთა აბსურდული მოთხოვნების ენერგიული გაპროტესტების შემდეგ, აბასთუმნიდან ახალციხეში ლამით მიმავალ მალლაკელიძეს ჩასაფრება მოუწყვეს. მალლაკელიძე მაშინ სიკვდილს სასწაულით გადაურჩა (დაიღუპა მისი ერთი თანმხლები და მძიმედ დაიჭრა მეორე). მაჰმადიანები არ ცხრებოდნენ და თავიანთი გეგ-

მების სისრულეში მოსაყვანად ემზადებოდნენ. პარალელურად, ახალქალაქელი სომხები ცდილობდნენ თბილისიდან ჯავახეთის მონყვეტას და ერევანთან მიერთებას.

1917 წლის ნოემბერში მაჰმადიანთა დელეგაციამ მალლაკელიძეს შემდეგი მოთხოვნები წაუყენა: 1. ახალციხეს უნდა გადარქმეოდა სახელი და დარქმეოდა „ახისხა“ (ისინი ურცხვად ამტკიცებდნენ, რომ ახალციხის ისტორიული სახელი სწორედ „ახისხა“ იყო); 2. ახალციხის გარნიზონის უფროსად დაენიშნა მაჰმადიანი; 3. თვითონ მალლაკელიძე და მის დაქვემდებარებაში მყოფი ძალები უნდა გადასულიყვნენ ძველ ქალაქში – რაბათში; 4. თავისუფალი ყაზარმები უნდა გადასულიყო მაჰმადიანთა განკარგვაში და ა. შ. მალლაკელიძემ ამ პირობების შესრულებაზე სასტიკი უარი განაცხადა, მაგრამ აბასთუმნის მხრიდან ახალციხეს უკვე მოდგომოდა ქვაბლიანის მაჰმადიანთა რაზმი ბახში-ბეგ მაჩაბელის სარდლობით, აწყურიდან ახალციხეს ომარ ფაიკისა და ახმედ-ბეგ ფეფინოვის რაზმები უახლოვდებოდნენ, ურავლის მხრიდან კი მაჰმადიანთა რაზმებს უკვე მინაძის ხიდი გადმოეკვეთათ.

მალლაკელიძემ მაჰმადიანთა დელეგაცია დააპატიმრა, თვითონ კი ოსებისა და ინგუშების 60 კაციანი ცხენოსანი რაზმით ომარ ფაიკთან მოსალაპარაკებლად გაემართა. ომარ ფაიკი (ყიფიანი) შეეცადა შალვა მალლაკელიძე თავის მხარეს გადმოეხიზნებინა. საუკუნეების განმავლობაში ახალციხე-ახალქალაქისა და ფოცხოვის კუთხეები ჩვენს ხელში იყო. დღეს კი აქ ერზრუმელი სომხები გაბატონებულან. ამ მდგომარეობას ველარ შევურიგდებით. ქალაქში უსისხლოდ შეგვიშვი, სალამომდე მთელ სომხობას ამოვხოცავთ, შემდეგ კი დავსხდეთ და თურქებთან ერთად მოვილაპარაკოთ, – უთხრა მან მალლაკელიძეს.

ფაიკის სიტყვებით წონასწორობადაკარგულმა მალლაკელიძემ მათრახი შემართა. იმავე წამს მისი ცხენოსანი რაზმი მტრის მხარეს გადავიდა. მალლაკელიძეს მხოლოდ ერთი ქრისტიანი რაზმელილა შერჩა. „შვილო, რად იცავ მაგ სომხებს? იცოდე, სწორედ ეგენი არიან ქართველების მტრები და არა ჩვენო“, –

უთხრა ფაიკმა მალლაკელიძეს, შემდეგ კი ნახევარ კილომეტრზე გამოაცილა და დაემშვიდობა.

ახალციხეში დაბრუნებული მალლაკელიძე აჯანყებული მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლისთვის მზადებას შეუდგა. მის განკარგულებაში არსებული ძალები ამკარად არასაკმარისი იყო. მაშინ მან მიიღო გადაწყვეტილება და იარაღი ახალციხის სომხურ მოსახლეობასაც დაურიგა. სომხების ათასეულს პოლკოვნიკი კაჭახიძე ჩაუდგა სათავეში, კაპიტან აბაშიძეს ქართველ ოფიცერთა რაზმის უფროსობა დაევალა, ქართულ ბატალიონს კი პოლკოვნიკმა კობეშავიძემ უსარდლა. აჯანყებულთა ძალები მაინც ოთხჯერ აღემატებოდნენ ქალაქის დამცველთა ძალებს.

მალლაკელიძემ შეტევა დილის ხუთ საათზე დაიწყო. ორსაათიანი ცხარე ბრძოლების შემდეგ აჯანყებულებმა სამივე მიმართულებით უკან დაიხიეს. მაჰმადიანებმა ქალაქზე იერიში კიდევ რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ამით გაბოროტებული აჯანყებულები ქრისტიანებით დასახლებულ სოფლებს შეესივნენ და ჯავრი მშვიდობიან მოსახლეობაზე იყარეს. მალლაკელიძე სოფლების დაცვას შეეცადა, მაგრამ მაჰმადიანებმა ბევრი სოფლის გადანვა და მოსახლეობის ამოწყვეტა მოასწრეს.

მალე მალლაკელიძე თბილისში გაიწვიეს, მის ადგილზე კი მასავით დიდი პატრიოტი და მამაცი სარდალი გენერალი ბალო მაყაშვილი დაინიშნა.

1919 წელს სამცხე-ჯავახეთის სეპარატისტულ მოძრაობას სათავეში სერვერ-ბეგ ათაბაგი ჩაუდგა. ჯაყელთა გვარის ამ გათურქებული მოღვაწის უკან თურქეთი და ინგლისი იდგა. სერვერ-ბეგი თავიდანვე ანტიქართველი და ოსმალეთის მოტრფიალე არ ყოფილა, მაგრამ ქართველ სოციალ-დემოკრატთა კლასობრივმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით კი აგრარულმა რეფორმამ, ის საბოლოოდ დაუპირისპირა სამშობლოს. 1919 წლის იანვარში სერვერ-ბეგმა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ (ყარსის) მთავრობა შექმნა. მისმა ჯარმა მცირერიცხოვანი ქართული შენაერთების დამარცხება მოახერხა და მას ბორჯომისკენ

დაახვევინა. შევსების შემდეგ ქართული ჯარი შეტევაზე გადავიდა და ახალციხე და ახალქალაქი გაათავისუფლა. 1920 წლის 20 აპრილს ქართული ჯარი არტაანში შევიდა. მალე ქალაქი ინგლისის საოკუპაციო ნაწილებმა დაიკავეს. ქართული ჯარი არტაანიდან გავიდა, თუმცა, იქ 50 კაციანი მცირე რაზმი დატოვა. არტაანზე პრეტენზიებს სომხებიც აცხადებდნენ. ინგლისელები ქართველებისგან იმ 50 კაციანი მცირე რაზმის გაყვანასაც კატეგორიულად მოითხოვდნენ, მაშინ, როცა მათ ქალაქში სომხური ჯარი შეიყვანეს. ცხადი გახდა, რომ ინგლისელები არტაანის სომხეთისთვის გადაცემას აპირებდნენ, ამიტომ ქართველებმა თავიანთი რაზმის გაყვანაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. 1919 წლის აგვისტოში ინგლისელებმა არტაანი დატოვეს. მათი დადგენილების თანახმად ეს მხარე სომხეთს უნდა გადასცემოდა, მაგრამ ქართულმა რაზმმა ქალაქის ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილში სომხები არ დაუშვა. 1920 წლის ნოემბერში კი, როდესაც თურქეთმა სომხეთს შეუტია, სომხები იძულებული გახდნენ არტაანის სამხრეთ ნაწილს დაეტოვებინათ. ამგვარად, ქალაქი არტაანი სრულად და მთელი არტაანის მხარე საქართველოს დაუბრუნდა.

ახალციხისა და ახალქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილის ქართული განწყობა ნათლად დაადასტურა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებმა. ახალციხესა და ახალქალაქში ის 1919 წლის აგვისტოში ჩატარდა. ახალციხის მაზრაში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 30 ათასმა კაცმა. ქართულმა პარტიებმა 26 500, სომხურმა პარტიამ კი მხოლოდ 3 ათასი ხმა მიიღო. ახალქალაქის მაზრაში არჩევნებში მონაწილე 21 ათასი კაციდან ქართულ პარტიებს მხარი 13 ათასმა კაცმა, სომხურს კი 8 ათასმა კაცმა დაუჭირა. ქართული პარტიებიდან ხმების აბსოლუტური უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს.

ამგვარად, ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ზოგიერთი ტერიტორიული დანაკარგის მიუხედავად, მაინც

შეძლო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება.

რაც შეეხება ეროვნული საკითხისადმი ქართველი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულებას, უნდა ითქვას, რომ ეს დამოკიდებულება ამბივალენტური და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულია. მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველი სოციალ-დემოკრატები კოსმოპოლიტები იყვნენ. თვით 1917 წელსაც კი ნოე ჟორდანიას ეს სენი დაძლეული არა აქვს. ერთ-ერთ გამოსვლაში ის აღნიშნავდა: „**თბილისი მაინც და მაინც საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთით და იმის იქით მდებარე ტერიტორია ეკუთვნით სომხებს და აზერბაიჯანელებს, და მხოლოდ დასავლეთის მესამედი - ვერე და იქით მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებს**“. [3, 206]; სახალხო გვარდიის სახელოვანი სარდალი ვალიკო ჯუღელი კი აცხადებდა: „**მე მზად ვარ უარი ვთქვა ბამბაკსა და ლორეზე, დაე, ფლობდნენ ამას სომხები, თუ ეს ჩვენს ნამდვილ ძმობას წაადგება. მათ უნდა გაიგონ, რომ მათი საუკეთესო მოკავშირე ახალგაზრდა ქართული დემოკრატიაა.**“ [3. 241]

ხელისუფლების სათავეში მოსვლამ სოციალ-დემოკრატებს პრაგმატიზმისკენ უბიძგა. მათი უმრავლესობა ამ დროისთვის უკვე მკვიდრად დადგა ეროვნულ ნიადაგზე. საბოლოოდ ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციებზე სოციალ-დემოკრატების გადასვლა ემიგრაციის წლებში მოხდა.

ეროვნულ საკითხთან მიმართებაში ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიციაზე საუბრისას საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა პერსონალების თვალსაზრისითაც. მათი მცირე ნაწილი ხელისუფლებაში მოსვლისა და თვით ემიგრაციაში ყოფნის დროსაც კი ბოლომდე დარჩა კოსმოპოლიტურ პოზიციაზე. ეს იყო ირაკლი წერეთელის ჯგუფი. თუმცა, სოციალ-დემოკრატებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მოღვაწეობის ყველა ეტაპზე პატრიოტულ პოზიციაზე იდგნენ. ასეთები იყვნენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გრიგოლ

ლორთქიფანიძე, რომელიც, ბოლშევიკების მიერ სუზდალის ციხეში გამოკეტილი, თავის ანდერძში წერდა: „თუ... რუსეთის ტყვეობაში გარდავიცვალე... რა თქმა უნდა, ჩემი სურვილია სამშობლოს მინის გულში ჩახუტება... როდესაც საქართველო შეძლებს თავისი შვილების დატყვევებული ნემთების თავის მოყრას, როდესაც ის თავის გულში მოისვენებს უცხოეთში ... ობლად მიტოვებულ ისეთ ჩვენს ეროვნულ საფლავებს, როგორცაა მაგალითად სოლომონ მეფის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ვახტანგ, ვახუშტის ... და სხვათა, მხოლოდ მერმეთაა დასაშვები ზრუნვა ისეთ საფლავთა შესახებ, როგორცაა ჩემი ძვირფასი მეგობრის ალექსანდრე ლომთათიძის, სტეფანე ახმეტელაშვილის და სხვა ტყვე საფლავების.

თუ ვინცობაა ველირსო სამშობლო მინის გულში ჩასვენებას, მე ავირჩევდი დავფლულიყავი არა იქ, სადაც მე დავიბადე, არც საქართველოს დედაქალაქში, ჩვენს ძვირფასსა და სანუკვარ ტფილისში, არამედ იმ მხარეში, სადაც დაიბადა და დაირწა ქართველი ხალხის კულტურის აკვანი და რომლის ნახვა მე ვერ მოვასწარ, სახელდობრ, დიდ ისტორიულ მესხეთის რომელიმე ნაწილში...“ [4, 97]

განა მკრეხელობა არაა ასეთი ანდერძის დამწერი კაცის პატრიოტიზმში ეჭვის შეტანა?!

პატრიოტული სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ სოციალ-დემოკრატების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი და სხვები.

რაც შეეხება ნოე ჟორდანიას: მას ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში, საქართველოს ეროვნული ყრილობის მიმდინარეობისას უწოდეს „ბელადი“: **„დღემდის** დემოკრატიის მეთაურია ჩვენი სახელოვანი ამხანაგი ნოე ჟორდანია. ნება მომეცით, განვაცხადო, რომ ამიერიდან იგი არის სახელოვანი ბელადი არა მარტო დემოკრატიისა, არამედ მთელი ერისა!“ [5, 323] ამბობდა თავის სიტყვაში „ალიონის“ ჯგუფის სახელით ყრილობაზე გამოსული კონსტანტინე ქარცივაძე.

„მე არ ვიცი ლოცულობს თუ არა ნოე ჟორდანიას, მაგრამ ვიცი, რომ მრავალი ლოცულობს მისთვის“. ეს უკვე გრიგოლ რობაქიძეა. [5, 323]

პოლიტიკოსთა ცხოვრებას ჩვევია: მათ ჰყავთ აპოლოგეტები, თანამოაზრეები და მიმდევრები, ჰყავთ კრიტიკოსები და უარმყოფლები, მაგრამ ნაკლებად – ობიექტური შემფასებელნი, მით უფრო თანამედროვეთა შორის.

ნოე ჟორდანიასადმი განსაკუთრებული პიეტეტი სხვა წყაროებიდანაც გამოსჭვივის. მაგალითად, გაზეთ „საქართველოს“ პუბლიცისტი გადმოგვცემს რა ეროვნულ ყრილობაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს, აღნიშნავს: „ყრილობის პრეზიდიუმში ადგილი დაიკავა ნოე ჟორდანიამ. „ქართველი ერის ბელადისა და ხალხის მამის“ დანახვაზე მთელი თეატრი გრგვინავს. ისმის „ვაჰა“, „გაუმარჯოს ჟორდანიას“. „თბილისის დიდ თეატრს, რომელსაც უნახავს დიდი კორიფეები ხელოვნებისა, არ უნახავს ასეთი ტაში“. [5, 324]

გერონტი ქიქოძის სიტყვით, 1917 წლის ნოემბრის დღეებში ნოე ჟორდანიას ავიდა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც **„საქართველოში შეიძლება** არავინ ასულა ჩვენი თაობის მახსოვრობაში. ეს მაშინ მოხდა, როცა ბ. ნოე ჟორდანიამ ეროვნული ყრილობის წინაშე განაცხადა, რომ ქართველი ერის სხეული გამრთელდა და დაინერა დიდი ეტრათი თავისუფლებისა“. [5, 324]

სიტყვათა თანწყობა „ნოე ჟორდანიას მენშევიკური მთავრობა“ ჩვენს თანამედროვეობას საბჭოური ისტორიოგრაფიიდან შემორჩა. ცნება „ჟორდანიას მთავრობა“ და არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ისე როგორც „მენშევიკური ხანა“ და არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდი, – ასევე კომუნისტური მემკვიდრეობაა. აუცილებელია ითქვას, რომ ორივე დეფინიცია დაცივნის ელემენტს შეიცავს, მაშინ როდესაც, ჩვეულებრივ, გამოითქმის: არისტიდ ბრიანის კაბინეტი, ჟორჟ კლემანსოს კაბინეტი და სხვ. როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ოთარ ჯანელიძე, 1921

ნლიდან საქართველოში დამკვიდრებულ საბჭოთა რეჟიმს მოსახლეობის თვალში დამსობილი ხელისუფლების დისკრიმინაცია ჭირდებოდა. თავად უკანონოსა და ლეგიტიმაციამოკლებულ საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს ამ გზით საზოგადოების ლოიალობის მოპოვება სურდა.

ემიგრაციაში გახიზნულ ქართველ პოლიტიკოსთა წრეს, მითუმეტეს, მთავრობის წევრებს, მაშინდელ საქართველოში ყველა იცნობდა. ნაცნობი სახელების მეხსიერებიდან ამოშლა იოლი არ არის. ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ თავდაპირველად გამოიყენა პრინციპი: თუ გინდა დაავინყო, უნდა შეაძულო. და დაინყო ისტორიის არნახული ფაქტობრივობა, ცალკეულ პიროვნებათა ღვაწლის გაბიჯრუება, მათი ნააზრევის გაუკუღმართება.

ბრიტანელი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე ლორდი კერზონი ასე აფასებდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას 1919 წლის დეკემბერში: „საქართველოს მთავრობის მთელი ენერჯია, ჟორდანისა და გეგეჭკორის მეთაურობით, კონცენტრირებულია სოციალ-დემოკრატიული პრინციპების აღდგენისა და ბოლშევიკთა გაძევებისაკენ. ქაოსიდან აღმოცენდა ცივილიზებული მთავრობა; კერძო მესაკუთრეობა დაშვებულია გარკვეულ ზღვრამდე, წესრიგი დაცულია და სამ რესპუბლიკას შორის საქართველო არის ყველაზე წარმატებული“. [5, 328]

კარლ კაუცკი 1921 წელს გამოცემულ ნაშრომში „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა“ – ნოე ჟორდანისა შესახებ წერდა: „**მას იმაზე მეტი დამსახურებაც კი მიუძღვის საქართველოს წინაშე, ვიდრე პლენანოვს** – რუსეთისადმი, რადგან პოლიტიკური დევნილობის ადგილებში კი არ მუშაობდა, არამედ საკუთარ ქვეყანაში დარჩა და პრაქტიკოსი მებრძოლის ნიჭს მოაზროვნისა და პუბლიცისტის მოღვაწეობას უთავსებდა“. [5, 328]

ინგლისელი სოციალისტი რამზეი მაკდონალდი მიიჩნევდა, რომ: „**სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ის შეძლო, რაც ევრო-**

პის სახელმწიფოთა სოციალ-დემოკრატებმა ვერ მოახერხეს. მათ უკონფლიქტოდ გაატარეს აგრარული რეფორმა, სოციალური კანონმდებლობა, მოხდა ბუნებრივი სიმდიდრის განსაზოგადოება, დიდი მამულების და საუფლისწულო მიწების დაშლა-გაყიდვა, თავისუფლება მიეცა კერძო ინიციატივას. შენდება დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით”. [5, 328]

სამხრეთ კავკასიაში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ოლივერ უორდროპი არ მალავდა, რომ არ უყვარდა სოციალ-დემოკრატები, „რადგან სოციალ-დემოკრატიული თეორია ამ ხალხს უფრო ნაკლებად „ჯენტლმენურს“ ხდის, ვიდრე ისინი სხვა შემთხვევაში იქნებოდნენ“, მაგრამ ნოე ჟორდანიას შესახებ წერდა: „შესანიშნავი ადამიანია, მთელი ქვეყანა დავალებულია მისგან იმ ყველაფრის გამო, რასაც ის აკეთებს“. [5, 329]

ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწე რაფიელ ინგილო მოგვიანებით შენიშნავდა: „**ნოე ჟორდანია რომ არ ყოფილიყო, საქართველოს დამოუკიდებლობა იქნებ ვერც კი გამოცხადებულიყო**“. [5, 329]

მიხაკო წერეთელის სიტყვით: „**მე არ ვიცი, ვინ შესძლებდა ნოე ჟორდანიას გარდა მაშინდელ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელი მასზედ უფრო დიდი ნაციონალისტი, —... ან თუ გამოაცხადებდა, როგორ იქნებოდა შესაძლებელი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, თუ მას არ იწამებდა ნოე ჟორდანია და მისგან ხელმძღვანელი მშრომელი კლასები, რომლებიც ქართველი ერის დიდ უმეტესობას შეადგენდნენ? საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნოე ჟორდანიას და მისი პარტიის თანხმობის გარეშე სამოქალაქო ომი მოჰყვებოდა და დაამხოდა ახლად შექმნილ სახელმწიფოს**“. [5, 330]

დაახლოებით იგივე აზრისა იყო საქართველოში ნამყოფი ფრანგი სამხედრო მოღვაწე პოლკოვნიკი რემონ დიუგე, რომელმაც წიგნი მიუძღვნა საქართველოს პირველ რესპუბლიკას. იგი შენიშნავდა: „მენშევიკური ხელისუფლება პარტიულ ინტერესებს

უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ეროვნულს“. მაგრამ, „**ქართველ-მა** სოციალ-დემოკრატებმა გარდატეხის მნიშვნელოვანი გზა გაი-არეს. მათ პატივსაცემად უნდა ითქვას, რომ ნელ-ნელა არსებითი ევოლუცია განიცადეს. მათი იდეები, გრძნობები, კონცეფციები უფრო და უფრო ეროვნული ხდებოდა“. [5, 331]

ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი სტივენ ჯონსი აღნიშნავს: „**ითვლება**, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები უკიდურესი მემარცხენეები იყვნენ, რის გამოც პატრიოტები ვერ იქნებოდნენ; მათი ერთგულება სოციალისტური იდეებისადმი კი მიჩნეულია ანტიეროვნულად. ...1918-1921 წლების ქართული სოციალ-დემოკრატიის სათანადო და თავშეკავებული კვლევა დაგვანახებდა, რომ ისინი არავისზე ნაკლები პატრიოტები არ იყვნენ; ბევრმა საკუთარი სიცოცხლე შესწირა საქართველოს დამოუკიდებლობას. ისინი ...იმსახურებენ, რომ სამშობლოს პატრიოტ ქართველებად ახსოვდეს“. [5, 332]

ამგვარად, დასკვნის სახით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, სწორი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებასა და მის პრაქტიკულ რეალიზაციას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ პოლიტიკას უნდა მოეხსნა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად წარმოქმნილი დაძაბულობა ერთაშორის ურთიერთობებში, აღედგინა ნდობისა და მეგობრობის ატმოსფერო საქართველოში მცხოვრებ ეთნოსებს შორის.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ პირველივე საკანონმდებლო აქტებით გამოცხადდა საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების თანასწორუფლებიანობა, ეროვნულმა უმცირესობებმა უფლება მიიღეს ქვეყნის

უმალეს საკანონმდებლო ორგანოში აერჩიათ თავიანთი 26 წარმომადგენელი. ამასთან, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო ქვეშარიტად პატრიოტული პოზიციის დაკავება. 1918 წლის 1 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. მასში ნათქვამი იყო: „**საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა; 2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი უნდა იყოს ქართულ ენაზე; 3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, შეუძლია სიტყვა წარმოსთქვას დედაენით.**“

უნდა ითქვას, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიცია ეროვნულ საკითხში ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა და მან კოსმოპოლიტიზმიდან პატრიოტულ პოზიციამდე ხანგრძლივი ევოლუცია განიცადა. ეროვნულ საკითხთან მიმართებაში ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიციაზე საუბრისას საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა პერსონალიების თვალსაზრისითაც. სოციალ-დემოკრატების მცირე ნაწილი ხელისუფლებაში მოსვლისა და თვით ემიგრაციაში ყოფნის დროსაც კი ბოლომდე დარჩა კოსმოპოლიტურ პოზიციაზე. ეს იყო ირაკლი წერეთელის ჯგუფი. თუმცა, სოციალ-დემოკრატებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მოღვაწეობის ყველა ეტაპზე პატრიოტულ პოზიციაზე იდგნენ (გრ. ლორთქიფანიძე, ა. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი და სხვ).

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღეებიდანვე დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებას მოუწია საბჭოთა რუსეთის, ქემალისტური თურქეთის, დაშნაკური სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლებში დაეცვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. საქართველოს ხელისუფლება წარმატებით ართმევდა თავს აფხაზი და ოსი სეპარატისტების, სამცხე-ჯავახეთის მუსლიმი მოსახლეობის ანტიქართული გამობდომების წინააღმდეგ ბრძოლასაც. თუმცა, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის რეგულარული არმიების სუვერენულ საქართველოში შემოჭრამ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა შეწყვიტა.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, ბათუმი, 1921.
2. ლევან თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბილისი, 1991.
3. არჩილ ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბილისი, 2007.
4. გრიგოლ ლორთქიფანიძე – მოღვაწე და მამულიშვილი, რედ. ელვერ კუპატაძე, თბილისი, 2007.
5. ოთარ ჯანელიძე, ნოე ჟორდანიას მთავრობა თანამედროვეთა და ისტორიკოსთა შეფასებებში, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი გელა (გიორგი) საითიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბილისი, 2019.

Ucha Bluashvili

*Doctor of History, Professor of Samtskhe-Javakheti
State University*

Tsira Meskhishvili

*Doctor of History, Associate Professor of Samtskhe-
Javakheti State University*

The Struggle of the Democratic Republic of Georgia for the Preservation of the Territorial Integrity of the Country and the Solution of the National Issue

Summary

To strengthen the newly created Georgian state, great importance was to maintain territorial integrity, developing the right national policy and its practical implementation. The national policy of the Democratic Republic of Georgia should have removed the tensions arising from the colonial policy of the „Tsarism“ in international relations, should have restored the atmosphere of trust and friendship between the ethnic groups living in Georgia.

The very first legislative acts adopted by the Government of Democratic Georgia proclaimed the equality of all nations and nationalities living in Georgia, and national minorities were given the right to elect their 26 representatives to the supreme legislative body of the country. At the same time, the government of independent Georgia was able to take a truly patriotic position. On October 1, 1918, the National Council passed the Law on the State Language. It said: „The state language in the Republic of Georgia is Georgian; 2. Proceedings and disputes in the National Council of Georgia shall be in Georgian; 3. A representative of a national minority who does not know the state language may speak in his/ her mother tongue.“

It must be said that the position of the Georgian Social Democrats concerning the national question has not always been the same, and it has

undergone a long evolution from cosmopolitanism to a patriotic position. When talking about the position of the Georgian Social Democrats on the national issue, a differentiated approach is needed in terms of personalities. A small proportion of Social Democrats have remained in a cosmopolitan position to the end, even when they came into the governmental structures and even emigrated. This was Irakli Tsereteli's group. However, among the Social Democrats, some stood in a patriotic position at all stages of their activity (Gr. Lortkipanidze, A. Chkhenkeli, N. Ramishvili, etc.).

From the first days of the declaration of independence, the government of democratic Georgia had to defend the territorial integrity of Georgia in the battles against Soviet Russia, Kemalist Turkey, and Dashnak Armenia. The Georgian government has also been successful in combating Abkhaz and Ossetian separatists, as well as the anti-Georgian outbursts of the Muslim population of Samtskhe-Javakheti. However, in February 1921, the invasion of sovereign Georgia by the regular armies of Soviet Russia ceased existence as an independent Georgia.

დოდო ქუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი

პარტიულ და სახელმწიფოებრივ ინტარესთა კონფლიქტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ემიგრაციაში (კიტა ჩხენკაელის წერილების მიხედვით)

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ქართულ ლეგაციასა და ემიგრანტულ წრეებში ვითარება დაიძაბა. განხეთქილების საგნად იქცა აჯანყებისადმი პოლიტიკურ წრეებში გამოხატული ლოიალობა, რაც ბევრს ქართველი ხალხის ღალატად მიაჩნდა, რადგან გარედან დახმარების გარეშე წინასწარ მარცხისთვის განწირულ აჯანყებას კატასტროფული შედეგების მოტანა შეეძლო ეროვნული ძალებისა და მთელი ქვეყნისათვის. ევროპის სახელმწიფოები ამ დახმარებაზე უარს ამბობდნენ, შიშველი ხელებით კი, როგორც აჯანყების მონინალმდეგეებს მიაჩნდათ, გამარჯვებას გულანთებული პატრიოტებიც ვერ შესძლებდნენ.

1924 წლის აჯანყებას მხარი მთავრობის ყოფილმა მეთაურმა ნოე ჟორდანიამ და ზოგიერთმა პოლიტიკოსმა დაუჭირა. მათ შეადგინეს აჯანყების გეგმა და სპეციალური წვრთნაც გაიარეს საფრანგეთის რესპუბლიკის 35-ე ქვეითთა პოლკში. 1924 წელს ამ ჯგუფის ნაწილი, ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, საქართველოში დაბრუნდა. ჯუღელი იმდენად იყო მნიშვნელოვანი, რომ, ფაქტობრივად, მთავრობის მეთაურის პოზიციას გამოხატ-

ავდა. ის ჯერ გურიაში იმყოფებოდა, შემდეგ გადავიდა თბილისში, გახდა დამკომის სამხედრო კომისიის წევრი, სათავეში ჩაუდგა აჯანყების მომზადებას. 6 აგვისტოს ის ჩეკამ დააპატიმრა, საპატიმროში უჩვენეს აჯანყების გეგმა და აუხსნეს, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი იცოდა. სასონარკვეთილმა ჯუღელმა თვითმკვლელობაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 28 აგვისტოს მან თანამებრძოლებს გაზეთ „კომუნისტის“ მეშვეობით დანებება ურჩია. მოვლენებზე მის მიმართვას გავლენის მოხდენა უკვე აღარ შეეძლო. 30 აგვისტოს ჯუღელი დახვრიტეს, იგივე ბედი ეწიათ ბენია ჩხიკვიშვილს, ნოე ხომერიკს, ყოფილი დემოკრატიული მთავრობის სხვა წევრებს.

1924 წლის აჯანყებას არ ემხრობოდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი და ცნობილი დიპლომატი აკაკი ჩხენკელიც. მას და მის თანამოაზრეებს საოკუპაციო რეჟიმთან მებრძოლთა მარცხი გარდაუვლად მიაჩნდათ და დიდ შეცდომად თვლიდნენ ქართველი პატრიოტების ამ საქმეში ნაქეზებას.

ცნობილი მეცნიერი – კიტა ჩხენკელი აკაკი ჩხენკელის ძმა იყო. ის 1920 წელს ჩაირიცხა გერმანიაში, ჰალეს უნივერსიტეტში, ფილოსოფიის სპეციალობით. შემდგომი მუშაობა ჰამბურგის უნივერსიტეტში გააგრძელა. მეცნიერული ინტერესების გარდა, ის თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო და გერმანიაში ცხოვრების პერიოდში ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში ჩართვაც ბევრჯერ მოუწია, მითუმეტეს, მის ძმას, რომელთანაც განსაკუთრებული სიტბო და სიყვარული აკავშირებდა, შემარიგებელი როლი ჰქონდა, პარტიულ და სახელმწიფოებრივ ინტერესთა გამო დაპირისპირებულ ქართულ ემიგრანტულ წრეებში. კონფლიქტის ინსპირაციას, გარდა 1924 წლის აჯანყების თემისა, სხვა მიზეზიც ჰქონდა. ეს იყო ქართული ლეგაციის მეთაურის – ნოე ჟორდანიას გამორჩეული პარტიული მიდგომა მოვლენებისა და პიროვნებებისადმი, რაც უკმაყოფილებას იწვევდა მრავალპარტიულ ემიგრანტულ წრეებში. ნოე ჟორდანიას ასეთი მიდგომა არც მის

უახლოეს თანამებრძოლებს – აკაკი ჩხენკელსა და ნოე რამიშვილს მოსწონდათ, მაგრამ თავს იკავებდნენ უკმაყოფილების გამოხატვისაგან, რათა ემიგრაციაში ჩამოვარდნილი განხეთქილება არ გაელრმავებინათ.

საქართველოს ეროვნულ საისტორიო არქივში დაცული კიტა ჩხენკელის წერილები, რომელიც ჰამბურგიდან აკაკი ჩხენკელს გამოუგზავნა, მოგვითხრობს გერმანიის ქართულ სათვისტომოში პარტიების დამოკიდებულებაზე, ქართული ეროვნული საქმიანობის აქტიურობაზე, ნოე ჟორდანიასადმი პოლიტემიგრანტთა გარკვეული ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებაზე. წერილები საინტერესოა ბევრი სხვა თვალსაზრისით: აქ ჩანს ქართული ემიგრაციის მიერ საერთაშორისო კავშირების დამყარების მცდელობა, ქართული ეროვნული საკითხისადმი დევნილ პოლიტიკოსთა სხვადასხვა მიდგომა, საქართველოსა და კავკასიის საკითხის პრეზენტაბელურობა ამდროინდელი ევროპული პოლიტიკის ფონზე.

ჩვენ მიერ განხილული წერილები 1933 წელს, ქართული ლეგაციის უფლებამოსილების შეწყვეტის დროსაა დაწერილი. მაგრამ ლეგაციის უფლებამოსილების შეწყვეტამდე სამსახურებრივი უფლებამოსილება (უფრო სწორად, ხელფასი) ნოე ჟორდანიამ ვლადიმერ ახმეტელს შეუწყვიტა. მიზეზი იყო ის, რასაც შემდეგ 1933 წლის წერილებში ხაზს უსვამდა კიტა ჩხენკელი: მოვლენებისადმი ჟორდანიას ვინროპარტიული და კლასობრივი ცნობიერებით მიდგომა. ზუსტად რომ ვაჩვენოთ, თუ რა შინაარსისა იყო ჟორდანია-ახმეტელის ეს კონფლიქტი, მოვიტანთ 1932 წელს ერთმანეთისადმი გაგზავნილ მათ წერილებს:

19 აპრილი 1932, ნოე ჟორდანია პარიზიდან ბერლინში წერს საქართველოს წარმომადგენლობის აქაურ ხელმძღვანელს – ვლადიმერ ახმეტელს

„ძვირფასო ლადო,

ეს წერილი კარგა ხანია უნდა მომენერა, მაგრამ მოუცლელობამ შემეშალა ხელი და ახლა გწერ. ეს ერთი ხანია მეს-

მოდა, რომ შენ ოპოზიციაში ხარ, მაგრამ არ მჯეროდა და არც ვიცოდი – რაგვარ ოპოზიციაში. მას შემდეგ, რაც ჩემი თვალით ვნახე შენი განცხადება შესახებ მხარის დაჭერისა წერეთლის ჯგუფის კანდიდატის სალირაშვილის სასარგებლოდ, დავრწმუნდი, რომ ხმები ყოფილა მართალი. გამოიკვია, რომ მხარს უჭერ და ამაგრებ იმ მიმართულებას, რომელიც ებრძვის მთელ ჩვენ ნაციონალურ ხაზს. ამავე დროს ვიცი ისიც, რომ ბერლინში მხარს უჭერენ მემარჯვენე ელემენტებს, რომელნიც ებრძვიან მთავრობასა და ერის ფრონტს. იქამდისაც კი მისულხარ, რომ კოლონიის არჩევნებში შავი მიგიცია სოციალ-დემოკრატიის კანდიდატისათვის და თეთრი ფაშისტისათვის. ახლა მე აღარ ვიცი რანაირათ უნდა აიხსნას ეს ორი გარემოება, რანაირად შეიძლება ერთი და იმავე დროს ემხრობოდე წერეთლის ჯგუფს და კერესელიძესას, ეს რალაც გაუგებრობაა თუ მოფიქრებული ტაქტიკა – გაამაგრო ყველა ფრთა, ვინც კი ჩვენ გვებრძვის. ამის პასუხს მოველი.

ამ წერილსა და შეკითხვას არ მოგწერდი, რომ არ იყო ჩემი წარმომადგენელი ბერლინში. ხოლო მთავრობის წარმომადგენელს არავითარი უფლება არა აქვს ამაგროს ის ხალხი, ვინც ანგრევს მთავრობის მუშაობას, მთელ პოლიტიკურ ბაზას – ერთი მხრით სოც. დემოკრატიულ გენერალურ დაწესებულებად[თ], მათ ავტორიტეტს, მათ პოლიტიკურ და პარტიულ ხაზს, მეორე მხრით მთელ გაერთიანებულ ფრონტს, მასში შემავალ პარტიებს და ორგანიზაციებს. ასეთი პირის ნდობა მე ვერ მექნება და ვერც მივანდობ ჩემ წარმომადგენლობას. რასაკვირველია, მე სრულებით არ ვარ წინააღმდეგი თითოეული პირის აზრისა და მოქმედების თავისუფლების, ეს მისი სვინიდისის საქმეა. მაგრამ როცა მისი სვინიდისი ვერ ეტევა მისი თანამდებობის ჩარჩოში, ვალდებულია ეს განაცხადოს და თანამდებობა დასტოვოს.

აი, ამ ორ საკითხზე მოველი განცხადებასა და პასუხს.

სალამი და კარგათ ყოფნა

ნ. ჟორდანიას. [1, 4]

ჟორდანიას ამ წერილმა, ბუნებრივია, აღაშფოთა გერმანიის

ნარმომადგენლობის ხელმძღვანელი, განსაკუთრებით სიტყვა „ფაშისტმა“, რომელიც გიორგი კერესელიძეს მიემართებოდა. აქვე, საჭიროდ ვთვლი, მკითხველს კერესელიძეების მოკლე ბიოგრაფია შევასხენო.

ძმები – ლეო და გიორგი კერესელიძეები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები, ახალგაზრდობიდანვე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. მათი ერთი ძმა – იასონი 1923 წლის მაისში სხვა სამხედროებთან ერთად ბოლშევიკებმა დახვრიტეს. ლეო მათეს ძე კერესელიძე (1885-1944) იყო სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გენერალი. საქართველოდან წასვლის შემდეგ ლეო კერესელიძე ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც ჩამოაყალიბა მემარჯვენე-ნაციონალისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ (1924), რომლის მთავარი მდივანი თვითონვე იყო.

გიორგი კერესელიძე (1885-1960) – რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ იმპერიის მთავრობამ დააპატიმრა დუშეთის საქმის მონაწილე სოციალ-ფედერალისტებთან ერთად. ძმებ კერესელიძეებს ედავებოდნენ დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაციას. დაპატიმრებულების ადვოკატებმა კონსულტაცია სთხოვეს საერთაშორისო სამართლის ავტორიტეტს, ბელგიელ მეცნიერ ერნესტ ნისს. მან განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოში 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით გაბატონდა, ამიტომ ქვეყნის უკანონო დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართული ქართველთა ყველა ქმედება, პოლიტიკური აქტია და არა სისხლის სამართლის დანაშაული. სასამართლომ ძმები კერესელიძეები გაამართლა. გიორგი ქიმიას სწავლობდა, მაგრამ ოჯახზე ზრუნვამ შეუშალა ხელი სწავლის დამთავრებაში. იყო 1910 წ. ჟენევაში პეტრე სურგულაძის მიერ დაარსებული „ქართველ სეპარატისტთა პარტიის უცხოეთში მოქმედი ჯგუფი“-ს წევრი (შემდეგ გადაერქვა სახელი და „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ ანუ „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ეწოდა). |

მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჯგუფმა ბერლინში გადაინაცვლა გერმანიის პოლიტიკურ წრეებთან კავშირის დასამყარებლად. გიორგი კერესელიძე აქტიურად ჩაერთო კომიტეტის საქმიანობაში. იგი მთელი ომის განმავლობაში მუშაობდა ხან სტამბოლში, ხან ლაზისტანში, ბოლოს ბერლინში. ზრუნავდა ქართველ ტყვეებზე. ამავე დროს, იყო დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ბერლინში გამომავალი ტყვეებისთვის განკუთვნილი გაზეთისა „თავისუფალი საქართველო“. გიორგი დამოუკიდებლობის წლებში საქართველოში არ ჩამოსულა. 1918-1919 წლებში იგი თანამშრომლობდა საქართველოს საელჩოსთან ბერლინში. გიორგი კერესელიძის პუბლიკაციები მრავლად გვხვდება ქართული ემიგრანტული პრესის ფურცლებზე. ასეთ ადამიანთან მჭიდრო ურთიერთობას ედავებოდნენ ახმეტელს, რომელიც ბერლინში საქართველოს პირველი ელჩი იყო და, რა თქმა უნდა, კერესელიძეებთან თანამშრომლობდა.

აქვე იმასაც განვმარტავთ, რატომ იყო ეროვნულ-დემოკრატიებისადმი უკიდურესად განწყობილი ჟორდანიას. 1. ეს პარტია მისი პარტიისა და მთავრობის რადიკალური ოპოზიცია იყო; 2. ეროვნულ-დემოკრატიები მეგობრობდნენ იტალიის ფაშისტური პარტიის დამაარსებელ მუსოლინისთან, ხოლო მუსოლინის მთელი ქმედება (1922-1925 წლებში განხორციელებული) მიუღებელი იყო მემარცხენე ჟორდანიასთვის; 3. ეროვნულ-დემოკრატი გიორგი მაჩაბლის ნათესავი – მარინა მაჩაბელი, ცოლად ჰყავდა იტალიის ყოფილ ელჩს თბილისში – ფრანზონის, რომელიც მუდამ აკრიტიკებდა ჟორდანიას ხელისუფლებას.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ნოე ჟორდანიასთვის უმნიშვნელო წვრილმანი უნდა ყოფილიყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობის შემთხვევაში.

წერილს ადრესატმა იმავდროულად უპასუხა, დაიცვა მისი პრინციპული მოსაზრებები, ამასთან, არ მორიდებია მთავრობის მეთაურის შეხედულებებზე სანინააღმდეგო აზრის გამოთქმას. ახმეტელმა ურჩია ჟორდანიას, მისი პასუხი ევგენი გეგეჭკორისა

და სხვა პირებისთვისაც წაეკითხა, რათა ყველას გაეგო მათი დავის არსი.

ახმეტელაშვილს ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის საფუძვლად მიაჩნდა „ერთობა“, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაცია. მისი აზრით, პოლიტიკურ ლიდერს მისი ხალხი არ უნდა დაეხარისხებინა და ყველას მიმართ მიუკერძოებელი უნდა დარჩენილიყო. ისედაც დაპირისპირებულ ჯგუფებში კიდევ უფრო დიდი გაუგებრობა არ უნდა შეექმნა. „პოლიტიკაში უფრო, ვიდრე სხვა სფეროში, საჭიროა ზნეობის, მორალის დაცვა და სრული ნრფელობის გამოჩენა“, წერდა იგი. გამოცდილ დიპლომატს, საუკეთესო ტრადიციების მქონე ქართულ ოჯახში აღზრდილ ახმეტელს, ვერ გაეგო – რატომ არ უნდა ჩაერთო საერთო საქმეში ისეთი ნიჭისა და უნარების მქონე სამშობლოს უერთგულესი ადამიანები, როგორებიც ძმები კერესელიძეები იყვნენ. ის რომ კერესელიძეები საქართველოს ხელისუფლების ოპოზიციას, – ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდნენ, მისთვის არ ყოფილა გადამწყვეტი არგუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ახმეტელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, მას, როგორც მისი წერილიდან დავინახავთ, არასდროს დაუყვირა თანამებრძოლები პარტიული ნიშნით.

თუ რა განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ ერთი პარტიის ლიდერებს, რა ღრმა პოლიტიკური კრიზისი იყო ქართულ ემიგრაციაში, კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილი ახმეტელის საკმაოდ ვრცელი წერილით.

„დიდად პატივმეულო ბატონო ნოე!

მივიღე თქვენი წერილი ამა წლის 19 აპრილით დათარიღებული. მოგისურვებიათ ჩემი რწმენისა და სინიდისის რევიზია. ვეცდები სრული და მარტივი პასუხი გაგცეთ: 1919 წელს ჩავიბარე განთავისუფლებული სამშობლოს წარმომადგენლობა გერმანიაში. მას მერე ვმუშაობ როგორც სინიდისი, გონება და გამოცდილება მიკარნახებს. შევიძინე გავლენა იმ ერის მთავარ სახელმწიფოებრივ წრეებსა და დაწესებულებებში, რომელთანაც

ჩვენი ხალხის პირველი ელჩობა მარგუნა ბედმა. შინაურობაში არ ყოფილა არც წრე, არც ჯგუფი, არც პარტია, არც კერპი ვინმე პიროვნება, რომ უსამართლოდ და უყურადღებოდ დამეტოვებინოს, უკეთუ რჩევისა, დახმარებისა და დაცვისათვის მოუმართავს. თუ ვინმე გამიკიცხავს, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ დამებრუნებინა სწორ გზაზე, რათა დამყარებულიყო ჩვენი აქაურ ცხოვრებაში ერთობა, – ფორმალური და ზერელე კი არა, არამედ ნამდვილი.

მხოლოდ ასეთი გზით მავალთ შეგვიძლია მივალწიოთ ქვემარტივ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას ჩვენი ქვეყნისას.

მე არასდროს არ მქონებია აზრად, **დამეყო საქართველოს მოქალაქენი რამდენსამე ხარისხად**; ყველას თანასწორად და მიუკერძოებლად ვუყურებდი.

არც არასდროს მქონებია სურვილი, – **გამწვავება, არევ-დარევა შემეტანა მოქიშპე ჯგუფთა ბრძოლაში.**

პოლიტიკაში უფრო, ვიდრე სხვა სფეროში უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ზნეობის, მორალის დაცვა და სრული წრფელობის გამოჩენა.

ამის შემდეგ გასაკვირველია საყვედურის მოსმენა: ოპოზიციაში ხარო.

ნუთუ თქვენ და თქვენი თანამშრომელნი სთრგუნავთ ზემოაღნიშნულ პრინციპებს და მიმართულებას, რომ ასეთი ეჭვი დაგებადათ ჩემს მიმართ?!

მაყვედრით, რომ „ვუჭერ მხარს ირაკლის წერეთლის „მიმართულებას“, რომელიც ებრძვის მთელს ჩვენს ხაზსო“. ჯერ ერთი, მე არავითარ ჯგუფს არ „ვუჭერ მხარს“, მერე, საინტერესოა, ვიცოდეთ ყველამ, თუ რაში მდგომარეობს ირაკლი წერეთლის და მისი ჯგუფის ბრძოლა „ჩვენს ნაციონალურ ხაზთან“.

თუ მართლაც დასაწუნია, რომ ვალდებულნი ვართ, შევებრძოლოთ ყველანი მავნე მიმართულებას. ახლა კი ამის შესახებ გარკვეულად არავინ იცის.

მიკიჟინებთ, დავით საღირაშვილს დაუჭირე მხარი კონფერენ-

ციაზე დელეგაციის არჩევის დროსო, ჯერ ერთი, რომ დ. საღირაშვილი, რამდენადაც მე ვიცი, არც ერთ ჯგუფს არ ეკუთვნის. მერე – სხვა კანდიდატებთან შედარებით ეს პიროვნება, ჩემის თვალსაზრისით, მიმაჩნია უფრო სანდოთ და უფრო ღირსეულად. ეს დასაძრახისი სრულებით არ არის, უკეთუ ჩემი ქცევის დამწუნებელი არ ამორდა სამართლიანობის გზას.

თქვენ იხსენებთ აგრეთვე ძველ ამბებს, უკვე ათასჯერ ახსნილსა და განმარტებულს. მიწუნებთ, რომ კოლონიის თავმჯდომარის არჩევის დროს ხმა მივეცი არა სოციალ-დემოკრატს, არამედ „ფაშისტს“, როგორც თქვენ უწოდებთ ბ-ნ გ. კერესელიძეს. ნეტა ეს საყვედური რომელი სახით არის მიმართული? როგორც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, თუ როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარ-გარეთის ბიუროს თავმჯდომარის მხრით? ორივე შემთხვევაში უნდა მოგახსენოთ, რომ კოლონიის საზოგადოება პოლიტიკური ორგანიზაცია კი არ არის, არამედ საზოგადოებრივ-კულტურული დამხმარე დაწესებულებაა. პოლიტიკა და პარტიობა აქ რა მოსატანია?! საზოგადოების სათავეში უნდა იდგეს უნარიანი, საკმაოდ შეძლებული პიროვნება, რომ უსახსრო დაწესებულებას ღირსეულად გაუძღვეს და შეასრულოს საზოგადოებრივი დავალებანი. ამ მხრით გასაკვირველი არ არის, რომ ბ-ნი გ. კერესელიძე ვამჯობინე მეორე კანდიდატს. გ. კერესელიძეს მომხრენი ბევრი სხვა ჩვენი პარტიის წევრიც აღმოჩნდა, თქვენი მხრითაც ეჭვმიუტანელი. რომ ადამიანი, რომელსაც საახალშენო საზოგადოების თავმჯდომარის თანამდებობაზე ხმა მივეცი, მავნე და დასაწუნებელი არ იყო, მტკიცდება უცილობლად აგრეთვე იმითაც, რომ ბ-ნ გ. კერესელიძეს პარიზში გადასახლების გამო აქაურმა ქართველობამ მიმართულების განურჩევლად ამასწინეთ დიდი საზეიმო გაცილება მოუწყო. საკოლონიო საზოგადოებამ, რომლის დიდ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენენ, მოისურვა კიდევ ცალკე სპეციალური გამოსალმება მოეწყო ბ-ნ ს. გეგელაშვილის თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე სწორედ სოც.-

დემოკრატები ეცილებოდნენ ერთმანეთს საქებურ სიტყვების წარმოთქმაში თქვენ მიერ „ფაშისტად“ მონათლულ პიროვნებისადმი და აღიარეს ერთად-ერთ გამაერთიანებელ პიროვნებად გერმანიის ქართველებისა. შემდეგ ხომ თაიგულებით გააცილეს სადგურზე.

ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ ვინმე ვამხილო, არამედ იმიტომ, რომ მეტად სახიფათო და წასაბოროდიკებელია წამდაუნუმ იმისთანა სიტყვებით ვარჯიშობა, როგორც არის „ფაშისტი“, „მემარჯვენე“ და სხვა.

ადამიანის გაკილვა და წუნისდადება ადვილია. საქმე ის არის, რომ ისეთ პატარა საზოგადოებაში, როგორსაც ჩვენი ემიგრაცია წარმოადგენს, საჭიროა გამოჩენა მეტი თავაზიანობის, მეტი სამართლიანობის ყოველ პიროვნებისადმი, რომ ერთობა, ერთსულოვნება ჩვენი დიდი საქმისათვის ასე აუცილებელი, საბოლოოდ არ დაირღვეს და მთლად არ ჩავილუპნეთ აქ უცხოეთში მტრის გასახარებლად. საიმისო გასაყოფი ხომ ჯერ არაფერი გვაქვს?!

თქვენ მანერო, აგრეთვე, „მემარჯვენე ელემენტების“ გამაგრებას და მომხრეობასაც. მიკიჟინებთ ამ უცნაურობას და თანვე მეკითხებით „გაუგებრობაა ეს თუ წინასწარ მოფიქრებული ტაქტიკა“ ჩემი მხრით? ურიგო არ იქნებოდა უფრო დაწვრილებით განგემარტათ, თუ ვის ან რას ჰგულისხმობთ სიტყვებში: „მემარჯვენე ელემენტები“, „მომხრეობა“, „მხრის დაჭერა“, „გამაგრება“, გაგემარტივებინათ აგრეთვე თქვენი ბრალდებანი. დაწვრილებით გადაჭრილ პასუხს მიიღებდით, თორემ ზერეღედ და ბითუმად ლაპარაკი არც მიზანშეწონილია, არც საკადრისი ერის წარმომადგენლისათვის, არც ქანაობაა საკადრისი ერთი მხრიდან მეორისკენ, არც მიკერძვა რომელიმე მიმართულებისა ან ჯგუფისა, თუნდა მონათესავისა. მხოლოდ ასეთი მტკიცე ადამიანი იმსახურებს ღირსეულ სახელს.

მე ასე მესმოდა ყოველთვის ერის წარმომადგენლობა და სწორე გითხრათ, მიკვირს, როგორ უნდა ეკიჟინოს კაცს ასეთი პოზიცია. ასეთი თავის დაჭერა ჩემის ფიქრით, სასახელო უნდა

იყოს იმ მიმართულებებისათვის, იმ პარტიისათვის, რომელსაც ვე-
კუთვნი.

უნებლიედ მომინდა ჩემ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ამაში ბრა-
ლი მე არ მედება.

თუ ბერლინში სხვა ადგილებისავით, ღვთის მადლით, არა
მომხდარა რა დასაძრახისი, ამაში ერთი მცირეოდენი ღვანლი
შეიძლება მეც მიმიძლოდეს, მეტადრე უკანასკნელ დროს აქ
იქმნება გაერთიანების ატმოსფერო: იმართება კულტურული
მიზნით მშვიდობის ჩამომგდები საღამოები, მოხსენებები, რო-
მელიც ყველა ქართველს იზიდავს მიმართულების განურჩევლად.

დასასრულ უნდა ვსთქვა, – არავის პირადი წარმომადგენელი
არ ვყოფილვარ და მაშასადამე არც არავის ცალკეულ ნდობას
დავკარგავ. ჩემი მბრძანებელი უპირველეს ყოვლისა ერი იყო
და არის, რაც მოვალეობა მატვირთა მან მთავრობის სახით, ამ
მოვალეობის შესრულებას ფაქტიურად მე ვერავინ შემიძლის –
მეტადრე ასეთ მწვავე დაშლილობისა და რღვევის დროს.

შეუძლიათ მხოლოდ მომისპონ მცირეოდენი გასამრჯელო,
რომელსაც მაძლევენ. დიას! ამის ქმნა შეუძლიანთ. დაე, იკად-
რონ! ეს მათი სინიდისის საქმეა!.. ამის გარეშე კი მე ვერაფერს
დამაკლებენ!..

ჩემი ნათელი ქცევა და ხანგრძლივი მუშაობა, რომელსაც
ვერავინ შებღალავს, ნებას მაძლევს პირდაპირ, გულ-ახდილად
საჯაროდ განვაცხადო:

„ჩემი სინიდისი ამ მხრით არავითარ ქენჯნას არ განიცდის.
მე მზათა ვარ, ყოველ ღირსეულ სამსჯავროს წინაშე წარვსდგე
უდრეკი და გულმართალი“...

ღრმა პატივისცემით

ვლ. ახმეტელი

ბერლინი, 18 მაისი, 1932. [1, 5-8]

ამ მიმონერის შემდეგ, ჟორდანიამ ბერლინში საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს ხელფასი შეუნ-
ყვიტა. ამან, რასაკვირველია, კიდევ მეტად დაძაბა მათი ურთიერ-

თობა. ამ დაძაბულობის შენელებაში აკაკი ჩხენკელის ჩართვას შეეცადა მისი ძმა – კიტა ჩხენკელი, რომელმაც დაწვრილებით გააცნო ძმას ბერლინში არსებული ვითარება. როგორც წერილებიდან ჩანს, კიტა ჩხენკელი ახმეტელაშვილს უჭერდა მხარს, მის სიმართლეში იყო დარწმუნებული, რადგან უფრო ახლოს და დიდი ხანი იცნობდა ამ ადამიანს.

კიტა ჩხენკელის პირველ წერილში, განხილულია გერმანიის ქართულ ემიგრაციაში შექმნილი მდგომარეობა. ლაპარაკია იმ კრებაზე, რომელიც „შვარცმა“ (ვლადიმერ ახმეტელაშვილის ფსევდონიმი) მოიწვია, კიტა ამცნობს ძმას შვარცის მიერ კრებაზე გაკეთებული მოხსენების შინაარსს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ წერილის ავტორიც და ადრესატიც ფრთხილობენ და შეფარულად მსჯელობენ, კიტა ძმის მდგომარეობასაც უფრთხილდება, რომელიც ასევე ახმეტელაშვილის მხარეზე უნდა ყოფილიყო (თუ გავითვალისწინებთ აკაკი ჩხენკელის მთელ ადრინდელ გულისწყრომას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ამგვარ მიდგომებზე (ავალიშვილის, ნიკოლაძის და სხვათა მიმართ) [2, 163].

წერილიდან ირკვევა, რომ გერმანიის ემიგრაციის კრებას დასწრებია 34 დელეგატი (ყველა მამაკაცი), ყრილობის თავმჯდომარე ყოფილა შალვა ქიქოძე, ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი. მთავარ საკითხად მომხსენებელს – გამოუტანია ემიგრაციაში მიმდინარე პროცესებისა და მომავალში გასატარებელი პოლიტიკის თემა. მოხსენება იყო კრიტიკული და უარყოფითად ახასიათებდა ყოფილი ლეგაციის მუშაობას, მის როლს ემიგრაციული ძალების გაერთიანების საქმეში. აი, როგორ გადმოსცემდა კიტა ჩხენკელი მომხსენებლის მთავარ პათოსს:

„ჩვენი გადმოხვეწილი მთავრობის, როგორც ერთი უმაღლესი ორგანოს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დროიდან, მიზანი და თანაც მოვალეობა იყო, ამ ეროვნული ემიგრაციისათვის თავი მოეყარა, ის ამ მთავარი იდეის გარშემო შეეკავშირებია და აემოქმედებია. და კიდევ, რაც მთავარია, ჩვენს მთავრობას უნდა

გაემაგრება სულით და სიმხნევით ემიგრაციის მთლიანობა.

საუბედუროდ, ასეთი მთლიანობა და მთავარი იდეის გარშემო ემიგრაციის დარაზმვა ხანგრძლივი არ გამოდგა... სწორეთ თვით მთავრობამ, რომლის მოვალეობა იყო ეს მისია პირნათლათ შეესრულებია, – დაარღვია პირველათ მშვიდობიანობა: საშინელი ლახვარი, რომელიც მთავრობამ ჩასცა ემიგრაციის მთლიანობის საქმეს, იყო ის ცნობილი წერილები, რომლებიც მან საიდუმლოდ გაგზავნა საქართველოში და რომლებიც მტრის ორგანოების საშუალებით ქვეყანას ემცნო: აი აქიდან იწყება უკვე ემიგრაციის სხვადასხვა მიმართულებათა შორის ხელჩართული ბრძოლა. გამოქვეყნდა თუ არა ეს წერილები, – მაშინვე იწყო ქიშპი და უთანხმოება; გაჩაღდა საქართველოში ძველათ არსებული პარტიათა ბრძოლა, და ამ ბრძოლის დროს თვითეული პარტია რამდენიმე ჯგუფათ და მიმდინარეობათ ერთიმეორის საწინააღმდეგოთ დაიყო. მთავრობა კი იმის მაგიერ, რომ გაერთიანების გზას შესდგომოდა, თავის მოქმედებით თვითონვე დაქსაქსა თავის პარტიაც კი. შექმნა ეგრედ წოდებული სოც.-დემო. ბიურო, რომლის თავმჯდომარე იმავე დროს მთავრობის თავმჯდომარეც იყო და აქიდან იწყო ძველი პარტიული მოღვაწეობა, რამაც რასაკვირველია, კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. იმის მაგიერ, რომ მთავრობის თავმჯდომარე ემიგრაციას ჩადგომოდა სათავეში, მისთვის თავი მოეყარა და ეკეთებია ეროვნული საქმე, – იგი ჩაჯდა ბიუროში, იწყო ვიწრო პარტიული საქმიანობა და შეაყენა ამრიგად ეს ჩვენი ეროვნული ემიგრაცია მოლიპულ ვიწრო პარტიულ-პოლიტიკურ ემიგრაციის გზაზედ. დღეს მთავრობას დავიწყნია თავისი მთავარი დანიშნულება და ანდომებს მთელ თავის ძალღონეს „მონინააღმდეგებთან“ და „შინაურ მტრებთან“ ბრძოლას. არ დარჩენია მას არც ერთი სათვალჩინო მოღვაწე ემიგრაციაში, რომლისთვის მას ტალახის გუნდა არ ესროლა და ჯაშუშათ ან მოლალატეთ არ გამოეცხადებია. მართალია მან შექმნა ხელოვნურათ შეკონინებული მთლიანი ფრონტი, მაგრამ ეს ეგრეთ წოდებული „მთლიანი“ ფრონტი მან აამუშავა არა ემიგრაციაში,

ციის მთლიანობის აღსადგენად, არამედ იმ განზრახვად, რომ ცენტრი და ცენტრის გარეშე მყოფნი ერთი მეორეზე დაეპირისპირებია და ამით საკუთარი პრესტიჟი და ბატონობა განედიდებია. ბოლოს საქმე იქამდინაც კი მივიდა, რომ მთავრობა კადრულობს გადაებას ვილაც გამყრელიძეს. ყველამ კარგად ვიცით, თუ რა საშინელი აღშფოთება გამოიწვია ამ ამბის გამოააშკარავებამ მთელს ემიგრაციაში. მთავრობის ამ რიგის „საქმიანობის“ ზეგავლენით ლამის ერთმანეთს დავერივნოთ, ამ ჩვენს ემიგრაციაში ბალკანეთ-კომიტაჯების მსგავსი ამბები დავატრიალოთ!

ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, რომ ჩვენ მთავრობის ასეთ მოქმედების პასუხისმგებელი ვერ გავხდებით. ეჭვს გარეშეა ასეთი მდგომარეობა მოვალეთა ხდის ემიგრაციას, რომ მან თავი ერთათ მოუყაროს, მოიწვიოს კონფერენცია, საცა მას საშვალე-ბა ექნება ილაპარაკოს და იმსჯელოს თავის მდგომარეობაზე, აირჩიოს სრული ნდობით აღჭურვილი ნაციონალური კომიტეტი, რომელმაც უნდა აწარმოვოს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული და არა პარტიულ-პოლიტიკურ ემიგრაციისათვის შესაფერი პოლიტიკა, თან განამტკიცოს სულიერად ემიგრაციის მთლიანობა და ამით ნაყოფიერი გახადოს მისი ბრძოლა ჩვენი ეროვნული საქმისათვის...

ცხადია, ერთი საშინელი მოვლენის წინაშე რომ ვდგევართ ყველა ამა თუ იმ მიზეზით, მთავრობამ სამწუხაროდ ვერ შემოაჩიკრიბა თავის ირგვლივ და ვერ აამოქმედა ემიგრაციის ყველა ცხოველმყოფელი ძალები; ემიგრაცია ნაკუნ-ნაკუნად დაგლიჯა; მისმა დაქსაქსვამ უაღრეს წერტილს მიღწია; თუ პირველი წარჩინებული მოღვაწენი განზე დგანან ანდა კიდევ მთელ თავის ენერგიას და ძალას ერთმანეთთან ბრძოლას ანდომებენ, ასე რომ ლამის ნამდვილი მტრის არსებობა კიდევაც მივივინყოთ – უკვე ეს ფაქტი მარტო საკმარისი უნდა იყოს ყოველ გულწრფელი მამულიშვილისათვის, რომელსაც ოდნავ მაინც შესტკივა გული ჩვენი ქვეყნის უბედურებისათვის და რომელსაც მტერთან ბრძოლის უნარი კიდევ შერჩენია, გონს მოვიდეს და ყოველგვარი

ზომა იხმაროს ამ საშინელ მდგომარეობას ბოლო მოუღოს; გაერთიანება ემიგრაციის, – აი, აქით უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ყურადღება. დრო და გარემოება მოითხოვს ეს ნაბიჯი, დაუყოვნებლივ გადაიდგას. ნაციონალური კომიტეტის შექმნის აუცილებლობა დიდი ხანია ჩვენ დაგვებადა, მხოლოდ ვინაიდან ჩვენ კიდევ გვყავდა ოფიციალური წარმომადგენლობა, რომელიც პირნათლად და მიუდგომლად აწარმოებდა ჩვენს ეროვნულ საქმეს, – ჩვენ იძულებულათ ვრაცხდით ჩვენს თავს, ეს კითხვა დროებით გადაგვედვა და აი ახლა, როცა ეს უკანასკნელი ნაბიჯი ჩვენი სუვერენობისა სამწუხაროთ დაგვეკარგა, – დროის შესაფერათა ვცნობთ სწორეთ ახლა ეს საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით დღის წესრიგში დაისვას“. [3, 1-2].

წერილი 1933 წლის ზაფხულშია დაწერილი. ამ დროს საქართველოს ლეგაცია საფრანგეთის მთავრობამ გააუქმა, რაც მეტ თავისუფლებას აძლევდა ემიგრაციის უკმაყოფილო წევრებს – ჩამოეშორებინათ ყორდანია ეროვნული საქმეებისათვის, დაენწყოთ ბრძოლა ემიგრაციის გაერთიანებისათვის და საამისოდ შეექმნათ „ნაციონალური კომიტეტი“. ამ კომიტეტის შექმნა, როგორც კიტა ჩხენკელის წერილიდან ჩანს, ახმეტელის ფუნქციის გასაძლიერებლადაც მოხდა. გერმანიის ახალ პოლიტიკურ წრეებთან, ნაციონალ-სოციალისტებთან, ის კარგად ნახულობდა საერთო ენას, ამიტომ საჭირო იყო ეს ახალი ორგანიზაცია მას გვერდით დადგომოდა.

მომდევნო წერილიდან, რომელსაც კიტა ძმას – აკაკი ჩხენკელს წერდა, ჩანს, გერმანიის ქართულ ემიგრაციაში მთავრობის ყოფილი წევრებისადმი, კერძოდ კი მისი მეთაურისადმი, როგორი უნდობლობა და მტრული განწყობილება იყო. წერილის ავტორი კონსპირაციას კვლავ იცავდა, ახმეტელს, ამჯერად, „კახელის“ სახელით მოიხსენიებდა და აზუსტებდა, რომ ის ბერლინიდან მასთან, ჰამბურგში იმყოფებოდა. კიტა ჩხენკელი და ახმეტელიც თვლიდნენ, რომ გერმანიაში შეცვლილი პოლიტიკური ვითარება შეიძლებოდა ქართველებს სათანადოდ გამოეყენებინათ. ახმეტე-

ლი საამისოდ აკაკი ჩხენკელისგან თანადგომას ითხოვდა. „მდგომარეობა ძალზე შეიცვალა, ამ ქვეყანას ეძლევა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჩვენს ეროვნულ საქმისათვის. საჭიროა ამ პოლიტიკურ კონსტალაციის გამოყენება, საჭიროა საქმის ხელმძღვანელობა და პატრონობა, თანაც საჭიროა მტკიცე კავშირი, ერთმანეთთან შეთანხმებული მუშაობა.

და აი, კახელს მიაჩნია უცილობელ საჭიროებად, რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი იქონიოს შენთან, როგორც კოლეგასთან. ის მოწადინებულია თავის მოქმედების სრული ინფორმაცია მოგაწოდოს“, – ვკითხულობთ წერილში.

„რაც შეეხება მთავრობას, მასთან რაიმე კავშირის დაჭერა შექმნილ მდგომარეობის გამო კახელს სრულიად შეუძლებლად მიაჩნია. რაც მის და მთავრობას შორის მოხთა, დღეს სრულიად სპობს ყოველგვარ თანამშრომლობის საშუალებას.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, თვით საქმის თვალსაზრისითაც... მთავრობის სახელით ახლა აქ გამოსვლა არამცთუ არ არგებს საქმეს, არამედ შეუძლია მას დიდი ზიანიც მოუტანოს, ვინაიდან აქ საკმაო ინფორმაცია მოეპოვებათ, თუ რა კავშირები ქონდა და აქვს მთავრობას (განსაკუთრებით უნდა ვიგულისხმოთ კავშირები პ-სთან, არა ნაკლებ ინ-სთან). უკეთეს მთავრობამ მოისურვა აქ მოქმედება და რაიმე პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა (მაგ. თავისი წარმომადგენლის დანიშვნით) – ამას შეუძლია გამოიწვიოს აქაურ მმართველ წრეებში დიდი განცვიფრება, არევ-დარევა და საერთოთ ჩვენი საქმისადმი უნდობლობა, ვინაიდან კახელს, როგორც ყოფილ ელჩს, აქ კიდევ საკმაო ნდობა და გასავალი აქვს და ყველგანაც მიესვლება.

თან ბერლინის ემიგრაციის თავისებურებები და იქ შექმნილი მდგომარეობა მისაღებია მხედველობაში. კახელის რაიმე კავშირი მთავრობასთან საშინლად არევ-დარევს საქმეს, ვინაიდან ემიგრაციის დიდი უმრავლესობა აქ მთავრობასთან მტრულ განწყობილებაშია... მაშ მთავრობას და კახელს რომ კიდევაც სურვილი ჰქონდესთ ერთმანეთთან რაიმე კავშირის, – ეს შეუძლებელიც

ხდება და არც არის თვით საქმის თვალსაზრისით მიზანშეწონილი და სასურველი.

რაც შეეხება კი შენ, – შენი პიროვნება და ოფიციალური მდგომარეობა აქაურ ემიგრაციისათვის მისაღები და ავტორიტეტულია. ამასთან ერთად თვით აქაურ ოფიციალურ და პოლიტიკურ წრეებშიდაც თამამად შეიძლება გახსენება შენი პიროვნების და ეს თუ სარგებლობას არა, ზიანს არავითარ შემთხვევაში არ მოუტანს ჩვენს საქმეს.

ამასთან დაკავშირებით კახელმა მთხოვა რიგი რამ გაუგებრობის თავიდან ასაცთენად და ყალბი ცნობების ასალაგმავათ, რომელიც ბერლინის ემიგრაციაში მომხთარ ამბების შესახებ გავრცელდა, შემდეგი ინფორმაცია მოგანოდოს.

ბერლინში შესდგა ნაციონალური კომიტეტი, რომელსაც დაევალა ემუშავნა აქაურ პოლიტიკურ წრეებში და ამ გზით გაეადვილებინათ ყოფილ წარმომადგენლებისათვის აქაურ ოფიციალურ წრეებში შესვლა და იქ გავლენის მოპოვება. კომიტეტი იქნა არჩეული არა პარტიული რწმენის მიხედვით, არამედ მიზანშეწონილობისდა მიხედვით. დასახელებული იქმნა ისეთი პირები, რომლებსაც შესწევთ დაიჭირონ კავშირი ახლანდელ ოფიციალურ და პოლიტიკურ წრეებთან. უკეთესი არჩევანი არა გყავს. ეს არის ენის მცოდნე ხალხი, ძველათაც უმუშავნიათ და თავიანთი პოლიტიკური რწმენითაც არსებულ ხელისუფლებას ენათესავენ. ეს კომიტეტი სულ მუდამ კონტაქტში არის და იქნება ყოფილ წარმომადგენელთან...

საერთო განწყობილება აქ ამ ჟამათ ისეთია, რომ ჩვენს საკითხს ჯეროვან ყურადღებით ეპყრობიან. კახელს და კომიტეტს ქონდა უკვე საუბარი ზოგიერთ გავლენიან მოხელეებთან და პოლიტიკოსებთან. ყოველი მათგანი დიდი ინტერესით და თანაგრძნობით მოეკიდა ჩვენს საქმეს. სხვათა შორის ისიც გვითხრეს: თქვენ ერთად ერთი ხალხი ხართ, რომელიც თავგანწირულად ებრძვის ჩვენს საერთო მტერს, საუკეთესო თანამებრძოლნი ხართ...

მამ, თუ ჩვენ ერთი ნუთით ჩვენს შინაურ კითხვებს თავს დავანებებთ და კითხვას განყენებით მიუდგებით, საერთო პოლიტიკური პერსპექტივები საკმაოდ გაქვთ ალბათ მაქაც გათვალისწინებული. რუსეთთან დამოკიდებულება ამათ თანდათან უმწვავდებათ, ეს კი მთავარი თავმდება ჩვენი საკითხის ჯეროვანი წინ წამოყენებისა. აი ამისათვის იყო საჭირო, რომ შექმნილიყო ერთგვარი დამხმარე ორგანო, რომელიც შევინროებულ ყოფილ წარმომადგენელს გვერდით ამოუდგებოდა. ეს არის მისი პოლიტიკური მუშაობის მისია და სხვა არაფერი.

აი, ეს არის ყველაფერი, რის მოწერაც კახელმა დამავალა: მაპატიე მხოლოდ, რომ ასე არეულათ გწერ. ერთი სიფრთხილე მალაპარაკებს, იძულებული ვარ რიგ რამეზე მხოლოდ გაკვრით გწერო. მეორე, მეჩქარება, არ მაქვს ახლა მეტი დრო.

გულითადი სალამი,

შენი კიტა.

გიგზავნი საყურადღებოთ წარდგენილ მემორანდუმს [3, 3-5].

ზემოთ მოტანილ წერილში ჩანს, რომ გერმანელები ამ დროს ქართველებს აფასებენ ანტირუსული პოზიციის გამო, ზოგადად მოკავშირეებად თვლიან, ოღონდ არ მოსწონთ, რომ ყოფილი მთავრობის მეთაურებს კავშირები აქვთ (თუ წარსულში ჰქონდათ) „პ-სთან და ინ-სთან“. ვინ იგულისხმება ამ ინიციალებში, არ ჩანს, მაგრამ გერმანიის ახალი მთავრობა რომ ქართველების ამ პოზიციას მიუღებლად თვლიდა, ეს ცხადია.

1933 წლის 9 სექტემბერს გამოგზავნილ ბარათში კიტა ჩხენკელი უფრო დაწვრილებით აღწერს გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებსა და ქართული დიპლომატიისათვის მათგან მისაღებ სავარაუდო სარგებელს. უფრო სწორად, კიტა ჩხენკელი ამ საკითხზე ძმას ახმეტელისგან მოწოდებულ ინფორმაციას გადასცემს, ვინაიდან პირდაპირი კონტაქტი პარიზში აკაკი ჩხენკელთან ლადო ახმეტელს იმ ვითარებაში არ შეეძლო. წერილში ვკითხულობთ: „ამ ერთი კვირა ნახევრის წინ მოწერა: „როგორც გწერდი მივდექ-მოვდექი. ვიყავი საგ. საქ.

სამ. ვრცელი საუბარი მქონდა აღმას. განყ. ერთ მოხელესთან. შენ ხარ მოადგილე; ახლა სულ სხვა ენით ლაპარაკობენ. ჩვენი კითხვისადმი დიდი ინტერესი და მხურვალე სიმპატიია. რუსეთის საკითხს მეტის მეტად შავი ფერადებით ხატავენ და მისი დაშლა აუცილებლად მიაჩნიათ. დღემდის ამათ პირიდან ასეთი პესიმისტური შეხედულება არ შობილა. მეც ამ სიურპრისზედ გადავაბი ჩვენი პრაქტიკული მოთხოვნა, „ფერტ. შატ.“ – დაპირება. ჩემი მოსაუბრე შემპირდა, მოველაპარაკები მთელი აღმოსავლეთის საქმეების გამგეს და იმას წარუდგინე შენი სურვილი-განცხადებაო. ამ ორი დღის წინათ დამიძახა დილაუთენია და მითხრა: სურვილი გამოთქვა თქვენთან დასახელებული კითხვის შესახებ მოლაპარაკებისო; მხოლოდ საჭიროა წერილობით მიმართვაო. მეც უმაღლვე გაუგზავნე მიღების წერილი. ალბათ ამ დღეებში მექნება შეხვედრა. საქმეს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს, იქნებ გამოვიდეს რამე. სხვა სამინისტ. ვიყავი; დიდი ინტერესი და სიმპატიია ჩვენდამი. ეს ამბავი ჩვენს შორის დარჩეს. მაგრამ უსახსრობა ძალიან გვიჭირვებს საქმეს. რა ძნელ და მძიმე პირობებში ვართ!

სრულიად უსახსრობის გამო ხელ-ფეხშეკრული ვარ, ვერ გაგნძრეულვარ. აბა, ასეთ პირობებში რა უნდა გავაკეთო?! და სამუშაო პირობები კი როგორი ჩინებულია აქ ამჟამათო!“

ჩანს, როგორ იცვლებოდა ახმეტელის იმედები და განწყობა გერმანიის ახალი ხელისუფლებისადმი: „საგ. საქ. სამ: მითხრეს „ფერტ. შატ“ შინაგან საქმეთა სამ. საქმეა და იმას მიმართეთო. ჩემის აზრით ეს უხეირო პასუხი არ არის. წინათ პოლიტიკური მოსაზრებით უარს მეტყოდნენ; ახლა კი გზა მიმასწავლეს, უარყოფითი გეზი არ აუღიათ. ნიადაგს ვამზადებ. შინ. საქ. სამ. ხომ იცი, სიფრთხილე გვმართებს; უარი არ უნდა გვითხრან, თორემ მერე ძნელი იქნება საქმის გამოსწორება. შესაფერი ნაბიჯები უკვე გადავდგი“, – ამ იმედიან მოლოდინს უიმედობაც თან ახლდა, რადგან ამ ახალმა პარტიამ და ადამიანებმა ბევრი არაფერი იცოდნენ საქართველოსა და ქართველებზე, საჭირო იყო დრო

და მოთმინება, ამასთანავე, დიდი მუშაობა, რისი საშუალებაც არც ფინანსური და არც დიპლომატიური თვალსაზრისით ყოფილ საქართველოს ელჩს გერმანიაში ამდროს არ ჰქონდა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროდან ჯერაც არ მომსვლია სადარბაზოდ მოსანწვევი ქალაქი. ალბათ მალე დამიბარებენ. მე უკვე პატარა უიმედობამ შემიპყრო. ესენი სრულიად ჩვენთვის ახალი ხალხია, ამასთან ჩვენ საქმეებში ნაკლებად ჩახედულნი. შესაძლებელია უკანასკნელმა გარემოებამ საბედისწერო როლი ითამაშოს. მართალია, ვინც ვინახულე, ყველას შეძლებისდაგვარად გავაცანი ჩვენი ვითარება, მაგრამ ეს ცოცხალი; უფრო მეტი დრო და მუშაობაა საჭირო, რომ იმის ნახევარი მაინც გაიგონ, რაც ძველებმა იცოდნენ. გარდა ამისა, მოხელეები და მინის. შინაური საქმეების გამო ცეცხლმოკიდებული დარბიან და ჩვენი საქმისათვის დრო და მოცლა არა აქვთ. გულდასმით მოსმენა და ჩაკვირვებისათვის თავისფალ წუთს ვერ პოულობენ. მაინც გულს ნუ გავიტეხთ, იმედია საწინააღმდეგო მიზანს მიაღწევთ. მთავარია, მათ უფრო აინტერესებთ ჩვენი საქმე, ვინემ წინა ხალხს. მხოლოდ ახლა საჭიროა მუშაობა, ჩვენი საქმის პოპულარიზაცია, მაგრამ – ასეთ პირობებში, როცა თვით ტრამვაის ფული რომ არ გაქვს კაცს?!“ [3, 6]

1933 წლის 10 ოქტომბრის წერილიდან, კიტა ჩხენკელის ცნობით, ახმეტელს ბევრი ცდის მიუხედავად, ვერ მიუღწევია მიზნისთვის, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ვერ მიუღია ე. წ. „ფერტ-შატი“, საამისოდ უცდია გიორგის (კერესელიძე?) დახმარება. იმედოვნებდა, მომავალში მდგომარეობის გამარტივებას. წერილი სხვა ინფორმაციებსაც მოიცავს: მასთან ჩასულა შალვა ქარუმიძე, რომ რაღაც ამბებს მალავდა ჟ.სგან ანუ ჟორდანიასგან: „ეგ თუ ყველაფერს გვიმალავს, ჩვენ რათ უნდა ვიყოთ მთლათ პირღია?!“-ო, წერდა. ახმეტელისგან მიღებულ სხვა ცნობებსაც უზიარებდა ძმას: „რაც შეეხება ნ-ძეს (უნდა იყოს კირილე ნინიძე), როგორც სეხნისაგან გავიგე, ის იყო თავის დროზე შენევაში. რა საქმე ქონდა, რა გააკეთა, – არაფერი

ვიცი. სეხნიამ მითხრა, რომ მხოლოდ მოკითხვის ბარათები მომდის მისგან, უკანასკნელათ სულ დაიკარგაო, არსად არ სჩანსო. მიმაღავს რამეს სეხნია, თუ მართლა ეს ასეა, – ვერ გავერკვიე. თუ ინსტინქტი არ მატყუევილებს, – მართლაც მგონი მან მეტი არაფერი არ იცის. ნ-ძე და მოხუცს (გულისხმობს ჟორდანას) შორის კავშირზე ვერაფერი ვერსად ვერ გამოვარკვიე.

უკვე გვარიანი ხანია, რაც ედუარდ-ვიქტორისაგან წერილი მივიღე, მეკითხებოდნენ აქაურ ამბებს. მხოლოდ გუშინდლიდან მოვიცალე მიმწერა მათთვის წერილი. განძრახ დავწერე ერთი მაგარი, ვრცელი წერილი, ვთხოვე კახელს გაუმაგრონ ზურგი. მიზანი კი იყო, – ედუარდზე მომეხდინა გავლენა, მის შემწეობით კი აქ სეხნიაზე (ეს კაცი რომ მხოლოდ პოლიტიკურ [გაუგებარია] ეწევა, პატარა კაცობაა მეტი არაფერი). უნდა თავი დაანებოთ ასეთი სახით ნ-ძეს ზურგის გამაგრებას და მასთან კავშირს, მხოლოდ და მხოლოდ კახელის გამაგრებას მოანდომონ. ერთი სიტყვით მე ვთხოვ მათ და ალბათ ამ დღეებში გადმოგცემენ მაგ წერილს შენ. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილათ ჩავთვალე ის წერილი წინდანინ კახელისთვის ნამეკითხებინა (სხვათა შორის ესეს არის მისი პასუხიც მივიღე. გიგზავნი თან ამ მის წერილს). მან მომიწონა, იმედია, შენც ჩასთვლი ამ ნაბიჯს მიზანშეწონილათ. სხვათა შორის მაგ წერილი, ასე თქვათ, პროგრამატიული ხასიათისაა და საყურადღებო იქნება მაქ თქვენთვის საინფორმაციოთ მაინც“.

ამის შემდეგ კიტა საკუთარ ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობაზე საუბრობს, ბოლოს კი რამდენიმე ზოგად შეკითხვას აძლევს: „ნუ თუ ასეთ მომენტში შენი ჟენევაში წასვლა არ არის მიზანშეწონილი თუ არ ხერხდება? ალიოშას რა გესმის? მისი და რუსულ ეკლესიის საქმე თვით აქაურ სასენსაციო გაზეთებში გამოიტანეს! ვერ გამიგია; ნუ თუ ვერაფერს ჩამორჩით და ამოდენა ჩირქი ტყვილა მოგეცხოთ? შემდეგ, როგორი ატმოსფეროა, ამ ჟამად მაქ, დამოკიდებულება მოხუცთან, თან „ბიჭების შესახებ. ერთი სიტყვით, გაკვრით მაინც. ჟენევაში“.

ამ ნაწილში გაკეთებული მინიშნებებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ალიოშა“ ეხება ალექსანდრე (ალიოშა) სვანიძეს, სტალინის ცოლისძმას, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა ემიგრანტულ ხელისუფლებასთან სხვადასხვა თემებზე. ამ ფაქტმა მართლაც „მოსცხო ჩირქი“ ეროვნულ მთავრობას და შედეგი ვერ გამოიღო. თუმცა, დანამდვილებით ამის მტკიცება არ შეგვიძლია. „მოხუცთან დამოკიდებულება“ ნამდვილად ჟორდანიასთან ემიგრაციაში არსებულ განწყობილებას უნდა მიანიშნებდეს, „ბიჭებში“ კი ის ადამიანები უნდა იგულისხმებოდნენ, რომლებიც კონფლიქტურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ყოფილ მთავრობის მეთაურთან. სწორედ ეს ამბები აინტერესებდათ როგორც კიტა ჩხენკელს, ასევე ლადო ახმეტელს. [3, 8].

მომდევნო წერილში კიდევ უფრო მეტად ჩანს ემიგრაციაში არსებული განხეთქილების დეტალები. „მივიღე შენი ვრცელი წერილი, – წერს ახმეტელი. აგრეთვე წერილი ვიქტორ-ედუარდისადმი. უკანასკნელი მეტათ შინაარსიანათ არის შედგენილი: „ნეტარ იყვნენ მორწმუნენი“... მაგრამ გაგიგებენ კი ჩემო კიტა?! მართალია, დიდ ცეცხლში ვარ, ვერავიზე დავეყრდნობი და ვერც მიენდობი: ალბათ, მალე წაიკითხავ „თეთრ გიორგში“ აქაურ, ეგრედ წოდებულ საინიციატივო კომიტეტის მოწოდებას ემიგრაციისადმი და ჩვენი პირველი კრების რეზოლუციასაც. მოწოდება შეთითხნილია ღამბაშიძე მ. წერეთლის მიერ. ჩვენთვის არც უჩვენებიათ, არც შინაარსი გაუცნობებიათ და ისე კონტრაბანდით გაუგზავნიათ ზევით დასახელებულ გაზეთში. თავიდან ბოლომდის უაზრო, უსინდისო ბოღვა და მეტი არაფერი: და ასეთი მოწოდებით უნდა წერეთელ-ღამბაშიძეს ემიგრაციის გამთლიანება!!! არა, ჩემო კიტა, ასეთ კომიტეტს, თუ როგორც თითონ უწოდებენ, „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციას გერმანიაში“ არავითარი ნდობა და პატივი არ ექნება და არც ჩვენიდან. ეს არა მკითხველ არამზადები. ვერ უყურებ, რით დავიწყე და რით გაათავეს მარგველაშვილ-წერეთლებმა!! გაგონილა! ეს პამპულა მატრაკვეცები საქართველოს თავიანთ მონოპოლიათ,

კუთვნილებად აცხადებენ და დანარჩენებს ყველას, ერთბაშით ხელს აღებინებენ. ეი, ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული. აქვე უნდა წაიკითხო კ. ვეკუას წერილი, ნეტა რა მსხვილ-მსხვილად იხარჯება, რა დიდ პატრიოტობაში დებს თავს. სავლედან პავლე გამხდარა და ჩვენ ყველას მოლაღატეებათ გვაცხადებს იმავე „თეთრ-გიორგში“ წაიკითხავ აკაკის (შენი ძმის) უდიერ და აღმაშფოთებელ გაკიცხვას. კაცმა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი არსება ეროვნული საკითხის განმტკიცებას შეაღია ასე უსინდისოთ არის გათათხული. არა, ჩემო კიტა, ასეთ ხალხთან ჩვენ საერთო არაფერი გვექნება და ასეთ კომიტეტთან ჩვენ ვერ შევკავშირდებით. საზიზღრები, ედეფსუსები [?] ყოფილან და მეტი არაფერი! ფაქტიურად ეს კომიტეტი დაშლილია და მიხაკო-მარგველაშილის კალთას, მხოლოდ ორიოდე ჭკვიანი ახალგაზრდალა შეფარებია. თუ „ფერ-შტელე“ მივიღე მე მაგათ უჩვენებ, ყველას პანჩურს ამოუსვამ. ვიქნებით მე, შენ, აფხაზი და კ. ნაკაშიძე: სხვა ორგანო[?] არ გვჭირია. ახ, რა ბევრი სალაპარაკო მაქვს შენთან, ამ ოხერმა შ. ქარუმიძემ არ იქნა და არა, ვერ მოახერხა ჩემი ჰამბურგში წამოყვანა: ესეც დიდი უკმაყოფილოა. მ. წერეთელი დიდი მავნე ადამიანია და მასთან საქმის დაჭერა დიდი ცოდვაა ერის წინაშე. შინაარსი აკაკისაც გაუზიარე. მომხადე ბოდიში, რომ საკუთრათ ვერ ვწერ. უთხარი, რომ მალე წამოვალ თქვა: იყავი კარგათ, შენი... [3, 9].

ამ წერილების წაკითხვა ცხადს ხდის გაუტანლობასა და განსხვავებული აზრის გამო მტრობის არსებობას, ეროვნული საქმის მუდმივ დაყოვნებას, შურისა და ღვარძლის ესკალაციას, რაზეც ქართული პოლიტიკური ჯგუფები უცხოეთის პირობებშიც ვერ ამბობდნენ უარს. ახმეტელი ისეთ წვრილმანებზეც მიუთითებს, როგორიც იყო გერმანიის სამინისტროებში ქართველების მიერ ერთმანეთის დაბეზლება, ჩივილი, გაუტანლობა. „მზათ არიან, ყველგან ხელი შემოშალონ, ფეხი დამიდონ, ოღონდ თავიანთი სნეული, პირადული ყინი დაიკმაყოფილონ. შენ წარმოიდგინე ტეტია ირემაშვილიც კი (აღ. ნიკურაძეს მარჯვენა ხელია და ეს

ორი რაინდი ცდილობს ახალი ევროპული კომიტეტის შედგენას) მცონარად ამოძრავდა, გზა-ჯვარედინზე გაიძახის: როგორ შეიძლება ახმეტელს „ფერ.სტელე“ მისცენო და სხვა... ეჭვს გარეშეა, აქ ალ. ნ-ძეს ხელი ურევია და ამ უმგვანო არსებას ასე აყბედებს, ნ-ძეს უკან კი დარწმუნებული ვარ, ჟორდანიას ხალხი დგანან და ხმაშეტკბილებულათ საერთო საქმეს ახდენენ. მაგრამ ამოად. „ფერ.სტელეს“ საქმე ჩემის აზრით უკვე გამორკვეულია, ზიანის მიყენება არავის შეუძლიან. შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადაგზავნილი ჩემი თხოვნა – საგარეო საქმეთა სამინისტროში უკვე გაირჩა: უკანასკნელმა თავისი დასტურით 22 სექტემბერს უკანვე გაუგზავნა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხაზგასმით მისწერა, რომ სანინალმდეგო არაფერი აქვს, რომ საქართველოს ყოფილმა ელჩმა ბ-ნ ლ. ახმეტელმა „ფერ.სტელე“ მიიღოსო. შინაგან საქმეთა სამინისტრო საგარეოსთან [?] შუამდგომლობდა დასახელებული დაწესებულების მოცემას; ასე, რომ თითქმის ყოველგვარი დაბრკოლება გადალახულია და საქმეს წინ აღარაფერი უდგას. ახლა, საქმე ფორმალურად მოგვარების სტადიაშია. მხოლოდ არ ვიცით ფორმალურ კოდიფიკაციას პრუსიის თუ მთელი სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოახდენს. პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროში, საცა პირველად ჩვენი თხოვნა შევიტანე, გვეყვანან ხალხი, რომლებიც გოირინგის სრულის თანხმობით, ენერგიულად მუშაობენ ჩვენი საქმის კეთილად დაგვირგვინების შესახებ. უკეთუ საბოლოოდ დამტკიცება გერმანიის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა მოხდეს, ჩვენი მფარველები, ე. ი. პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტროს დიდი მოხელეები თითონ შევლენ იქ შუამდგომლობით და საკითხს მოაწესრიგებენ. თავი და თავი, როგორც წინათაც გწერდი, საგარეო საქმეთა სამინისტრო იყო და აქ – ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, სასურველად მოენყო: თანხმობა შეუთვალეს. ჩემს მუშაობაში დიდი და წრფელი თანამშრომლობა გამიწიეს ალ. აფხაზმა, ნ. ნაკაშიძემ. სხვას ვერ ვენდობოდი, ვერც დავეყრდნობოდი“.

29 ოქტომბრის წერილი ამ იმედის გაცრუებას მოწმობს: „პ. ს. „ფერ-შტელეს“ საქმე ჭიანჭურდება, იმიტომ, რომ ის მოხელე, ვისაც ეს საქმე დააკისრა გიორინგმა, საქმეების გამო აქეთ-იქით დაიარება და ვერ მოიცალა საბოლოოდ დაეგვირგვინებინა. ვგონებ ამ კვირაში გამოირკვევა“. [3, 10-11].

ახმეტელი თავმონონებით ყვება, როგორ ეხმარებოდა მას შემდეგში ჰიტლერული გერმანიის ყველაზე დიდი მოხელე ჰიტლერის შემდეგ – გერინგი. თუმცა, როგორც საბოლოოდ გაირკვა, ეს ყველაფერი მოჩვენებითი თანაგრძნობა იყო. სინამდვილეში 1933-1934 წლების გერმანიაში მოსულ ახალ ხელისუფლებას საქართველოსთვის არ ეცალა.

დასკვნა:

1. პარტიულ და სახელმწიფოებრივ ინტერესთა კონფლიქტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ემიგრაციაში დაიწყო XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამის მიზეზი იყო: ა) შეუთანხმებლობა 1924 წლის აჯანყების მიზანშეწონილობაზე; ბ) სახელმწიფოებრივ ინტერესთა გაუთვალისწინებლობა და პიროვნებებისა თუ მოვლენების შეფასება პარტიული ნიშნით ან პირადი ემოციით;

2. აშკარა დაპირისპირება და ემიგრაციაში არსებული განხეთქილება აისახა იმ ეპისტოლურ ტექსტებში, რაც დაცულია ხელისუფლების წარმომადგენელთა პირად საარქივო ფონდებში, მათ მოგონებებში, ემიგრანტული პრესის ფურცლებზე გამართულ პოლემიკაში;

3. ჩვენს სტატიაში შევეხეთ ნოე ჟორდანიასთან გერმანიაში საქართველოს წარმომადგენლის – ვლადიმერ ახმეტელის დაპირისპირებას, რაც მოჰყვა ახმეტელის კავშირს გერმანიაში მცხოვრებ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებთან, ასევე, ჟორდანიას მოთხოვნების არასახელმწიფოებრივ შინაარსს, რასაც აკრიტიკებდა ახმეტელი;

4. ცნობილი ქართველოლოგი და ევროპაში აღიარებული მეცნიერი კიტა ჩხენკელი ამ დავაში ახმეტელის მხარეზე იდგა და ცდილობდა ძმის – აკაკი ჩხენკელისთვის გერმანიის ქართულ ემიგრაციაში მიმდინარე მოვლენებსა და ახმეტელის საქმიანობაზე სწორი ინფორმაცია მიენოდებინა;

5. კიტა ჩხენკელის წერილებიდან ირკვევა, რომ ახმეტელი, სრულიად უსახსროდ დარჩენილი, საქართველოს ლეგაციის გაუქმების შემდეგ შეეცადა გამოეყენებინა ფართო ნაცნობობა გერმანიის პოლიტიკურ წრეებთან და მიეღო 1933 წელს ხელისუფლებაში მოსული გერმანიის ახალი მთავრობისაგან ე. წ. „ფერ-შტელე“ ანუ საქართველოს წარმომადგენლობის ოფიციალური ცნობა, რასაც მოჰყვებოდა მთავრობისგან ამ ორგანიზაციის დაფინანსება, პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა;

6. განხილული და შესწავლილი მასალები, სამწუხაროდ, ცხადყოფს, მოვლენათა მონაწილე ქართველების დაპირისპირებას, ურთიერთ ქიშპობასა და სიძულვილს, რაც ყოველთვის აზიანებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 327.

2. დოდო ჭუმბურიძე, აკაკი ჩხენკელი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018.

3. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღ. 2, საქმე 263.

Dodo Chumburidze

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakishvili
Tbilisi State University, Ivane Javakishvili
Institute of History and Ethnology, chief scientific-
researcher of the Department of Modern and
Contemporary History*

Conflict of Party and Political Interests in the Government of the Democratic Republic of Georgia in Exile (according to letters of Kita Chkhenkeli)

Summary

The failure of the 1924 uprising led to the escalation of tension in the Georgian legation and emigrant circles. The loyal attitude towards the uprising expressed in political circles served the purpose of the tension. The former head of the government - Noe Zhordania and some politicians supported the 1924 uprising. They prepared a plan for the uprising and even underwent special training with the 35th Infantry Regiment of the French Republic. In 1924, part of this group led by Valiko Jugheli returned to Georgia. All of them were later arrested by the Cheka (the All-Russian Extraordinary Commission for Combating Counter-Revolution, Speculation, and Sabotage) and sentenced to death. The failure of the uprising and the scale of the punitive operation led to the escalation of conflict and controversy within the members of the Georgian political emigration. The conflict had some specific grounds. Noe Zhordania - head of Georgian legation – had a distinctive approach to the developments and certain figures, which caused dissatisfaction in the multi-party circles of emigrants. Noe Zhordania's approach was not appreciated by his closest comrades-in-arms - Akaki Chkhenkeli and Noe Ramishvili, but they refrained from expressing their dissatisfaction in order to avoid further widening the division already present between the Georgian political emigrants.

The letters of Kita Chkhenkeli sent to Akaki Chkhenkeli from Hamburg, which is preserved in the National Historical Archive of Georgia, describe the situation in the Georgian Community Association in Germany, the relations between the parties, the intensification of Georgian national activities, and the negative attitude of some political migrants towards Noe Zhordania. The letters are interesting in many other respects: they show the different approaches of political migrants to the issue of national importance, the presentability of the issues of Georgia and the Caucasus in the context of contemporary European policy.

საქართველო და მსოფლიო

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ანწუსი და ანწუსელნი – საქართველოს ისტორიაში

(XIV-XVIII საუკუნეები)

2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები საქართველოს საზღვრებში შემოიჭრნენ და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე ავტონომიური ერთეულების – აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ სრული ოკუპაცია მოახდინეს, დამპყრობელთა წინააღმდეგ წარმოებულ უთანასწორო ბრძოლას სამშობლოს დამცველი ქართული არმიის არაერთი სამხედრო მოსამსახურე შეეწირა.

ამ ომში თავგამოჩენილ სხვა ქართველ მებრძოლთა თავდადებასთან ერთად, გიორგი ანწუსელიძის (1984-2008) გმირობის ამბავიც საყოველთაოდ გახმაურდა. ტყვედ ჩავარდნილმა მეომარმა სამშობლოსა და სამხედრო ფიცისადმი ერთგულება გამოიჩინა და მტრის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, შეურაცხყოფა არ მიაყენა საქართველოს სახელმწიფო დროშას, რის გამოც ოკუპანტებმა და მათმა დამქაშმა სეპარატისტებმა იგი არაადამიანური წამებით მოკლეს. მისი წამების შემზარავი კადრები ინტერნეტშიც გავრცელდა.

სამშობლოსათვის თავდადებული გიორგი ანწუხელიძის ნათელ ხსოვნას ქართველი ერი წმინდად ინახავს. გმირული სიკვდილის შემდეგ იგი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (2009) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“ (2011).

2013 წლის 15 აპრილს გიორგი ანწუხელიძეს მიენიჭა წოდება – „საქართველოს ეროვნული გმირი“, ხოლო 2 ნოემბერს „თუშთა სადროშომ“ იგი „თუშ სახალხო გმირად“ გამოაცხადა [1-2].

2016 წლის 24 ოქტომბრიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივ ჯილდოთა ნუსხას შეემატა მედალი „გიორგი ანწუხელიძე“, რომლითაც უკვე რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა.

ამ სასახელო რაინდის წინაპარნი მკვიდრობდნენ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთ უმშვენიერეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში – თუშეთში, რომელიც დაღესტანსა და ჩეჩნეთს ესაზღვრება.

ქართულ საზოგადოებაში ხშირად ისმის კითხვები: საიდან მომდინარეობს ანწუხელიძეთა საგვარეულო? მისი ფუძემდებელი წარმოშობით ანწუხიდან ხომ არ იყო? სად მდებარეობს ანწუხი?

ანწუხელიძეთა (იგივე ანწუხელიანთა) გვარის წარმომადგენლები თუშეთში შემავალი ერთ-ერთი თემის – გომენრის სოფელ ვერხოვანში ცხოვრობდნენ. მათ წარმომავლობაზე არსებული საგვარეულო ლეგენდა, რომელიც პირველად ეთნოლოგმა როლანდ თოფჩიშვილმა გამოაქვეყნა, მოგვითხრობს: „წინათ ნიკოლოზიანი ყოფილან. მერელა მათი ერთ-ერთი წინაპრის – სიოსთვის, მისი ქცევის გამო, დაუძახნიათ „ანწუხელი ლეკი“ (წელში კალთებდაჩრილი გამოვარდებოდა“). იტყოდნენ: „ეს სიო, როგორც ანწუხელი ლეკი, კალთებდაჩრილი გამოვარდებოა“ და დაუძახიათ „ანწუხელიანი“ [3, 61].

ამ საგვარეულოს წარმომადგენლები 1873 წლის აღწერაში იხსენიებიან „ანწუხელიშვილებად“, ხოლო 1886 წლის აღწერაში – „ანწუხელიძეებად“. XIX საუკუნის შუა ხანებში ამ გვარიდან გამ-

ოყოფილან დათუნაიძეები (იგივე ქუმბაანები), რომლებიც ზემოხსენებულ აღწერებში დათუნაშვილებად მოიხსენიებიან [3, 60-61].

ასე, რომ ანწუხელიძენი ძირად (ანუ წარმოშობით) ქართველნი არიან და მათი გვარის ფუძემდებელ წინაპარს „ანწუხელი“ მხოლოდ და მხოლოდ ანწუხელებთან გარეგნული მსგავსების გამო, მეტსახელად უწოდეს.

ახლა, რაც შეეხება იმას, თუ სად მდებარეობს ანწუხი. ეს რეგიონი, რომელიც წარსულში ხუნძეთის (იმავე ავარიის) ნაწილი იყო, ამჟამად მდებარეობს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკის – დაღესტნის თლიარატის რაიონში (Тляратинский район), რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც – თლიარატა (Тлярата) გახლავთ. ამის გამო, ხუნძი (ავარიელი) ხალხის ერთ-ერთ სუბეთნოსად ცნობილ ანწუხელებს (თვითდასახელება – „анцукьал“), რომელთა რაოდენობაც 50 ათასს აღემატება, – თლიარატელებსაც უწოდებენ. ანწუხური – ხუნძური (ავარიული) ენის სამხრეთულ დიალექტს განეკუთვნება.

ანწუხს, რომელიც რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში შედიოდა ლუნიზის ოლქის, ხოლო 1920 წლიდან – რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, 1921-1926 წლებში ანწუხ-კაპუჭის რაიონი (Анчухо-Капучинский район) ეწოდებოდა. თლიარატის რაიონის რამდენიმე სოფელი მოგვიანებით გადასცეს მის მოსაზღვრე წუნტის რაიონს (Цунтинский район) და მასში შემავალ ბეჟთის ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელსაც რუსულად „Бежтинский участок“-ს უწოდებენ [4].

ანწუხელნი ძირითადად თლიარატისა და წუნტის რაიონებში ცხოვრობენ. XX საუკუნის შუა ხანებში მათი ნაწილი დაღესტნის სხვა დასახლებულ პუნქტებში გადასახლდა. აქვე დავსძენთ, რომ დაღესტნის აღნიშნული რაიონები ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კახეთის რეგიონის შემადგენლობაში შემავალ ახმეტის (რომელიც მოიცავს თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონს), თელა-

ვის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებს.

ხუნძები, რომლებიც ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში სსრ კავშირის არსებობის ბოლომდე კომპაქტურად სახლობდნენ, ხოლო მათი მცირე ნაწილი დღემდე შემორჩა, სწორედ ანწუხისა და კაპუჭის თავისუფალ მეთემეთა შთამომავლები არიან.

ხუნძთა თვითდასახელებაა „მარულალ“ ანუ „მთიელი“, ხოლო ამ ერის ერთ-ერთი სუბეთნიკური ჯგუფი – ანწუხელნი საკუთარ თავს მოიხსენიებენ თვითსახელწოდებით „მარახშალ“, რაც ლაზათიანს, შნოიანს ნიშნავს. მშობლიურ ანწუხურთან ერთად, ანწუხელებმა ხუნძურიც სრულყოფილად იციან [5, 17-19]. ეს ენა მათ აერთიანებთ მათივე მონათესავე ხუნძ ხალხთან, რომლის საერთო რაოდენობაც მილიონს აღემატება.

ქვემოთ შესწავლილი გვაქვს, თუ რა როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიაში ანწუხის თემმა და მისმა მკვიდრმა მოსახლეობამ – ანწუხელებმა.

* * *

დალესტნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არსებულ ხუნძეთის მხარის ერთ-ერთ შემადგენელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონს – ანწუხის თემს, რომელიც დალესტნის რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, ისევე როგორც კაპუჭის თემს, საუკუნეთა განმავლობაში საქართველოსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ეს ურთიერთობა ინტენსიურად ვითარდებოდა ანწუხ-კაპუჭის თემებსა და საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში XV-XVIII საუკუნეებში არსებულ კახეთის სამეფოს შორის, რომელიც გარდა საკუთრივ კახეთის რეგიონისა (ერწო-თიანეთითა და ქიზიყითურთ), ასევე მოიცავდა ისტორიულ ჰერეთსაც (რომლის აღმოსავლეთი ნაწილია საინგილო, ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შემავალი) და თუშ-ფშავ-ხევსურეთსაც.

საგულისხმოა, რომ ანწუხსა და კაპუჭს, როგორც დალესტნის ტერიტორიაზე მდებარე თავისუფალ თემებს, გაცილებით ინტენსიური ურთიერთობა გააჩნდათ საქართველოსთან, ვიდრე მათივე

მონათესავე ხუნძეთის (ავარიის) სახანოსთან, იმავე სანუცალოსთან, რომელსაც „ნუცალი“ (შეესაბამებოდა სპარსულად – ხანს და ქართულად – მთავარს) განაგებდა.

ფვიქრობთ, რომ ზემოხსენებული ტერმინი „ნუცალი“ უნდა მომდინარეობდეს ქართული ტერმინიდან „ნაცვალი“ [6, 85], რის თაობაზეც პირველად მკვლევარმა ა. კრიშტოპამ აღნიშნა. მან ეს საკითხი ჯერ სტატიაში [7, 72-80], ხოლო შემდეგ მონოგრაფიაშიც [8, 61] განიხილა.

აქვე დავსძენთ, რომ ა. კრიშტოპას ზემოხსენებული არგუმენტაცია სადავოდ მიიჩნია დალესტნის ისტორიისა და კულტურის მკვლევარმა, ეთნიკურად ხუნძმა (ავარიელმა) შახბან ხაპიზოვმა, რომელმაც აღნიშნა: „Эту версию конечно, всерьез воспринимать сложно, поскольку даже в самой Грузии этот термин редко используется в сословной номенклатуре и то в статусе сельского старшины. Сложно поверить, что такой термин мог перетечь из грузинского языка в аварский и приобрести такое значение“ [9, 41].

ხაპიზოვის ამ მოსაზრების დამაჯერებლობა საეჭვო ხდება იმის გამო, რომ „ნაცვალის“ თანამდებობა ფეოდალური ეპოქის საქართველოში სწორედაც რომ ფართოდ გამოიყენებოდა. კერძოდ, იგი საქართველოს ერთიან სამეფოში ნიშნავდა ვეზირის მოადგილეს, ხოლო ჩვენი ქვეყნის სამ სამეფოდ დაშლის შემდეგ, იგი ადმინისტრაციულ-საპოლიციო აპარატის მოხელეს წარმოადგენდა. ნაცვლები ჰყავდათ როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლებს. ისინი იყვნენ როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებშიც. თბილისში ერთდროულად საქმიანობდა ამ თანამდებობის მქონე ორი პირი: 1) მეფის ნაცვალი; 2) ქალაქის მოურავის ნაცვალი. ქალაქთა მელიქების, ეპიკალასბაშის, ყორიასაულბაშისა და ზოგიერთი სხვა მოხელის ნაცვალს ზოგჯერ „ნაიბი“ ეწოდებოდა. ქალაქის ნაცვალი, ქალაქის მოურავთან ერთად იხილავდა ნაკლებად მნიშვნელოვან დავას, მეთვალყურეობდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და სხვ.

ნაცვლის თანამდებობის შესახებ საყურადღებო მოსაზრებანი

გამოთქვეს გამოჩენილმა მეცნიერებმა: ივანე ჯავახიშვილმა [10], ივანე სურგულაძემ [11], შოთა მესხიამ [12], ხოლო ამ ტერმინზე დაწერილი საენციკლოპედიო სტატია ეკუთვნის მიხეილ კეკელიას [13, 339], რომელიც ქართული სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარი გახლდათ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ანწუხისა და კაპუჭის თავისუფალ თემებს – ხუნძეთთან და საერთოდ – დაღესტანზე უფრო მჭიდრო ურთიერთობა საქართველოსთან, კერძოდ კახეთთან გააჩნდათ. ეს განპირობებული იყო ოთხი ფაქტორით: 1) ტერიტორიული სიახლოვე; 2) სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა; 3) სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა; 4) სარწმუნოებრივი ერთობა.

ანწუხისა და კაპუჭის თემთა სარწმუნოებრივი ერთობა საქართველოსთან მანამდე გრძელდებოდა, სანამ დაღესტანში ისლამი შეაღწევდა და გამაჰმადიანდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მანამდე ქართველთა თაოსნობით გაქრისტიანებული გახლდათ. ისლამი დაღესტანში გაბატონებულ რელიგიად XV საუკუნიდან იქცა.

1895 წელს თბილისში გამოცემულ მოსე ჯანაშვილის წიგნში „საქართველოს ისტორია“ დამონმებულია მაღალაშვილისეული სახარების XIV საუკუნით დათარიღებული მინაწერი, რომელშიც ვკითხულობთ: „ქ. ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექთიმე მოიხილა კახეთს ანწუხისა საეფისკოპოსო და მიერთგან გარდამოვიდა წახურს, კაკ-ელისენს და მოვლო საყდარნი... ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელაქანისა, მაჭ ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხას-მამრეხისა და ყოვლისა კაკისა, ესე იგი არს; ძუელისა მოვაკნისა, ელისენისა, ვერხვიანით ზეგანით გამო ვიდრე ივრის მდინარის ჩასართავამდე ალაზანსა. და ამან სანატრელმან ექთიმე გიბრძანა ქურმუხისა მთავარ ეფისკოპოსსა და ყოვლისა მთეულისა წინამძღუარსა კირილე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თუითეულისა თვის ეკლესიისა“ [14, 205].

ამ მინაწერთან დაკავშირებით სერგი მაკალათია შენიშნავდა: „რომ ისტორიულ წარსულში ჩაჩნეთ-დაღესტანი და ყოფილი ზაქათალის ოლქის და ნუხის მაზრის მოსახლეობა სარწმუნოებრივად საქართველოს ეკლესიას ექვემდებარებოდა, ამას, სხვათა შორის, მონმობს მაღალაშვილის სახარების XIV საუკუნის ერთი მინაწერი, საიდანაც ჩანს, რომ ეს მხარე შედიოდა ქურმუხის მთავარი ეპისკოპოსის სამწყსოში“ [15, 31].

სარწმუნოებრივი ერთობის მოშლის მიუხედავად, ანწუხისა და კაპუჭის თემების საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობის განმპაირობებელი დანარჩენი სამი ფაქტორი: ტერიტორიული სიახლოვე, სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური კავშირი – უცვლელად შენარჩუნდა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მოსაზღვრე დაღესტნის სამხრეთ ნაწილში, კერძოდ, დიდოეთში, ბეჟთა-პაპუჭისა და ანწუხის ტერიტორიაზე არსებული არაერთი ტოპონიმი ქართული წარმოშობისა გახლავთ. ასეთებია თვით ეთნონიმები – „დიდო“, „კაპუჭი“ და სხვ. ამასთან დაკავშირებით არსებებს ვარაუდი, რომ დაღესტნის დასავლეთი და სამხრეთი რაიონების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემეზობლება თუშეთსა და კახეთს, წარსულში ქართველებით დასახლებული უნდა ყოფილიყო. ამ ტერიტორიაზე შემორჩენილ ქართულ ტოპონიმებს მკვლევართა ნაწილი სწორედ ქართული მოსახლეობის იქ ცხოვრებით ხსნის [16, 431].

ანწუხისა და კაპუჭის თემთა ჯამაათის (მკვიდრთა) მიერ არჩეული სანდო პირები სისტემატურად ჩამოდიოდნენ საქართველოში და ბაგრატიონან ხელმწიფეებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ. მათი შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა კახეთის ტერიტორიაზე არსებული საძოვრების გამოყენება და დაქირავებული შეიარაღებული რაზმების შედგენა. საძოვრებით სარგებლობისათვის ანწუხელნი და კაპუჭელნი საგანგებო გადასახადს – „საბალახეს“ იხდიდნენ. იმავდროულად, მათგან შემდგარ ლაშქარს ბაგრატიონანი მეფენი გასამრჯელოს უხდიდნენ. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ კახეთის ზამთრის საძოვრებით დაღესტნელები

ძველთაგან საგებლობდნენ. ბეჟანიანის მინდორსა (ძველი გავაზი, ამჟამად – ახალსოფელი) და მდინარე შოროხევის სანაპიროზე გამოსაზამთრებლად ძირითადად ჩამოდიოდნენ ანწუხელ-კაპუჭელნი, ხოლო თებელისა და ჭუმურტის თემების მკვიდრნი ლაგოდებში ბინავდებოდნენ [5, 83-103].

ანწუხელ-კაპუჭელნი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან (1720-1798), რომელსაც ისინი თავიანთ უზენაეს მბრძანებლად აღიქვამდნენ. მათ მეფე სამხედრო ოპერაციების დროს იხმობდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თემების წარმომადგენლები ეთნიკურად ხუნძები იყვნენ, ისინი ბაგრატიოვან ხელმწიფეს ერთგულობდნენ და დალესტინიდან მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხის შესახებაც დროულად აფრთხილებდნენ [17, 136].

ზოგჯერ, ანწუხელებსა და კაპუჭელებს სხვა დალესტინური თემების წარმომადგენლებიც (მაგალითად, ბეჟიტელები) უერთდებოდნენ. ამის დამადასტურებელია ერეკლე II-ისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „მისის უმაღლესობისათვის სრულიად კაპუჭელთ და ბეჟიტელთ ხალხს სამსახური მოუხსენებიათ... როგორც უწინ მამა-პაპანი ყოფილან ერთნი და თქუენი მოსამსახურენი, ეხლაც ისე უნდა ვიყვნეთ. ერთმანეთში მშვიდობა იყოს და ერთგულება. მამა-პაპანი როგორც შერიგებულნი ყოფილან, ეხლაც იმას მოგახსენებთ, რო ესე შევრიგდეთ და ჩვენ როგორც თქვენი ნება იყოს, ისე გემსახურეთ და თქვენ ჩვენი მბრძანებელი ბრძანდებოდეთ“ [17, 63].

დალესტინის ზემოხსენებული თავისუფალი თემების მოსახლეობისადმი ერეკლე II-ის დამოკიდებულების დამადასტურებელია მის მიერ გაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „დიდვალიათა ვალის – ერეკლე ხანისაგან კაპუჭის ჯამაათს. მაღალი ალაჰიმც შეგისრულებთ ყველა სურვილს. ამენ. და შემდეგ აი, რა: მოვიდა ჩვენთან სულეიმანი და ჩვენ გავიგეთ, რაც თქვენ უთხარით მას ზეპირად თავიდან ბოლომდე. თქვენ გინდათ მოხვიდეთ ნეკრესში. თქვენ ყოფილხართ აქ ზამთარში. იმის შემდეგ,

რაც თქვენ მიიღებთ ჩვენს წერილს, მოდით ნეკრესში და ნუ გეშინიათ ჩვენი და ჩვენი ქვეშევრდომებისა ნურასოდეს. დანარჩენ სიტყვებს და მდგომარეობას გადმოგცემთ სულეიმანი, ის, ვინც მოგიტანთ ჩვენს სალამს. ელაპარაკეთ მას. ის გაცნობებთ თქვენ იმას, რაც ჩვენ ვილაპარაკეთ ზეპირად. მოგვწერეთ ყოველთვის როგორია თქვენი მდგომარეობა და საქმეები. სალამი“ [18].

ამ წერილის ტექსტიდან არაფერია გასაკვირი, თუ გავიხსენებთ, რომ წარსულში ალავერდსა და ნეკრესში იმართებოდა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ (ვაინახ და დაღესტნელ) ხალხთა თავყრილობები, რომელთაც ზოგჯერ სახალხო ზეიმის სახეც (მაგალითად «ალავერდობა») გააჩნდა. ამასთანავე, ირკვევა, რომ სრულიად კავკასიის სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრის მნიშვნელობას იმხანად ჯერ კიდევ ინარჩუნებდა საქართველო, რომლის ტერიტორიაზე არსებულ წამყვან სახელმწიფოსაც – ქართლ-კახეთის სამეფო წარმოადგენდა.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით გამოთქმულია შემდეგი მართებული მოსაზრება: „საჭირობოროტო პოლიტიკურ საქმეებთან დაკავშირებით იხმობდა კახთბატონი მთიელებს. ამდენად, წერილის ეკონომიკური ხასიათი არ უნდა იკითხებოდეს. წერილი ჯამაათის სახელზეა მიწერილი და ჩანს, საიდუმლო ბარათსაც წარმოადგენდა, რადგან ერეკლეს ზოგი რამ მიუწერია და ზოგიც სანდო კაცის პირით შეუთვლია“ [19, 83-84].

ქართლ-კახეთის სამეფო კანცელარიაში შედგენილი რეესტრის მიხედვით, ბაგრატოვანი ხელმწიფის სათანადო მოწოდების შემთხვევაში, ანწუხის თემიდან სალაშქროდ ჩამოდიოდა 1000 მეომარი, რასაც კაპუჭის თემიდან 500 მეომარი ემატებოდა [20, 173].

სამხედროვალდებულად ითვლებოდა აღნიშნულ თემებში მცხოვრები ყველა მამაკაცი (გარდა მოხუცებისა), რომელთა ასაკიც 15 წელს აღემატებოდა. ამ სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, მდინარე ალაზნის გაღმა მდებარე კახეთის სოფლებში:

ყვარელში, გავაზში, კუჭატანსა და ჭიკაანში თითო კომლიდან ყოველწლიურად 5 აბაზს აგროვებდნენ ანწუხელთათვის გადასაცემად, ხოლო კაპუჭელებისათვის იგივე თანხას საბუეში, შილდასა და აღმატში კრეფდნენ [21, 261].

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტერმინი „ანწუხი“ ქართულ საისტორიო წყაროში პირველად XIV საუკუნეში, მაღალაშვილისეული სახარების მინაწერში მოიხსენიეს.

რაც შეეხება ტერმინს „ანწუხელი“, იგი დაღესტნის სხვა თემების მოსახლეთა აღმნიშვნელ დასახელებებთან ერთად, არაერთხელ მოიხსენია პაპუნა ორბელიანმა თავის საისტორიო თხზულებაში „ამბავნი ქართლისანი“ [22], რომელიც XVIII საუკუნის შუა ხანების, კერძოდ, 1739-1758 წლების საქართველოს ისტორიას ასახავს.

ამ თხზულებაში მოთხრობილია, რომ მეფე თეიმურაზ II-მ (1700-1762) „მოსწერა წიგნი ძესა თვისსა ერეკლესა და კახეთის ჯარით დაიბარა. აღასრულა ბრძანება მამისა მცნებისამებრ და შეჰყარა ჯარი ფრიად კახეთისა და წამოვიდა დიდის ჯარით ერეკლე, საუნჯე კეთილისა, და შეეყარა მამასა თვისსა ანანურს. მოვიდნენ პირაქეთ ლეკნი ანწუხელნი, თებელნი და ყირახელნი, რომელნი იყვნეს მოსამზღვრე ყმა კახეთისა. შემოეხვეწნენ კახ ბატონს, დაჰპირდნენ სამსახურს. უბოდა ბატონმა ხალათები და სთხოვა ჯარი. წავიდნენ მაშინვე ეს ლეკნი, შეჰყარეს ჯარი, მოვიდნენ და შეეყარნენ კახ ბატონს ანანურს“ [22, 71].

დაღესტნის ზემოხსენებული თემების მოსახლეობას ბაგრატოვანი ხელმწიფენი წარმატებით იყენებდნენ როგორც გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ასევე სამეფოში დაწყებული შინააშლილობის ჩასახშობად.

იმავე საისტორიო წყაროში შემონახულია XVIII საუკუნის შუა ხანებში მომხდარი სხვა ისტორიული ფაქტი, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლებასთან ქსნის ერისთავთა დაპირისპირებაზე მოგვითხრობს: „უკუდგნენ ოსნი ერისთვისანი და დაუნყეს ცემა ზემო ქართლსა. გაგზავნა მეფემ ერეკლემ კაცი და

დაიბარა ანწუხელნი, თებელნი და ყირახელნი ლეკნი, რომელნი მონობდეს კახ ბატონსა. აღასრულეს ბრძანება და მოვიდა ჯარი ლეკისა. დააყენეს ავჭალას, მისცეს ულუფა, მცირეთა ხანთა შინა გაატანეს ბელადად მაჩაბელი და იასე ამილახორის შვილი და გაუსივეს უკუმდგარ ოსთა, ააოხრეს... და მრავალი ტყვე წამოასხეს“ [22, 110].

პაპუნა ორბელიანი ასევე გვამცნობს იმავე პერიოდში მომხდარ სხვა საყურადღებო ამბავს: „წაბძანდა კახი ბატონი კახეთს, შემოეყარა ჯარი კახეთისა და მინდობილნი ლეკნი ანწუხისა და მთის ჯარი სრულიად და ჩამობძანდა ქალაქს. შემოიყარეს ქართლის ჯარიც. კახეთის ჯარი დააყენეს ავჭალას და ქართლის ჯარი – ლილოზე. ჭავიდა სულხან ორბელიანი მცირეს ჯარით, დაჰკრა არტაანის ქვეყანას და მრავალი ტყვე და საქონელი წამოიღო“ [22, 112-113].

ბაგრატიონი ხელმწიფენი სათანადოდ აფასებდნენ ანწუხელ-კაპუჭელთა ერთგულ ქვეშევრდომობას და მათ მათივე მეზობლად მცხოვრები ქართველი მთიელებისაგან, კერძოდ, თუშთაგან იცავდნენ.

მეფე ერეკლე II-ის მიერ 1786 წლის 17 მაისს გაცემული ბრძანების მიხედვით, თუშებს ანწუხელთათვის ზიანი არ უნდა მიეყენებინათ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ანწუხელნი ბელაქანისაკენ, ანუ აღმოსავლეთ კახეთისაკენ (იმავე ჰერეთისაკენ) გაეშურებოდნენ, ამის თაობაზე თუშებს თავიანთი მოურავისათვის უნდა ეცნობებინათ. ანწუხელნი ვალდებული იყვნენ, რომ თავიანთი მონათესავე დაღესტნელი ტომებისათვის კახეთის მოთარეშების შედეგად წაყვანილი ქართველი ტყვეები წაერთმიათ [23, 204].

მეფე გიორგი XII-ის (1746-1800) ვაჟის, გამოჩენილი მეცნიერ-ენციკლოპედისტისა და სახელმწიფო მოღვაწის, უფლისწულ იოანე ბაგრატიონის (1768-1830) ნაშრომი „ქართლ-კახეთის აღწერა“ [24] უმნიშვნელოვანესი წყაროა გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლისათვის. გარდა

საქართველოში შემავალი რეგიონებისა, ამ ნაშრომში აღწერილია ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში შემავალი მხარეები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ემეზობლება.

კახეთის ჩრდილოეთი საზღვრის გადაღმა მოსახლე დაღესტნურ თემთა შესახებ იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ისინი იყვნენ „ლეკნი, მცხოვრებნი კავკასიის მთასა შინა“, რომელნიც „ძველად მორჩილებდენ და ემსახურებოდენ მეფეთა“ [24, 73]. ბაგრატიოვან ხელმწიფეთა ქვეშევრდომობაში ოდითგან მყოფ დაღესტნურ თემთა შორის, მეცნიერი ანწუხ-კაპუჭსაც ასახელებს [24, 73].

ცნობილია, რომ ქართულ ენას და კულტურას დაღესტნელებსა და ვაინახებზე ტრადიციულად ძლიერი ზეგავლენა გააჩნდა, რის თაობაზეც ბევრჯერ დანერილა.

იოანე ბატონიშვილის უმცროსი ძმის, გამოჩენილი მეცნიერის თეიმურაზ ბაგრატიონის (1782-1846) ცნობით, ქისტნი, ლილვნი, ძურძუკნი და ლეკნი (ლეკოსის ნათესაობანი) „პირველ იყვნენ ენითა ქართულითა მომზრახენი და ქრისტიანენი... და სცვიდენ ენასა ქართულსა ვიდრე თემურ-ლანგამდე, რომელმანაც დაიპყრა იგინი, მოაქცივნა მრავლისა ტანჯვითა, ლიქნითა და წყალობითა მრავალთა, დაუდგინნა არაბნი მოლანი... განუწესა მათ, რათა ასწავებდნენ ყრმათა მათთა წერილსა არაბულისა ენისასა, მისცა მათ ბრძანება ფიცხნი არღარა კითხვად და არცალა სწავლად ქართულისა წიგნისა და რათა არცალა ენა ქართული იზრახებოდეს მათ შორისა. მხოლოდ დაშთა ენა ქართული ლეკთა შორის აწწუხელთა, რომელნიც დღეინდელად დღემდე ზრახვენ ქართულსა ენასა...და უწყიანცა ენა ლეკთა... არიან ლეკთა შორის ძველად ნაშენები ეკლესიანი და მონასტერნი – რომელნიმე სრულიად თლილითა ქვითა ნაშენნი, განა აწ რომელნიმე დარღვეულნი და სხვანი უქმად, რომელნიმე მიზგიდებათ (მეჩეთებად) მათდა შეცვალებულნი“ [15, 32; 25, 19].

ანწუხი, დაღესტნის სხვა თავისუფალ თემთა შორის, თავის ორტომიან ნაშრომში აღწერა დოქტორმა იოჰან ანტონ გიულდენ-

შტედტმა (1745-1781), რომელიც რიგაში დაბადებულ-აღზრდილი გერმანელი მეცნიერი გახლდათ. იგი შედიოდა იმ საექსპედიციო ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1771-1772 წლებში საქართველოს შესასწავლად მოავლინა.

ამ კაპიტალური ნაშრომის პირველ ტომში მოცემულია შემდეგი ცნობები: „ყვარელიდან მთებში მდებარეობენ: დიდო – ჩრდილოეთით, თუშეთი – ჩრდილო-დასავლეთით და ლეკების რაიონი ანწუხი – ჩრდილო-აღმოსავლეთით“ [26, 31]; „ქართული პროვინცია კახეთი შეადგენს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს, კავკასიის ქედსა და მტკვარს შორის. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მაღალი მთიანეთი ქისტური და ლეკური მხარეებით – დიდო, ყაბუჩი და ანწუხი“ [26, 249]. აქ მოხსენიებულ „ყაბუჩში“, ისევე როგორც ქვემოთ ხსენებულ „ყაფუჭში“ – „კაპუჭი“ უნდა ვიგულისხმოთ.

გიულდენშტედტის ნაშრომის მეორე ტომში დაცულია შემდეგი აღწერილობა: „მხარე ანწუხი. ის მდებარეობს ყაფუჭის ქვემოთ სამურაზე. მისი სოფლები განლაგებულნი არიან სამხრეთის ფიქალიანსა და კირქვიან მთებს შორის, რომელიც მას კახეთისაგან გამოჰყოფს. ქიზიყამდე არის 1 დღის სავალი. ყველაზე დიდი სოფლები ამ მხარისა არის: მაჭარი, ქარდა, ტუჭუკი, ანწუხი, კუპოტა, რუსბლი და სხვა მრავალი. მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 1500 ოჯახს. აქ ლაპარაკობენ ლეკური ენის ხუნძახურ ან ავარულ დიალექტზე, მცირე განსხვავებით. ეს ლეკური მხარეც ძველად ეკუთვნოდა კახეთს და ახლაც (1772 წ.) ქართლის (იგულისხმება ქართლ-კახეთის – ნ. ჯ.) მეფესთან კეთილ დამოკიდებულებაში იყო. ისინი ზამთარში ცხვარს აძოვებენ კახეთის მინებზე და ვაჭრობენ თელავსა და თბილისში. ამ მხარეს არ ჰყავს თავადები, ჰყავს მხოლოდ არჩეული მთავარი (მამასახლისი) და ცდილობს თავი დამოუკიდებლად დაიჭიროს. შინაურ ცხოვრებაში, ჩაცმა-დახურვაში, ჩვევებსა და რელიგიაში ისეთივენი არიან, როგორც დიდოში, მხოლოდ სუნის სექტას აქ

მეტი მიმდევარი ჰყავს“ [27, 89].

გერმანელ მეცნიერს ასევე აღწერილი აქვს ანწუხის მეზობელი ყაფუჭის (იმავე ყაბუჩის ანდა კაპუჭის) მხარე, სადაც ანწუხთან შედარებით 500 კომლით ნაკლები ოდენობის მოსახლეობა – 1000 კომლი სახლობდა [27, 97].

XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა. ამის შემდეგ, რუსეთის იმპერიამ თანდათანობით გააუქმა და შეიერთა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე არსებული დანარჩენი სამეფო-სამთავროები, კერძოდ, იმერეთის სამეფო, ოდიშის (სამეგრელოს), აფხაზეთის, გურიის, სვანეთის სამთავროები და ძირძველი მესხეთის მიწაზე ჩამოყალიბებული ახალციხის საფაშო, რომელიც ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში შედიოდა.

ზემოთქმულის მიუხედავად, ანწუხელ-კაპუჭელებს საქართველოსთან ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ. მათ არაერთხელ გამოხატეს თანადგომა განსაცდელში ჩავარდნილი ქართველი ერისადმი, რაც განსაკუთრებით 1812 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი სახალხო აჯანყების დროს გამოჩნდა. თუმცა XIX საუკუნიდან საქართველოში განვითარებული მოვლენები და მათთან ანწუხელთა კავშირი უკვე სცილდება წინამდებარე გამოკვლევის ქრონოლოგიურ ჩარჩოს და ცალკე შესწავლას საჭიროებს.

ამრიგად, ანწუხის თემის მკვიდრნი – ანწუხელნი XIV-XVIII საუკუნეებში საკმაოდ ხშირად იხსენიებიან ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებში, როგორც ბაგრატოვან ხელმწიფეთა ერთგული ქვეშევრდომნი, რომელთაც საქართველოსთან ყოველთვის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი გააჩნდათ.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. https://ka.wikipedia.org/wiki/giorgi_anwuxeliZe
2. <https://www.droni.ge/?m=3&AID=3581>
3. რ. თოფჩიშვილი, თუშური გვარსახელები, ეთნოისტორიული ასპექტები, თბილისი, 2018.
4. https://ru.Wikipedia.org/wiki/Тляратинский_район
5. ნ. ომარაშვილი, კახეთში მცხოვრები დაღესტნელები (ჩამოსახლების ისტორია, ყოფა და კულტურა), თბილისი, 2008.
6. Н. Джавахишвили, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Тб., 2019.
7. А. Криштопа, О возможном происхождении титула „нуцал“. В сборнике: „Социальная терминология в языках Дагестана“, Махачкала, 1989.
8. А. Криштопа, Дагестан в XIII – начале XV вв., Очерк политической истории, Москва, 2007.
9. Ш. Хапизов, Ума-Нуцал (Умахан) Великий (очерк истории Аварского нуцальства второй половины XVIII в.), Махачкала, 2013.
10. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 2, ნაკვეთი 1, ტფილისი, 1928.
11. ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1952.
12. Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии XVII-XVIII вв., Тбилиси, 1959.
13. მ. კეკელია, ნაცვალი, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 7, თბილისი, 1984.
14. მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1895.
15. ს. მაკალათია, ხევსურეთი, მეორე გამოცემა, აღ. ჭინჭარაულის რედაქციით, თბილისი, 1984.
16. Е. Марков, Очерки Кавказа, Санкт-Петербург-Москва, 1898.
17. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакци-

ей А. Берже), т. I, Тифлис, 1866.

18. მ. გუდავა, ერეკლე II-ის რამდენიმე წერილი დალისტინის თემებისადმი, „მაცნე“, № 3, თბილისი, 1976.

19. ნ. ომარაშვილი, დალისტინის თავისუფალი თემების (ან-წუხისა და კაპუქის) საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხისათვის, ჟურნალი „საქართველო“, № 2, თბილისი, 1998.

20. Межкавказские политические и торговые связи в Восточной Грузии (конец 60-х — начало 90-х годов XVIII в.), Документы и материалы, I выпуск, Тбилиси, Мецниереба, Тбилиси, 1980.

21. Р. Гасанов, Из истории Дагестано-Грузинской взаимоотношений, в сборнике: „Взаимоотношения Дагестана с народами Кавказа“, Махачкала, 1977.

22. პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981.

23. С. Какабадзе, Грузинские документы Института народов Азии Академии наук СССР, Москва, 1967.

24. ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბილისი, 1986.

25. თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტინის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.), თბილისი, 1968.

26. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი, 1962.

27. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბილისი, 1964.

Niko Javakhishvili

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili
Tbilisi State University, Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology, Chief scientist-researcher of the Department of Modern and
Contemporary History*

Antsukhi and Antsukhians in the History of Georgia (in XIV-XVIII centuries)

Summary

This article reviews the role played by the Antsukhians in the history of Georgia, who were the indigenous people of the Antsukhi community, who is one of the historical-ethnographic regions of Avaria. It is located in the southwestern part of Dagestan, one of the autonomous republics of the Russian Federation.

This community, as well as the Kapuch community, has had very close ties with Georgia for centuries, in particular, with the Kingdom of Kakheti, bordering on the east in the XV-XVIII centuries.

Currently, Antsukhi region is part of Tliarati district, the administrative centre of which is Tliarata. Due to this, the Antsukhians (self-called as „анцукъл“), known as one of the sub-tribes of the Avar people, with a total number of more than 50,000 people, are also called „Tliarats”. Antsukhian speech belongs to the southern dialect of an Avar language.

This region, which was part of the Ghunib region during the Russian Empire, and from 1920 to the Soviet Federal Socialist Republic of Russia, was called the Antsukh-Kapuch region in 1921-1926. Several villages in the Tliarat district were later transferred to Tsunta district and Bzhti administrative unit, bordering it to the north-west. Antsukhians live mainly in the Tliarati and Tsunta districts. In the middle of the twentieth century, some of them moved to other settlements in Dagestan.

The above-mentioned regions of Dagestan border the eastern part of Georgia from the north, in particular, the Kakheti districts of Akhmeta (which includes the historical-ethnographic region of Tusheti), Telavi, Kvareli and Lagodekhi. Descendants of these Antsukhian and Kapuchian free people of Dagestan – Avars still residing in Kvareli and Lagodekhi districts of Georgia, who had a dense community during the Soviet Union.

Antsukhi community and Antsukhians are frequently mentioned in the XIV-XVIII century Georgian and foreign historical sources as loyal subjects to the Bagrationi kings of Georgia, who always had close military-political and trade-economic ties with Georgia.

At the beginning of the XIX century, the East Georgian kingdom – Kartli-Kakheti (Kartalino-Kakhetian Kingdom) became the victim of the expansionist policy of the Russian Empire. Nevertheless, Antsukhians and Kapuchians did not cut ties with Georgia.

Andrew Andersen

*PhD Political Science, University of Victoria,
Division of Continuing Studies, Group Leader of
the Peritum Media Research Centre*

The Caucasus Front of World War I: Implications for Georgia

As of today, it is not exactly the common knowledge that semi-forgotten Caucasus theater of the Great War of 1914-1918 played a crucial role in the formation of the three modern nations of the South Caucasus and, specifically, in the restoration of Georgian statehood. Accordingly, in view of the above, the major goal of this paper is to familiarize fellow historians and political scientists with the influence of both military and political events of World War I on the process of major re-drawing of the political map of the region that happened in the 20th century.

In 1914-1918 the South Caucasus became part of the Middle Eastern theatre of the First World War. Although the most decisive battles were fought in Europe, the South Caucasus campaign was quite important for Turkey, Russia and Great Britain. Several years prior to the outburst of the war, a few powers had conflicting ambitions in the area.

Young Turk leadership of Turkey strongly influenced by Pan-Turk and Pan-Islamic ideas of *Ittihadism*, were planning to expand their political influence to the East and North-East of their borders. Their goal was the creation of a greater empire that would unite all the Turkish-speaking peoples together with a number of non-Turkish ones. The projected empire was to include Russia-controlled Caucasus, Crimea, Central Asia and the Tatar-inhabited Volga-Urals area, as well as Iran, Afghanistan and the Muslim-inhabited areas of British East India and Western China.¹

Russia, in turn, was interested in gaining access to the Mediterranean

¹ W.W. Gottlieb, *Studies in Secret Diplomacy during the First World War* (London, 1957), pp. 28-29.

Sea by annexing the Straits (Bosporus and the Dardanelles)² together with Constantinople, or by gaining a wide land bridge from the Caucasus to Cilician coast under the pretext of protecting the Christian Armenians of Turkish Armenia and Eastern Anatolia.³ However, while playing the Armenian card against Turkey, the Russian Imperial government was reluctant to repeat its experience of the Russo-Turkish war of 1878 and create „another Bulgaria”,⁴ this time in the Middle East⁵. In order to secure the future Russian rule over the Armenian Plateau and, at the same time, exclude the creation of an Armenian nation-state or any other nation-state in the region, St. Petersburg encouraged inter-ethnic tensions between Christian Armenians and Muslim Turks and worked on establishment of the Tigris-Euphrates Cossack Territory that was to be settled by Kuban and Terek Cossacks, Yezid Kurds and Russian Armenians.⁶

Being concerned about growing Russian ambitions in the Eastern Mediterranean, the British government was, at the same time, interested in disintegration of the Turkish Empire that was falling more and more under German control. However, the destruction of Turkey was hardly possible without Russian military support which could only be gained in return for some concessions. In fact, Great Britain would rather see the Russian flag flying over Constantinople than German naval bases in the Eastern Mediterranean.⁷

Despite the striving of Russia and Britain for „the Ottoman

² W.W. Gottlieb, *Studies in Secret Diplomacy during the First World War* (London, 1957), p. 39.

³ Central State Historical Archive – RA, res.1, inv.1, f.209, pp.3-5.

⁴ E. A. Adamov, Ed., *Partition of Asian Turkey in Accordance with the Secret Documents of the Former Ministry of Foreign Affairs* (Moscow, 1924), p. 158. Светлана Лурье, «Я все равно паду на той ... Карабах как Армяно-русский культурный конфликт», *Русский журнал*, 24 августа 2009 г., ст. 9-10.

⁵ Bulgarian statehood was restored in 1877-78 as a result of Russo-Turkish war of 1878. Contrary to Russian imperial plans, the new Bulgarian state refused to become a Russian satellite thus embittering Russian political establishment and public opinion.

⁶ Уткин, *Первая Мировая война*, Москва, 2000, ст. 39. Авалов З., *Независимость Грузии в международной политике, 1918-1921* (Paris., 1924), ст. 26.

⁷ S. McMeekin, *The Russian Origins of the First World War* (London, 2011), pp.41-76.

Succession”, when the war finally broke out in July-August, 1914 and the fierce battles started in Eastern and Western Europe, the Triple Entente Powers⁸ were hoping to keep Turkey neutral or at least postpone her joining the German-Austrian Alliance. However, their hopes for avoiding the opening of several new fronts proved vain and so did their diplomatic overtures. Strongly influenced by Germany, the Turkish rulers decided to enter the war on the side of Germany and Austria-Hungary.

On August 9, 1914, Ottoman Turkey launched an attack on Russia. After a series of skirmishes, Russia declared war on Turkey on November 2, 1914, and the Caucasus became a battleground.⁹

Within the twenty-month period between the spring of 1915 and the fall of 1916, the Russian armies advanced into Turkish Armenia, Lazistan and Northern Iran, conquering vast territories. At the same time, British and French forces were slowly taking over the Ottoman Arab possessions in Mesopotamia and Palestine. At the end of 1916, the Russian General Staff went so far as to prepare several plans for the conquest of Constantinople. This included landing in the Bosphorus in coordination with possible attack of the British Royal Navy on the Dardanelles.¹⁰

The Sykes-Picot Agreement

In the light of Russian triumph in Eastern Turkey in February-March of 1916, the negotiations between Britain, France and Russia regarding the future partition of the Ottoman Empire that had started as early as in mid-April 1915, ended up with the signing of a secret convention on May 16, 1916.

That convention known nowadays as the Sykes-Picot Agreement (sometimes referred to as the Sazonov-Sykes-Picot Agreement), after being modified as a result of a series of Russian-British talks between

⁸ Britain, France and Russia.

⁹ А. М. Зайончковский, *Первая Мировая Война*, Санкт-Петербург, 2002, ст. 299.

¹⁰ И. Ф. Плутников. Александр Васильевич Колчак: жизнь и деятельность (Ростов-на-Дону, 1998), ст. 71-74. П. Н. Зырянов, адмирал Колчак, верховный правитель России (Москва, 2012), ст. 283-290.

March 31 and September 1, 1916, confirmed Russia's claims for the Black Sea Straits and assigned to her not only the *vilayets* of Erzurum, Bitlis and Van but also half of the *vilayet* of Trebizond and parts of Ul-Aziz and Diyarbekir. France was to gain half of the *vilayet* of Sivas, the remaining parts of Ul-Aziz and Diyarbekir, as well as the whole of Cilicia and Lebanon. France was also to obtain a considerable sphere of influence in Syria and northern Mesopotamia. Britain, in turn, was to become dominant in Lower Mesopotamia and, partially, in Palestine. During the diplomatic exchanges preceding the signing of the Sykes-Picot Agreement, both British and Russian officials discussed various forms of Armenian autonomy in the region. The issue of any potential Georgian autonomy was not addressed at all.¹¹ As a result, in the spring of 1917 it seemed quite realistic that the majority of Armenian core lands as well as the historical Georgian lands that were still under Ottoman control, would be united under the Russian Imperial Crown.

The Diversity of Public Opinions in the South Caucasus Regarding the War

While providing a brief coverage of major military operations at the Caucasus front and political intrigues around it, it would be important to mention that the public opinion regarding the war in ethnically fractured regions of the South Caucasus happened to be quite diverse.

Unlike the Armenians of the South Caucasus who were mobilized by the fear of the Ottoman invasion, and also by the possibility of emancipation of their West-Armenian brethren as well as the unification of all historic Armenian lands under the Russian Crown and unlike the Azeri Turks (also known those days as the Caucasian Tatars), most of whom were sympathetic with the Ottoman Empire and Ittihadist ideas of the Young Turks, the Georgians' attitude towards the war was mixed and fractured.

A considerable part of Georgian gentry served in Russian Imperial

¹¹ Richard Hovannissian, *Armenia on the Road to Independence 1918* (Los Angeles, 1969), pp. 59-62. Sean McMeekin, *The Russian Origins of the First World War* (London, 2011), pp. 194-213. Akaby Nassibian, *Britain and the Armenian Question, 1915-1923* (London, 1984), p. 55.

army and civil administration. Most of those people were loyal and conscious „servants of the Russian throne”. Another group of gentry, together with slowly growing Russian- and Polish-educated middle-class, was strongly influenced by Marxism. Accordingly, when the world war broke out, some of those Georgians clearly expressed anti-imperialist sentiments (the Bolsheviks) while others kept their national loyalties (the Mensheviks). It would hardly be an exaggeration to say that Georgian educated classes of various political views agreed in their belief that World War I was not a Georgian war and that Georgian people could gain very little from victory by either side. Indeed, „the best-case scenario“ would put the *timars* of Keskim, Tortum and, partially, Ispir of Erzurum *sanjak* which in the past formed Georgian provinces of Tao, Parkhali, Tortomi and Speri,¹² under the Russian Crown. As of today, many experts in Georgian history including Mikaberidze, Rayfield and Suny agree in considering that territory the cradle of both Georgian culture and statehood. However, by the beginning of the 20th century, those provinces were Islamized and the people who lived there, did not consider themselves Georgians but rather Turks or Kurds. On the other hand, Lazistan (or Lazona) inhabited by the Laz people who both linguistically and ethnically are so close to the Georgians that could be considered a branch of the Georgian people, had been conquered by the Ottoman Turks in the 16th century, and incorporation of Lazistan into the Ottoman Empire resulted in its rapid Islamization. Ever since, the Laz people have been loyal Ottoman subjects who enthusiastically supported Turkish war efforts against Russian imperial armies in 1914-1916 as well as against Georgian troops of the Transcaucasian Federation and Pontic Greek partisans in 1918.¹³

At the same time, most Georgian peasants, as Christians, formally

¹² Атлас Грузинской ССР (Москва, 1963), ст. 249-252; Robert Hewsen, *Armenia: a Historical Atlas* (Chicago, 2001), p. 130.

¹³ Авалов, Зураб. Независимость Грузии в международной политике, 1918-1921 гг. (Paris, 1924), ст. 255; Зайончковский, Андрей. Первая Мировая Война (Санкт-Петербург, 2002), ст. 376. Zayonczkowski, *Pervaya Mirovaya Voyna* (St. Petersburg, 2002), p. 376

backed the Allies and supported the Russian Empire in their fight against Muslim Ottoman Turkey.

On the other hand, there were two relatively small groups of Georgians who demonstrated open disloyalty to the Russian Empire and sided with her foes. The first group included Muslim Ajaris who inhabited the territory (*oblast*) of Batum. Following the call to Jihad forwarded to them by Ottoman emissaries, the Ajaris of Southern communities of Batum territory launched a pro-Turkish uprising at the very beginning of the war and assisted the Ottoman army in her invasion of the South Caucasus. Another group of Georgians disloyal to the Russian crown consisted of some extreme nationalists most of them educated in Germany and Austria-Hungary, who backed the German Empire as an advanced European nation in contrast to less developed Russia. That group, headed by Peter Surguladze, went as far as to create the Committee of Independent Georgia in Switzerland and later even a small Georgian Legion with its headquarters in Sampsunta (now Samsun).

In any case, though, up until the end of 1916, Russia was triumphant at the Caucasus front, and her troops were securely occupying most of the Turkish Armenia, Lazistan and Pontus as well as Northern Persia (now Northern Iran).

The Ottoman Invasion of the Caucasus and the Treaty of Brest-Litovsk

The situation in the region changed drastically in early 1917 which saw major upheaval in the disintegrating Russian Empire. In March, 1917, the empire collapsed, the monarchy was abolished and the country proclaimed itself a republic. At that moment the Caucasus front entered a stage of stagnation. At the same time, the period between March 1917 and February 1918, was marked by the rapid spread of chaos all over the former Russian possessions including the Caucasus and Russian-occupied territories in Eastern Turkey and Northern Persia. In November 1917, the Bolshevik coup in Petrograd signalled another major political upheaval in the region.

By that time, absolute majority of Russian Imperial troops left the Caucasus war theater, and on February 2, 1918 the Ottoman Turkish forces launched massive offensive at the disintegrated Caucasus front that had been abandoned by the Russian armies. Having defeated scattered and poorly organized Georgian and Armenian units that replaced the Russians, the Ottoman armies quickly recovered all the territory previously lost to Imperial Russia in 1915-1917 and invaded the former Russian possessions in the Caucasus conquering historical Armenian and Georgian lands. Meanwhile, the Treaty of Brest-Litovsk signed between the Bolsheviks and the Central Powers on March 3, 1918, hit the final and terminal blow to the Caucasus front.

The Ottoman invasion of the South Caucasus of 1918, caused the disintegration of Russian possessions in the Caucasus and the secession of the Region from Russia. The end of April 1918 saw the proclamation of independent Transcaucasian Democratic Federative Republic. The reason behind that was that both the general public and political elites of Georgian, Armenian, Russian and Greek communities that were dominant in the South Caucasus, could not accept the provisions of the treaty that gave Turkey not only the territory that had been conquered by Russia during the first years of the war but also the territories (*oblasts*) of Kars and Batum.

The proclamation of Transcaucasian independence did not stop the Ottoman invasion. The Turks continued their offensive even beyond the new border established by the Treaty of Brest-Litovsk thus threatening physical existence of Armenian people and also putting the existence of Georgian people in jeopardy.

Here a question may arise: why were the Georgians so unsuccessful in the repelling of the Ottoman invasion in February-March 1918? According to Hovannisian, that happened largely due to the subversive activity of the Turkish agents behind their lines. Those agents were secretly urging the Georgians to exclude themselves from what was portrayed as purely „Turkish-Armenian strife”, and promising the Georgians

„immunity” in case of the triumph of the Central Powers. We may add to the above that unlike a few Georgian nationalist intellectuals, the majority of ethnic Georgian soldiers stationed in Trebizond, Ardasa and Gymushkhane were far from even thinking about considering Lazistan part of Georgia and thus could not understand what to fight for in that remote area. The morale of Georgian troops was further undermined by the hostility of local Laz people who despite their linguistic affiliation with the Georgians, remained actively loyal to the Ottoman Empire. In any case, the Georgian units kept retreating eastwards with little or no fight until the middle of March, when they reached the Russo-Turkish border of 1914. In April, though, when the danger of Turkish absorption of the whole of Georgia became quite real, the Georgian troops demonstrated way more success. E.g., during the two-day battle of Cholok (on the River Cholok near Fort St. Nicholas) that lasted from April 20 to April 21, Georgian forces successfully defeated the units of the Ottoman Third Army. During that battle the Ottomans lost 1,500 men and had (at least for a while) to give up the idea of further offensive along the coast. Throughout May 1918, the Georgian troops together with Armenian militias were engaged in relatively successful struggle against the Turks in the counties of Akhaltsikhe and Akhalkalaki.

In early May the Ottoman government finally agreed to conclude a new peace treaty with the Transcaucasian Republic the conditions of which were way harsher than those of the Treaty of Brest-Litovsk, as in addition to the acquisition of Kars and Batum, the new treaty was awarding Turkey with the counties of Akhaltsikhe and Akhalkalaki and of more than half of the province (*guberniya*) of Erivan.

The Restoration of Georgian Statehood and the Treaty of Poti

The end of May saw the disintegration of the Transcaucasian Federation that had proven an unsuccessful experiment largely due to the absence of cohesion between Christian and Muslim segments of the South Caucasian society. Indeed, Armenians, Georgians and other Christians of the region were in desperate need for peace that would

stop Ottoman invasion at least at the Brest-Litovsk borders and, in the Armenian case, would save what was left of the former Russian Armenia from total extermination. At the same time, Azeri Tatars and other Muslims of the South Caucasus were rather interested in further expansion of Ottoman armies that would not only secure their position in the province of Elizavetpol but also help them to defeat the Bolsheviks of Baku, armed bands of Russian colonists in Southern Mughan and Armenian Militias in Mountainous Karabakh and Gandzak. By the end of the spring of 1918, both the Transcaucasian Christians and Muslims came to clear understanding that their interests were incompatible and required opposite courses of action, and, accordingly the ephemeral Transcaucasian Federation fell apart on May 26, 1918, when Georgia declared independence, followed by Azerbaijan and Armenia who also declared their independence within the next two days.

The declaration of Georgian independence was immediately followed by the signing of the Agreement of Poti with Germany (May 28, 1918) and the Treaty of Batum with the Ottoman Turkey (June 4, 1918). Although both the above-mentioned international treaties confirmed the loss of some historical territories by Georgia and did not completely stop the hostilities even at the new borders, they, nevertheless, laid foundation for the restoration of independent Georgian statehood and signalled the recognition of Georgia at least by the Central Powers.

The Armistice of Mudros signed on October 30, 1918, ended World War I in the East Mediterranean and opened the 26 months long period of the buildup of restored Georgian state, which culminated with the de-jure recognition of Georgia by the Allied Powers on January 26, 1921 at the Paris Peace Conference.

Recommended Reading

Adamov, Eugeniy. (Ed.), *Partition of Asian Turkey in Accordance with the Secret Documents of the Former Ministry of Foreign Affairs* (Moscow, 1924).

Allen, William Edward and Muratoff, Paul. *Caucasian Battlefields: A History of the Wars on the Turco-Caucasian Border* (Nashville, 1999).

Andersen, Andrew. *Abkhazia and Sochi: The Roots of the Conflict, 1918-1921* (Toronto, 2014).

Andersen, Andrew. *Georgia and the International Treaties of 1918-1921* (Toronto, 2018).

Авалов, Зураб. *Независимость Грузии в международной политике, 1918-1921 гг.* (Paris, 1924 г.).

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, (Тифлис, 1919 г.).

Democracy and State Building in Georgia, 1918-2010, ed. Stephen F. Jones (London, 2013).

Erickson, Edward. *Ordered to Die: A History of the Ottoman Army in the First World War* (Westport, 2000).

Gottlieb, Wolfram Wilhelm. *Studies in Secret Diplomacy during the First World War* (London, 1957).

Hewsen, Robert. *Armenia: a Historical Atlas* (Chicago, 2001).

Hovannisian, Richard. *Armenia on the Road to Independence 1918* (Los Angeles, 1969). Hovannisian, Richard. *The Republic of Armenia: The First Year, 1918-1919* (Los Angeles, 1971).

Ingorokva, Pavle. *On the Borders of the Territory of Georgia* (Constantinople, 1918, in Georgian); ინგოროყვა, პავლე. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ: მოკლე სამახსოვრო ცნობა, კონსტანტინოპოლი, 1918.

Jäschke, Gotthard. "Der Turanismus der Jungtürken. Zur osmanischen Aussenpolitik im Weltkriege," *Die Welt des Islams*, XXIII (bk 1-2, 1941).

Кадышев, Арнольд. *Интервенция и Гражданская Война в Закавказье* (Москва, 1960).

Kazemzadeh, Firuz. *The Struggle for Transcaucasia* (New York, 1951).

Keresslidze, Leo. *La Géorgie et la domination russe* (SoleureSolothurn, 1917).

Хейфец, Соломон. «Закавказье в первую половину 1918 года и Закавказский сейм», *Былое*, № 21, 1923.

Kress von Kressenstein, Friedrich. *Meine Mission im Kaukasus* (Berlin, 1943).

Квинитадзе, Георгий. *Мои воспоминания в годы независимости Грузии 1917-1921 гг.*, (Paris: YMCA-press, 1985).

Lang, David Marshall. *A Modern History of Georgia* (London, 1962).

Loris-Melikof, Jean. *La revolution russe et les nouvelles Republiques Transcaucasiennes* (Paris, 1920).

Ludendorff, Erich von. *My War Memories 1914-1918*, v. 2 (Uckfi eld, 2005).

Лурье, Светлана. «Я все равно паду на той ... Карабах как Армяно-русский культурный конфликт», *Русский журнал*, 24 августа, 2009.

McMeekin, Sean. *The Russian Origins of the First World War* (London, 2011).

Mikaberidze, Alexander. *Historical Dictionary of Georgia* (New York, 2015).

Nassibian, Akaby. *Britain and the Armenian Question, 1915-1923* (London, 1984).

Nicolle, David and Ruggeri, Raffaele. *The Ottoman Army 1914-18* (Oxford, 1994).

Rayfi eld, Donald. *Edge of Empires: A History of Georgia* (London, 2012).

Шафир, Яков. *Очерки грузинской Жиронды* (Москва, 1925).


Suny, Ronald Grigor. *The Making of the Georgian Nation*, Indianapolis, 1994.


Трапезундская и Батумская мирные конференции: февраль-май, 1918 г. года / Под ред. Ир. Якобашвили (Тбилиси, 2018).


Уткин, Анатолий. *Первая Мировая война* (Москва, 2000).


Урагадзе, Григорий. *Образование и консолидация Грузинской демократической Республики* (München, 1956).


Зайончковский, Андрей. *Первая Мировая Война* (Санкт-Петербург, 2002).











ენდრიუ ანდერსენი

*პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ვიქტორიის უნივერსიტეტი, უწყვეტი განათ-
ლების განყოფილება, პერიტუმ მედია
კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი*

პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტი: შედეგები საქართველოსთვის

რეზიუმე

1914-1918 წლებში სამხრეთ კავკასია გახდა პირველი მსოფლიო ომის ახლო აღმოსავლეთის თეატრის ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე გადამწყვეტი ბრძოლები მიმდინარეობდა ევროპაში, სამხრეთ კავკასიის კამპანიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის, რუსეთისა და დიდი ბრიტანეთისთვის. ჯერ კიდევ, ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე, ამ სახელმწიფოებს ჰქონდათ თავისი ინტერესები და კონფლიქტური ამბიციები ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიის რეგიონში.

1914-1918 წლების მსოფლიო ომის ნახევრად მივიწყებულმა კავკასიურმა თეატრმა გადამწყვეტი როლი შეასრულა სამხრეთ კავკასიის სამი თანამედროვე ხალხის ჩამოყალიბებაში და, კერძოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დაარსებაში. სტატიის მთავარი მიზანია გააცნოს ისტორიკოსებსა და პოლიტოლოგებს პირველი მსოფლიო ომის როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური მოვლენების გავლენა კავკასიის რეგიონის მე-20 საუკუნის პოლიტიკური რუკის ხელახლა გადანერის პროცესზე.

მსოფლიო ისტორია

არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის სტრატეგიებისა და რესურსების მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი

სულთანი მეჰმედ VI და გენერალი მუსტაფა ქემალი (ათათურქი) – დიდი დაპირისპირების დასაწყისი

I მსოფლიო ომის დასრულებისას ოსმალთა იმპერიაში უცხოური სამხედრო ინტერვენციის, სულთნისა და „ბრწყინვლე პორტას“ წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობა ე. წ. „ნაციონალურ ძალებს“ (Kuva-yi Milliye) და მის ლიდერს, გენერალ მუსტაფა ქემალის სახელს უკავშირდება. 1919 წლის 11 სექტემბერს მუსტაფა ქემალის ინიციატივით სივასში გამართულმა კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ახალ თურქული მოძრაობას გაენწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობები კონსტანტინოპოლის მთავრობასა და დიდ ვეზირ დამად ფერიდ ფაშასთან, გადაეყენებინა იგი თანამდებობიდან, გაუქმებულიყო მისი კაბინეტი და მოწვეულიყო ახალი პარლამენტი. მუსტაფა ქემალის წინადადებით კონგრესმა ის გადაწყვეტილებაც მიიღო, რომ „ნაციონალური ძალების“ სარდლად მუსტაფა ქემალის ახლო მეგობარი და თანამებრძოლი, გენერალი ალი ფუატ ჯეზესოი დანიშნულიყო. სწორედ ალი ფუატს დაეკისრა დაფანტული და უკონტროლო არარეგულარული ძალების ერთიანი მეთაურობის ქვეშ მოქცევა. კონგრესის მიერ ეს მოთხოვნები სულთნის კარზე იქნა გაგზავნილი.

როგორც მოსალოდნელი იყო სულთანმა უარი თქვა შეესრულებინა სივასის კონგრესის მოთხოვნები და საპასუხო ნაბიჯები გადადგა. მან ქემალის სანინალმდეგო მოქმედებების მოქნილი ტაქტიკა აირჩია. იგი შეეცადა ანატოლიაში არსებული არასტაბილური ეთნიკური, კონფესიური და სოციალური ფონით ესარგებლა და სხვა ძალები დაეპირისპირებინა ნაციონალური მოძრაობისათვის. სულთნის მთავრობა, რომელიც კარგავდა ანატოლიაზე კონტროლს, ანატოლიის მოსახლეობის პროვოცირებას შეეცადა ქემალის წინააღმდეგ. ყველაზე მეტად ეს იმ რაიონებში მოხერხდა, სადაც მოსახლეობის უმეტესობას ჩერქეზები შეადგენდნენ. სწორედ აქ, ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში, ბურსისა და ბელიკესირის რაიონში დაიწყო დიდი ანტიანაციონალისტური მოძრაობა, სადაც მემბოხეებმა განაიარაღეს ჟანდარმები, დააპატიმრეს ქემალის მომხრეები და ხელში ჩაიგდეს ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტი. ამ ამბოხს ჩერქეზი ოფიცრები თალუსთან ბეი, ბექირ ბეი და ბესლან ბეი ხელმძღვანელობდნენ. მაგრამ მალე ისინიც ჩამოდიან ამბოხის სცენიდან და მათ ასევე ეროვნებით ჩერქეზი, აჰმედ ანზავური ცვლის. აჰმედ ანზავური ანჩოკთა მოდემის აბაძეხი იყო, პროფესიონალი სამხედრო. დაამთავრა კონსტანტინოპოლის საკავალერიო სასწავლებელი. მსახურობდა ჟანდარმერიის ნაწილებში და 1908 წლისათვის თადარიგში მაიორის წოდებით გავიდა. | მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით მოხალისედ ჩაენერა ჩერქეზთა განსაკუთრებულ საკავალერიო დივიზიაში, რომელიც კავკასიის ფრონტზე მიმდინარე საომარ მოქმედებებში იღებდა მონაწილეობას. ანზავურის შესახებ თურქეთის ამ პერიოდის ისტორიის აღიარებული სპეციალისტი ე. ვეიტი წერდა – „ნაციონალების ყველაზე უფრო დიდი მოწინააღმდეგე, კონსტანტინოპოლის მთავრობისა და ინგლისელთა დავალებების უსიტყვო შემსრულებელი“. [1, 376]

ე. ნ. „აჰმედ ანზავურის რევოლუცია“ სულთნისა და „ბრწყინვალე პორტას“ ერთგული მომხრეების შეიარაღებული

გამოსვლების სერიას წარმოადგენდა თურქი ნაციონალისტების წინააღმდეგ, რომელიც 1919 წლის ოქტომბერი – 1920 წლის ნოემბრის პერიოდში მიმდინარეობდა. საბოლოოდ კი, ეს „რევოლუცია“ 1921 წლის მაისში დასრულდა. ნაციონალისტების წინააღმდეგ დაწყებული ამ შეიარაღებული გამოსვლების მეთაური, აჰმედ ანზავური, ანატოლიაში მოქმედი სხვადასხვა ბანდების გაერთიანებით ნაციონალისტებთან დაპირისპირებულ ანგარიშგასანევ სამხედრო ძალად იქცა. ეს შეიარაღებული ბრძოლა იმპერიის დიდი ვეზირის, დამათ ფერიდ ფაშასა და „ბრწყინვალე პორტას“ მიერ იყო ორგანიზებული, თუმცა, ზოგიერთი მონაცემებით, ამ საქმეში არანაკლები როლი ბრიტანეთის საიდუმლო სადაზვერვო სამსახურს, SIS-სა (Secret Intelligence Service) და სამხედრო დაზვერვას – MI-6-ს (Military Intelligence, Section 6) მიუძღვოდა. ფაქტია, რომ ნაციონალისტებთან დამოკიდებულებასა და მათთან მიმართებით „ბრწყინვალე პორტასა“ და ბრიტანელთა ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. აჰმედ ანზავურის ძალები ძირითადად კავკასიელი მუჰაჯირებისაგან შედგებოდა და მის მთავარ ბირთვს ჩერქეზები შეადგენდნენ. ამ „კონტრრევოლუციას“ რელიგიური მოტივები ედო საფუძვლად და იგი სულთნისა და ხალიფას დაცვის საბაზით იქნა წამოწყებული.

აჰმედ ანზავურს, ისევე როგორც მისი თანამემამულეების უმეტესობას, არ უნდოდათ არაფერი საერთო ჰქონოდათ „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიასთან და ისინი „წმინდა ხალიფას ბრძანებას“ ელოდებოდნენ. ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნისა და თურქოლოგის, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორის, მუსტაფა ქემალის ბიოგრაფის, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტის დირექტორის, ალექსანდრ ჟევახოვის (ჯავახიშვილი) მიხედვით უხეშ და მამაც ანზავურს, ინგლისელთა აზრით, „გაერთიანების უნარი შესწევდა“... და მანაც ფერიდ ფაშას კურთხევით ანატოლიაში ანტინაციონალიზმის დროშა ააფრიალა. [2] ლონგ აილენდის უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტორ რაიან ჯინჯერასის (Ryan Gingeras),

მიხედვით კი, სულთანისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ანზავური აღნიშნავდა, რომ „ყველა ნამდვილი მუსლიმანის მოვალეობას ნაციონალისტთა წინააღმდეგ ბრძოლა და მათი დამარცხება წარმოადგენდა“. [3, 95] მაგრამ ყველა ჩერქეზი როდი იმყოფებოდა მუსტაფა ქემალთან დაპირისპირებულთა ბანაკში. აჰმედ ანზავურს მეორე ჩერქეზი, ეთჰემი დაუპირისპირდა... და მათ „კატა-თავგობანას“ თამაში დაიწყეს. აჰმედ ანზავურისა და მისი „კონტრრევოლუციის“ წინააღმდეგ, ეთჰემ ჩერქეზის მსგავსად, გამოდიოდნენ აგრეთვე, ჩერქეზები ტახირ ბეი, მსხვილი მინათმფლობელი ქიაზიმ ბეი და რაც მთავარია, მუსტაფა ქემალის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, ანკარაში დისლოცირებული მე-20 საარმიო კორპუსის სარდალი და უკვე ნაციონალისტთა „წინააღმდეგობის მოძრაობის“ სარდალი, გენერალი ალი ფუატ ჯებესოი, ეროვნებით ისიც ჩერქეზი. ამავე დროს, ალი ფუატზე იყო განწერილი ქემალისტებისადმი ლოიალურად განწყობილი, ე. წ. „ნაციონალური ძალების“ კონსოლიდაცია და მომხრობა.

ეთჰემ ჩერქეზის მიერ აჰმედ ანზავურთან დაწყებული „კატა-თავგობანას“ თამაში კი, მალე არ დასრულდება, იგი კიდევ ერთ წელიწადს გაგრძელდება. ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვლება, თურქი ნაციონალისტების წინააღმდეგობის მოძრაობა თვისობრივად განსხვავებულ დონეებზე ავა; ხოლო ლენინთან და რუს ბოლშევიკებთან დამყარებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების წყალობით, მუსტაფა ქემალი და „ანატოლიელი პროტესტანტები“ კონსტანტინოპოლიდან გაქცეული და ანატოლიის ზეგანს თავშეფარებული თანამოაზრეების მცირე ჯგუფიდან, სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდებიან...

მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, სულთანს გარკვეულ დათმობებზე წასვლამ მოუწია. საკუთარი პოზიციების შენარჩუნების მიზნით, სულთანმა, თავის მხრივ, მცირე გამბიტი გაითამაშა, უფრო ზუსტად, ფიგურის შენირვის ტაქტიკას მიმართა.

ფერად ფაშა გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან და მის ადგილას ახალი დიდი ვეზირი, ალი რიზა ფაშა დანიშნა. სულთანმა იმედოვნებდა, რომ ესოდენ მძიმე ფიგურის შენირვით ანატოლიელ პროტესტანტთა გულებს მოიგებდა და ამით ყველაფერიც დასრულდებოდა. მაგრამ აქაც არ გაუმართლა სულთანს, მან ერთი „პატარა დეტალი“ ვერ გაითვალისწინა – ალი რიზა ფაშა მუსტაფა ქემალის ძველი მეგობარი იყო...

ვაჰიდედინმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა... და რაც მთავარია, სულთანი სრულიად ვერ გრძობდა ეპოქის მაჯისცემას, მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ ანატოლიის მთებში მისი არმიის ექსტენერალ მუსტაფა ქემალის მიერ დიდი პოლიტიკური ინტრიგების სცენარი იწერებოდა და ამ სცენარში სულთნისა და სასულთნოს ბედი უკვე გადანყვეტილი იყო. მისი ადგილი ამ სცენარში არ იყო გათვალისწინებული და სასულთნოც უნდა გაუქმებულიყო...

„ანატოლიელ პროტესტანტთა“ მიერ სულთნისა და „ბრწყინვალე პორტას“ მიმართ შემუშავებულმა გეგმის პირველმა ნაწილმა თითქოს მუშაობაც დაიწყო, მას შემდეგ, რაც სულთნის მიერ ფერად ფაშა გადაყენებულ იქნა და მის ადგილას ახალი დიდი ვეზირი ალი რიზა ფაშა დანიშნა. ახალმა ვეზირმა, რომელიც უფრო ლიბერალური შეხედულებებისა იყო ნაციონალისტებთან მიმართებით კომპრომისული გადანყვეტილების მოსაძიებლად „ანატოლიელ პროტესტანტებთან“ მოლაპარაკებების გამართვა გადანყვიტა. ალი რიზა ფაშამ მუსტაფა ქემალთან თავისი საზღვაო მინისტრი, სალიჰ ფაშა გაგზავნა. შეხვედრა ამასიაში გაიმართა 1919 წლის 23 ოქტომბერს. წარმომადგენლობითი კომიტეტის წევრებიდან სულთნის მთავრობის დელეგატებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ თვით მუსტაფა ქემალი, აგრეთვე, რაუფ ორბეი და ბექირ სამი კუნდუხი. მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ იქნა ე. წ. „ამასიის შეთანხმება“, რომლის მიხედვითაც ახალი პარლამენტის წევრთა არჩევა მოხდებოდა არა მხოლოდ კონსტანტინოპოლში, არამედ მის გარეთაც. შეთანხმების მთა-

ვარი საკითხი კი იმაში მდგომარეობდა, რომ სივასის კონგრესზე შემუშავებული პრინციპები სულთნის მთავრობისათვისაც იქნებოდა მისაღები. სივასის პრინციპები ჩართულ იქნა ნაციონალისტთა მთავარ საპროგრამო დოკუმენტში, რომელსაც „ეროვნული პაქტი“ – Misak-ıllî ეწოდა. იგი ნაციონალისტთა ოფიციალურ ქარტიად იქნა აღიარებული. „ეროვნული პაქტი“ პირველი რიგის სასიცოცხლო ამოცანებად თურქული სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიების განსაზღვრას, ანტანტის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებისათვის ბრძოლას, ინტერვენტების განდევნასა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად.

ახალი პარლამენტის არჩევნები კონსტანტინოპოლში 1919 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა, სადაც დიდი უპირატესობით ნაციონალისტებისადმი სიმპათიით განწყობილმა დეპუტატებმა გაიმარჯვეს. 175 დეპუტატიდან 117 ქემალის მომხრე აღმოჩნდა. ახალმა პარლამენტმა მუშაობა 1920 წლის 12 იანვარს დაიწყო. მისი შემადგენლობის 120 დელეგატიდან 75 ნაციონალისტი იყო, რომლებიც მუსტაფა ქემალის ჯგუფს – „სამშობლოს კეთილდღეობის ალიანსს“ (Felâh-ı Vatan İttifakı) მიეკუთვნებოდნენ და არზრუმისა და სივასის კონგრესების გადაწყვეტილებებს იზიარებდნენ. 1920 წლის 28 იანვარს პარლამენტში წარდგენილ იქნა სივასის კონგრესზე შემუშავებული „ეროვნული პაქტი“ – Misak-ıllî, რომელიც მიღებულ იქნა. „ეროვნული პაქტი“ თურქეთის დამოუკიდებლობისათვის ომის პოლიტიკური მანიფესტი იყო და იგი ნაციონალური მოძრაობის ექვს საბაზისო დებულებას შეიცავდა:

1. მუდროსის ზავის ხელმოწერის მომენტისათვის არაბი უმრავლესობით დასახლებული ტერიტორიების მომავალი გადაწყდება რეფერენდუმის ჩატარების გზით. მეორე მხრივ, რომელი ტერიტორიებიც ამ მომენტისათვის არ იყო ოკუპირებული და დასახლებული იყო თურქების უმრავლესობით, წარმოადგენს თურქი ხალხის სამშობლოს;

2. ყარსის, არდაგანისა და ბათუმის სტატუსი შესაძლებელია გადნევიტილ იქნას რეფერენდუმის გზით;

3. დასავლეთ თრაკიის სტატუსი განისაზღვრება მის მოსახლეობაში ჩატარებული პლემბისციტის გზით;

4. დაცულ უნდა იქნას კონტანტინოპოლისა და მარმარილოს ზღვის უსაფრთხოება. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში თავისუფალი მიმოსვლისა და ვაჭრობის დანესების უფლება ეკუთვნის თურქეთს და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებს;

5. უმცირესობათა უფლებების დაცვა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება დაცული მეზობელ ქვეყნებში მუსლიმ უმცირესობათა უფლებები;

6. მოღვაწეობისა და განვითარების ყველა სფეროში ქვეყანა უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. გაუქმებულ იქნას ყველანაირო სახის პოლიტიკური, იურიდიული და ფინანსური შეზღუდვები; [4, 13]

ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის პუნქტების რეალობად ქცევა მუსტაფა ქემალისა და მისი თანამოაზრეების არსებობისა და ცხოვრების მთავარ ამოცანად იქცა: „ჩვენ ვიცოცხლებთ, ან მოვკვდებით „ეროვნულ პაქტთან“ ერთად...“ [5]...

კონსტანტინოპოლში მიღებული „ეროვნული პაქტის“ ტექსტი სივასის კონგრესზე მიღებულ ტექსტთან შედარებით ნაციონალისტებისათვის კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. თუ სივასის ტექსტში ნაციონალურ ტერიტორიებად მუდროსის ზავამდე არსებული ტერიტორიები მოიაზრებოდა, ნაციონალური პაქტის ტექსტში კონსტანტინოპოლელი პარლამენტარების მიერ დამატებულ იქნა ფრაზა – „და მის გარეთ“. [6, 315]

სულთანის პარლამენტის წევრთა დიდ უმრავლესობასა და ქემალისტთა შორის დაწყებულმა თანამშრომლობამ სულთანი დააფრთხო. ასეთი მოქმედებები მის მიერ დიდ საშიშროებად იქნა აღქმული. მან ისიც გაიაზრა, რომ ალი რიზას დიდ ვეზირად დანიშვნა მძიმე შეცდომა იყო, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორებულიყო. სულთანმა ქმედითი ღონისძიებების გატარება

დაიწყო და იგივე მდინარის ხელმეორედ გადაცურვას შეეცადა. სულთანმა ალი რიზა ფაშა სასწრაფოდ გადააყენა თანამდებობიდან და დიდ ვეზირად ისევ თავისი სიძე, დამად ფერიდ ფაშა დანიშნა, რომელსაც შესაბამისი კაბინეტის შექმნაც დაავალა. დამად ფერიდი დაუყოვნებლივ გადავიდა აქტიურ მოქმედებებზე და ანტიქემალისტური მოძრაობა შეიარაღებული ბრძოლის მეორე ფაზაში შევიდა. აქ სცენაზე ისევ აჰმედ ანზაფური გამოდის, რომლის „კონტრრევოლუციური ბრძოლის“ მეორე კამპანია 1920 წლის თებერვალში დაიწყო. [7, 155] მოგვიანებით, ე. ვეიტი აჰმედ ანზაფურის მოქმედებების შესახებ დაწერს: „ბანდირმაში ანზაფურმა იტიჰადისტების მისამართით წარმოთქვა სიტყვა, რომლებიც სულთნის წინააღმდეგ გამოსვლებში დაადანაშაულა. მოსახლეობის სახელით იგი მოითხოვდა რელიგიური წესჩვეულებების მკაცრ დაცვასა და შესრულებას. მან ხალხს ასეთი სიტყვებით მიმართა: „ეს წყეული ფრანკმასონები და ევროპაში ნასწავლი ოფიცრები, რომლებმაც უღვაში გაიპარეს და ღმერთი და წინასწარმეტყველი დაივიწყეს, დიდხანს სვავდნენ ხალხის სისხლს. სულთანმა მათი განადგურება ბრძანა. მე შემოვიღებ შარიათს და თანამდებობებზეც ხანშიშესულ და პატივსაცემ ჩინოვნიკებს დავნიშნავ“. [1, 391] ანტანტის ქვეყნებისა და პირველ რიგში ბრიტანეთის, პარლამენტის მიერ „ეროვნული პაქტის“ მიღება ცხადია, არასასურველ ქმედებას წარმოადგენდა. ბრიტანელებისათვის ისიც არ დარჩენილა შეუმჩნეველი, რომ ანატოლიის მოძრაობის ნევრთა შორის ბოლშევიზმისადმი სიმპათიების გავრცელება იგრძნობოდა და რუსეთში მოქმედ ბოლშევიკებთანაც გარკვეული კავშირების დამყარების მცდელობებს ჰქონდა ადგილი. ბოლშევიზმი კი იმ იდეოლოგიას წარმოადგენდა ბრიტანელებისათვის, რომელსაც ისინი ყველაზე მეტად უფრთხოდნენ. ბრიტანელებმა ჩათვალეს, რომ კონსტანტინოპოლის პარლამენტი და „ბრწყინვალე პორტა“ მათი მორჩილების სფეროდან გადიოდნენ. ყოველივე ამას კი, ბრიტანელთა მხრიდან გადაამყრელი მოქმედებების გატარება მოჰყვა შედეგად.

შემდგომი მოვლენები კი, ოსმალთა იმპერიისათვის კიდევ უფრო მიძიმედ განვითარდა. ანატოლიასა და კავკასიაში ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლის, გენერალ ჯორჯ მილნის (George Milne) ბრძანებით, 1920 წლის 16 მარტს მოკავშირეები ახდენენ კონსტანტინოპოლის სრულ ოკუპაციას და ქალაქის სტრატეგიული ობიექტების დაკავებას – „დრედნოუტების ქვემეხთა გრიალით მოკავშირეთა ჯარებმა მოახდინეს კონსტანტინოპოლის ოკუპაცია“ – იტყობინებოდა გაზეთ „New York Times“-ის 19 მარტის ნომერი. [8] გენერალ-ლეიტენანტ სერ ჰენრი ვილსონის მეთაურობით ბრიტანელთა მიერ თურქული გარნიზონი განიარაღებულ იქნა, პარლამენტი გარეკილი, მთავრობის წევრები, ქემალისტა მიმართ სიმპათიით განწყობილ დეპუტატთა და საზოგადო მოღვაწეთა ნაწილი, აგრეთვე, კომუნისტი აქტივისტები დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს. [9, 97] დაპატიმრებული იქნა თვით სულთნის მემკვიდრე, მისი ბიძაშვილი, პრინცი აბდულ მეჯიდ II, ხოლო სულთანი, ფაქტობრივ, შინაპატიმრობაში იქნა აყვანილი. დააპატიმრეს და მალტაზე გადაასახლეს, აგრეთვე, მუსტაფა ქემალის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, ნაციონალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ჰუსეინ რაჟფ ორბეი, აგრეთვე, პოლკოვნიკი ყარა ვაზიფი, საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია „ყარაქოლის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

ოსმალთა პარლამენტის დაშლას, სამხედრო-პოლიტიკური ელიტის დაპატიმრებასა და მათ მალტაზე გადასახლებას უინსტონ ჩერჩილი იმით ამართლებდა, რომ ასეთი ზომების გატარება „მოსალოდნელ აჯანყებას“ ააცილებდა თავიდან კონსტანტინოპოლს. იგი წერდა: „1920 წლის 12 იანვარს კონსტანტინოპოლში თურქეთის დეპუტატთა ახალი პალატა შეიკრიბა. მოკავშირეები ლოიალურად იყვნენ განწყობილნი წარმომადგენლობითი მმართველობის მიმართ და ამიტომ ნება დართეს თურქებს არჩევნები ჩაეტარებინათ. საუბედუროდ, არჩევნების შედეგები ისეთი არ აღმოჩნდა, როგორც საჭირო იყო. ახალ პალატაში ადგილებს

აბსოლუტური უმრავლესობა ნაციონალურმა ძალებმა, ან მარტივად რომ ვთქვათ, ქემალისტებმა მოიპოვეს. იმდენად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, რომ 21 იანვარს უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, მოკავშირეებმა მოითხოვეს თურქეთის სამხედრო მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის გადადგომა. 28 იანვარს ახალმა პალატამ დაამტკიცა „ეროვნული პაქტი“. კონსტანტინოპოლი აჯანყების დანაშაულებს წინაშე დადგა, რომელსაც ხოცვა-ჟლეტა შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ამიტომ მოკავშირეები იძულებულნი გახდნენ გარკვეული ზომები მიეღოთ. 16 მარტს კონსტანტინოპოლი ბრიტანულმა, ფრანგულმა და იტალიურმა ჯარებმა დაიკავეს. ჩვენ კი ფერიდს მინისტრთა კაბინეტის სასწრაფო გადაყენება მოვთხოვეთ“. [10]

„1920 წლის 16 მარტს ქემალისტები შავ დღეს დაარქმევენ“ – წერს ა. ყევახოვი. [2] ვერაფრით ვერ დავეთანხმებით მის ამ შეფასებას. ყევახოვი ცალმხრივად და ზერელედ მსჯელობს. სულთნისა და მისი კაბინეტისათვის 1920 წლის 16 მარტი მართლაც შავ დღეს წარმოადგენდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქემალისტებისათვის. უფრო მეტიც, სწორედ ეს დღე უნდა ჩაითვალოს მუსტაფა ქემალისა და მისი თანამებრძოლებისათვის რადიკალური ცვლილებებისა და მათი პოლიტიკისათვის შემობრუნების წერტილად. ამ დღემ საფუძველი ჩაუყარა ნაციონალისტებისა და მათდამი ლიბერალურად განწყობილი პოლიტიკური წრეების კონსოლიდაციის პროცესს. საქმე ისაა, რომ მიუხედავად ბრიტანელთა მიერ კონსტანტინოპოლელი პარლამენტარების წინააღმდეგ გატარებული მკაცრი რეპრესიებისა, ოთხმოცდათორმეტმა პატრიოტმა დეპუტატმა მაინც მოახერხა თავიდან აეცილებინათ დაპატიმრებები. ასეთ ვითარებაში კონსტანტინოპოლიდან იწყება ნაციონალისტურად განწყობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების ანატოლიაში გადინება, რაც იმ დროისათვის სულაც არ წარმოადგენდა ადვილ საქმეს. მაგრამ ნაციონალისტებმა იმ საიდუმლო არხებისა და მარშრუტების გამოყენება დაიწყეს, რაც ჯერ კიდევ საიდუმლო ორგანიზაციების – Teşkilât-1

Mahsusa-isa da „yaraqolis“ მიერ იქნა დამუშავებული | მსოფლიო ომის მსვლელობისას. კონსტანტინოპოლელი პარლამენტარები კონსპირაციულად ანკარაში გადავიდნენ, სადაც ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებულ 232 დეპუტატს შეუერთდნენ, რითაც, ფაქტობრივად, ნაციონალისტური მოძრაობის მთავარი პოლიტიკური ორგანო შექმნეს. ეს ფაქტი ქემალისტთა მიერ მოპოვებულ დიდ გამარჯვებად უნდა შეფასდეს. და მართლაც, ამ მომენტისათვის შემდეგი სურათია: კონსტანტინოპოლი სრულადაა ოკუპირებული, სულთანსა და მის „ბრწყინვალე პორტას“, ფაქტობრივად, ჩამორთმეული აქვთ რეალური ძალაუფლება, ხოლო კანონიერი ხელისუფლება, რომელიც უკვე მუსტაფა ქემალისა და ნაციონალისტების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, ანგორაში (ანკარა) ფუნდებდა.

ამ მოვლენებმა ახალ სიმაღლეებზე აიყვანა თურქ ნაციონალისტთა წინააღმდეგობის მოძრაობა. კონსტანტინოპოლის პარლამენტის ასეთი დასასრული თურქეთის ნაციონალური მოძრაობის განვითარების ახალი ეტაპის, ახალი ბრძოლისა და ახალი ერის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. ფაქტია, რომ 1920 წლის 16 მარტის მოვლენებმა საბოლოოდ დაასამარა თურქი ნაციონალისტების ანტანტასთან მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა. თურქი პატრიოტებისათვის ცხადი გახდა, რომ არავითარ საპარლამენტო ბრძოლას თურქული სახელმწიფოს გადარჩენისათვის აზრი აღარ ჰქონდა. ანტანტის ქვეყნების, განსაკუთრებით, ბრიტანელების უცერემონიო ძალისმიერი ჩარევის ფაქტმა ცხადი გახადა, რომ ერთ დროს უძლეველი ოსმალთა იმპერია ანტანტის რიგით კოლონიად უნდა გადაქცეულიყო.

თუმცა ოფიციალური კონსტანტინოპოლი სულ სხვანაირად ფიქრობდა. განსხვავებული იყო სულთან-ხალიფასა და ბრწყინვალე პორტას შემდგომი მოქმედებების ხასიათიც. ბრიტანული ოკუპაციით შეშინებული სულთანი და დიდი ვეზირი, ბრიტანელთა მიმართ ლოიალობის დასტურად, ნაციონალისტთა წინააღმდეგ იწყებენ აქტიურ მოქმედებებს. 1920 წლის აპრილში დამათ

ფერიდ ფაშას გადანყვეტილებით ღია სამხედრო კონფრონტაცია იწყება ნაციონალისტების წინააღმდეგ. ფერიდ ფაშას თაოსნობით იქმნება ე. წ. „სახალიფოს არმია“, რაც სამოქალაქო ომის დაწყების წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს. დაპირისპირების საბაბად, ამჯერად, რელიგიური ასპექტი იქნა წინა პლანზე წამოწეული. სამოქალაქო ომის ეს ეტაპი სულთანსა და მუსტაფა ქემალს შორის დაწყებული შეიარაღებული ბრძოლის მესამე ფაზას წარმოადგენდა.

თურქული ისლამის უმაღლესმა მმართველმა, შეიხ-ულ-ისლამმა ყველა მორწმუნე მუსლიმს მუსტაფა ქემალისა და ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა. 1920 წლის 11 აპრილს იმპერიის უმაღლესი სასულიერო იერარქის ფეტვას თანახმად მუსტაფა ქემალს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. იმავე წლის 11 მაისს იგივე განაჩენი გამოიტანა თურქეთის სამხედრო ტრიბუნალმა, რომელიც სულთნის მიერ იქნა დამტკიცებული 1920 წლის 24 მაისს. „მე-3 არმიის ყოფილ ინსპექტორს, მუსტაფა ქემალ ეფენდის სალონიკიდან, ალი რიზა ეფენდის შვილს, მიესაჯოს სიკვდილით დასჯა...“ [2] მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ მუსტაფა ქემალის სამართლებრივი დევნა ფორმალურად მხოლოდ 1923 წლის 24 ივლისს შეწყდა, შესაბამისი შეწყნარების თხოვნის საფუძველზე. [11] ამავე დროს, სულთნის სპეციალური ბრძანებით იქმნება სამხედრო ტრიბუნალები ანატოლიელი ლიდერების გასასამართლებლად. ალი ფუატ ჯებესოი, იზმეთ იუნონუ, ბექირ სამი კუნდუხი, ყარა ვაზიფი, ჰალიდე ედიპი, ადნან ბეი, ალფრედ რუსთემი და სხვა ნაციონალისტი ლიდერები დაუსწრებლად გასამართლდნენ. [2] ამ საკითხთან მიმართებით, მეტად დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ამ რეპრესიებს მუსტაფა ქემალის უახლოსი მეგობარი და ნაციონალისტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გენერალი ქიაზიმ ყარაბექირ ფაშა გადაურჩა. მიზეზი უცნობია. ეს მოვლენა იმ დროშიც იწვევდა ქემალისტების, ხოლო შემდგომში უკვე ისტორიკოსების გაცუებასა და დიდ ინტერესს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, გენერალი ქიაზიმ

ყარაბეჟირ ფაშა სულთნის რეპრესიებს გადაურჩა... ეს ამბავი მაშინაც აუხსნელ ფენომენს წარმოადგენდა და შემდგომშიც ვერ მოხდა ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხების მოძიება. როგორც ჩანს, იგი ისტორიის კიდევ ერთ პატარა საიდუმლოებად დარჩება.

„სახალიფოს არმიისა“ და შეიხ-ულ-ისლამის მოწოდების სა-პასუხოდ, ნაციონალისტური იდეების წინ წამოწევიტ მუსტაფა ქემალი ინყებს ანატოლიის 153 მუფტიის მობილიზებას. ამ მხრივ დიდი სამუშაოები იქნა ჩატარებული. მუსტაფა ქემალმა ისიც კი მოახერხა, რომ თავის მხარეს მიიმხრო ბექთაშის ორდენისა¹ და ჰეტეროდოქსი შიიტების, ასევე ალავიტების² ლიდერები (Çelebi)

¹ ბექთაშის ორდენი – სუნიტური ორდენი, დაარსებული ჰაჯი ბექთაშის მიერ XIII საუკუნეში. ახლოს დგას შიიზმთან (ალისადმი თავყვანისცემის გამო). შეიცავს ქრისტიანობის გარკვეულ ელემენტებს (ნათლობა). გავრცელებული იყო ოსმალთა იმპერიაში, ალბანეთსა და ბოსნიაში, ძირითადად, გამუსლიმებულ ქრისტიანებში. სამყარო აღიქმებოდა ტრიადის მეშვეობით – ალაჰი, მუჰამედი, ალი. რიტუალური საკვები – ღვინო, პური, ყველი. ბექთაშის ორდენის წევრები წარმოადგენდნენ თავისუფლად მოაზროვნეთა კასტას, რომელიც ტრადიციული ისლამის საყოველთაო წესებს სცდებოდა. ოსმალთა იმპერიაში ბექთაშის ორდენის წევრებს განეკუთვნებოდნენ ოსმალთა ჯარის ელიტარული ნაწილის – მეომარ იანიჩართა კორპუსის წევრები. 1826 წლიდან, იანიჩართა კასტის გაუქმებასთან ერთად ბექთაშები კარგავენ პრივილეგიებულთა სტატუსს. 1925 წლიდან კი, პრეზიდენტი მუსტაფა ქემალის მიერ თურქეთის რესპუბლიკაში გატარებული სახელმწიფო რეფორმებისა და ბექთაშის ორდენის დევნის გამო, მისი წევრები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თურქეთი და გადასულიყვნენ ალბანეთში.

² ალავიტები – იგივე ნუსაირიტები, ისლამის შიიტური მიმართულების ეზოთერული მიმდინარეობის – ალავიზმის მიმდევრები. ალავიზმი ისლამური რელიგიური მიმდინარეობებისა და სექტების დასახელებაა, რომელიც დგას უკიდურესი შიიზმისა და ცალკე არსებულ რელიგიას შორის. ზოგიერთი მუსლიმი თეოლოგის მიხედვით, ალავიტები ისე შორს დგანან შიიზმისა და დომინანტური ისლამური მიმდინარეობებისაგან, რომ ალავიზმი განხილულ უნდა იქნას, როგორც ცალკე მდგომი რელიგია – ისლამის, ქრისტიანობისა და წარმართული აღმოსავლური რელიგიების ნაზავი. მიღებულია, რომ ალავიზმი დაარსებულია აბუ შაჰინ იბნ ნუსაირის მიერ IX საუკუნეში. გავრცელებული იყო ოსმალთა იმპერიაში. იმპერიის გაუქმებისა და თურქეთის რესპუბლიკის შექმნისთანავე, ქვეყნის პრეზიდენტის, მუსტაფა ქემალის მიერ დაიწყო ალავიტთა დევნა, რომლებმაც საფრანგეთის მანდატით დაცულ სირიაში დაიწყეს გადასვლა. 1970 წელს, საბჭოთა სპეცსამსახურების მხარდაჭერითა და დახმარებით, სირიის არმიის ოფიცერთა ჯგუფის მიერ სირიაში ხორციელდება სამხედრო გადატრიალება. ხელისუფლების სათავეში პროსაბჭოური ორიენტაციის ალავიტი

და მათი მიმდევრები, რომლებიც იმ დროისათვის ანატოლიის მოსახლეობაში რაოდენობითაც და გავლენითაც საგრძნობ ძალას წარმოადგენდნენ. [12, 59] ნაციონალისტებმა, ამჯერადაც, არ გადაუხვიეს საკუთარი მოქმედებების ტაქტიკურ ხაზს. მათ სულთან-ხალიფა მსხვერპლად წარმოადგინეს, ხოლო სამშობლოს მოლალატეებად დიდი ვეზირი და „ბრწყინვალე პორტა“ გამოაცხადეს. ქემალისტებმა სულთანი, ამჯერადაც, ხელუხლებელ ფიგურად გამოიყვანეს. ნათელი გახდა, რომ „მოდმეთა სისხლის“ დაღვრა გარდაუვალი იყო. ისიც ფაქტია, რომ მუსტაფა ქემალის „ნაციონალური ძალები“ (Kuva-yi Milliye) ძირითადად ეთნიკურად არათურქი ხალხების – ჩერქეზების, ქართველების, ქურთების, არაბებისა და ალბანელებისაგან შედგებოდა, რომლებიც ქემალისა და ნაციონალისტების ერთგულ ძალას წარმოადგენდნენ.

1919 წლის აპრილში სულთანი აჰმედ ანზავურს იზმიტის გუბერნატორად ნიშნავს. იმავე წლის შემოდგომაზე იგი ქემალისტთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში მარცხდება. მაგრამ 1920 წლის თებერვალში დაწყებული ახალი შეიარაღებული გამოსვლებით აჰმედ ანზავურის რაზმები მარმარილოს ზღვის მთელ დასავლეთ სანაპიროს იკავებენ. ამ წარმატებისათვის სულთნის ბრძანებით მას გენერლის წოდება ენიჭება.

საერთო ჯამში, ისლამისტური ელფერით შეფერილი „სახალი-ფოს არმიის“ არსებითად ჩერქეზთა ამბოხი, რომელიც იტიჰადისტთა რეჟიმისა და ქემალისტთა წინააღმდეგ იყო მიმართული, თავად ჩერქეზთა, ოღონდ უკვე სხვა ჩერქეზთა ხელით იქნა ჩახშობილი. რამდენიმე გაბედული შებრძოლების შემდეგ, ეთჰემ ჩერქეზის, ალი ფუატ ჯებესოისა და რეფეტ ბელეს მეთაურობით „ნაციონალურმა

ლიდერი, გენერალი ჰაფეზ ალ ასადი მოდის, რომელიც სირიის პრეზიდენტი ხდება. დღეისათვის სირიას მისი შვილი, ბაშარ ალ ასადი მართავს. უკანასკნელ ხანს შეინიშნება ალავიტების დაახლოება შიიტებთან, რაც ინიცირებული იყო ჰაფეზ ალ ასადის მიერ. ეს პროცესები კიდევ უფრო გაძლიერდა ბაშარ ალ ასადის მმართველობის პერიოდში. ამჟამად, ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომის, მწვავე სამხედრო-პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირების ფონზე ძლიერდება სირიის ალავიტური რეჟიმის დაახლოების პროცესი ირანის შიიტურ რეჟიმთან.

ძალებმა“ გამარჯვება მოიპოვეს. ბრძოლებში გამოუცდელი და არამოტივირებული „სახალიფოს არმია“ კი, დამარცხდა და დაიშალა. ამჯერადაც, მუსტაფა ქემალმა გაიმარჯვა. [2]

თავად მუსტაფა ქემალი, უკვე შემდგომ, აჰმედ ანზავურის აჯანყების შესახებ წერდა: „ანზავურის აჯანყება 1920 წლის 21 სექტემბერს დაიწყო ბალიკესირის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში. იმავე ნაწილში მეორე აჯანყება 1921 წლის 16 თებერვალს მოხდა. ორივე ეს გამოსვლა ჩახშობილ იქნა ჩვენი ჯარებით. 19 აპრილისათვის კი, აჯანყებამ მოიცვა რაიონები ბეი ბაზრამდე. ამ მომენტში, უკვე მესამედ, გამოდის სცენაზე ანზავური. ეს მოხდა 11 მაისს ადა ბაზარისა და გეივეს რაიონში, სადაც ის ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული 500 კაციანი რაზმით თავს დაესხა ჯარის სუსტ ნაწილებს“. [13, 80] ხოლო 1922 წელს საბჭოთა რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენელთან, სემიონ არალოვთან საუბრისას, მუსტაფა ქემალი ჩერქეზი აჰმედ ანზავურის შეიარაღებული გამოსვლების შესახებ აცხადებდა: „ყველაზე დიდი აჰმედ ანზავურის გამოსვლა იყო. ამ სულთნისა და ინგლისელი იმპერიალისტების მიერ ხელდასმულმა კაცმა და ნაციონალური მოძრაობის შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ, ბანდირმას რაიონში დაიწყო გამოსვლები. მის წინაშე დაისვა ამოცანა, რომ ზურგში დაერტყა ნაციონალური ფრონტისათვის. ანზავურმა მოახერხა დიდი ძალების თავმოყრა. ბიძში დიდი ბრძოლები გაიმართა, სადაც ანზავურმა შეძლო გამარჯვების მოპოვება და ნაციონალური ძალების გაფანტვა, რამაც ხელი შეუწყო ბერძნებს მოეხდინათ სმირნისა და ადანის ოკუპაცია, შექმნილიყო სტამბოლში სახალიფოს უმაღლესი საბჭო, გამოქვეყნებულიყო ბოლშევიზმის წინააღმდეგ ფეტვა. მაგრამ ბოლოსდაბოლოს ანზავური დამარცხდა და მან გაქცევით უშველა თავს“. [14, 116]

1920 წლის 23 აპრილს მუსტაფა ქემალის ინიციატივით უკვე ანგორაში (ანკარა) იქნა მოწვეული შეურიგებელი ოპოზიციის წევრთა კონგრესი – ე. წ. „თურქეთის დიდი ეროვნული კრება“

(Türkiye Büyük Millet Meclisi), რომელიც კონსტანტინოპოლის უკვე გაძევებულ და გაუქმებულ პარლამენტს უნდა ჩანაცვლებოდა. იგი უნდა გამხდარიყო ოსმალთა იმპერიის ნარჩენი ტერიტორიების ახალი საკანონმდებლო ორგანო. „დიდი ეროვნული კრების“ პირველსავე სესიაზე ჩამოყალიბდა კონსტანტინოპოლის მთავრობის ალტერნატიული მინისტრთა კაბინეტიც. დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარედ (პრეზიდენტად) და მთავრობის მეთაურად მუსტაფა ქემალი იქნა არჩეული. მთავრობის შემადგენლობაში კი მუსტაფა ქემალის მეგობრები და თანამებრძოლები შევიდნენ: ბექირ სამი კუნდუხი – საგარეო საქმეთა მინისტრი, ჰაკი ბექიში – ფინანსთა მინისტრი, ისმაილ ფაზილი, ალი ფუატ ჯებესოის მამა – შრომის მინისტრი, გენერალი ფევზი ჩაქმაქი – სამხედრო მინისტრი და გენერალი იზმეთ იუნონუ – ქემალისტთა შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი. [2]

„დიდი ეროვნული კრების“ საპროგრამო დოკუმენტად „ეროვნული პაქტი“ იქნა მიღებული. მუსტაფა ქემალი: „სრული დამოუკიდებლობის ქვეშ, ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის სრული ეკონომიკური, ფინანსური, სამართლებრივი, სამხედრო, კულტურული დამოუკიდებლობა და თავისუფლება ნებისმიერ ფასად. დამოუკიდებლობის ან მისი ნებისმიერი შემადგენელი ნაწილის უქონლობა, სახელმწიფოსა და ერისათვის დამოუკიდებლობის სრულად წართმევის ტოლფასია“. [15, 3]

მეორე დღეს მუსტაფა ქემალმა პირველად მიმართა ერს „დიდი ეროვნული კრების“ თავმჯდომარის რანგში. და აქაც მან ისევ სულთნისა და ხალიფას უზენაესობა დაიცვა: „ის განცხადებები, რომ ჩვენ სულთნისა და ხალიფას წინააღმდეგ გამოვდივართ, ტყუილია. ჩვენ, თქვენი დეპუტატები, ღმერთისა და მისი მოციქულის წინაშე ვფიცავართ, რომ ერთადერთი რაც ჩვენ გვინდა, არის ის, რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და არ გავიზიაროთ ინდოეთისა და ეგვიპტის ბედი“. [16, 278] გამოსვლის ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ მუსტაფა ქემალი ამ ეტაპზეც თითქოს არ გამოდის სულთნისა და ხალიფას წინააღმდეგ და

იგი მხოლოდ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა თურქ ხალხს. მაგრამ ეს მხოლოდ ამ ეტაპზე. რეალობა კი სულ სხვა იყო – დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე სიმართლეს არ ამბობდა. ეს მხოლოდ მცირე ტაქტიკური ხრიკი იყო, რომელიც შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარეობდა. სეკულარიზმის პრინციპების დამცველი მუსტაფა ქემალი, მრწამსით დაჯერებული ათეისტი და რესპუბლიკელი იყო. იგი თავიდანვე მონარქიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ გამოდიოდა და მისთვის მხოლოდ რესპუბლიკა წარმოადგენდა მომავალი თურქეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთადერთ მისაღებ ფორმას. ამ მოვლენებიდან ძალიან მალე, უკვე რეალური ხელისუფლების მოპოვების შემდეგ, 1922 წელს, დიდი ეროვნული კრების წინაშე გამოსვლისას, მუსტაფა ქემალმა ძალიან მკაცრი და მუქარის შემცველი ტონით, სასულთნოს მრავალსაუკუნოვანი ინსტიტუტის არსებობა სახელისუფლებო უზურპაციად შეაფასა. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა დეპუტატებს: „ბატონებო, დამოუკიდებლობა და სასულთნო არ გადასულა ცოდნის, დებატებისა თუ დისკუსიების საფუძველზე ვინმედან ვინმეზე. დამოუკიდებლობა და სასულთნო მოპოვებულ იქნა ძალის გზით. ოსმანის შთამომავლების მიერ თურქი ერის დამოუკიდებლობა და სასულთნო გადაეცემოდა ძალისა და იძულების გზით. და ეს უზურპირება ექვსი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. ახლა თურქი ხალხი აღდგა, რომ ბოლო მოუღოს ამ უზურპაციას და თავის ხელში აიღოს დამოუკიდებლობა და სასულთნო. ეს მომხდარი ფაქტია. საკითხის არსი კი იმაში მდგომარეობს, დავტოვებთ თუ არა დამოუკიდებლობისა და სასულთნოს ბედს ხალხის ხელში. ეს ნებისმიერ შემთხვევაში ასე მოხდება. საკითხის არსი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა გამოვხატოთ ეს საკითხი. რადგან აქ შევიკრიბეთ, ასამბლეამ ყველა საკითხს საღად უნდა შეხედოს. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მეთანხმებით. და თუ კიდევ არ მეთანხმება ვინმე, ჭეშმარიტება მაინც ნახავს თავის

გზას, მაგრამ ამ პროცესში ზოგიერთის თავი შეიძლება ძირს გაგორდეს“. [17, 258]

მივყვებით მოვლენათა მსვლელობას და აღვნიშნავთ, რომ 1922 წლის 1 ნოემბერს დიდმა ეროვნულმა კრებამ სახალიფოს სასულთნოსაგან გამოყოფისა და სასულთნოს გაუქმების შესახებ კანონი მიიღო. ორი კვირის შემდეგ, 1922 წლის 17 ნოემბერს, ოსმალთა უკანასკნელმა სულთანმა, მეჰმედ VI ვაჰიდედინმა ბრიტანული წყალქვეშა ნავით დატოვა კონსტანტინოპოლი. მალე კი, სულთნის ბედი ოსმალთა დინასტიის უკანასკნელმა ხალიფამ, სულთნის ბიძაშვილმა, აბდულ მეჯიდ II-მაც გაიზიარა. მოგვიანებით, 1927 წელს, თურქი ხალხისადმი წარმოთქმულ თავის ცნობილ სიტყვაში (Nutuk) მუსტაფა ქემალმა ღიად განაცხადა, რომ მისი ჭეშმარიტი ჩანაფიქრი ყოველთვის სულთნის საწინააღმდეგო პოზიცია და რესპუბლიკური შეხედულებები იყო, მაგრამ თავის შეხედულებებს ღრმად ინახავდა გულში „ეროვნული საიდუმლოს“ სახით. [18, 7]

მაგრამ ყოველივე ეს მოგვიანებით იქნება, მას შემდეგ რაც მუსტაფა ქემალი რეალურ ძალაუფლებას მოიპოვებს, ბერძნებისა და ანტანტის წინააღმდეგ წარმოებულ „დამოუკიდებლობის ომში“ გამარჯვებული – „ყაზის“ ტიტულს და მარშლის სამხედრო წოდებას მიიღებს, თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი და სახელმწიფოს, ფაქტობრივად, ერთპიროვნული მმართველი გახდება. მანამდე კი, 1920 წლის მდგომარეობით, სულთანთან არსებული შეურიგებელი დაპირისპირების დასაფარავად, შესაბამისი გამოსავალი იქნა მოძიებული – „დიდი ეროვნული კრების“ მიერ სულთანი ქმედითუწუნაროდ ჩაითვალა, იგი ანტანტის ფაქტობრივ ტყვედ იქნა მიჩნეული. შესაბამისად, მისი ყველა განკარგულება თუ ფირმანი ანულირებულად და ძალადაკარგულად გამოცხადდა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობა დიდმა ეროვნულმა კრებამ აიღო თავის თავზე, კონსტანტინოპოლის მთავრობა კი, ნელ-ნელა ჩრდილოვან კაბინეტად იქცა. რეალურად შექმნილ მდგომარეობას თანდათან ფორმალური სახე

მიეცა – მოვლენები მუსტაფა ქემალის მიერ დასახული გეგმის შესაბამისად ვითარდებოდა. ფაქტობრივად, ეს იყო ორხელისუფლებიანობის დასაწყისი, ორხელისუფლებიანობისა, რომელიც დიდხანს არ გაგრძელდება... მალე ყველაფერს წერტილი დაესმევა და ყველაფერს თავ-თავისი სახელიც დაერქმევა...

ჯერ-ჯერობით კი, კონსტანტინოპოლსა და ანატოლიის ზეგანზე არსებულ ძალთა კონფიგურაციას, შექმნილ მდგომარეობასა და პოლიტიკურ სიმპათიებს შემდეგი სახე ჰქონდა – უინსტონ ჩერჩილი: „პარიზის ხალიჩებით მორთულ და მოოქროვილ დარბაზებში მსოფლიოს ახალი კანონმდებლები სხდომებს მართავდნენ. კონსტანტინოპოლში, რომელსაც მოკავშირეთა ფლოტების ქვემეხები ემუქრებოდა, თურქეთის მარიონეტული მთავრობა იჯდა. ამავე დროს კი, სადღაც ანატოლიის ზეგნის რთულად მისადგომადგილებში ლატაკთა ჯგუფი ცხოვრობდა, რომლებიც შექმნილ მდგომარეობას არ ურიგდებოდნენ. მათთან ერთად, დანთებულ კოცონებთან, დევნილის ძონძებით შემოსილი სამართლიანობის დიადი სული ზეიმობდა“... [10]

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Вейт Е., Дело Анзавура, Мустафа Кемаль, Путь новой Турции (1919-1927), Т. II. Подготовка Ангорской базы (1919-1920), Государственное социально-экономическое издательство, 1932.

2. Александр Жевахов, Кемаль Ататюрк, Перевод осуществлен по изданию: Alexandre Jevakhoff. Kemal Atatürk, Paris, Tallandier, 1999. http://www.e-reading.bz/chapter.php / 1013613 /63 /Zhevahov_-_Kemal_Atatyurk.html.

3. Gingeras, Ryan Sorrowful Shores, New York: Oxford University Press, (2009).

4. John M. Vanderlippe, The politics of Turkish Democracy. İsmet İnönü and the Formation of the Multi-Party System, 1938-1950, State University of New York Press, Albany, 2005.

5. Джон Киракосян. «Младотурки перед судом истории». Ереван, Издательство «Айастан», 1986г.

6. Sabahattin Selek, *Anadolu Ihtilali*, Istanbul 1987; 1. Cilt, s.276. Akşin, Sinah (2007). *Turkey From Empire to the Revolutionary Republic: The Emergence of the Turkish Nation 1789 to Present*, New York: New York University Press.

7. Akşin, Sinah *Turkey From Empire to the Revolutionary Republic: The Emergence of the Turkish Nation 1789 to Present*, New York: New York University Press, 2007.

8. Constantinople, *The New York Times*, March 19. 1920.

9. Bülent Gökay. *The Illicit Adventure of Rawlinson. British Intelligence in the Final Phase of the Ottoman Empire*. 1993. Pg. 97. Cambridge, Churchill College Center. De Robeck Papers, DRBK London, PRO; E 2805/37/44 and E 4395/37/44.

10. Черчилль В., *Мировой кризис 1918-1925*, Глава XVII, *Живая Турция*, Пер. с англ. с предисл. И. Минца, Москва, Ленинград: Государственное военное издательство, 1932. Churchill W.S. *The World Crisis 1918-1925*, London: Thorton Butterworth, 1923. <http://militera.lib.ru/memo/0/one/english/churchill2.rar>.

11. *Amnesty Declaration and Protocol*, signed 24 July 1923.

12. *Turkey's Alevi Enigma: A Comprehensive Overview*. Ed. By Paul J. White and Joost Jongerden. Leiden, Boston: Brill. 2003. (*Social-economic and political studies of the Middle East and Asia: Vol. 88*).

13. Мустафа Кемаль, *Путь новой Турции, 1919-1927*, Т. III, *Интервенция союзников, Греко-Турецкая война и консолидация национального фронта 1920-1921*, Государственное социально-экономическое издательство. Москва, 1934.

14. Аралов С. И., *Воспоминания советского дипломата, 1922–1923*, Издательство института международных отношений, Москва, 1960.

15. Kamuran Gurun, *The War of Independence*, Ankara, 1982.

16. Andrew Mango, *Atatürk*, John Murray (Publishers), London, 2004.

17. Lewis, Bernard, *The Emergence of Modern Turkey*, London, Oxford, New York: Oxford University Press, 1968. http://hakanyilmaz.info/yahoo_site_admin/assets/docs/Hakan_Yilmaz-2008-KemalistRevolution-ErgunOzbudunArmagan.28462123.pdf.

18. Prof. Dr. Hakan ılmaz Boğaziçi. Üniversitesi Siyaset Bilimi ve Uluslararası İlişkiler Bölümü. *The Kemalist Revolution and the Foundation of the One-Party Reime in Turkey: A Political Analysis*. In Ergun Özbudun'a Armağan, ed. Serap Yazıcı et al., 2008. http://hakanyilmaz.info/yahoo_site_admin/assets/docs/HakanYilmaz-2008-KemalistRevolution-ErgunOzbudunArmagan.28462123.pdf.

Archil Chachkhiani

Doctor of History, Colonel Rtd., David Agmashenebeli Georgian National Defense Academy, Full Professor

Sultan Mehmed VI and General Mustafa Kemal (Ataturk) – the Beginning of Big Conflict

Summary

The article discusses the genesis of the new Turkish Forces` opposing movement connected to the so-called „National Forces“ and its leader, general Mustafa Kemal since 1918. This movement was directed against foreign military intervention, Sultan and „Sublime Porte“.

The main idea of that movement was the realization of the „National Pact“ approved at Sivas Congress initiated by Mustafa Kemal on September 11, 1919. According to the Pact, the new Turkish movement would break up the relationship with the government of Constantinople, abolish the cabinet and invite a new parliament. At the same time, armed 7ght would be started against foreign intervention. Consequently, abolishment of Sultan and Caliphate Institutes would be unavoidable as it happened.

ვასილ კაჭარავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის
ხელმძღვანელი

რონალდ რეიგანის ადმინისტრაცია და პოლონეთის კრიზისი

1980 წლის აგვისტოში გდანსკში, ლენინის სახელობის დოკუმბი, გაიფიცნენ მუშები, რომელთაც პროფკავშირ „სოლიდარობის“ ლიდერი ელექტრიკოსი ლეხ ვალენსა ხელმძღვანელობდა. ამას მოსკოვში მძაფრი რეაქცია მოჰყვა. კომისიაც შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის უაღრესად გავლენიანი მდივნის საბჭოთა იდეოლოგიის უაღრესად რეაქციული კურატორის, თავისებური რუხი კარდინალის, მიხეილ სუსლოვის ხელმძღვანელობით. პოლონეთის მოვლენებმა მეზობელი სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური ლიდერებიც შეამფოთა – სოლიდარობის პროფკავშირი მათთვისაც საფრთხე იყო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთიანი სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი ერიჰ ჰონეკერი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის გენერალური მდივანი გუსტავ ჰუსაკი, სამხედრო მანევრების საფარქვეშ, პოლონეთში საბჭოთა ჯარებთან ერთად სასწრაფოდ შეჭრასაც კი მოითხოვდნენ. ბულგარელი კომუნისტებიც შეშფოოდნენ. 1981 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ვარშავის პაქტის ჯარები პოლონეთის საზღვრების გასწვრივ მოძრაობდნენ.

სოლიდარობის გასანეიტრალებლად საბჭოთა კავშირი ინტერვენციასაც კი გეგმავდა, ისევე როგორ 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში გააკეთა, მით უმეტეს, რომ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ლიდერები მზად იყვნენ გვერდში ამოსდგომოდნენ მას.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რო-

ნაღდ რეიგანი სულაც არ აპირებდა უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის მოვლენების მსგავს გარგძელებას შერიგებოდა პოლონეთში და მიაჩნდა, რომ თავის დროზე იქ ამერიკელთა პასიურობა სრულიად გაუმართლებელი იყო. ამერიკელებმა გადაწყვიტეს აქტიურად დახმარებოდნენ „სოლიდარობას“ ფულითაც და თავისი გავლენითაც.

1981 წლის 12 დეკემბერს პოლონეთის უშიშროებამ „სოლიდარობის“ წევრთა დაპატიმრება დაიწყო და გენერალ იარუზელსკიმ ეროვნული გადარჩენის სამხედრო საბჭოს შექმნა გამოაცხადა, რასაც ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის შემოღება მოჰყვა; თუმცა, მეორე მხრივ, ეს მაშინ საბჭოთა ინტერვენციის თავიდან აცილების, ალბათ, ერთადერთი საშუალება იყო.

რეიგანმა პოლონეთში ანტიკომუნისტურ გამოსვლებსა და ნაბიჯებს ინტენსიურად დაუჭირა მხარი. მან აღნიშნა: „ჩვენ ცხოვრებაში შეიძლება მეტი არასოდეს მოგვეცეს ასეთი შანსი“. მხარდაჭერა „სოლიდარობას“, სანქციები პოლონეთის მთავრობას. საბჭოთა მთავრობას კი მოუწოდებდა სამხედრო ძალით არ შეჭრილიყო პოლონეთში [9, 211]. ამერიკის თავდაცვის მინისტრმა კასპარ უანბერგერმა გენერალ იარუზელსკის „პოლონურ ფორმაში გამოწყობილი საბჭოთა გენერალი“ უწოდა, რამაც იგი უაღრესად აღაშფოთა და სახელმწიფო დაპარტამენტისგან ბოდიშის მოხდასაც კი ითხოვდა. თავად უანბერგერს ეს ნაკლებად ადარდებდა. არადა, იარუზელსკის როლი მთელ ამ ამბებში არც ისე მარტივი იყო.

რეიგანმა უსაფრთხოების საბჭოზეც მტკიცედ განაცხადა „საბჭოელების ზურგამაგრებული აქცია უნდა შეჩერდეს“. თავისი დღიურში კი ჩაწერა:

„ეს შეიძლება ჩვენი ცხოვრების მანძილზე ბოლო შანსი იყოს, ვიხილოთ ცვლილება საბჭოთა კოლონიალური იმპერიის აღმოსავლეთ ევროპულ ნაწილში“ [11, 166]. იგი აპირებდა სამხედრო მდგომარეობის გაუქმების, პატიმართა განთავისუფლების, ლეხვალენსასა და მთავრობას შორის მოლაპარაკებების დაწყების

მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში მკვეთრ ზომებს მიიღებდა მკაცრი ეკონომიკური სანქციების მეშვეობით.

რეიგანმა, 1981 წელს 23 დეკემბერს, ამერიკელი ხალხისადმი საშობაო მიმართვაც კი, უხვად გააჯერა პოლონეთში ვითარების გარჩევით: „წელს პოლონელები ვერ ზეიმობენ ღირსეულად შობას, იმიტომ რომ მათ საკუთარმა მთავრობამ უღალატა“. ილაპარაკა „სოლიდარობის“ წინააღმდეგ გატარებულ რეპრესიებზე. იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ვარშავის ხელშეკრულების ჯარების უფროსი მარშალი კულიკოვი და სხვა საბჭოთა გენერლები იმყოფებოდნენ მანამდე პოლონეთში და ეს ყოველივე, ჯერ კიდევ, სექტრმბერში დაიგეგმა მათი ზეწოლით. „36 მილიონი პოლონელიდან 10 მილიონი „სოლიდარობის“ წევრია და მათ ოჯახის წევრებთან ერთად ეს პოლონელი ერის დიდი ნაწილია. ასე რომ, სოლიდარობის წინააღმდეგ გამოსვლა ეს პოლონელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაა“. უმკაცრესად დაემუქრა პოლონეთის მთავრობას ამ ქცევის გამო: „ამ საღამოს ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ თუ ვითარება არ შეიცვლება ჩვენ ვერ გავაგრძელებთ ურთიერთობას ისე, თითქოს არაფერი მომხდარა. მერწმუნეთ, მათ ძვირად დაუჯდებათ ეს დანაშაული, როგორც ამერიკის, ასევე ყველა თავისუფალი ქვეყნების მხრიდან.

ამ პერიოდში სპეციალური კერძო ჰუმანიტარული არხებით პოლონელ ხალხს საკვებით დავეხმარებით. მხოლოდ იმ პირობით თუ გვეცოდინება, რომ ეს პოლონელ ხალხს მისდის. მეზობელმა ავსტრიამ საზღვარი გახსნა პოლონელი ლტოლვილებისთვის. ამ ლტოლვლთა დასახმარებლად ამერიკამ ავსტრიას სპეციალური სახსრები გადასცა საკვების შესაძენად“.

ამერიკის პრეზიდენტმა, თავის მხრივ, ჩამოთვალა ის ეკონომიკური სანქციები პოლონეთის მთავრობის მიმართ, რომელთა გატარებასაც აპირებდა: ექსპორტ-იმპორტ ბანკის კრედიტების შეზღუდვა პოლონეთის მთავრობისადმი, პოლონეთის სამოქალაქო ავიაციის პრივილეგიების გაუქმება ამერიკაში, პოლონელებისთვის თევზჭერის აკრძალვა ამერიკის წყლებში. „და

ჩვენ მოკავშირეებს მოვუწოდებთ შეწყვიტონ მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი პოლონეთში. ძალიან კარგად ვიცი, რომ ყოველივე ამის უკან საბჭოთა კავშირი დგას და უკვე მივწერე კიდევ ნერილი ბრეჟნევს, რათა ნება დართოს პოლონეთში ადამიანის უფლების აღდგენას და დაიცვას ჰელსინკის აქტის შეთანხმებები“. ამ გამოსვლას პრეზიდენტმა ერთი საინტერესო და საგულისხმო დეტალიც დაამატა:

„პოლონეთის ყოფილმა ელჩმა რომუალდ სპასოვსკიმ, რომელიც ჩემთან იყო გუშინ, მითხრა, რომ პოლონელები საგანგებო ვითარების წინააღმდეგ სოლიდარობის ნიშნად ამ შობის ღამეს ანთებულ სანთელს დგამენ ფანჯრის რაფაზე, რათა აჩვენონ, რომ თავისუფლების სინათლე კვლავ მათ გულებშია. ელჩმა მთხოვა მეც დამენთო სანთელი თეთრი სახლის ფანჯრის რაფაზე, რათა მეჩვენებინა ჩემი სოლიდარობა პოლონელი ხალხის მიმართ. მოგიწოდებთ ყოველ თქვენგანს, იგივე გააკეთოთ ხვალ, შობის ღამეს, პოლონელი ხალხისადამი სოლიდარობის ნიშნად“. [1] უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ბევრმა აიტაცა ეს მიმართვა. ვინაიდან, სხვებთან ერთად, პოლონელებს, აღმოსავლეთ ევროპის ხალხთაგან, ალბათ, ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით ამერიკის შექმნასა და განვითარებაში. 1981 წლის 17 თებერვალს წარმომადგენელთა პალატის წევრმა ილინოისიდან ანუნუციომ ხანგრძლივი სიტყვა მიუძღვნა პოლონეთის ეროვნული გმირის თადეუშ კოსციუშკოს სამხედრო გენიას. 1981 წლის 17 თებერვალს წარმომადგენელთა პალატის წევრმა ილინოისიდან ანუნუციომ ხანგრძლივი სიტყვა მიუძღვნა პოლონეთის ეროვნული გმირის თადეუშ კოსციუშკოს სამხედრო გენიას და მის როლს ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ომში. [6, 2228-2230]

რეიგანისეული სანქციები მძიმე დარტყმა იყო პოლონეთის ეკონომიკაზე, რომელიც მნივენლოვანნილად სწორედ ამერიკასთან ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული. პოლონეთი დიდი რაოდენობის ნატურალურ პროდუქტსა და სხვა საქონელს ყიდდა ამერიკაში. რეიგანის სანქციებმა პოლონეთში სერიოზული პრობ-

ლემები შეუქმნა ასევე დასავლურ ინვესტიციებსაც.

1983 წელს 23 ივნისს ჩიკაგოს პოლონური წარმოშობის ამერიკელებთან შეხვედრაზე (ამბობენ, რომ ჩიკაგო ყველაზე დიდი პოლონური ქალაქია ვარშავის შემდეგ და დიდი ჩიკაგოს რაიონში 1,9 მილიონი პოლონური წარმოშობის ამერიკელი ცხოვრობს) რეიგანმა, ძირითადად, პოლონეთის პრობლემებზე ისაუბრა. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი რომის პაპის ვიზიტს მის მშობლიურ პოლონეთში: „ვიზიტის 8 დღის მანძილზე პაპის იმედის გზავნილებმა გული მილიონობით პოლონელს გაუმაგრა“. [5] აღსანიშნავია, რომ რომის პაპი აღნიშნულ წლებში რამდენიმეჯერ ესტუმრა პოლონეთს და უაღრესად დიდი როლი ითამაშა პოლონელთა სულისკვეთების გაძლიერებაში.

1981 წელს რეიგანმა რომის პაპს სატელეფონო საუბარში პირადად მოახსენა, რომ ამერიკა „სოლიდარობას“ დაეხმარებოდა: „თქვენო უწმინდესობავ მინდა იცოდეთ, თუ როგორ ღრმად განვიცდით ვითარებას თქვენს სამშობლოში. ველი იმ დროს, როცა პირადად შეგვხდებით. ჩვენი სიმპატია ხალხის მიმართაა და არა მთავრობის. ჩვენი ქვეყანა შთაგონებულია თქვენი ვიზიტით პოლონეთში, როდესაც ვიხილეთ ხალხის დამოკიდებულება რელიგიისა და მისი ღმერთისადმი რწმენა. ეს შთაგონების წყაროა მთელი მსოფლიოსთვის. ყველა ჩვენგანი უაღრესად აღელვებულია“.[4]

ამერიკელი ექსპერტები შიშობდნენ, რომ პოლონელი ხალხის მარცხი კომუნისტების კიდევ ერთი გამარჯვება იქნებოდა, რაც გაამხნევებდა მათ მოკავშირეებს სირიაში, ლიბიასა და კუბაზე. ბევრი რამ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებდა პოლონეთში.

მაგრამ მალე გაირკვა, რომ პოლონეთის დახმარება ამერიკას პრაქტიკულად მარტო მოუწევდა. დასავლეთ ევროპას ეშინოდა და თანაც აქ სოციალისტური ინტერნაციონალიც ჯერ კიდევ ძლიერი იყო, რომელიც გერმანიის, ბრიტანეთის და საფრანგეთის სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტებს მოიცავდა.

ისინი ადამიანის უფლებებს პოლონეთში თურქეთს ადარებდნენ, ხოლო საბჭოეთის მიერ ავღანეთის ოკუპაციას – სალვადორში სამოქალაქო ომს. მაგრამ არასოდეს ამბობდნენ, რომ ავღანეთში 90 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი იყო შესული, სალვადორში კი 55 ამერიკელი სამხედრო მრჩეველი. განსაკუთრებით დაშინდა დასავლეთ გერმანია, იგი მოლოდინს არჩევდა. საერთოდ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, პოლონეთის მოვლენების გამო, არ უნდოდათ საბჭოეთთან ურთიერთობის გაფუჭება. საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი ამართლებდა კიდეც საგანგებო კანონებს. კანცლერმა ჰელმუტ შმიტმა, რომელიც 1982 წლის დასაწყისში სპეციალურად ჩამოვიდა ვაშინგტონში პოლონეთის საკითხის განსახილველად, საქმიან საუბრებზე, შედარებით არაფორმალურ ვითარებაში ალექსანდრე ჰეიგთან საუბარში ღიად აღნიშნა, რომ საბჭოეთს პოლონეთი თავისად მიაჩნდა და რეიგანის მხრივ სისულელე იქნებოდა „ევროპის ომისშემდგომი დაყოფის შეცვლის მცდელობა“. შმიდტი იქამდეც კი მივიდა, რომ სამხედრო მდგომარეობას ამართლებდა, სხავასთან ერთად იმითაც, რომ „პოლონელებს ორგანიზაციული კვალიფიკაცია აკლიათ და რომანტიკული გადახრები აქვთო“. [11, 168] რეიგანს ბოლომდე დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი მარგარეტ ტეტჩერიც კი არ გაჰყვა. მართალია მან აღიარა, რომ სამხედრო მდგომარეობის შემოღება პოლონეთში ბარბაროსობა იყო და მხარი დაუჭირა სანქციებს პოლონეთის მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ, ამასთანავე, სკეპტიკურად იყო განწყობილი უშუალოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მიმართ.

რეიგანის ასეთ დინამიურ ბრძოლას პოლონეთისთვის თვით ამერიკაშიც მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ცნობილი „გრძელი დეპუტის“ ავტორი ჯორჯ კენანიც არ იწონებდა ამ მიდგომას და რეიგანის ქმედებას გარდაუვალ დამარცხებას უწინასწარმეტყველებდა, მიაჩნდა რა, რომ რეიგანი არასათანადოდ აფასებდა განმუხტვის, დათბობის პოლიტიკას. [11, 169]

ყოველივე ამის მიუხედავად, რეიგანმა გადანყვიტა მარტო

ემოქმედა: „ჩვენ არ შეგვიძლია საშუალება მივცეთ ამ რევოლუციას კომუნიზმის წინააღმდეგ დამარცხდეს, ჩვენი დახმარების არარსებობის გამო“. [11, 166]

ამიტომაც იარუხელსკის რეპრესიების საპასუხოდ რეიგანმა 29 დეკემბერს განაცხადა, რომ ვინაიდან საბჭოთა კავშირი უშუალოდ იყო პასუხისმგებელი პოლონეთში მიმდინარე ვითარების გამო:

- აეროფლოტის ყველა რეისი შეერთებულ შტატებში შეჩერდებოდა;
- საბჭოთა შემსყიდველი კომისია დაიხურებოდა;
- საექსპორტო ლიცენზიების გაცემა ელექტრო დანადგარებზე ჩერდებოდა;
- გადაიდებოდა ხანგრძლივადიანი ხორბლის შესყიდვის მოლაპარაკებები;
- შეჩერდებოდა ნავთობისა და გაზის დანადგარების ლიცენზიები;
- შეჩერდებოდა გაცვლითი შეთანხმებები;
- გადაიდო უკვე დაწყებული მოლაპარაკებები ხანგრძლივადიან საზღვაო შეთანხმებებზე.

ამერიკის პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ სანამ ამ სანქციებს დაგეგმავდა, მანამდე პირადად მისწერა საბჭოთა კავშირის ლიდერ ლეონიდ ბრეჟნევს პოლონეთის საკითხზე, მაგრამ მისი პასუხიდან არ ჩანდა, რომ საბჭოთა კავშირი აპირებდა თავისი მოქმედების შეჩერებას. [2]

რეიგანის ნაბიჯებმა შედეგიც გამოიღო. სანქციებმა მძიმე დარტყმა მიაყენა პოლონეთის ეკონომიკას, რომელიც მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ამერიკასთან ვაჭრობასა და დასავლურ ინვესტიციებზე. შესაბამისად, ამ ზარალის კომპენსაციისთვის უკვე საბჭოთა კავშირი იყო იძულებული, დახმარებოდა პოლონეთს, რაც მას საკმაოდ მძიმე ტვირთად დაანწა.

კიდევ უფრო ძლიერი დარტყმა იყო საბჭოთა კავშირისთვის ტექნოლოგიების მიყიდვის შეჩერება. საქმე ეხებოდა ე. წ. საუკუნის გარიგებას საბჭოთა კავშირთან, რომელსაც ციმბირში,

ურენგოის გაზის საბადოებიდან, რამდენიმე ათასი კილომეტრის სიგრძის მიწებით გაზი უნდა მიენოდებინა დასავლეთ ევროპისთვის. ბუნებრივია, ამაში მოსკოვი მილიარდობით, ესოდენ საჭირო დოლარს მიიღებდა, მას ხომ მსოფლიოს გაზის მარაგის 40 % ჰქონდა. მაგრამ ამ მილსადენებისთვის საჭირო იყო მასიური ტურბინები, რომელთაც მხოლოდ „ჯენერალ ელექტრიკი“ აწარმოებდა. მოსკოვს შეეძლო, თვითონ ესწავლა ამ ტურბინების გაკეთება, მაგრამ ამას რამდენიმე წელი დასჭირდებოდა, არადა, პროექტის ყოველი თვის გადადება მილიონობით რუბლის დანაკარგს ნიშნავდა. თანაც ევროპელებს ეს გაზი ძალიან სჭირდებოდათ და განაცხადეს, რომ ამ შეთანხმებას არ დაარღვევდნენ და თვითონ ამერიკის ნებართვის გარეშე გააგრძელებდნენ ამგვარი ტურბინების წარმოებას (არადა ევროპული კომპანიები მათ „ჯენერალ ელექტრიკის“ ლიცენზიით ამზადებდნენ). ეს არც ამერიკაში მოსწონდათ. კონგრესში, ამერიკელი ტურბინების მწარმოებელი კომპანიები, იგივე, „ჯენერალ ელექტრიკის“ თაოსნობით, ცდილობდნენ რეიგანის სანქციების უარყოფას. მათ მხარს უჭერდნენ უდიდესი კომპანიები „დრესერ ინდასტრის“ და „კატერპილარი“ (Dresser Industries, Caterpillar). მაგრამ რეიგანი მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე – „მათ შეუძლიათ ააშენონ ეს წყვეული გაზსადენი, მაგრამ არა ჩვენი ტექნოლოგიებით“. იქნებ სწორედ ეს იყო რეიგანის გენიის ნაწილი, როცა თითქმის ყველა, გარეთაც და შიგნითაც ეწინააღმდეგობდა, იგი მაინც ჯიუტად იცავდა თავის გადაწყვეტილებებს.

რეიგანმა კიდევ უფრო გააძლიერა თავის სანქციები და აღნიშნა, რომ მათი შესრულება აუცილებელი იქნებოდა იმ უცხოური კომპანიებისთვისაც, რომლებიც ამერიკული ლიცენზიებით მუშაობენ. აღსანიშნავია, რომ ამაზე თვით რეიგანის მეგობარმა გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრმა ტეტჩერმა და საფრანგეთის ხელისუფლებამ განაცხადეს, რომ მათი ქვეყნის კომპანიები არ დაემორჩილებიან რეიგანის ბრძანებებს. ეს უკვე სავაჭრო ომის წინაპირობებს ქმნიდა და, რასაკვირველია,

საჭირო იყო კომპრომისების გამონახვა, რაც მოხერხდა კიდევც. ამერიკელების პირობაზე, რომ შეწყვეტდნენ ან შეამცირებდნენ სანქციებს, ევროპელები დათანხმდნენ, რომ მათ ინტერესებში არ იყო მოსკოვის სუბსიდირება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დაპირება იყო, ვინაიდან ევროპელები ავღანეთში შეჭრის შემდეგაც ვაჭრობდნენ და აძლევდნენ დიდ სესხებს საბჭოთა კავშირს. კონკრეტულად ამ პრობლემაზე კი, მოკავშიორეები შეთანხმდნენ, არ მოენერათ ხელი არც ერთი ახალი კონტრაქტისთვის საბჭოთა გაზის შესყიდვის თაობაზე ვაშინგტონთან დისკუსიის გარეშე. ისინი გააძლიერებდნენ კონტროლს საბჭოთა კავშირისადმი მალალი ტექნოლოგიების გადაცემაზე, მათ შორის, გაზსადენისთვის ესოდენ საჭირო ნავთობის და გაზის აღჭურვილობასთან დაკავშირებით. ევროპელები, ასევე, დათანხმდნენ თანდათანობით გაეზარდათ საბანკო პროცენტი საბჭოთა კავშირისადმი გაცემულ სესხებზე.

მართალია, საბოლოოდ რეიგანმა ვერ ჩაშალა გაზსადენის პროექტი, მაგრამ ამ სანქციებმა 18 თვით გადადო პროექტის განხორციელება და შესაბამისად დიდი თანხები დააკარგვინა საბჭოელებს. გარდა ამისა, პროექტის მოცულობა, ფაქტობრივად, განახევრდა, ვინაიდან შეთანხმებული, მიწების ორი როგის მაგივრად მხოლოდ ერთი რიგი აშენდა. ამავე დროს, დასავლეთის მიერ სესხებისა და ტექნოლოგიების გაცემის გართულების პოლიტიკამ თანადანობით სერიოზული პრობლემები შეუქმნა საბჭოთა კავშირს.

პოლონეთის მოვლენებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1982 წლის 7 ივნისს რეიგანის შეხვედრას რომის პაპთან იოანე პავლე მეორესთან ვატიკანის ბიბლიოთეკაში, რომელიც 50 წუთი გაგრძელდა. როგორც რეიგანის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი რიჩარდ ალენი ამბობდა, ამ შეხვედრაზე შედგა „ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გასაიდუმლოებული კავშირი“. ამ შეხვედრაზე ეპოქის ორმა უმნიშვნელოვანესმა ფიგურამ ძირითადი ყურადღება დაუთმო პოლონეთს. როგორც

1992 წელს ამერიკელი ჟურნალისტი კარლ ბერნშტეინი წერდა, რეიგანსა და რომის პაპს მიაჩნდათ რომ პოლონეთი, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვან მოსახლეობას ფლობდა აღმოსავლეთ ევროპის საბჭოთა სატელიტებს შორის და რომის პაპის სამშობლო იყო, აუცილებლად უნდა გაემოყვანათ საბჭოთა გავლენის ორბიტიდან და ეს შესაძლებელი გახდებოდა, თუ ვატიკანი და შეერთებული შტატები გააერთიანებდნენ ამისთვის საკუთარ ძალისხმევასა და რესურსებს. კერძოდ კი, მათ ქმედებებს იარუხელსკის მთავრობის დესტაბილიზაცია უნდა გამოენვია. და მართლაც, „სოლიდრობას“ არალეგალურად გადაეცა ტონობით საჭირო ტექნიკა, კერძოდ კი, ფაქსები, საბეჭდი ტექნიკა, რადიოგადამცემები, ტელეფონები, მოკლე ტალღებზე მომუშავე რადიოები, ვიდეო კამერები, ფოტოასლების ტექნიკა, ტელექსები, კომპიუტერები და პროცესორები. ეს ტექნიკა არალეგალურად შეჰქონდათ პოლონეთში სამღვდლოების და ამერიკელი აგენტების მიერ ორგანიზებული არხებით. ამ პროცესებში ასევე ჩართული იყო ამერიკის შრომის ფედერაციის პროფკავშირები და ევროპის პროფესიული კავშირები. ეს ყოველივე ფინანსდებოდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ფონდებიდან, დემოკრატიის ეროვნული ფონდიდან, ვატიკანის საიდუმლო ანგარიშებიდან და დასავლეთის პროფკავშირებიდან. [8]

როგორც პაპის ბიოგრაფი ჯორჯ ვეიგელი იხსენებდა „ორივეს, პაპსაც და რეიგანს მტკიცედ სწამდა, რომ კომუნიზმი ეს მორალური ბოროტება იყო და არა უბრალოდ მცდარი ეკონომიკური კონცეფცია. მათ სწამდათ, რომ თავისუფალ ადამიანებს შეეძლოთ დაპირისპირებოდნენ კომუნიზმის გამოწვევებს. ორივე დარწმუნებული იყო, რომ კომუნიზმთან შეჯიბრში გამარჯვება და არა უბრალოდ თანაარსებობა, სავსებით შესაძლებელი იყო“.

იგივე ვეიგელის მოგონებით, მართალია ვატიკანი ოფიციალურად შორს იჭერდა თავს პოლონეთის მიმართ ამერიკის ქმედებებისგან, მაგრამ არსებობდა საკმაოდ ეფექტური თანამ-

შრომლობა დაზვერვის სფეროში. ამავე დროს, თავად პაპი აღიარებდა, რომ მას სულიერი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ამ საქმეში, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა საუბარი მის სამშობლოზე. [10, 42-43]

ამ ქმედებებმა პოლონელებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც იმ დროის პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი პოლკოვნიკი ჰენრიკ პიკუჩი აღიარებდა, ზოგიერთი მისი თანამემამულე რეიგანს ღმერთადაც აღიქვამდა. როცა პოლონელებს ეკითხებოდნენ, თუ რა იყო მათი უკანასკნელი იმედი, მრავალი მათგანი რომის პაპის და ღვთისმშობლის შემდეგ, მესამედ რეიგანს მიიჩნევდა, ლეხ ვალესა კი მეოთხე იყო ამ რიგში. [11, 236-237]

რეიგანი კარგად ხედავდა კათოლიკური ეკლესიის უდიდეს როლს პოლონეთში, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა ის ფაქტი, რომ რომის პაპი იოანე პავლე II წარმოშობით პოლონელი იყო. თავის ერთ-ერთ ძველ მეგობარს, ნიუ-იორკში ასოშიეტივდ პრესის გენერალური მენეჯერის თანაშემწეს ჯონ კოლერს რეიგანი სწერდა, რომ რელიგია პოლონეთში, განსაკუთრებით იქ პაპის ვიზიტის შემდეგ, საბჭოელთა აქილევსის ქუსლი იყო. ისიც ვიცო, რელიგიური გრძნობები თავად რუსეთშიაც აქტიურდება, თუნდაც იატაკქვეშეთში. [11, 173]

საბოლოოდ, რეიგანის სანქციებმა შედეგი გამოლო და პოლონეთის სამხედრო მთავრობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. მართალია, „სოლიდარობის“ თითქმის ყველა ლიდერი და ბევრი აქტივისტი ციხეში იყო და თითქოს იარუზელსკიმ მოიგო ბრძოლა, მაგრამ ომს აგებდა. ქვეყნის ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. თუ 1980 წელს ვაჭრობა პოლონეთსა და დასავლეთს შორის 7,5 მილიარდი იყო, 1986 წელს იგი 1 მილიარდამდე დავიდა. 1980 წლამდე პოლონეთი დასავლეთში 8 მილიარდს სესხულობდა წელიწადში, 1985 წლისთვის 300 მილიონი ძლივს ისესხა. საბოლოოდ, 1986 წლის ივლისს იარუზელსკიმ სრული ამნისტია გამოაცხადა და ყველა გამოუშვა ციხეებიდან.

მაგრამ აშშ-ს სანქციების მოხსნის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იყო „სოლიდარობის“, როგორც ორგანიზაციის, არსებობის უფლების ხელშეუხებლობა, რასაც იარუზელსკი არ აპირებდა. შესაბამისად, რეიგანი არ ჩქარობდა მათ გაუქმებას. მაშინ თავად ვალესამ და სხვა ლიდერებმა სთხოვეს რეიგანს შეეჩერებინა სანქციები, ვინაიდან ისინი არა მარტო მმართველებს, არამედ მართულებს და მომავალ თაობებს აზარალებდა. რეიგანმა შეწყვიტა სანქციები. მაგრამ გააფრთხილა პოლონეთის მთავრობა, რომ კიდევ ერთი ასეთი ქმედება და სანქციები აღდგებოდა.

1987 წლის 19 თებერვალს რეიგანმა საზეიმოდ განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობამ 1983 წელს გააუქმა საგანგებო მდგომარეობა და ათასობით ადამიანი გაათავისუფლა ციხეებიდან. ახლა ვინაიდან ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა. ჩვენ განვაახლებთ თანამშრომლობას პოლონეთის მთავრობასთან. მნიშვნელოვანია, რომ „სოლიდარობა“ და პოლონეთის ეკლესია ეთანხმება ჩვენს ამ მოსაზრებას და გვთხოვეს ჩვენ, რომ გაგვეუქმებინა დარჩენილი ეკონომიკური სანქციები, რათა ხელი შეეწყოს შემდგომ წინსვლას სწორი მიმართულებით. ამ ასპექტში ჩვენ ყველას მოსაზრებებს ვითვალისწინებდით იყო ეს პოლონეთის მთავრობა, „სოლიდარობა“ თუ ეკლესია და გვექონდა ასევე კონსულტაციები ჩვენს მოკაშირეებთან. სერიოზული და ფრთხილი განსჯის შემდეგ, მე მივიღე გადაწყვეტილება ის სანქციები, რომლებიც ჩვენ 1981 და 1982 წლებში მივიღეთ უნდა გაუქმდეს. შესაბამისად, მე ვუბრუნებ პოლონეთს ყველაზე პრივილეგირებული ქვეყნის სტატუსს და ვაუქმებ აკრძალვას პოლონეთის მიმართ აშშ-ს ოფიციალური კრედიტებისა და საკრედიტო გარანტიების მიღების შესახებ. [3]

აღსანიშნავია ამ მოვლენებში თავად იარუზელსკის როლი, რომელიც ერთი შეხედვით აშკარად ნეგატიური იყო პოლონეთის განთავისუფლების იდეისთვის, მეორე მხრივ კი, სწორედ მისმა ქმედებებმა, კერძოდ კი, სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებამ გადაარჩინა პოლონეთი საბჭოთა ინტერვენციას. როდესაც

ბრეჟნევის მოახსენეს, რომ ვარშავას 8 პოლონური დივიზია იცავდა, მან უარი თქვა ინტერვენციასა და შესაბამისად დიდ ომზე. თუმცა, ალბათ, საბოლოო ჯამში ვერც 8 და ვერც მეტი დივიზია ვერ შეაჩერებდა ვარშავის პაქტის ქვეყნების ერთობლივ ინტერვენციას. მაგრამ სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებამ მნიშვნელოვანწილად მოსპო ასეთი ინტერვენციის აუცილებლობა.

შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლის მოგება პოლონეთში საბჭოთა იმპერიის განადგურების დასაწყისი იყო. ევროპამ და მთელმა მსოფლიომ დაინახა რომ ბოროტების იმპერიის დამარცხება შეიძლება. როგორც „სოლიდარობის“ ახალმა თავმჯდომარემ მარიან კრჟაკევსკიმ თქვა „რეიგანი იყო თავისუფალი სამყაროს ბოროტების იმპერიაზე გამარჯვების მთავარი ავტორი“.[11, 279].

თავის მხრივ, რეიგანი მუდამ ამბობდა, რომ „შიში“ იყო კომუნისტების ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი და მანვე ძალზე შეუწყო ხელი ამ იარაღის გაუვნებელყოფას, სწორედ პოლონეთის მაგალითზე.

ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი სტეფენ ემბროუსი, რეიგანის პირველი ვადის დასასრულისთვის, სკეპტიკურად აფასებდა რეიგანის მოქმედებას პოლონეთში. [7, 304], მაგრამ საბოლოო ჯამში, მის აზრით, ეს მართლაც რეალური, შთამბეჭდავი და გარდამტეხი წარმატება იყო.

შესაბამისად, სულაც არაა გასაკვირი, რომ მაღლიერმა პოლონელებმა 2004 წელს კრაკოვის ერთ ერთ საუკეთესო მოედანს რეიგანის სახელი დაარქვეს, ხოლო 2011 წელს კი ვარშავაში რეიგანის ბრინჯაოს ძეგლი დადგეს. საქართველოშიც ამავე წელს დაიდგა რეიგანის ძეგლი.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Address to the Nation About Christmas and the Situation in Poland, December 23, 1981. <https://www.reaganlibrary.gov/research/speeches/122381e>
2. Statement on U.S. Measures Taken Against the Soviet Union Concerning Its Involvement in Poland, December 29, 1981. <https://www.reaganlibrary.gov/research/speeches/122981m>
3. Statement on the Lifting of Economic Sanctions Against Poland. February 19, 1987. <https://www.reaganlibrary.gov/research/speeches/021987a>
4. Excerpts From a Telephone Conversation With Pope John Paul II About the Situation in Poland, December 14, 1981. <https://www.reaganlibrary.gov/research/speeches/121481b>
5. Remarks to Polish Americans in Chicago, Illinois, June 23, 1983. <https://www.reaganlibrary.gov/research/speeches/62383b>
6. Congressional Record, House of Representatives, February 17, 1981. <https://www.govinfo.gov/content/pkg/GPO-CRECB-1981-pt2/pdf/GPO-CRECB-1981-pt2-6-1.pdf>
7. Ambrose Stephen E., Rise to Globalism, American Foreign policy Since 1938, Penguin Books, 1993.
8. Bernstein Carl, The Holy Alliance. Time, Cover Story, June 24, 2001. <http://content.time.com/time/magazine/article/0,9171,159069,00.html>
9. Dueck Colin Hard Line, The Republican Party and US Foreign Policy Since World War II, Princeton University Press, 2010.
10. Hoffmann David E. The Dead Hand. The Untold Story of the Cold War Arms race and Its Dangerous Legacy, Anchor Books, 2009.
11. Schweizer Peter, Reagan's War, Doubleday, New York, London, 2002.

Vasil Kacharava

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Professor, Head of TSU Institute of American
Studies*

Ronald Reagan Administration and Polish Crisis

Summary

The article discusses the actions of the Ronald Reagan administration in connection with the 1981 crisis and repression in Poland, which was directed against the trade union Solidarity and was threatened by Soviet intervention. Unlike his predecessors, Reagan did not intend to adapt to Soviet aggression in Eastern Europe. He provided enormous political, ideological, and financial assistance to Polish patriots. At the same time, heavy economic sanctions were imposed on both the Polish government and the Soviet Union. As a result, the Polish pro-Soviet government was forced to release the leaders of solidarity, stop the repressions and go for some liberal reforms. This was the first and greatest defeat of the „Evil Empire“ in Europe and the beginning of the liberation of Eastern Europe. The article uses Reagan’s public speeches and public papers, along with some congressional material.

პოლიტიკა

ლევან ბერია

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერ-
ობების ფაკულტეტის დოქტორანტი*

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და რუსეთის საბარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში

იმპერიები იქმნებოდნენ და იშლებოდნენ, თუმცა სახეცვლილები, ისინი კვლავ აღმოცენდებოდნენ ხოლმე და აგრძელებდნენ იგივე პოლიტიკას, იმპერიულ პოლიტიკას, რაც მიმართულია სხვა სახელმწიფოების დაპყრობისა, თუ მათი მიწების ნაწილის მიტაცებაზე, ამ გზით ტერიტორიის გაზრდის, ქვეყნების საკუთარი ზეგავლენის ქვეშ მოქცევისაკენ, რათა შემდგომში ამ სახელმწიფოების მიერ გატარებულ იქნას მათი ინტერესები.

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი რუსეთის ფედერაცია სახეცვლილი რუსეთის იმპერიაა, რომელსაც მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთის პირველმა იმპერატორმა, პეტრე I-მა, ჩაუყარა საფუძველი და 1917 წლამდე იარსება. 1917-1922 წწ. ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები. 1922 წლის 29 დეკემბერს, მოსკოვში, გაფორმდა ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) ფორმირების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რეს-

პუბლიკის წარმომადგენლებმა [1]. ეს დოკუმენტი დამტკიცდა 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების სრულიად საკავშირო I ყრილობაზე. 1917-1922 წელს ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების დიდი ნაწილი 1922-1924 წწ. შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და საბჭოთა კავშირმა მოიცვა ყოფილი რუსეთის იმპერიის უმეტესი ტერიტორია. 1991 წლის 8 დეკემბერს ბელორუსიაში, სამთავრობო სანადირო აგარაკზე „ვისკული“, ბელორუსიის ტვერში, საბჭოთა კავშირის დამფუძნებელი სამი რესპუბლიკის – რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიისა და უკრაინის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს „შეთანხმებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის შესახებ“, რომლის პრეამბულაში ვკითხულობთ: „ჩვენ, რესპუბლიკა ბელორუსმა, რუსეთის ფედერაციამ და უკრაინამ, როგორც სსრ კავშირის დამფუძნებელმა სახელმწიფოებმა, რომლებმაც ხელი მოვანერეთ 1922 წლის საკავშირო ხელშეკრულებას, შემდგომში როგორც მაღალი ხელშემკვრელ მხარეებად წოდებული, ვადგენთ, რომ სსრკ, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა წყვეტს არსებობას“ [2]. შეთანხმებას ხელი მოაწერეს რესპუბლიკების უმაღლესი თანამდებობების პირებმა და მთავრობის ხელმძღვანელებმა: ბორის ელცინმა და გენადი ბურბულისმა რუსეთის ფედერაციიდან, სტანისლავ შუშკევიჩმა და ვიაჩესლავ კებიჩმა ბელორუსის რესპუბლიკიდან, ლეონიდ კრავჩუკმა და ვიტოლდ ფოკინმა უკრაინიდან.

1991 წლის 26 დეკემბერს კი უკვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია სსრკ-ს არსებობის შეწყვეტის თაობაზე, რის შედეგადაც, თხუთმეტმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ მოიპოვა სახელმწიფო დამოუკიდებლობა, თუმცა იქამდე, 21 დეკემბერს ყაზახეთში, ქ. ალმა-ათაში, თერთმეტმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ, ესტონეთის, ლატვიის, ლიეტუვისა და საქართველოს გარდა, ხელი მოაწერეს „ალმა-ათის დეკლარაცია“-ს, რომლითაც დაა-

დასტურეს თანხმობა „დსთ“-ში განწევრიანების შესახებ. დაიწყო რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობის ახალი ეტაპი.

რუსეთის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა განსაზღვრულია „რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციით“, რომელიც დამტკიცებულია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ 2016 წლის 30 ნოემბერს. კონცეფციაში ცალკე თავი აქვს დათმობილი რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის რეგიონულ პრიორიტეტებს, სადაც აღნიშნულია, რომ „რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებთან (დსთ) და „დსთ“-ში მოქმედი სტრუქტურების შემდგომი გაძლიერება რუსეთის მონაწილეობით“ [3].

საბჭოთა და რუსი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ევგენი პრიმაკოვი თავის წიგნში „ფიქრები ხმამაღლა“ „დსთ“-ს შესახებ წერს: „ერთი მხრივ, ვითომ განქორწინების ცივილიზებული ფორმის შემუშავებით, ხოლო მეორე მხრივ – ვითომ მათი წინააღმდეგობის ჩახშობით, ვისაც არ სურდა შეენწყვიტა 1922 წლის ხელშეკრულება სსრკ-ს დაარსების შესახებ, – უბრალოდ კი არ მოახდინეს საბჭოთა კავშირის ლიკვიდაცია, არამედ მოძებნეს მისი ჩანაცვლება „დსთ“-ს სახით. ის ფაქტი, რომ „დსთ“ იყო საფარი, რომლის უკანაც საბჭოთა კავშირი დაყვეს ნაწილებად, გაირკვა ორგანიზაციის წესდებიდან, რომლის თანახმადაც „დსთ“ არ ფლობდა ზენაციონალურ უფლებამოსილებას.“ [4, 75]. ძნელია არ დაეთანხმო ასეთ შეფასებას. იმ პერიოდისათვის სახელმწიფოთა მეთაურები, რომლებმაც ალმა-ათის დეკლარაციას მოაწერეს ხელი, ხომ ძირითადად კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრები იყვნენ. გარდა ამისა, არ მგონია რუსეთს ოდესმე შეენწყვიტა ფიქრი, გავლენის სფეროების შემცირებაზე, თუ რუსეთის იმპერიის არა, საბჭოთა კავშირის ყოფილ ტერიტორიაზე მანაც;

განსაკუთრებით კი იმ პირობებში, როდესაც ბალტიის ქვეყნები და საქართველო, რომელიც ყოველთვის ითვლებოდა სამხრეთ კავკასიის დაუფლების კარად, არ აპირებდნენ თანამეგობრობაში განწევრიანებას. ბალტიის ქვეყნებს გამოუჩნდა მფარველი, ევროკავშირის სახით, ხოლო საქართველო დარჩენილი ჩრდილოელ მეზობელთან ერთიერთზე, 90-იანების დასაწყისში სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებული გახდა 1993 წელს განწევრიანებულიყო თანამეგობრობაში.

არსებობს მოსაზრებები, რომ „დსთ“ ევროკავშირის ანალოგიაა აღმოსავლეთში, მაგრამ თუ ევროკავშირის შექმნისას ან მისი გაფართოებისას სახელმწიფოები აერთიანებდნენ საკუთარ ეკონომიკას და პოლიტიკას, „დსთ“, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფაქტობრივად, ახალ პირობებში, საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას უდრიდა, რომლის წევრი სახელმწიფოები პოლიტიკურად და ეკონომიკურად უკვე საკმაოდ მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი; ამასთან პოლიტიკური ცენტრი ისევ მოსკოვში დარჩა. „არ არსებობდა ყველასთვის სავალდებულო კანონები, გადაწყვეტილებები ხშირად არ სრულდებოდა და ისინი რჩებოდა ქალაქდზე. მაგალითისათვის, არ შესრულებულა შვიდი ქვეყნის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება რუბლის, როგორც ერთიანი ვალუტის შენარჩუნებისა და საერთო მონეტარული პოლიტიკის გატარების შესახებ. გაუქმდა თანამეგობრობის შეიარაღებული ძალების მეთაურის თანამდებობა. არ განხორციელებულა რუსეთსა და სხვა ქვეყნების წინადადებები საგარეო პოლიტიკის სფეროში კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ.“[5]. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები ხელმოწერით ადასტურებდნენ ახალ ერთობას, მათ შორის არსებობდა პოლიტიკური, თუ ეკონომიკური ხედვის განსხვავებული ორიენტირები; შედეგად, 90-იანების ბოლოსაკენ „დსთ“-ს სივრცეში იწყება სხვადასხვა ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ზოგიერთ მათგანში

განევრიანდნენ სახელმწიფოები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ყველა იმ მიმართულებასა თუ ინტერესს, რაც გაცხადებული იყო თანამეგობრობის ფარგლებში და რუსეთის მხრიდან სამხედრო-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებში განიცდიდნენ გარკვეული სახის ზეწოლას. ასეთია, საერთაშორისო ორგანიზაცია „სუამ“-ი, რომელიც შეიქმნა 1997 წელს და რომელშიც გაერთიანდნენ საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა (1999 წლიდან 2005 წლის ჩათვლით მასში, აგრეთვე, შედიოდა უზბეკეთი).

2005 წელს, თურქმენეთი გავიდა „დსთ“-ს მუდმივი წევრობიდან და გახდა ასოცირებული წევრი. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის და რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებისა და შემდგომ რუსეთის მხრიდან მათი დამოუკიდებლობის ცნობის წლისთავზე, 2009 წლის 18 აგვისტოს „დსთ“ დატოვა საქართველომ. 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში დაწყებული საბრძოლო მოქმედებების შემდგომ, გაძლიერდა უკრაინის სურვილი ემოძრავა დასავლეთის მიმართულებით. იგივე საგარეო პოლიტიკური კურსი აიღო მოლდოვამაც. მიუხედავად ამ ვითარებისა, 2016 წელს ყირგიზეთში თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების სამიტზე, „დსთ“-ში შემავალმა ყველა ქვეყნის ლიდერმა, ორგანიზაციის გაერთიანების შენარჩუნებას დაუჭირა მხარი, თუმცა აღნიშნული სამიტიდან ორი წლის შემდეგ, 2018 წელს უკრაინამ დატოვა „დსთ“. აქვე საინტერესოა, ზბიგნევ ბჟეზინსკის მოსაზრება, რომელიც წიგნში, „The Grand Chessboard“, წერს: „უკრაინა, არის ახალი და მნიშვნელოვანი სივრცე ევრაზიის საქადრაკო დაფაზე, გეოპოლიტიკური ღერძი, რადგან მისი არსებობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, ხელს უწყობს რუსეთის გარდაქმნას. უკრაინის გარეშე, რუსეთი ვერ იქნება ევრაზიული იმპერია. უკრაინის გარეშე რუსეთს შეუძლია იბრძოლოს იმპერიის სტატუსისთვის, მაგრამ ის გახდება, ძირითადად, აზიური იმპერიული სახელმწიფო.“[6]. და მართლაც, ამჟამად „დსთ“-ში

აზიური სახელმწიფოები ჭარბობენ. რუსეთის ხელმძღვანელობისათვის „სუამ“-ი იქცა ერთ-ერთ სიგნალად იმისა, რომ თუ რაიმეს არ მოიმოქმედებდა, შესაძლებელი იქნებოდა იგივე ბედი გაეზიარებინა შუა აზიის მიმართულებით და ამ სახელმწიფოებს ჩამოეყალიბებინათ ცალკე ორგანიზაცია, გამომდინარე იქიდან, რომ აქ იზრდებოდა თურქეთის როლი და გავლენა, ასევე, აღნიშნული მიმართულებით ეკონომიკური ინტერესები გაუჩნდა ჩინეთს. აქედან გამომდინარე, რუსეთი იძულებულია რა საგარეო პოლიტიკის წარმოებისას გაითვალისწინოს პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები და მეზობელი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია, იწყებს ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური მიმართულებით სხვადასხვა გაერთიანებების შექმნას, ესენია: „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“, „რუსეთ-ბელორუსის სამოკავშირეო სახელმწიფო“ და „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია“ და სხვა.

1999 წელს შეიქმნა „რუსეთ-ბელორუსის სამოკავშირეო სახელმწიფო“. 2000 წელს ჩამოყალიბდა „ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოება“, რომელშიც განწევრიანდნენ რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი. 2003 წელს ძალაში შევიდა „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია“ („კუხო“), რომელიც შეიქმნა 1992 წელს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების საფუძველზე. 2010 წელს რუსეთმა, ბელარუსმა და ყაზახეთმა ჩამოყალიბეს საბაჟო კავშირი.

2015 წლიდან ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოება ჩაანაცვლა „ევრაზიულმა ეკონომიკურმა კავშირმა (ეეკ)“ და ახალ გაერთიანებაში შევიდნენ: რუსეთი, ყაზახეთი, ბელარუსი, სომხეთი და ყირგიზეთი. „ეეკ“-ის ძირითად მიზნებად განისაზღვრა: შეიქმნას პირობები წევრი ქვეყნების ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის, რათა გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების დონე; ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაცია, თანამ-

შრომლობა და კონკურენტუნარიანობა; საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომითი რესურსების საერთო ბაზრის ჩამოყალიბება“ [7]. ამ უკანასკნელს არაოფიციალურად „ოთხი თავისუფლება“ ეწოდა. 2015 წელს, „ეკკ“-ს ინტეგრაციისა და მაკროეკონომიკის ძირითადი მიმართულებების იმჟამინდელმა მინისტრმა ტატიანა ვალოვაიამ ერთ-ერთ ფორუმზე გამოსვლისას აღნიშნა: „ჩვენ მივედით იმ გაგებამდე, რომ „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“ არის სრულფასოვანი, ერთიანი ეკონომიკური სივრცე და იმისათვის რომ მასში რაღაცას მივაღწიოთ, ჩვენ უნდა გავატაროთ კოორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული პოლიტიკა ეკონომიკის ძირითად დარგებში. ერთიანი ეკონომიკური სივრცე – ეს ოთხი თავისუფლებაა, ახლა ჩვენ ნათლად გვესმის, თუ რაში მდგომარეობს ეს თავისუფლება. ეს უბრალოდ საბაჟო ფორმალობების მოხსნა კი არა, ეს – საერთო ბაზრების შექმნის აუცილებლობაა“.

2019 წლისთვის ევრაზიის ეკონომიკური კავშირის მოსახლეობა შეადგენდა 184 მლნ-ზე მეტს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი 1 965 მლრდ. დოლარზე მეტს [8, 13-14]. ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე ოპონენტებიც. ზოგიერთი ოპონენტის მტკიცებით, მოსკოვი ცდილობს, რაღაც ფორმით აღადგინოს საბჭოთა კავშირი. ამ მოსაზრებას ამყარებს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა 2005 წლის 25 აპრილს, რუსეთის ფედერაციის ფედერალურ კრებაზე გამოსვლისას და საბჭოთა კავშირის დაშლას „საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა: „პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო. ხოლო რუსი ხალხისთვის ის გახდა ნამდვილი დრამა. ათობით მილიონი ჩვენი თანამოქალაქე და თანამემამულე აღმოჩნდნენ რუსეთის ტერიტორიის გარეთ. დაშლის ეპიდემია გავრცელდა თვით რუსეთზეც“ [9].

2012 წლის 6 დეკემბერს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი

კლინტონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წინ აღუდგებოდა ინტეგრაციის პროცესს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მან განაცხადა: „ჩვენ ვხედავთ გარკვეულ ძვრებს რეგიონის განმეორებით გასაბჭოებისაკენ, რა თქმა უნდა, ამას ასე არ ერქმევა. ეს იქნება საბაჟო კავშირი, ევრაზიული კავშირი ან მსგავსი რამ. ჩვენ ვიცით, რა არის მიზანი და ვეცდებით, შევიშუაოთ ეფექტური ხერხები, რათა შევანელოთ ეს პროცესი ან თავიდან ავიცილოთ ის“ [10].

რამდენად არიან „ეკკ“-ს წევრი ქვეყნები დამოუკიდებლები კითხვის ნიშნის ქვეშაა, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ამკარად დამოკიდებულნი არიან რუსეთის ეკონომიკაზე, რომლის წილი კავშირის მთლიანი ეკონომიკის 80 %-ზე მეტია. რუსეთ-ბელორუსის საკავშირო სახელმწიფოს შექმნის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა მოსკოვში, 1999 წლის 8 დეკემბერს. ხელშეკრულების პირველ მუხლში ვკითხულობთ: „რუსეთის ფედერაცია და ბელორუსის რესპუბლიკა (შემდგომში – მონაწილე სახელმწიფოები) ქმნიან საკავშირო სახელმწიფოს, რომელიც წარმოადგენს ორი ქვეყნის ხალხების გაერთიანების ახალ ეტაპს დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში“ [11]. თუმცა ამ დოკუმენტამდე დადებული იყო ორი ხელშეკრულება: „ხელშეკრულება ბელორუსის და რუსეთის საზოგადოების შექმნის შესახებ“ და „ხელშეკრულება ბელორუსის და რუსეთის კავშირის შესახებ“. „ორი ქვეყნის ეკონომიკა ურთიერთდაკავშირებულია და ავსებს ერთმანეთს. ამავდროულად რუსეთს ბელორუსის სახით ჰყავს არა ღარიბი მოკავშირე, არამედ მაღალგანვითარებული ინდუსტრიისა და კარგად ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის მქონე პარტნიორი. საბჭოთა პერიოდში რესპუბლიკა, რომელსაც სსრკ-ს ტერიტორიის 1%-ზე ნაკლები ჰქონდა, აწარმოებდა ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავლის 4%-ზე მეტს. თუ პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთის ფედერაციიდან სხვადასხვა ნედლეულის ექსპორტი ჭარბობს, იმავდროულად ბელორუსის რესპუბლიკაში დომინირებს საავტომობილო, სატრაქტორო, ელექტრონული, ნავთობგადა-

მამუშავებელი, მანქანათმშენებლობის და ქიმიური მრეწველობა, რომლებიც, ძირითადად, საგარეო ბაზრებზეა ორიენტირებული. რუსეთისგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა წლებში ბელორუსში არც ერთი მსხვილი საწარმოს ლიკვიდაცია არ მომხდარა“ [5].

მიუხედავად ასეთი ურთიერთობისა, ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო, პერიოდულად გამოდის რუსეთის კრიტიკით. 2018 წელს რუსეთში აიკრძალა ბელორუსული რძის პროდუქტების ექსპორტი, ეს ვითომ ეკონომიკური, რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოებისაკენ გადადგმული ნაბიჯი, რეალურად პოლიტიკური გახდა, რადგან იმ პერიოდისათვის ლუკაშენკო დაკავებული იყო რუსეთის კრიტიკით და საუბრობდა ევროკავშირთან ურთიერთობების ნორმალიზაციაზე, როგორც მთავრობის სხდომებზე, ასევე თავის ოფიციალურ გამოსვლებში. „როსსელხოზნადზორ“ (Россельхознадзор) დაანესა აკრძალვა ბელორუსიიდან რძითა და რძის პროდუქტებით მომარაგებაზე, იმის მოტივით, რომ რუსეთში იმპორტირებული საქონელი არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს“. [12] „ასეთი რამ უპასუხოდ არ დარჩება, ჩვენ უბრალოდ არ შევეგუებით ამას“ – დაიძუქრა ალექსანდრე ლუკაშენკო. „მინსკი რძის პროდუქტების ექსპორტს ახორციელებს მსოფლიოს 45 ქვეყანაში. რუსეთი ბელორუსული რძის უდიდესი ბაზარია, ყაზახეთი მეორე ადგილზეა, უკრაინა მესამეზე. ჯერჯერობით, ამ ორ ქვეყანას არ აქვს პრეტენზია ბელორუსიის რძის პროდუქტების ხარისხზე“. [13] – განაცხადეს მინსკში.

პერიოდული გართულებების მიუხედავად, რუსეთი და ბელორუსი რჩებიან მჭიდრო პარტნიორებად. ისინი ატარებენ ერთობლივ სამხედრო სწავლებებს, როგორც სამტაბო-სამეთაურო, აგრეთვე ჯარების მიზიდვით. ერთ-ერთი ასეთი სწავლება სახელწოდებით „სლავური ძმობა“ 2020 წლის სექტემბერში ჩატარდა ბელორუსში. სწავლებაში მონაწილეობდა 70 ერთეული საბრძოლო ტექნიკა და 1500-მდე სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 300 რუსი მედესანტე. და ეს იმ ფონზე, როდესაც ბელო-

რუსის დიდ ქალაქებში 2020 წლის 9 აგვისტოდან მიმდინარეობდა ოპოზიციის საპროტესტო აქციები, საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით. ლუკაშენკო ამ აქციების ორგანიზებაში დასავლეთის ხელს ხედავდა და იქამდეც კი მივიდა, რომ „ნატო“ დაადანაშაულა ბელორუსის საზღვრებთან ძალების მობილიზებაში.

ბელორუსის თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსმა – თავდაცვის მინისტრის თანაშემწემ საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის საკითხებში, გენერალ-მაიორმა ოლეგ ვოინოვმა თავდაცვის სამინისტროს საიტზე გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერია, რომ „ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ბელორუსის რესპუბლიკის გარშემო სამხედრო-პოლიტიკური ვითარება გამწვავდა და ხასიათდება როგორც შიდა, ისე საგარეო ძალების ინტენსიური მცდელობებით, რომ მოახდინონ სიტუაციის დესტაბილიზაცია ჩვენს სახელმწიფოში. მთავარი მიზანი არის ბელორუსის რესპუბლიკაში მოქმედი მთავრობის შეცვლა, რომელიც არჩეულია ბელორუსი ხალხის მიერ კონსტიტუციური ნებით. განხორციელებულმა ღონისძიებებმა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაციას, ინფორმაციული ვითარების გამწვავებას, არეულობების პროვოცირებას, გამოიწვია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში დაძაბულობის მნიშვნელოვანი ზრდა. მთლიანობაში ევროკავშირმა და ჩვენმა უახლოესმა მეზობლებმა, ცალკეულმა სახელმწიფოებმა - პოლონეთმა და ლიტვამ – საკუთარი წვლილი შეიტანეს ამ დესტრუქციულ პროცესში.“[14]. არ დააყოვნა კრემლის პასუხმაც და რუსეთმა მხარდაჭერა გამოუცხადა ლუკაშენკოს. ვლადიმერ პუტინი ლუკაშენკოს საჭიროების შემთხვევაში ძალით დახმარებას დაპირდა. „ალექსანდრე გრიგორიევიჩმა მთხოვა, რომ სამართალდამცავების გარკვეული რეზერვი ჩამომეყალიბებინა. მე ეს გავაკეთე. ჩვენ ასევე შევთანხმდით, რომ ის არ იქნება გამოყენებული იქამდე, სანამ სიტუაცია არ გამოვა კონტროლიდან“ [15] – გა-

ნაცხადა პუტინმა 2020 წლის 27 აგვისტოს სატელევიზიო არხის „Россия 1“-ის ჟურნალისტ სერგეი ბრეღევთან ინტერვიუს დროს.

მოკავშირე სახელმწიფოში პრობლემებიც ბევრია, მაგალითად, მათ არ გააჩნიათ ერთიანი ვალუტა, ხშირად არის უთანხმოებები პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ასპექტებში. ასევე, ბელორუსს, მიუხედავად რუსეთის არაერთგზის თხოვნისა, არ უღიარებია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ვკითხულობთ: „...რუსეთი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას (კუხზო) განიხილავს, როგორც თანამედროვე უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს პოსტსაბჭოთა სივრცეში...“ [3].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების დადებით, რომელსაც უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში იმავე წლის 25 მაისს ხელი მოაწერეს „დსთ“-ში შემავალმა სახელმწიფოებმა: სომხეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, რუსეთმა, ტაჯიკეთმა და უზბეკეთმა. 1993 წლის ხელშეკრულებას ასევე ხელი მოაწერეს: 9 სექტემბერს – საქართველომ, 24 სექტემბერს — აზერბაიჯანმა და 31 დეკემბერს – ბელორუსმა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1994 წელს და გათვლილი იყო ხუთ წელიწადზე, გაგრძელების პერსპექტივით. 1999 წელს სომხეთმა, ბელორუსმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, რუსეთმა და ტაჯიკეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების გაგრძელებას კიდევ ხუთი წლით, ხოლო აზერბაიჯანმა, საქართველომ და უზბეკეთმა უარი განაცხადეს ხელშეკრულების გაგრძელებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი უკვე ორგანიზაცია „სუამ“-ის წევრი სახელმწიფოები იყვნენ.

2002 წელს კიშინიოვში ხელი მოეწერა „კუხზო“-ს ნესდებას, რომელიც 2003 წელს რატიფიცირებულ იქნა წევრი სახელმწიფოების მიერ, ხოლო 2004 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „კუხზო“-სათვის გაეროს გენერალურ ასამ-

ბლეაში დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების შესახებ. ზბიგნევ ბჟეზინსკი წიგნში, „თჰე ჩრანდ ჩჰესსბოარდ“, წერდა, რომ „... თუ რუსეთი ოდესმე შეეცდება საკუთარი თავდაცვის პაქტის დადებას, მასში შევლენ „მაქსიმუმ“ ბელორუსი და ტაჯიკეთი...“ [6], თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ნევრი უფრო მეტია, რაც განპირობებულია არამარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სიტუაციით, არამედ იმითაც, რომ რიგი სახელმწიფოები „კუხო“-ში ხედავენ საკუთარი უსაფრთხოების გარანტიებს. მაგალითად: სომხეთი თურქეთის მხრიდან, ხოლო ტაჯიკეთი ავღანეთიდან მომდინარე სავარაუდო საფრთხეებს ითვალისწინებენ.

თუ „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ევროკავშირის ალტერნატივა პოსტსაბჭოთა სივრცეში, მაშინ შესაძლებელია ითქვას, რომ „კუხო“ არის „ნატო“-ს ალტერნატივა და მოკრძალებული „ვარშავის პაქტი“. „კუხო“-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მე-4 მუხლში ვკითხულობთ: „თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფო განიცდის აგრესიას (შეიარაღებული თავდასხმა, რომელიც საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებას, სტაბილურობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს), მაშინ მონაწილეები ამას განიხილავენ, როგორც აგრესიას (შეიარაღებულ თავდასხმას, რომელიც ემუქრება უსაფრთხოებას, სტაბილურობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს) ყველა ამ შეთანხმების მხარე სახელმწიფოს წინააღმდეგ. რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის (შეიარაღებული თავდასხმა, რომელიც საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებას, სტაბილურობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს) შემთხვევაში, ყველა დანარჩენი მონაწილე სახელმწიფო, ამ მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით, დაუყოვნებლივ გაუწევს მას საჭირო დახმარებას, მათ შორის სამხედრო და ასევე დაეხმარებიან მათ განკარგულებაში არსებული სახსრებით კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენების მიზნით, გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად...“ [16], რით განსხვავდება ეს მუხლი „ნატო“-ს მე-5 მუხლისაგან

(„...შეიარაღებული თავდასხმა ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში ერთის ან მეტი მათგანის წინააღმდეგ განიხილება, როგორც თავდასხმა მთლიანად მათ წინააღმდეგ და, შესაბამისად, თანხმდებიან, რომ ასეთი შეიარაღებული თავდასხმისას, თითოეული მათგანი გამოიყენებს უფლებებს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის შესახებ, რომელიც აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით...“)?! ამ დრომდე „კუხო“-ს მე-4 მუხლი გამოყენებული არ ყოფილა.

სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, იმპერიების დაშლა ინვევდა ომებს მათ პერიფერიებზე. ეს ფაქტორები შეიძლება ყოფილიყო: სხვა გაძლიერებული სახელმწიფოების მიერ, დაშლის შედეგად გაჩენილი სივრცეების ათვისების სურვილი, დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოების პოლიტიკური მოუზღველობა და შედეგად შიდა ომები, ან იმპერიის ამბიციის აღედგინა თავისი გავლენა ყოფილ ტერიტორიაზე. „რუსეთის ხედვამ საკუთარი სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და ამბიციამ, შეენარჩუნებინა გავლენები პოსტსაბჭოთა სივრცეზე ცენტრის სტატუსით, გამოვლინდა მისი მონაწილეობით რიგ სამხედრო კონფლიქტებში, ისეთებში როგორცაა ტაჯიკეთის სამოქალაქო ომი (1992-1997); ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტი (1992); კონფლიქტი ჩეჩნეთში (1994-2009)“ [17]. რუსეთი მონაწილეობდა, აგრეთვე, 1991-93 წწ. და 2008 წლის საქართველოში და 2014 წლიდან უკრაინაში წარმოებულ საომარ მოქმედებებში, თუმცა მან ოფიციალურად აღიარა მხოლოდ საქართველოში (2008 წ.) და უკრაინაში (2014 წ.) წარმოებულ საომარ მოქმედებებში (ყირიმის ნახევარკუნძული) მონაწილეობა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ურთიერთობებისა, დღეს რუსეთის დამოკიდებულება პოსტსაბჭოთა, დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიმართ არაერთგვაროვანია. მას 2008 წლიდან ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები და არ გააჩნია დიპლომატიური ურთიერთობა. 2018 წელს უკრაინამ შეაჩერა 1997 წელს ხელმოწერილი „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას

შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ“. მოლდოვასთან ურთიერთობა ერთი შეხედვით ნეიტრალურია, თუმცა ამ პოზიციას დნესტრისპირეთში განთავსებული რუსული კონტინგენტი უმაგრებს ზურგს. რუსეთი, აგრეთვე, ახლად არჩეული პრეზიდენტის, მაია სანდუს ნაბიჯებს ელოდება, რომელმაც ინაუგურაციის ცერემონიალის დასრულების შემდგომ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: „მე ვიქნები პრეზიდენტი ევროინტეგრაციის საკითხებში, რომელიც ქვეყანას სახით მიაბრუნებს მისი უცხოელი პარტნიორებისაკენ, მე ვიზრუნებ, რომ მოლდოვას ჰქონდეს მკაფიო და მყარი პოზიცია ყველა ჩვენი პარტნიორის მიმართ, და ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ ჩვენი ინტერესები იქნას გააგებული და პატივცემული“. [18] 2020 წლის 29 დეკემბერს „დოიჩე ველესათვის“ მიცემულ ინტერვიუში ის საუბრობს, რომ „მოლდოვის რესპუბლიკას აქვს საკმაოდ სერიოზული დღის წესრიგი რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით, ანუ ჩვენ გვაქვს მრავალი საკითხი, რომელზეც უნდა ვიმუშაოთ. მაგალითად ვაჭრობა. ჩვენ გვსურს მთლიანად აღვადგინოთ ექსპორტი რუსეთში. ეს არის, აგრეთვე, იმ ადამიანების პრობლემები, რომლებიც რუსეთში მუშაობენ. მათ უნდა შევუქმნათ კარგი პირობები, მოვავაროთ სოციალური დაცვის საკითხები. და, რა თქმა უნდა, არსებობს დნესტრისპირეთის კონფლიქტის პრობლემა. ვიმუშავებ ამ საკითხების მოგვარებაზე“ [19].

საკმაოდ მეგობრული ურთიერთობები აქვთ ჩამოყალიბებული რუსეთსა და აზერბაიჯანს. აზერბაიჯანი ლიდერობს სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის სახელმწიფოებს შორის რუსულენოვანი მედიის რაოდენობით. დაახლოვებულია, აგრეთვე, რუსეთისა და აზერბაიჯანის პოზიციები კასპიის ზღვის იურიდიული სტატუსის საკითხთან დაკავშირებით. ამასთანავე, აზერბაიჯანი რუსული შეიარაღების ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორია.

ბალტიის ქვეყნები „ნატო“-სა და ევროკავშირის წევრები არიან, ამიტომ მათთან დამოკიდებულებაში რუსეთი იგივე პოზიციას აზეა, რა პოლიტიკასაც აწარმოებს იგი აღნიშნული გაერთიანე-

ბების ნევრ სხვა სახელმწიფოებთან. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი და მნიშვნელოვანი წინააღმდეგობებია მეორე მსოფლიო ომის შეფასებებსა და ომის შემდგომ მოწყობაზე. ბალტიის ქვეყნებში გათანაბრებულია ფაშისტური და საბჭოური რეჟიმები და საბჭოთა კავშირი იქ წარმოდგენილია, როგორც ოკუპანტი. რუსეთსა და ლატვია, ესტონეთს შორის ურთიერთობების ცალკე პრობლემაა – ბალტიის ამ ორ ქვეყანაში რუსი ეროვნების მოსახლეობის დისკრიმინაციის საკითხი, რომელსაც რუსეთი პერიოდულად უბრუნდება. „ეს მოქალაქეები იყოფიან ოთხ მთავარ კატეგორიად: პირები, რომლებიც ბალტიის ქვეყნებში გადავიდნენ ლატვიასა და ესტონეთში სამრეწველო ობიექტების მშენებლობის პროექტების განხორციელებისას რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიდან; სსრკ დროს ბალტიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრკ შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე, სხვა ძალოვანი სტრუქტურებისა და სპეცსამსახურების თანამშრომლები, რომლებიც ბალტიის ქვეყნებში მუშაობდნენ სსრკ დაშლის მომენტში ან დასახლდნენ პენსიაზე გასვლის შემდეგ; პირები, რომლებიც გადასახლდნენ ბალტიის რესპუბლიკებში ბუნებრივი მიგრაციისა და მკვიდრ მოსახლეობასთან ქორწინების შედეგად; ბავშვები, რომლებიც დაიბადნენ ბალტიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოსახლეობის სამივე ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიისაგან.“ [5]. ამ ეტაპზე გარკვეული საერთაშორისო სტრუქტურების ძალისხმევის შედეგად პრობლემის სიმძიმე შემცირდა, თუმცა ის დარჩა.

შუა აზიის ქვეყნებთან დამოკიდებულებაში რუსეთი ითვალისწინებს მათ ენერგეტიკულ პოტენციალს. ცნობილია, რომ აქ საკმაოდ დიდი რაოდენობის ბუნებრივი აირის მარაგია, განსაკუთრებით თურქმენეთში, ყაზახეთში და უზბეკეთში. გარდა „დღს“-ს ევრაზიულ ეკონომიკური კავშირისა, რუსეთი და შუა აზიის სახელმწიფოები თანამშრომლობენ „მანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ ფარგლებში, რომელიც დაარსდა 2001

ნლის 15 ივნისს ჩინეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის ქვეყნების ლიდერების მიერ, გარდა დამფუძნებელი სახელმწიფოებისა, დღეს ორგანიზაციაში განევრინანებულია ინდოეთი და პაკისტანი. ხაზგასასმელია ის, რომ გარდა ეკონომიკური ურთიერთობისა რუსეთს გააჩნია სამხედრო ინფრასტრუქტურა ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში. ყირგიზეთში განლაგებულია: რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის შორეული საკომუნიკაციო ცენტრი, წყალქვეშა იარაღის საცდელი ბაზა ისიკ-კულის ტბაზე, კანტის საჰაერო ბაზა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2017 წლიდან განლაგებულია რუსული სამხედრო ბაზა, რომლის ფუნქციონირება განსაზღვრულია 15 წლით. ტაჯიკეთში კი 2004 წლიდან ფუნქციონირებს 201-ე რუსული ბაზა, რომელიც ჩამოყალიბდა 201-ე მოტომსროლელი დივიზიის ბაზაზე. მის მიზანს წარმოადგენს ტაჯიკეთის რესპუბლიკაში კონსტიტუციური სისტემის მხარდაჭერა, რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა და ნაციონალური ინტერესების განმტკიცება შუა აზიის რეგიონში.

ნებისმიერ კავშირსა ან/და ორგანიზაციას „დსთ“-ს სივრცეში, რაც არ უნდა „ეკონომიკური“ ერქვას, რუსეთისათვის უფრო მეტად გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეკონომიკური. მოსკოვი ცდილობს ნაწილობრივ მაინც აღადგინოს კონტროლი საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებზე, თუმცა დღეს შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ არ გაამართლდა არც ცუდი და არც ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინები, იგი არსებობს, მაგრამ ის არ გამხდარა სრულფასოვანი მექანიზმი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რეინტეგრაციისთვის. რუსეთის არაერთგვარი პოლიტიკისა და დამოკიდებულების გამოძახილია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან თვით რუსეთისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა. „რუსეთი „დსთ“-ს სახელმწიფოებისაგან, დასავლეთის სახელმწიფოებისაგან, აგრეთვე, ჩინეთისაგან აღიქმება, როგორც იმპერიული ამბიციების მქონე ქვეყანა. ზოგიერთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო

(ბალტიის ქვეყნები, საქართველო და ახლა უკვე უკრაინა) ცდილობს დაიცვას საკუთარი თავი მისგან, სხვებს (ბელორუსია, შუა აზიის ქვეყნები), თამაშში აყოლით, სურთ მიიღონ ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის გარკვეული ბონუსები“ [17].

დღევანდელი დამოუკიდებელი რუსეთის ფედერაცია არის რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა რუსეთის სამართალმემკვიდრე, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. საუკუნეების მანძილზე დამტკიცდა, რომ მას არ შეუძლია ჰქონდეს ნორმალური, ურთიერთპატივისცემაზე და თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული ურთიერთობა უშუალო მეზობელ ქვეყნებთან. დღესაც, მას სურს ეს სახელმწიფოები თავისი გავლენის სფეროში ყავდეს მოქცეული და მუდმივად დომინირებდეს მათთან მიმართებაში. კარგად გამოცდილი „მათრახი და თაფლკვერი“-ს მეთოდით მიდგომა პარტნიორებისადმი დღესაც აქტუალურია რუსეთის მხრიდან. მაგალითისათვის გამოდგება სომხეთ-აზერბაიჯანის საომარი დაპირისპირება 2020 წლის შემოდგომაზე, როდესაც თავისი სტრატეგიული პარტნიორი სომხეთის არაერთი თხოვნის მიუხედავად, არ ჩაერია ომის მსვლელობაში, თუნდაც პოლიტიკური მხარდაჭერით, რითაც დასაჯა სომხეთი, მისი ბოლოდროინდელი მეტად ევროპული კურსის გატარებისა და საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების გამო. ამგვარი პოლიტიკის წარმოებით რუსეთმა შეიძლება დაკარგოს ნდობა „დსთ“-ს წევრ ქვეყნებს შორის (რომელიც ჯერ კიდევ არსებობს) და უზიდავოს მათ ეკონომიკურად, თუ პოლიტიკურად უფრო მომგებიანი მიმართულებები აირჩიონ, იქნება ეს ევროპული თუ აზიური ინტეგრაციის კურსი.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Договор об образовании Союза Советских Социалистических Республик. https://ru.wikisource.org/wiki/Договор_об_образовании_Союза_Советских_Социалистических_Республик, (გადამონმებულია 06. 01. 2021).

2. Соглашение о создании Содружества Независимых Государств. <https://cis.minsk.by/page/show?id=176>, (გადამონმებულია 06. 01. 2021)

3. Указ Президента Российской Федерации от 30. 11. 2016 г. № 640, Об утверждении Концепции внешней политики Российской Федерации. <http://www.kremlin.ru/acts/bank/41451/page/1>, (გადამონმებულია 06. 01. 2021).

4. Примаков Е., Мысли вслух, Москва, 2011.

5. Баранов Н., Внешнеполитическая деятельность России на постсоветском пространстве, 22. 02. 2018. https://nicbar.ru/politology/study/55-kurs-sovremennaya-vneshnepoliticheskaya-strategiya-rossii-i-mezhdunarodnye-konflikty/571-lektsiya-2-vneshnepoliticheskaya-deyatelnost-rossii-na-postsovetskom-prostranstve#_ftn1, (გადამონმებულია 06. 01. 2021).

6. Zbigniew B., The Grand Chessboard. American Primacy and Its - Geostrategic Imperatives, 1997.

7. ДОГОВОР О ЕВРАЗИЙСКОМ ЭКОНОМИЧЕСКОМ СОЮЗЕ. <https://www.nbrb.by/today/internationalcooperation/eeu/agreements/eeuagreement.pdf>, (გადამონმებულია 08. 01. 2021).

8. ЕВРАЗИЙСКИЙ ЭКОНОМИЧЕСКИЙ СОЮЗ В ЦИФРАХ, КРАТКИЙ СТАТИСТИЧЕСКИЙ СБОРНИК, Москва, 2020.

9. Послание Федеральному Собранию Российской Федерации 25 апреля 2005 года. <http://kremlin.ru/events/president/transcripts/22931>, (გადამონმებულია 08. 01. 2021).

10. RT На Русском, „Клинтон: США не допустят возрождения СССР“, 7. 12. 2012. <https://russian.rt.com/article/1787>, (გადამონმებულია 09. 01. 2021).

11. Договор о создании Союзного государства. <https://soyuz.by/dogovor-o-sozdanii-soyuznogo-gosudarstva>, (გადამონმებულია 09. 01. 2021).

12. Россия запретила поставки белорусского молока и молочных продуктов, 22 февраля 2018. <https://meduza.io/news/2018/02/22/rossiya-zapretila-postavki-belorusskogo-moloka-i-molochnyh-produktov>, (გადამონმებულია 09. 01. 2021).

13. Смирнов А., Запрет белорусской „молочки“ в России: каким может быть компромисс?, 14. 03. 2018. <https://www.dw.com/ru/ru/zapret-belorusskoy-molochki-v-rossii-kakim-mozhet-byt-kompromiss/a-42967775>, (გადამონმებულია 10. 01. 2021).

14. Генерал-майор Воинов О., Военное сотрудничество и добрососедство: от слов к делу 15. 09. 2020. https://www.mil.by/ru/news/press_center/publications/105997/, (გადამონმებულია 10. 01. 2021).

15. „Славянское братство“: Москва прислала на учения в Беларусь 300 десантников и одного министра, 16. 09. 2020. <https://www.bbc.com/russian/features-54167158>, (54167158” ისლალა ნა უჩენია ვ ბ

16. Договор о коллективной безопасности. https://odkb-csto.org/documents/documents/dogovor_o_kollektivnoy_bezопасnosti/, (გადამონმებულია 11. 01. 2021).

17. Шишков В., Политика России на постсоветском пространстве, Жур. Россия и новые государства Евразии, Институт мировой экономики и международных отношений РАН, М., № 1, 2015

18. Выступление Майи Санду после церемонии инаугурации на пост Президента Республики Молдова: „Я – одна из Вас, простой человек. Я Ваш президент, и Вы можете на меня рассчитывать“, 24. 12. 2020 <https://www.zdg.md/ru/?p=48532>, (გადამონმებულია 11. 01. 2021).

19. Майя Санду: „Если меня пригласят в Россию, поеду“, 29.12.2020, <https://www.dw.com/ru/majja-sandu-esli-menja-priglasjat-v-rossiju-poedu/a-56086408>, (გადამონმებულია 11. 01. 2021).

Levan Beria

*Georgian Technical University, Doctoral student of
the Faculty of Law and International Relations*

Commonwealth of the Independent States and Russian Foreign Policy in the Post-Soviet Space

Summary

The Russian Federation considers the post-Soviet space as its „backyard”, where neither the adjacent neighbour nor the far one has anything to do. It views this region as its sphere of influence and a buffer zone with opponents. Any action performed by neighbouring countries that is against its policy - be dominant over Post-Soviet Countries (PSC), is perceived uneasily. Russia is not only concerned about the subject, but even uses aggression and demonstration of power. The good examples of which are Georgia (2008) and Ukraine (2014) cases.

The article discusses Russia’s policy towards PSCs in general, notwithstanding whether the country is a member of the Commonwealth of Independent States or not. Among those countries, some are part of the adversary block, such as NATO and EU, some are willing to be a part of it. Although, there are some countries where Russia did not need great effort to build up the influence. Its policy considers binding those countries not only politically but economically as well. This dominating policy runs without exception (attitude with the strategic partner Armenia during the war of Nov. 2020) and this type of strategy is the main reason for the current non-stable situation within the post-soviet area. Therefore, it is not excluded that some allies are dreaming of a more stable geopolitical space behind its back.

ვეფხვია ჩალაბაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერ-
ობების ფაკულტეტის დოქტორანტი

აშშ-ს გეოსტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკა, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მრავალმხრივი და ყოვლისმომცველია. ამერიკულ საგანმანათლებლო და დიპლომატიურ წრეებში ეს შესაძლებლობები განსაზღვრულია „DIME“ აკრონიმით, რაც „Diplomatic, Informational, Military and Economic“ ნიშნავს. ესაა ის საშუალება, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ამა თუ იმ ქვეყანაზე თავისი საერთაშორისო გეგმების განსახორციელებლად იყენებს და ამის შედეგად თავისთვის სასარგებლო და სასურველ მიზნებს აღწევს [1, 25].

უფრო ნათელი რომ გახდეს, თუ რას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების გეოსტრატეგიული მიზნები სამხრეთ კავკასიაში, შევეცდები DIME-ის კრიტერიუმების საფუძველზე გავანალიზო და ჩამოვაცალიბო სათანადო დასკვნები.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლამ და ამ სივრცეში სუვერენული სახელმწიფოების გაჩენამ მსოფლიო პოლიტიკური რუკის კორექტირება გამოიწვია, რასაც შესაბამისად მოჰყვა გლობალური გეოსტრატეგიული ცვლილებები მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში და მათ შორის სამხრეთ კავკასიაშიც. ამ რეგიონში, ძირითადად, ორი უძლიერესი სახელმწიფოს აშშ-სა და რუსეთის ინტერესთა კვეთაა, თუმცა, ირანსაც და თურქეთსაც აქვთ სურვილი თავიანთი გავლენა იქონიონ, მაგრამ ამ ეტაპზე ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი არიან დაპირისპირებულნი, რომლებიც განუზრვლად მიისწრაფვიან, რათა სამხრეთი კავკასია თავიანთი ინტერესის სფეროში მოაქციონ. ეს დაპირის-

პირება დღესაც გრძელდება. ვინაიდან რეგიონის სამი ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო), გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ძირითად ქვეყნად მაინც საქართველო მოიაზრება, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რა კუთხით განვითარდება ეს დაპირისპირება და რას მოუტანს ის საქართველოს. ამისათვის საჭიროა გამოვიკვლიოთ ზესახელმწიფოების ინტერესები რეგიონში და შესაბამისად, მოქნილად ვანარმოოთ ჩვენი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, რათა მათი ინტერესების სფეროში მოხვდეს ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორებიც და ამ შემთხვევაში აშშ-ს ინტერესებთან თანხვედრაში ვპოვოთ რეალური განვითარება.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ენერგო მატარებლების გადაკვეთისა და გეოპოლიტიკური ინტერესების გზაგასაყარზე აღმოჩნდნენ. ამის გამო, რეგიონი და აქ არსებული სამივე სახელმწიფო განუწყვეტლივ განიცდის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური თუ სამხედრო გაერთიანებების გავლენებს. ამ მდგომარეობაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ინტერესები თანხვედრაში იყოს აშშ-ს გეოსტრატეგიულ ინტერესებთან და მათთან ერთად შევძლოთ ამ ინტერესების განხორციელება, რადგანაც ისეთი აგრესიული და არაადეკვატური მეზობლის გვერდით, როგორც რუსეთი და მისი გავლენების არეალია, საქართველო უძლური იქნება მარტომ გაატაროს თავისი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია გააზრებული და შესწავლილი იქნას ყველა სავარაუდო საფრთხე: (D) „მართალია, თბილისი დღეს ინარჩუნებს ახლო საგარეო-პოლიტიკურ კავშირს დასავლეთთან, ხოლო ბოლო პერიოდში აშშ-თან თავდაცვითი თანამშრომლობის მხრივ იმედისმომცემი პროცესები მიმდინარეობს, რუსული საფრთხე ძალიან სერიოზულია“ [2, 1].

ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების პირველი ნახნაგები საქართველოს დამოუკიდებლობიდან არც თუ ისე მალე გამოიკვეთა, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს მაშინდელმა

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუში უფროსმა თავისი გადაწყვეტილებით საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები დაიწყო 1992 წლის მარტიდან: (D) „დიპლომატიური ურთიერთობა დაიწყო 1992 წლის 24 მარტს, როდესაც პრეზიდენტ ჯორჯ ბუში უფროსმა გადაწყვეტილების შესახებ განცხადება გააკეთა პრესისათვის“ და მისი ადმინისტრაცია კონცენტრირებული იყო ბალტიისპირეთისა და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების ბედზე, მათ სამხედრო ალიანსში და ევროკავშირში განევრიანებაზე და სამხრეთ კავკასია მაშინვე არ მოხვდა მათი ყურადღების ცენტრში. საქართველომ დასავლეთისკენ სწრაფვის, ევროპული ღირებულებების მისწრაფებისა და დემოკრატიისკენ ურთულესი გზის გავლითა და მოკავშირეებისთვის საერთაშორისო მშვიდობის დასაცავად წვლილის შეტანის პერიოდში მოიპოვა საერთაშორისო ინტერესი და რეგიონისთვის საკვანძო ქვეყნის იმიჯის მფლობელიც გახდა: (M) „შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად 1992 წელს აღიარა, თუმცა, თავდაცვის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება 2001 სექტემბრიდან იღებს სათავეს, როდესაც საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეუერთდა“ [3, 502-503].

საქართველოს ჩართვამ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ქართველი სამხედროების პროფესიონალურმა, გამირულმა და ხშირ შემთხვევებში თავგანწირულმა ქმედებებმა მეგობარ და პარტნიორ ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობაში აქტიური როლი ითამაშა. გაფართოვდა თანამშრომლობის არეალი და ძლიერმა სახელმწიფოებმა სერიოზულად მოკიდეს ხელი ქართული შეიარაღებული ძალების განვითარებისთვის ზრუნვას. ამ საქმეშიც მედროშედ აშშ მოგვევლინა და პირველი ნაბიჯიც საკმაოდ ამბიციური გახლდათ: (M) „2002 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით დაიწყო საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (GTEP)“ [4, 1].

სამხრეთ კავკასიაში ამერიკის ინტერესების გააქტიურებასთან ერთად განგაშის სიგნალი ჩართო რუსეთმაც და მთე-

ლი ძალით აამუშავა პროპაგანდისტული მანქანა. საქართველო ისტორიულად დაუმორჩილებელი რესპუბლიკა იყო და რუსეთი მხოლოდ სამხედრო ძალითა და ტერიტორიების ოკუპაციით არ დაკმაყოფილდა. მან „რბილი ძალის“ ყველა ელემენტი აამოქმედა. დღესაც ადვილად შეიძლება რუსული ჰიბრიდული ომის კვალის შემჩნევა საქართველოში ბევრი მიმართულებით, თუმცა, დემოკრატია და ის ღირებულებები რაც დემოკრატიას ახლავს თან, იმდენად ძლიერია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში გამარჯვება სიმართლის მხარეს იქნება. აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების სფეროში არის, აგრეთვე, (E) ბაქო-სუფსა ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, აგრეთვე, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. ეს ენერგომატარებლები და მათი უსაფრთხოება ემთხვევა ჩვენი და აშშ-ს ინტერესებს და ამ კუთხით ბევრი საერთო ინტერესი ხორციელდება. ქართული სამხედრო ძალების სიძლიერესთან ერთად, ენერგო მატარებლების უსაფრთხოება ძლიერ რგოლს ქმნის ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, თუმცა, უსაფრთხოების კუთხითა და იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს დღეის მდგომარეობით ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებული აქვს, კიდევ მეტი გვაქვს გასაკეთებელი უსაფრთხოებისა და მშვიდობის დამყარების უზრუნველსაყოფად. ამის ერთ-ერთი გარანტია კი ნატოში განწევრიანებაა, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთი: „რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ტელეკომპანია Fox News-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთს საქართველოსა და უკრაინის ნატოში განწევრიანებაზე უკიდურესად ნეგატიური რეაქცია ექნება“ [5, 1]. ამდენად, საფრთხე კვლავ რეალური რჩება და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომაც რუსეთის რიტორიკა აგრესიული და არაადეკვატურია.

საქართველომ უნდა გააგრძელოს დასავლური და ევროატლანტიკური პოლიტიკის გზა, დემოკრატიული განვითარება და მასთან ერთად ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება

ერთადერთი და უალტერნატივო გზაა ქვეყნის განვითარების-თვის. ეს გზა უფრო რეალურია, როდესაც ჩვენი ინტერესები რეგიონში ამერიკის ინტერესებთანაა თანხვედრაში. ამასთან, უფრო სიღრმისეულად გვმართებს ამერიკის ინტერესების შეს-ნავლა, რათა მეტად გავიგოთ, კიდევ რა ინტერესები შეიძლება ჰქონდეს ამერიკას ჩვენს რეგიონში. გარდა რუსეთთან დაპირი-სპირებისა, აშშ-ს ურთიერთობები გართულებული აქვს ირანთან, რომელსაც, ასევე, თავისი ამბიციის გააჩნია სამხრეთ კავკასიაში და ეს აშკარად არაერთხელ გამოჩნდა. ირანთან დაპირისპირების, მის წინააღმდეგ სანქციების ეფექტიან განხორციელებასა და ირანისთვის თავისუფალი სივრცის შეზღუდვაშიც საქართველო მნიშვნელოვანი ფაქტორია, ამ კუთხით, საქართველომ ძალიან სკრუპულოზურად უნდა იმოქმედოს და ჩვენი დიპლომატიური კორპუსის წყალობით დღემდე ჩვენ ამას ვახერხებთ. თუნდაც იმ პირობებში, რომ ჩვენ აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი ვართ, ირანთან ჩვენი ურთიერთობა მაინც კეთილმეზობლურია: (D) 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოსთვის ემბარგოს დაწესებისა და ბუნებრივი გაზის მოწოდების შეწყვეტის შემდეგ, ირანმა უზ-რუნველყო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი გაზით მომარაგება, რაც იმის უტყუარი დასტურია, რომ დიპლომატიური არხები აქტიუ-რად და ნაყოფიერად ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას.

ამერიკის შეერთებული შტატები სომხეთთან და აზერ-ბაიჯანთანაც ჩართულია ყველა სახის თანამშრომლობაში, ამ ქვეყნებთანაც აწარმოებს იგივე მიდგომებს და ცდილობს დაეხ-მაროს მათ დამოუკიდებლობის განმტკიცების, სახელმწიფო ინ-სტიტუტების განვითარებისა და დასავლეთის საერთო პოლი-ტიკური ჭრილისკენ მათ წარმართვას, თუმცა, კვლავ რუსეთის ფაქტორიდან გამომდინარე, ყველაფერი ისე არ ხორციელდება როგორც აშშ-ს გეგმებს შეესაბამება. ბოლო დროს თურქეთმაც გააკეთა ამბიციური განაცხადი სამხრეთ კავკასიაში თავისი გავ-ლენის განსახორციელებლად. უნდა ითქვას, რომ ნაწილობრივ გამოუვიდა კიდევ, ვგულისხმობ, ყარაბაღში განვითარებულ

ბოლო მოვლენებს: „ყარაბაღში რუსულ-თურქული სამშვიდობო ცენტრის მშენებლობა დაიწყო. ცენტრი ძალიან მალე დაიწყებს ფუნქციონირებას“ [6, 1-2]. რუსულ-თურქული თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთი გამონწვევაა აშშ-სთვის და უფრო მეტი ძალისხმევა დასჭირდება ამ მდგომარეობის სათავისოდ შემოსაბრუნებლად.

აშშ ევროპასთან ერთად აქტიურად ახორციელებს ინფორმაციულ მხარდაჭერასაც, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე და მის შემდეგ განხორციელებულ კიბერ თავდასხმებში მოკავშირეების მხარდაჭერით საქართველომ დროულად შეძლო სამთავრობო კავშირებისა და ქსელების სრული აღდგენა, მაგრამ 2019 წელს ისევ განხორციელდა საქართველოზე კიბერ შეტევა, რის შემდეგაც აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს: „თბილისი/ლონდონი (როიტერსი) – (I) დიდი ბრიტანეთი და აშშ შეუერთდნენ საქართველოს ბრალდებას და დაგმეს რუსეთი გასული წლის ფართომასშტაბიან კიბერ თავდასხმაში, რამაც გამოიწვია ათასობით ქართული ვებ-საიტების გათიშვა და ჩაახშო ეროვნული ტელევიზიების მაუწყებლობა“ [7, 1].

საერთო ჯამში, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხრეთ კავკასიაში წარმოებული გეოსტრატეგიული ქმედებები სამივე ქვეყნის – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართულებით უფრო თვალნათელი რომ იყოს, ამის აღსაქმელად უპრიანი იქნება ისევ აშშ-ს ოფიციალური სტატისტიკა მოვიშველიოთ: (E) „იმპორტი: აშშ-დან 2019 წელს ამერიკული ნაწარმი სომხეთში \$55 მილიონი; აზერბაიჯანში \$26 მილიონი; საქართველოში \$153 მილიონი“ [8, 1]. და სამხრეთ კავკასიიდან განხორციელებული ექსპორტი აშშ-ში: „2019 წელს განხორციელებული ექსპორტი აშშ-ში – სომხეთი \$53 მილიონი; აზერბაიჯანი \$374 მილიონი; საქართველო \$769 მილიონი“ [9, 1]. მოცემული ეკონომიკური სურათიდანაც ნათლად ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები და მისი ჩართულობა, როგორც მთლიანად რეგიონში, ასევე, სამივე ქვეყანასთან მიმართებით. ჩემი

შეფასებით, ეს ეკონომიკური მაჩვენებლები პირდაპირპროპორციულია სამივე ქვეყნის აშშ-სთან ურთიერთთანამშრომლობის ხარისხზე და, აგრეთვე, ვთვლი, რომ საქართველოში არსებული დემოკრატიის ხარისხი არის ტოლი ჩვენი ინტენსიური ურთიერთობისა აშშ-სთან.

როგორც შესავალში აღვნიშნე, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკა „DIME“-ის განზომილებით ნათლად წარმოაჩენს სამხრეთ კავკასიაში მის ინტერესებს დაახლოებით შემდეგი თანმიმდევრობით:

- დემოკრატია და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება (D)
- ეკონომიკური კეთილდღეობა (E)
- საერთაშორისო ენერგომატარებლების ფუნქციონირება და უსაფრთხოება (M, E)
- შავი ზღვის უსაფრთხოება, ღრმანწყლიანი პორტის არსებობა (D, I, E, M)
- რეგიონის ქვეყნების მხარდაჭერა ალიანსისკენ სწრაფვაში (D, M, E)
- რუსეთის ინტერესების შესუსტება, დემოკრატიის გაძლიერებით (D, E, I, M)
- ირანის სიახლოვეს სტრატეგიული მოკავშირეების ყოლა (D, E, I, M)
- ანტიტერორიზმი (D, E, M, I)

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, მიუხედავად რუსეთის ფედერაციის დიდი და ყოველმხრივი წინააღმდეგობისა, უნდა ეყოთ გონიერება, ძალა და გამბედაობა და მხარი აუბან აშშ-ს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებს, რათა შეძლონ იმ კრიზისიდან გამოსვლა, რომელშიც ახლა თითოეული მათგანი და ასევე, ყველა ერთად იმყოფება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩრდილოეთი შეამცირებს, ან შეწყვეტს არსებულ ზეწოლას, თუმცა, რეგიონის განვითარებისა და წინსვლის ერთადერთ პერსპექტივად, დღეის მდგომარეობით, სამხრეთ კავკასიას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Aftergood St., Strategy: Directing the Instruments of National Power, <https://fas.org/blogs/secrecy/2018/04/strategy-jcs/>; Joint Doctrine Note 1-18, Strategy, 25. April 2018.

2. ბატიაშვილი დ., ამერიკის სტრატეგია და საქართველო, რონდელის ბლოგი, 05. 01. 2018. <https://www.gfsis.org> (ნანახია: 03. 05. 2021)

3. Public Papers of the Presidents of the United States George Bush (in Two Books), Washington, 1993.

4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თანამშრომლობა აშშ-თან. <https://mod.gov.ge/ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan> (ნანახია: 03.05.2021)

5. იმედინიუსი, პოლიტიკა, 17 ივლისი, 2018. <https://imedinews.ge/ge/politika/70458/saqartveloshi-natoshi-gatsevrianebis-shesakhebutinis-gantskhadebaze-shepasebebi-gaketda> (ნანახია: 03.05.2021)

6. ამერიკის სმა, ახალი ამბები, 12/02/2020 <https://www.amerikishma.com/a/construction-of-nagorno-karabakh-casefire-monitoring-centre-has-begun-turkey/5684392.html> (ნანახია: 03.05.2021)

7. Margarita Antidze, Reuters, Georgia, backed by U.S. and Britain, blames Russia for ‘paralyzing’ cyber-attack.” FEB 20. 2020.

<https://www.reuters.com/article/us-georgia-cyber-idUSKBN20E1W3>

8. Office of the United States Trade Representative, Caucasus Region. <https://ustr.gov/countries-regions/europe-middle-east/russia-and-eurasia/caucasus-region> (ნანახია: 03. 05. 2021)

9. Office of the United States Trade Representative, Caucasus Region. <https://ustr.gov/countries-regions/europe-middle-east/russia-and-eurasia/caucasus-region> (ნანახია: 03. 05. 2021)

Vepkhvia Chalabashvili

*Georgian Technical University, Doctoral student of
the Faculty of Law and International Relations*

Geostrategic Interests of the USA in South Caucasus

Summary

The subject of the author's research is the US Geostrategic goals in the South Caucasus. It focuses on the United States package of Diplomatic, Informational, Military and Economic capabilities, so-called „DIME”, the study of the criteria of which leads to the following correct conclusion.

The US foreign policy dimension of DIME reflects its interests in the South Caucasus in approximately the following order: Democracy and state institution development D, Information (dissemination) I, International energy operators and their security, Black Sea security, Safe environment Creation M, Existence of deepwater port, Functioning of energy carriers, Economic prosperity E.

These dimensions are so closely intertwined and often tied together, that it is difficult to separate them, for example supporting countries in the region in their quest for an alliance D, M, E, weakening Russia's interests, strengthening democracy D, E, I, M, having strategic allies near Iran, D, E, I, M, counter-terrorism D, E, M, I.

According to the author, the countries of the South Caucasus, despite the great and comprehensive resistance of the Russian Federation, must have the wisdom, strength and courage to support these vital US interests to emerge from the crisis in which each one of them is now. In his view, this does not mean that the North will reduce or end the existing pressure, however, the only prospect for the development and advancement of the region as of today is that the South Caucasus has no alternative but the West.

ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და ქალთა გადანაწილება სამხრეთ კავკასიაში

სამხრეთ კავკასიის რეგიონით დაინტერესების ტენდენცია მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური აქტორების მხრიდან ამ რეგიონის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარეობს. მსოფლიოში არსებულ ძალთა გადანაწილება, ქვეყნებს შორის ურთიერთობები და მათი ინტენსიურობის ხარისხი ძალიან დიდ გავლენას ახდენს კავკასიის რეგიონსა და აქ არსებული სახელმწიფოების პოლიტიკურ განვითარებაზე.

უკანასკნელი ათწლეულის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეგიონში არსებული წესრიგი ძირეულად შეიცვალა, თუ მანამდე თურქეთი უპირობო ლიდერის სტატუსს ატარებდა, იგი ნელნელა შეეგუა რუსეთის გაძლიერებასა და რეგიონში საკუთარი ძალის დემონსტრირების მაგალითებს. ამის გარდა, კავკასიის რეგიონისადმი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესები გააჩნია ამერიკის შეერთებული შტატებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ თურქეთმა მიიღო ახალი რეალობა, როგორც გამოწვევა და დაიწყო საკუთარი ადგილისა და როლის გადაფასება მსოფლიო და რეგიონულ დონეზე, შეიმუშავა ახალი საგარეო პოლიტიკური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც იგი საერთაშორისო ასპარეზზე დაამტკიცებდა, რომ შესწევს უნარი ითამაშოს დამოუკიდებელი თამაში, რომელიც მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარეობს.

გარდა თურქეთისა, რეგიონში ლიდერის სტატუსის გამყარებისათვის მუშაობს რუსეთიც, როგორც ქვეყნის პოლიტიკური ლიდერების, აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკურ დოქტრინებში

მკაფიოდაა ახსნილი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა, რომელიც რიგ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის ადგილობრივი სახელმწიფოების პოლიტიკასთან. აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის რეგიონი ძალიან რთულ მდგომარეობაშია – ერთი მხრივ, ამ რეგიონის სახელმწიფოებს სურთ დამოუკიდებლობა, განვითარებისა და პროგრესის გზით სიარული, მეორე მხრივ, რუსეთის ამბიციების გამო მუდმივად უწევთ ბრძოლა, როგორმე თავი დააღწიონ ამ გავლენებს. პროცესი, შეიძლება ითქვას, ჩაკეტილ წრეზე ბრუნავს და ჯერჯერობით, დასავლეთის თანადგომისა და საკუთარი ძალისხმევის მიუხედავად, რეგიონის სახელმწიფოებს უჭირთ დამოუკიდებლად აირჩიონ საგარეო პოლიტიკური ვექტორი. თანამედროვე პოლიტიკის გამოწვევების გათვალისწინებით, როდესაც კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებმა რიგრიგობით დაიწყეს საკუთარი სწორხაზოვანი პოლიტიკური კურსის დაცვა, ექსპერტებში გაჩნდა მოსაზრება, რომ რუსეთი ნელნელა პოზიციებს თმობდა და სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებსაც კავკასიაში უდაო გავლენა აქვთ, რუსეთი ერთადერთია, რომელსაც ფეხქვეშ მინა ეცლება.

რუსეთი სამხრეთ კავკასიაში საკუთარი მიზნების მისაღწევად ძირითად შემთხვევაში ე. წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკას ირჩევს, თუმცა არ ერიდება ხისტ ჩარევებსაც, როგორც ეს საქართველოსთან საომარი მოქმედებების წარმოებასა და სხვადასხვა მცირე კონფლიქტების გაღვივებით შემოიფარგლა. [1]

„რბილი ძალა“, როგორც რუსეთის პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი ბოლო პერიოდში, ძირითადად, რელიგიით მანიპულირებასა და საინფორმაციო ომთანაა დაკავშირებული, რომლის წყალობითაც მან მოახერხა და დასაყრდენი მოიპოვა როგორც სომხურ, აგრეთვე, ქართულ ბექდურ მედიაში, რომლებიც აწარმოებენ აგრესიულ, ანტიდასავლურ და ანტიამერიკულ საინფორმაციო კამპანიას. ფაქტი, რომ სპეცსამსახურები აქტიურად მუშაობდნენ ქართულ მხარესთან, ამას მიუთითებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ანგარი-

შიც, სადაც ვკითხულობთ, „ქვეყანაში საგრძნობლად გაძლიერდა რუსეთის სპეცსამსახურების გავლენა მათ შორის რბილი ძალის გამოყენების გზით.“ [2]

გარდა საინფორმაციო ომისა, რუსეთი კავკასიის რეგიონში საკუთარი კაპიტალის დადგროვებითაც არის დაინტერესებული, შესაბამისად იგი აქტიურადაა ჩართული ენერგეტიკის, მადნეულის წარმოების, ნავთობპროდუქტების რეალიზაციის და მინერალური წყლების წარმოების სფეროში. აღსანიშნავია ისიც რომ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში ფუნქციონირებენ ისეთი კომპანიებიც, რომლებსაც ამერიკისა და ევროკავშირის მხრიდან ყირიმის ანექსიის გამო, სანქციები აქვთ დაწესებული. საქართველოსთან მიმართებით 2014 წლიდან დღემდე გაზრდილია რუსეთის მხრიდან ფულადი გზავნილებისა და ინვესტიციების რაოდენობა. 2017 წელს მისი რაოდენობა თითქმის 500 მილიონ დოლარს შეადგენდა, შესაბამისად, აღნიშნული ბერკეტი რუსეთს უტოვებს შესაძლებლობას ირიბად ჩაერიოს საქართველოს ეკონომიკურ პროცესებში და ზემოქმედება მოახდინოს მასზე. საქართველოს გარდა რბილი ძალის პოლიტიკის თითქმის იდენტური მეთოდები მოქმედებს სომხეთშიც, სადაც რუსეთმა შეძლო და ამ სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორად გადაიქცა. თუმცა ძირეული ცვლილებები დაიწყო 2018 წლიდან, როდესაც სომხეთმა ნდობა გამოუცხადა ევროკავშირსა და დასავლელ პარტნიორებს და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში ევროკავშირი ნომერ პირველ პარტნიორად დაასახელა. აგრეთვე, ქვეყნის შიგნით დემოკრატიული ინსტიტუტების გამართულად მუშაობისათვის გადადგმულმა ქმედებებმა დიდი როლი ითამაშა მოსახლეობაში დემოკრატიული ნორმების დამკვიდრებაში, რამაც საბოლოოდ პროგრესსა და განვითარებაზე ორიენტირებულ საზოგადოებას ჩაუყარა საფუძველი.[3]

სომხეთისა და საქართველოსაგან განსხვავებით აზერბაიჯანის შემთხვევაში როგორც რუსეთის, ასევე თურქეთის მხრიდან გატარებული პოლიტიკა განსხვავდება. გარდა რელიგიური ფაქ-

ტორისა, რომელიც აზერბაიჯანს კიდევ უფრო მეტად აახლოვებს თურქეთს, მას გააჩნია ენერგორესურსების საკუთარი მარაგი და მასზე კონტროლი საშუალებას აძლევს შედარებით დამოუკიდებელი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა აწარმოოს. „რელიგიის გამო აზერბაიჯანისათვის არა რუსეთი, არამედ თურქეთია ის სახელმწიფო, რომლის მოდელი მისთვის მისაბაძია და „ერთი ერი, ორი სახელმწიფოს“ დევიზი მათ შორის ძალიან მჭიდრო კავშირს წარმოშობს. აზერბაიჯანისათვის სახელმწიფოს ევროპული მოდელიც არაა მაინცდამაინც მისაბაძი. ამიტომაც ევროკავშირთან მისი ურთიერთობა უფრო განსხვავებულ ჭრილში მიმდინარეობს, ვიდრე საქართველოსა და სომხეთისათვის; ამ შემთხვევაში აზერბაიჯანი უფრო მეტად საჭირო პარტნიორია დასავლეთისთვისაც და რუსეთისთვისაც ენერგორესურსების გამო, შესაბამისად თანამშრომლობის აქცენტიც სწორედ ამ ჭრილშია გადატანილი.“ [4, 41]

როგორც უკვე აღვნიშნე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკუთარი პოზიციების გამყარება რუსეთის გარდა თურქეთის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მისწრაფებაცაა, იგი ახლო აღმოსავლეთის რეგიონისგან განსხვავებით აქ, ძირითადად, „რბილი ძალის“ პოლიტიკას იყენებს, თუმცა ეს მიდგომა ნაკლებ წარმატებულია სომხეთთან მიმართებით. რაც შეეხება საქართველოს, ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, გარდა საგანმანათლებლო თუ სხვადასხვა გაცვლითი პროექტებისა, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სფეროსაც მოიცავს. წლებია თურქეთი არ თმობს პოზიციებს საქართველოსთვის ერთ-ერთ პირველ სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორად ყოფნისათვის, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს თურქეთთან ენერგეტიკულ (ბაქო თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის; ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი) და სატრანსპორტო პროექტებში. საკმაოდ ინტენსიურია თანამშრომლობა სამხედრო წვრთნისა და შეიარაღების სფეროში (ხელშეკრულებები საქართველოს, დიდი ბრიტანეთისა და თურქეთის რესპუბლიკას შორის), რაც საქარ-

თველოს შეიარაღებულ ძალებში ნატოს სტანდარტების კიდევ უფრო ფართო მასშტაბით დანერგვას ემსახურება. რაც შეეხება აზერბაიჯანს, თურქეთისათვის ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობები და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივა ისტორიულად რთული და დაძაბული თითქმის არ ყოფილა, ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან სამხედრო, ეკონომიკური, თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ფორმით; მათ შორის მოქმედებს უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ამ ორი მხარის კიდევ უფრო დაახლოებასა და პოლიტიკური კონსესუსის მიღწევას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში დიდი და ძლიერი სახელმწიფოების ინტერესები მუდმივად აქტიურად იკვეთებოდა ერთმანეთთან და ცდილობდნენ რეგიონის ქვეყნებისათვის საკუთარი პოლიტიკის თავს მოხვევას. მდგომარეობა და ძალთა ბალანსი განსაკუთრებით შეიცვალა 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდგომ, რომელმაც, ფაქტობრივად, სრულად ამოაყირავა პოლიტიკური დღის წესრიგი და ქვეყნები ახალი რეალობის წინაშე დააყენა. სომხეთის მიერ განცდილი მარცხის შემდგომ, მთიანი ყარაბაღის არ აღიარებულმა რესპუბლიკამ დაკარგა თავისი ტერიტორიის თითქმის 80%, ხოლო აზერბაიჯანმა, გარდა იმისა რომ მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება, ასევე, მის დაქვემდებარებაში შევიდა მთიანი ყარაბაღის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორიები და ოლქის 30%. ყარაბაღის ომში დამარცხებამ რთულ მდგომარეობაში ჩააგდო სომხეთი, არსებულ ეკონომიკურ კრიზისს დაემატა პოლიტიკური ჩიხი, რომელიც ხალხის მხრიდან პრემიერ-მინისტრისადმი უნდობლობითა და მისი გადადგომის მოთხოვნით გამოიხატა, ქვეყანაში შემცირდა მშპ და გაუფასურდა ვალუტის კურსი, რამაც კიდევ უფრო გაართულა კონსესუსის მიღწევა მმართველ ძალასა და საზოგადოებას შორის. შიდა პრობლემების გადაჭრის გარდა, სომხეთმა უნდა განსაზღვროს თავისი სტრატეგია მთიანი ყარაბაღის მიმართ. თუმცა, მნიშვნელოვანია რომ მოკლევადიან პერსპექტივაში მას

არ აქვს ძალა შეცვალოს ახლანდელი სტატუს-კვო, თუმცა მომავალში ეს აუცილებლად გამოიწვევს არცახის დაკარგვას, შესაბამისად ერევანმა უნდა მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომ სტატუს-კვოს რამდენიმე წლით შენარჩუნების შემთხვევაში, იგი 10-15 წლის შემდეგ მაინც ეცადოს ვითარების თავის სასარგებლოდ შეცვლას.

განსხვავებით სომხეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი ამ შემთხვევაში მომგებიან პოზიციას იკავებს, თავს იჩენს რამოდენიმე პრობლემატური საკითხი, რაც მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე რუსული სამხედროების არსებობითაა გამოწვეული. მართალია, 10 ნოემბრის ხელშეკრულება მკვეთრად უსვამს ხაზს, რომ 5 წლის შემდეგ რუსი სამშვიდობოები დატოვებენ ყარაბაღს, თუ სომხეთი ან აზერბაიჯანი მოითხოვს მათ გაყვანას, მაგრამ აზერბაიჯანს არ გააჩნია გარანტია, რომ რუსეთი მოძებნის მიზეზს ყარაბაღში უფრო დიდი ხნით დარჩენისათვის. ამასთანავე, ძალიან გაიზარდა თურქეთის როლი და მნიშვნელობა ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ საკითხებში, რის საპირწონედაც რუსეთი ცდილობს ანკარის გავლენა აზერბაიჯანში დააბალანსოს, რაც ძირითადად ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ირგვლივ განახლებული დიალოგითა და მისი აუცილებლობის ხაზგასმით გამოიხატება. [5]

მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის ყარაბაღის ომში საქართველომ ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა, საერთო ჯამში რეგიონში არსებული ვითარება მის პოლიტიკურ მდგომარეობაზეც მკვეთრად აისახა. ქვეყანამ დაპირისპირების დაწყებიდან მალევე ჩაკეტა საკუთარი სახმელეთო თუ საჰაერო საზღვრები, რათა არ მომხდარიყო დაპირისპირებული მხარეების მიმართულებით სამხედრო ტვირთების ტრანზიტი, თუმცა ამის პარალელურად სომხეთში არსებობდა მოსაზრება, რომ ისრაელიდან და თურქეთიდან იარაღის ექსპორტი საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებით ხორციელდებოდა. [6] აღნიშნულმა ფაქტმა, მიუხედავად იმისა, რომ დადასტურებული არ ყოფილა, უარყოფითი განწყობა

შექმნა სომხეთში, იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით აზერბაიჯანთან უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული, ვიდრე სომხეთთან. თავის მხრივ, საქართველოსათვის შემფოთების საგანი იყო რუსეთის გააქტიურება და რუსული ძალების კონფლიქტის რეგიონში განთავსების საკითხი, სადაც 2000-მდე სამხედროს ჩაყენებით, მან აზერბაიჯანზე პირდაპირი გავლენის ბერკეტი მოიპოვა და ეცდებოდა ეს მდგომარეობა მაქსიმალურად გაახანგრძლივოს.

რუსეთისათვის, ორ მხარეს შორის მედიატორად ყოფნის მდგომარეობა, ცალსახად მომგებიანი პოზიციაა, იმ ფონზე რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკუთარი გავლენის გაძლიერებას, არამხოლოდ თურქეთი, არამედ უკვე დასავლეთი და ამერიკის შეერთებული შტატებიც აქტიურად ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ რუსული მხარე აქტიურად აწარმოებს შეხვედრებს, რათა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კავშირი დამყარდეს, მას ამოძრავებს ფარული ინტერესებიც, რაც ამ ქვეყნების ტრანზიტად გამოყენებას გულისხმობს, რომლითაც იგი დაუკავშირდება ირანს, თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს. პარალელურად კი, ცდილობს კონკურენცია გაუწიოს თურქეთს, რომელმაც ყარაბაღის ომის შემდეგ განსაკუთრებით დიდი გავლენა მოიპოვა და გაამყარა საკუთარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური თანამშრომლობა აზერბაიჯანთან და საქართველოსთან მიმართებით.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყარაბაღის 2020 წლის ომმა და კავკასიის რეგიონში საკუთარი გავლენების მოპოვებისათვის მეზობელმა მხარეებმა – თურქეთმა და რუსეთმა ახალი პოლიტიკური დღის წესრიგი შექმნეს. 10 ნოემბერს დადებულმა ხელშეკრულებამ სომხეთს, აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის, არა მხოლოდ შეაჩერა ომი, არამედ დაიწყო ახალი ეპოქა რეგიონულ გეოპოლიტიკაში, რაც, ძირითადად, რუსეთისა და თურქეთის გაზრდილი როლითა და დასავლეთის ჩართულობის შემცირებით გამოიხატა. ვფიქრობ, რომ სამხრეთ კავკასია ისევ

რჩება პოლიტიკურად არამდგრად რეგიონად, სადაც გადაკვეთილია არაერთი რეგიონალური თუ გლობალური აქტორის ინტერესი, სადაც საბოლოო სურათი დამოკიდებული იქნება მათ შორის დაპირისპირებაზე. თუ რუსეთი და დასავლეთი შეძლებენ მივიდნენ შეთანხმებაზე, რეგიონული უსაფრთხოების დინამიკა ძირითადად რუსეთ-თურქეთის მეტოქეობის ირგვლივ იტრიალებს, ამ მხრივ, საქართველო და მთლიანად რეგიონი უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან მათი დაპირისპირება, ძირითად შემთხვევებში, უფრო ეკონომიკურ ხასიათს ატარებს, ვიდრე სამხედრო ან საომარ მოქმედებებს.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. რუსეთის პროვოკაციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, 2019, <https://netgazeti.ge/news/370581/> (გადამონმებულია 15. 09. 2021).
2. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 2017 წელი. <https://ssg.gov.ge/uploads/ანგარიშები/angarihi%202017.pdf> (გადამონმებულია 15. 09. 2021).
3. გოგოლაშვილი კ., ევროკავშირის რბილი ძალა და სომხეთის (რ)ევილუცია, რონდელის ფონდი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2018, 18 მაისი. <https://www.gfsis.org/ge/blog/view/832> (გადამონმებულია 15. 09. 2021).
4. მანჩხაშვილი მ., თურქეთი და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი, თბილისი, 2016. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Maia_Manckhashvili.pdf (გადამონმებულია 15. 09. 2021).
5. Ten Reasons Why Joining the EAEU Could be Beneficial for Azerbaijan, 2020, <https://russiancouncil.ru/en/blogs/GreaterEurasiaEnglish/ten-reasons-why-joining-the-eaeu-could-be-beneficial-for-azerbaijan/> (გადამონმებულია 15. 09. 2021).

6. Azerbaijan Using Civilian Aircraft for Cargo runs from Turkey and Israel via Georgian Airspace, <https://hetq.am/en/article/122525> (გადამონმეებულია 15. 09. 2021).

7. სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების დინამიკა 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/157-expert-opinion-geo.pdf> (გადამონმეებულია 15. 09. 2021).

Gvantsa Abesadze

*Georgian Technical University, Doctoral student of
the Faculty of Law and International Relations*

New Geopolitical Realities and Distribution of Power in the South Caucasus

Summary

The tendency of interest in the South Caucasus region by the world's leading political actors stems from the favourable geographical location of this region. The distribution of power in the world, the relations between the countries, and the degree of their intensity have a great impact on the political development of the Caucasus region and the states here.

For the example of the last decade, it can be said that the order in the region has changed fundamentally, if Turkey had the status of an unconditional leader before, it has slowly come to terms with the strengthening of Russia and the demonstration of its power in the region, In addition, there is the United States, which has political or economic interests in the Caucasus region. After the collapse of the Soviet Union, Turkey accepted a new reality as a challenge and began to re-evaluate its place and role at the global and regional levels, developing a new foreign policy concept that would prove internationally capable of playing an

independent game based solely on its interests.

In addition to Turkey, Russia is working to strengthen its status as a leader in the region, the importance of the South Caucasus region is clearly explained in both the country's political leaders and the country's political doctrines, which in some cases contradicts the policies of these states. To achieve its goals in the South Caucasus, Russia mainly uses the so-called „soft power” policy but does not shy away from harsh interventions, as it has limited itself to hostilities with Georgia and the escalation of various small conflicts. Soft power as a major tool of Russia's policy in recent times has been mainly related to religious manipulation and information warfare, thanks to which it has managed to gain a foothold in both the Armenian and Georgian print media, which run aggressive, anti-Western, and anti-American information campaigns.

The article discusses the new distribution of power after the Karabakh war in 2020, which completely upset the political agenda and put countries in front of a new reality. Following the defeat suffered by Armenia, the unrecognized republic of Nagorno-Karabakh lost almost 80% of its territory, while Azerbaijan, in addition to gaining a decisive victory, also annexed territories outside Nagorno-Karabakh and 30% of the province. Defeat in the war put Armenia in a difficult position, added to the current economic crisis by a political stalemate expressed by popular distrust of the Prime Minister and his resignation, reduced the country's GDP, and depreciated the exchange rate, in addition, Armenia must define its strategy towards Nagorno-Karabakh. Unlike Armenia, although Azerbaijan takes a win-win position, in this case, a number of problematic issues raise due to the presence of Russian troops on the territory of Nagorno-Karabakh. Although the November 10 agreement explicitly states that Russian peacekeepers will leave Karabakh after 5 years if Armenia or Azerbaijan demands their withdrawal, Azerbaijan has no guarantee that Russia will not find a reason to stay in Karabakh for a longer period. Turkey's role and importance in the country's foreign policy have also increased significantly, in return for which Russia is

trying to balance Ankara's influence in Azerbaijan, mainly through the renewed dialogue around the Eurasian Economic Union and its emphasis on necessity.

The article also discusses the importance of Georgia in this controversy and discusses possible expectations that could change with the aggravation of the situation in the region or the expression of a common language in relations between specific opposing parties, which at this stage are Russia, Turkey, and the West.

განათლება. კულტურა

ნატო სონლულაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

ეკონომიკა და განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918–1921)

1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იწყება სრულიად ახალი ეტაპი, რომელიც ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, რაც დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე განათლების გავრცელებასთან თავსებადობაში უნდა ყოფილიყო.

მთავარი და აუცილებელი მოთხოვნილება სწავლა-განათლების გავრცელება იყო, რომლის საშუალებით უნდა გადაწყვეტილიყო ყველა ის საკითხი, რაც ეპოქის მოთხოვნილებას წარმოადგენდა. განათლების გავრცელებას საზოგადოების ფართო ფენებში ხელი უნდა შეეწყო სამეურნეო ცოდნის ამალლებისთვის და საბოლოო შედეგი ეკონომიკური წარმატება ყოფილიყო. სკოლებს, სასწავლო დაწესებულებებს მთავარი მისია ეკისრებოდათ არა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების, ასევე პოლიტიკური დონის ამალლების და ეკონომიკური წინსვლის გადწყვეტის საკითხში.

სწავლა-განათლება და სამეურნეო-სამრეწველო ცოდნის განვითარება ურთიერთკავშირში იყო და აქედან გამომდინარე

შეიძლება გამოვყოთ მთავარი საკითხები, რომლის განვითარება სოფელს ესაჭიროებოდა, რადგან ეკონომიკის აღორძინება სოფლის დაწინაურებასთან ურთიერთკავშირში იყო 1. განათლებული მოღვაწეები, რომლებიც ნაციონალური იდეების პოპულარიზებას შეძლებდნენ. მოსახლეობას საკუთარი ქვეყნის ტრადიციებს, ისტორიას გაცნობდნენ და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებისთვის სათანადო პირობებს შექმნიდნენ. 2. შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი მეურნეები, რომლებიც შეიტანდნენ სოფელში ახალ სამეურნეო იარაღებს, ახალ კულტურას, დაარსებდნენ სპეციალურ სკოლებს, სადაც გლეხები დაეუფლებოდნენ ტექნიკურ განათლებას, რომელიც ხელს შეუწყობდა სოფელში მოსავლიანობის გაზრდას და საბოლოო ჯამში უზრუნველყოფდა ეკონომიკის აღმავლობას.

ბუნებრივია, 1900-1917 წწ. და 1918-1921 წწ. მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ სრულიად განსხვავებულ ორ ეპოქაში მოვლენების განვითარება სხვადასხვა გზით მიდის და ის, რაც აქტუალური იყო 1900-1917 წწ. სოფლისთვის, 1918-1921 წწ. მეორე პლანზე გადადის და ახალი გამოწვევების წინაშე დგება. სოფლის მოსახლეობის ცნობიერება ცვლილებებს ასე ადვილად ვერ ეგუება, ისევე როგორც საქართველოს ყველა მაცხოვრებელი, სოციალური ფენები. ამასთან იცვლება აღქმა სხვადასხვა მოვლენებისადმი. თუ მაგალითად, მანამდე აქტუალური იყო ქართული ენის, სწავლა-განათლების, ისტორიული წარსულის პროპაგანდა ბეჭდური მედიის საშუალებით, 1918-1921 წლებში, ბუნებრივია, ეს საკითხები თავის აქტუალობას არ კარგავს, მაგრამ წინა პლანზე გამოდის სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მოწყობის თემა და საზოგადოების ჩართვა სახელმწიფოს გაძლიერებაში. როგორც კულტურული და პოლიტიკური ელიტა, ასევე ხალხი ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და ბეჭდურ მედიაშიც განსხვავებული მოწოდებები გაჩნდა.

სამოციანელებმა სკოლას და საგანმანათლებლო დაწესებუ-

ლებებს ისტორიული მისია დააკისრეს. ამ გზის გამგრძელებლები XX საუკუნის დასაწყისშიც ცდილობდნენ საზოგადოების ცნობიერების ფორმირებას და სამეურნეო-ეკონომიკური განათლების დონის ამაღლებას. „ისტორიამ ჩვენს დროს და ჩვენს ქვეყანას მრავალი ახალი პრაქტიკული საქმე დაუსახა თვალწინ. გავრცელება სასკოლო და სკოლის გარეშე განათლებისა მდაბიო ხალხში, რაციონალური აღზრდა ახალი თაობისა, განვითარება მომხმარებლების და მწარმოებლების კოოპერაციებისა, ამაღლება სასოფლო სამეურნეო ტექნიკისა, შერჩენა საქართველოს მკვიდრთა ხელში ამოძრავებულ მიწისა და მრავალი სხვა მსხვილი და წვრილი საქმე ყველა ერთად თხოულობდა გაძღოლას, ასრულებას“ [7, 1]. ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ნათლად აცნობიერებდა ყველა იმ პრობლემას, რაც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ წარმოიშვა. მაგრამ, ამავდროულად ძალ-ღონეს არ იშურებდა ქართული საზოგადოების გადაყვანისთვის დროის ახალ მოთხოვნებზე. XX საუკუნის დასაწყისიდან, როგორც ცნობილია, ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი ახერხებს განათლების მიღებას რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში. სადაც ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ევროპის მასშტაბით მიმდინარე გარდაქმნებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა ნაწილში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მთელი ძალისხმევით ესწრაფვიან ამ ახალი იდეების დანერგვას; მათ შორის, ეკონომიკის სფეროში, რადგან დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლა აზრს კარგავს, თუ ქვეყანას არ გააჩნია სათანადო ეკონომიკური სახსარი და ამასთან არ იცის მისი გამოყენება. ასე რომ, ეროვნული ეკონომიკის აღორძინება სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად ეპოქის მთავარი მოთხოვნილება გახდა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ XX საუკუნის პირველ ოცნწლეულში ასე აქტუალური იყო სამრეწველო საგნების სკოლაში სწავლება. ჟურნალი „მოგზაური“ და მისი რედაქტორი ივანე როსტომაშვილი ერთ-ერთი პირველია, ვინც აღნიშნულ საკითხებს

ერთიან კონტექსტში მოიაზრებს. მისი შეხედულებით, „სკოლა უნდა იძლეოდეს არა მარტო წიგნურ განათლებას, არამედ პრაქტიკულ მომზადებასაც. სკოლაში სწავლა-აღზრდის საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მან უზრუნველყოს მომავალი თაობის დაახლოება ბუნება-ცხოვრებასთან, მათი შეიარაღება ისეთი ცოდნით, რომელიც ცხოვრებაშია საჭირო, გაუადვილებს მათ შრომას, მისცემს საშუალებას რაციონალურად მოაწყოს მეურნეობა და ამით უზრუნველყოს მთელი ქვეყნის ეკონომიკური აყვავება და აღორძინება“ [9, 685].

ახალ დროზე მორგება და ეპოქის მოთხოვნილების ქვეყნის სასარგებლოდ გამოსაყენებლად საჭიროებას წარმოადგენდა სასწავლო პროგრამაში თანამედროვე სისტემაზე მორგებული საგნების ჩართვა. „სწავლა-განათლებას პირდაპირი გავლენა აქვს ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებაზე, მათ ძლიერებასა და წარმატებაზე. ახლანდელ დროში ყოველგვარი წარმოების წესი მუდმივად იცვლება და უმჯობესდება. ამიტომ წარმოებაში ძველ წესებზე შეჩერება უცხო, მცოდნე ერთაგან გადმოუღებლობას ნიშნავს, უკან ჩამორჩენას და დაძაბუნებას. უცხო ხალხთაგან ეკონომიკურათ დამოკიდებულებას და ყმათ გახდომას ვერ ავცდებით თუ წარმოებაში ძველი წესის შეცვლა არ მოხერხდა. თუ ხალხი, რომელიც ამ წარმოებას ეწევა უვიცი და გაუნათლებელია, თავის ხელობისათვის განუსწავლელი და მოუმზადებელი“ [2, 120].

ჟურნალ „მოგზაურის“ მსგავსად გაზეთი „თემიც“ ეკონომიკური საკითხების გაშუქებას დიდ ადგილს უთმობს. როგორც XX საუკუნის I, ისე II ათწლეულში პრობლემა ერთნაირი სიმწვავეთ და აქტუალობით გამოირჩევა: „კარგად მოგეხსენებათ რა კრიზისს განიცდის ჩვენი მეურნეობა, გამოფიტული მიწა, ძველი იარაღები. მამა-პაპური მიწის დამუშავების წესები მშრომელს მოსავალს აღარ აძლევენ. ხარჯები კი წლითინლობით ემატება მას. როგორ უნდა გავუწიოთ ეკონომიკური მეტოქეობა ჩვენ უძღურმა და დაქვემდებარებულმა ერმა ეკონომიკურად ღონიერ ქვეყნებს და

მეზობლებს: საჭიროა ჩვენც ჩვენი ეკონომიკური ცხოვრება ისე მოვანყოთ, როგორც ამას მოითხოვენ თანამედროვე ეკონომიკური პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრების ბრძოლაში ჩვენ სრულიად გავისრისებით“ [5, 4].

ამისათვის კი, ზოგად განათლებასთან ერთად სკოლაში სამეურნეო-ტექნიკური საგნების სწავლებაც აუცილებლად მიიჩნევა: „ხალხის კულტურული და ეკონომიკური განვითარება მართო წერა-კითხვის ცოდნით და საზოგადო განათლების დონით არ განისაზღვრება. თანამედროვე ტექნიკის განვითარებამ ახალი პირობები შექმნა ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ახალი საშუალებანი საარსებო ბრძოლისათვის. ხალხისათვის საჭირო შეიქმნა წერა-კითხვისა და საზოგადო განათლების იმისთანა სწავლა-განათლება, რომელიც მას არსებობისათვის ბრძოლას გაუადვილებს“ [6, 1].

1917 წელს ჟურნალში „განათლება“ ლ. ბოცვაძე აღნიშნავდა: „დღევანდელი ცხოვრების პირობები ასეთია. თუ ჩვენს ერს თავისი თავის დაღუპვა და გადაშენება არ უნდა, ყოველ დარგში საუკეთესო სპეციალისტები ბლომად უნდა ჰყავდეს. ჩვენ გვესაჭიროება აგრონომები, რომელთაც პრაქტიკულად და თეორიულად ზედმინევნით უნდა იცოდნენ თავისი საგანი. ისინი უნდა დაეხმარონ ჩვენს გლეხობას, მიწის მუშაკთ და მიწის შემუშავება და მოსავლის მოყვანა იმ დონეზედ დააყენონ, როგორც ეს კულტურულ ქვეყნებშია. ჩვენში საჭიროა მეცნიერების ყველა დარგის კარგი მცოდნენი, სპეციალ პედაგოგები, რომ დღევანდელი დამახინჯებული და უკულმართი სკოლა განახლების გზას დაადგეს და თავისს წმინდა დანიშნულებას პირნათლად ემსახუროს“ [1, 89].

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1918-1921 წლებში, ბუნებრივია, ეროვნული ეკონომიკის საკითხმა ახალი განზოგადება შეიძინა და ეს პრობლემა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ეკონომიკით თანაბრად იყვნენ დაინტერესებული, როგორც ხელისუფლების

ნარმომადგენლები, სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, ასევე სხვა პოლიტიკური პარტიები. ერთი სიტყვით, ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა მოქმედების განსხვავებულ სისტემაზე გადავიდა. საბოლოო მიზანი კი ერთი იყო: ეროვნული მრენველობის, ეკონომიკის, მეურნეობის აღორძინება. თუ 1900-1917 წლებში ქართველი ინტელიგენცია, ძირითადად, იფარგლებოდა მონოდებებით პრესის მეშვეობით და რუსული ხელისუფლების შიშით აქტიურ ნაბიჯებს ვერ დგამდა, 1918-1921 წლებში ქართული პოლიტიკური ელიტა ყოველ ღონეს ხმარობს პრაქტიკული ნაბიჯების რეალიზაციისთვის. ეს გამოიხატებოდა სხვადასხვა ფორმებით. 1. გრძელდება წინა წლებში დაწყებული პროცესი სამრენველო სკოლების გახსნის და სასწავლო დაწესებულებებში სამეურნეო საგნების შეტანით. საჭირო იყო, ერთი მხრივ, ქართული, ეროვნული მეურნეობის შენარჩუნება და, მეორე მხრივ, კაპიტალისტური სისტემისათვის დამახასიათებელი ფორმების შემოტანა-დამკვიდრება. 2. იქმნება სპეციალური პროექტები, სადაც ყურადღება გამახვილებულია ყველა დეტალზე. „სასოფლო მეურნეობის განათლების გავრცელება ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში დღემდის არ სწარმოებდა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, არც სკოლის ტიპების და არც მათი განაწილების მხრივ... ამ საკითხის შემუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი დებულებანი სასოფლო-მეურნეობის უმაღლესის განათლების გავრცელების შესახებ, რომელიც საჭიროა აგრონომიულ მოღვაწეთა მოსამზადებლად, უწყება იმ აზრისაა, რომ ამისთვის საკმარისი არიან განათლების სამინისტროს განკარგულებაში მყოფნი სახელმწიფო უნივერსიტეტის და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უკვე არსებული აგრონომიული ფაკულტეტები. სამინისტრო თავის მხრივ გაუწევს დახმარებას, რათა დასახელებულ სასწავლებელთა სტუდენტების პრაქტიკული მუშაობა შესაფერისად იყოს მოწყობილი. სასოფლო მეურნეობის საშუალო განათლებას ბევრი მონინააღმდეგე ჰყავს. მათი აზრით, აგრონომიულ მოღვაწეობის მოსამზადებლად

საჭიროა საკმაო ზოგადი განათლება და ბუნებისმეტყველების და ეკონომიკურ მეცნიერებათა საფუძვლიანი შესწავლა, რის მიცემაც შეუძლია მხოლოდ უმაღლეს და არა საშუალო სასწავლებელს“ [11, 5]. თუმცა, ამისდამიუხედავად, სახელმწიფო უწყებები მაქსიმალურად ცდილობდნენ ამ პრობლემის მოგვარებას და ყველა ტიპის სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების გახსნას. რადგან სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელება აუცილებლობას წარმოადგენდა ქართული ეკონომიკის სამომავლო განვითარებისთვის. „ჩვენ ღარიბნი ვართ არა მარტო იმიტომ, რომ ცოტა მიწები გვაქვს, არამედ იმიტაც, რომ არ ვიცით მიწის დამუშავება. დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის დამუშავების ცოდნას. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ქვეყნები, როგორც არის გერმანია. აქ უკეთესად არის საქმე დაყენებული და მიწას მეტ ნაყოფს აღებინებენ. ასეთი ცოდნის გავრცელება არის აგრონომიული განყოფილების საგანი“ [14, 4].

1918 წელს იოსებ გულისაშვილი გაზეთში „სამშობლო“ წერდა: „ახალ ცხოვრებას ახალი გზა და მსვლელობა ეჭირვება. ჩვენმა ახალმა თაობამ გადაწყვიტა შექმნა ქართული უნივერსიტეტი. სწავლა-განათლება უნდა იყოს მასიური, დემოკრატიული და არა კუთვნილება მრჩეველთა. იმ დროს, როდესაც ერთი და ორი პროცენტი იღებს უმაღლეს განათლებას, ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი იძულებულია სიბნელეში და სიბეჩავეში ღაფოს თავისი დღენი. აი, სწორედ ამ დროს მისწრებაა ქართველი ერისთვის ერთი კი არა, სამი და ოთხი მშვენივრად მომზადებული საოსტატო სემინარიები, საიდანაც უნდა იგზავნებოდეს ხალხში ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლები. ისიც არა მარტო სქოლასტიურ მნიგნობრობით, არამედ სოფლის მეურნეობის ცოდნით შეიარაღებულნი, ცოტა რამ სამედიცინო და სხვა პრაქტიკული ცოდნით, დაწესდეს სოფლად საცდელი მინდვრები, სანერგეები და სხვა“ [3, 4].

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ მრავალი კარდინალური პრობლემის გადაჭრა დააყენა

დღის წესრიგში. გარდა იმისა, რომ პოლიტიკური თუ კულტურული ელიტის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება და ახლებური ფორმით აღორძინება-განმტკიცება, ამას ემატებოდა სახელმწიფო ინსტიტუციების ჩამოყალიბება და საზოგადოებაში მათი მნიშვნელობის დასაბუთება.

როგორც აღვნიშნეთ და როგორც განხილული მასალა მოწმობს, განათლების ფაქტორი გახდა დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი, რომელიც ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს დაუკავშირდა. განათლებამ გარდა საყოველთაო დატვირთვისა შეიძინა ეროვნული, ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი ფუნქცია და პირდაპირ თუ ირიბად ახლად თავისუფლებამოპოვებული ქართული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი გახდა. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, ალექსანდრე ჯაბადარის მოსაზრება: „ალიარებული დამოუკიდებლობა საქართველოსი არის პირველი გვერდი საქართველოს ახალი ისტორიისა. თუ ეს არის დასაწყისი საქართველოს აღორძინებისა, ამავე დროს ეს იქნება ქართველთა პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებელ ცხოვრების უნარის მაჩვენებელი მომავალში. დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ჩვენი გაძლიერება ჩვენს ხელთ არის, ჩვენს მუშაობაზედ არის დამოკიდებული. გათავდა პოლიტიკის წარმოება, უნდა გათავდეს კინკლაობა პარტიულ ნიადაგზე. ახლა საჭიროა შეერთებული მხნეობით, ცოდნით და სამშობლოსადმი მუშაობა, მუშაობა დღე და ღამე, მუშაობა ინტენსიური ყოველ დარგში. თუ გვინდა შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა და დავიკავოთ საპატიო ადგილი კულტურულ სახელმწიფოთა შორის, ჩვენ უნდა შევექმნათ საკუთარი მრეწველობა, ჩვენმა ერმა უნდა შექმნას საერო სიმდიდრე. ერმა თავისი თავი უნდა შეინახოს თავისივე მეურნეობით, ამავე მეურნეობამ უნდა მისცეს მას საშუალება კულტურული განვითარებისათვის. რამდენად უკეთ იქნება მოწყობილი მეურნეობა, იმდენად მეტად განვითარდება ერი, როგორც კულტურულად,

აგრეთვე პოლიტიკურად. ჩვენი მომავალი, ჩვენი კეთილდღეობა ჩვენზეა დამოკიდებული“ [24, 4].

ნოე ჟორდანიას მემუარებში წერს: „ჩვენმა სოციალიზმა ამ სფეროში მიიღო სპეციალური ქართული ხასიათი. ჩამორთმეული სახნავ-სათესი მიწები გადავეცით გლეხობას კერძო საკუთრებად, რაიცა ეწინააღმდეგებოდა სოციალისტურ დოქტრინას. ამ აზრის ვიყავით ჩვენ თავიდანვე, პარტიული შენობის დაწყებიდანვე. წინანდელ ჩვენს საბუთებას, წმინდა ეკონომიური ხასიათისას, ახლა მიემატა ნაციონალური ხასიათის საბუთებიც. ჩვენი ხელმძღვანელი აზრი იყო, საქართველოს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას, გლეხობას დაენახა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამ მას მოუტანა მიწა, მისცა ცხოვრების ახალი საშუალებანი. ასე რომ, აგრარული რეფორმა გახდა უაღრესად ნაციონალური რეფორმა ჩვენში“ [10, 101].

სკოლის და განათლების ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. გარდა ზოგადი განათლების მიღებისა სკოლას დაეკისრა ეროვნული, ეკონომიკური ფუნქცია, რომლის მეშვეობით უნდა მომხდარიყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ისეთი მიმართულებით წარმართვა, რასაც შედეგად სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმტკიცება მოყვებოდა. „სკოლის საშუალებით უნდა ვრცელდებოდეს ხალხში არა მარტო საზოგადო განათლება, არამედ სასარგებლო სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ცოდნაც. ეს ცოდნა ხელს უწყობს ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას. ამიტომ პირველ საჭიროებად უნდა ჩაითვალოს გახსნა ისეთი სასწავლებლებისა, რომლებიც გაავრცელებენ ხალხში სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ცოდნას. გორის მაზრაში, ამ თავითვე, საჭიროა გაიხსნას ერთი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც მისცემს თავის მონაფეს საჭირო თეორეტიულ და პრაქტიკულ ცოდნას და, ამასთან, იქნება ხელმძღვანელი ორგანო სამაზრო ერობისათვის მის სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობაში“ [10, 50-51].

მართალია, აღნიშნული საკითხი აქ გორის მაზრის მაგალითზეა განხილული, თუმცა სასოფლო-სამეურნეო განათლების საქროების დასაბუთება ახალი მოვლენა 1918-1921 წლების საქართველოში ნამდვილად არ იყო და, როგორც განხილული მასალა მოწმობს, ყოველივე ამას საფუძველი უფრო ადრეც ეყრება. აუცილებელ საქროებად მიიჩნეოდა სახელოსნოების გახსნა, რომელიც შესაფერისი ცოდნით აღჭურვილ მოსწავლეებს მოამზადებდა, რაც საბოლოო ჯამში მიმართული იყო იმისკენ, რომ ქვეყანას ეკონომიკური პოტენციალის განვითარების საკითხში სპეციალისტები ჰყოლოდა და რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი. ამავე საქმეში დაცულია საინტერესო ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ და შედარებული საქართველოსთან. მოტანილი მასალა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქ განხილული საკითხის საქართველოს სისტემის მორგებაზეა გათვლილი. სხვადასხვა მოვლენებისადმი ამგვარი დამოკიდებულება უცხო არ იყო ქართული პოლიტიკური თუ კულტურული ელიტისათვის. მათ ხშირად მოყავდათ მაგალითები ევროპის თუ ამერიკის ცხოვრებიდან და ამის საშუალებით ქართულ საზოგადოებას მოუწოდებდნენ, მიებაძათ იქ დანერგილი ახალი სტანდარტებისათვის და საქართველოს სინამდვილისთვის მოერგოთ. განსაკუთრებით ხშირი იყო შედარებითი ანალიზის გაკეთება განათლების სფეროში, რადგან აღნიშნული საკითხი მეოცე საუკუნის დასაწყისის და კერძოდ, 1918-1921 წლების ერთ-ერთ მთავარ ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა. „... როგორც იქცევიან ჩრდილო ამერიკაში ცენტრალური მთავრობა და ადგილობრივი რომელიმე შტატის მთავრობა. იქ ეს ორი მთავრობა თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო სკოლების მატერიალურად უზრუნველყოფის საქმეში. დიდ ფულს ხარჯავს სკოლებზე ცენტრალური მთავრობაც და ადგილობრივიც. მშვიდობიანობის ხანებში /როცა ომი არ არის/ ამერიკაში ცენტრალური მთავრობა სკოლებზე ხარჯავს ორჯერ მეტს, ვიდრე ჯარზე და ფრონტზე. ამერიკელების ასეთი საქციელი მომდინარეობს იმ რწმენისა-

გან, რა რწმენითაც იყვნენ გამსჭვალული ამერიკის რესპუბლიკის დამაარსებელი და სახელმწიფო მოღვაწენი – ვაშინგტონი, ფრანკლინი და სხვები. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ განათლების ფართო გავრცელება არის ერთადერთი საშუალება საზოგადოებრივი თავისუფლების განმტკიცებისა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და ცოდნისა, და ამიტომ ცონდის ფართო გავრცელება მათ მიაჩნიათ, და ამერიკაში ეხლაც მიაჩნიათ, აუცილებლად. სახალხო განათლებას იქ უყურებენ, როგორც უდიდეს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმეს და ამიტომ არ ზოგავენ ამ საქმისათვის არაფერს: არც ფულს, არც მიწას და არც ტყეს... იგი ჰკრეფს სტატისტიკურ ცნობებს როგორც ამერიკაში, ისე საზღვარგარეთ სწავლის საქმის საუკეთესო მონყობის შესახებ და ამ ცნობებს ავრცელებს სკოლებში“ [15, 51].

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სახელმწიფოს მთავარ მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო სივრცის ახალ განზომილებაში გადაყვანა, რომლის ფარგლებში ასევე გათვალისწინებული იყო სამეურნეო ცოდნის ამაღლება ქვეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად. „მხოლოდ სასოფლო მეურნეობის მაღლა აწევით დავეხმარებით ჩვენ, როგორც რესპუბლიკის, ისე მის მოქალაქეთა 90%-ს ჩვენს გლეხობას და ღრმად ჩაუნერგავთ მას გულში, რომ სტატისტიკა დგება არა მარტო მათზე გადასახდების განერის მიზნით, არამედ მათი შრომის მაღლა ასაწევათ, მათი ეკონომიური მდგომარეობის გასაძლიერებლად“ [12, 10].

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოხსენებიდან ევროპაში კომერციული სააგენტოების შესახებ, გამომდინარეობს შემდეგი: „ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენ ახლავე მჭიდრო კავშირი უნდა დავიჭიროთ ევროპის სახელმწიფოებთან. მართალია, ჩვენი რესპუბლიკა ფორმალურად კიდევ არ არის ცნობილი, მაგრამ იმის ფაქტიურ ცნობის შემდეგ დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული; ყოველ შემ-

თხვევაში ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში დამოკიდებულება ევროპის სახელმწიფოებთან გაუმჯობესდა და, თუ ამ რამდენიმე თვის წინათ უსასტიკეს ბლოკადას განვიცდიდით, ახლა მისვლა-მოსვლა მაინც გაადვილებულია. ამასთანავე, თვით ევროპა, რომელსაც მეტი ესაჭიროება ნედლი მასალა, მიიღტვის ჩვენსკენ და ეს გარემოება ჩვენ უნდა გამოვიყენოთ, სანამ იგი, ევროპა, ან თვით შიგნით არ შეუქმნია ნედლი მასალის წარმოება ან სხვა ქვეყნებთან არ დაიჭერს მჭიდრო კავშირს“ [16, 28].

სკოლის და მეცნიერების განვითარების აუცილებლობაზე საუბარი იყო თითქმის ყველა ჟურნალში თუ გაზეთში. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ცდილობდა ეს პრობლემა ხალხის მასებამდე მიეტანა და მოსახლეობა დაერწმუნებინა განათლების მიღების და გავრცელების აუცილებლობაში. „თანამედროვე ცხოვრებისა, მრეწველობა-ვაჭრობისა და კულტურის მოთხოვნილებანი დღითიდღე იზრდება, მრავალფეროვანდება და მეცნიერებას ათას გვარ საკითხებს აძლევს, ამ კითხვების ახსნა კი მათ ზედ მიწევნით შესწავლას თხოულობს და ამ გვარად თვით მეცნიერებაც ფართოვდება, იზრდება. მეცნიერების ათას დარგებად დაყოფა ხელს უწყობს სხვა ახალ მეცნიერებათა შექმნას, რაც თავის თავად ნაყოფია ჩვენის მსწრაფლმავალის ცხოვრებისა: კაცის მოქმედების ყოველივე დარგი, გინა ხელობა დღეს მეცნიერულ ნიადაგსა თხოულობს. დურგალი, ხარაზი, თერძი, კალატოზი და ყველა სხვა ხელობის კაცი, რომლებიც წინად მარტო გამოცდილებითა სწავლობდნენ ხელობას, ახლა აღარა კმაყოფილდებიან მარტოოდენ გამოცდილებით. დღეს მათ აქვთ განსაკუთრებული ჟურნალ-გაზეთები, აქვთ მთელი ბიბლიოთეკა, სადაც აღწერილია თითოეულ ხელობის გაუმჯობესებული პირობანი. თვით მიწის მუშა გლეხიც კი აღარ კმაყოფილდება მამა-პაპურის ჩვეულება-იარაღებით. იგი კითხულობს ათასგვარ სამეცნიერო წიგნებს მეურნეობის შესახებ, რათა თავისი შრომა ნაყოფიერი და მეტსარგებლიანი ჰყოს“ [4, 152].

სწორედ, შავი ქვის საზღვარგარეთ გატანაში უნდა გამოიჩინ-

ნოს სახელმწიფომ თავისი ინიციატივა... სახელმწიფო კი აქედან დიდ მოგებას უნდა მოელოდეს, რომლის რაოდენობა შეიძლება დაახლოებით შემდეგი ანგარიშებით გამოვარკვიოთ. 1. საშუალო ანგარიშით წელიწადში საზღვარგარეთ გავა 30 000000 ფუთი მარგანეცი. 2. ადგილობრივ შავი ქვის ფასი ერთი ფუთი სამი მანეთი და ათი შაური ან და ოთხი მანეთია. 3. გასაყიდი ფასი ფოთში ან ბათუმში ერთი შილინგია /ამ დროს კურსით ოცი მანეთი/.

ადმინისტრაციის შენახვაზედ, საკომისიო ხარჯებზედ და საქონლის გატანაზედ, რომ გასაყიდი ფასის 30% ვიანგარიშით წმინდა მოგება დარჩება ფუთზე ათი მანეთი და სულ 300 მილ. მანეთი. აქედან ცხადია, შავი ქვის საზღვარგარეთ გატანის სახელმწიფოს მონოპოლიათ გამოცხადებით ჩვენ ხელს შეუწყობთ არა მარტო ბიუჯეტის გაჯანსაღებას, არამედ და უმთავრესად უცხო ვალუტის შეძენას, ჩვენებურ ბონების კურსის გამაგრებას და ერთნაირ საფუძვლის გამოძებნასაც საკუთარი ვალუტის შესაქმნელად [16, 23].

მაგალითად ჭიათურის რაიონში სულ 22 ფირმა ითვლებოდა. აქედან, ეკუთვნოდა: ქართველებს – 6 (ამათ შორის, უდიდესი იყო ახლად დაარსებული „ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოება“, რომელიც, თავის მხრივ, აერთებდა რამდენიმე ქართულ ფირმას), გერმანელებს – 2, ინგლისელებს – 2, ბელგიელებს – 1, ფრანგებს – 1, ბერძნებს და სხვებს – 10 [8, 89].

1918 წლის 1 ივლისამდე საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა შემდეგი საკონტროლო დაწესებულებანი: ტფილისის საკონტროლო პალატა, ამიერკავკასიის რკინისგზათა კონტროლი, ქართულ კორპუსის სავალე კონტროლი და ამიერკავკასიის მთავრობის სახელმწიფო კონტროლიორის მთავრობის სახელმწიფო კონტროლიორის კანცელარია. ყველა ამ დაწესებულებებში ირიცხებოდა 360-მდე მოხელე. რეფორმის შემდეგ სამსახურში დატოვებულ იქნა 107 კაცი, მათ რიცხვში: ქართველები 68%, რუსები 21% და სომხები 11%“ [19, 3].

ბორჯომის მამულების ტყის მრეწველობის შესახებ წარმოდგენილი მოკლე მოხსენებიდან, ასევე ცხადი გახდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტყის მრეწველობის წარმოებას, და რა დიდი სარგებლის მოტანა შეეძლო მას ხაზინისათვის, თუ კი მისი საქმის ორგანიზაცია გონივრულად და შესაფერისად იქნებოდა მოწყობილი. გლეხების თვითნებობით ტყის გაჩეხვამ საშინელი სახე მიიღო, გაჩეხილი იყო 1000 დესიატინა ტყე [19, 25].

1919 წლის 14 მარტს დამფუძნებელი კრების სხდომაზე ნოე ჟორდანიამ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: „საქართველოს ხაზინას, დღიდან ბოლშევიკების გადატრიალებისა 1917 წლის ოქტომბრიდან, ცალი კაპეიკი არ მიუღია რუსეთიდან, – ადვილად წარმოიდგენთ ჩვენს ფინანსურ გაჭირვებას. ხოლო როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ხაზინა სრულიად ცარიელი იყო. მიუხედავად ამისა, დღემდე სული მინც კი მივიტანეთ ისე, რომ არავითარი საგარეო ვალი არ აგვიღია. მართალია, შემოსავლის წყარო ფინანსიური თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ ბონების ბეჭდვის მეტი სხვა გზა არ გვექონდა. ამას მოყვა ფულის კურსის დაცემა, ე.ი. გამოცემული ბონები ჩვენი დეფიციტია, საშინაო სესხია, მაგრამ საგარეო სესხი ყველა ამ ვნებას მოგვიტანდა და იმავე დროს უცხო ძალის მოვალე გავხდებოდით. ამავე დროს, მთავრობა ღებულობდა ყველა ღონეს მოეწყო გადასახადების ახალი სისტემა, ამკრეფი აპარატი, ახალი დამოყნები და სხვადასხვა. ყველა ამ ზომამ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ შვიდ თვეს მოგვცა 69 044 000 მან. თუ მას რკინიგზის შემოსავალს 27 144 00 მანეთს მივუმატებთ, გამოვა, რომ ხაზინის შემოსავალი პირველ იანვრამდის ყოფილა სულ 96 188 000 მანეთი; ხოლო გასავალი იყო 342 240 000 მანეთი; დეფიციტია 246 086 000, რაიცა დაიფარა ბონების გამოშვებით. იმავე ხნის განმავლობაში ჩვენი საგარეო ვაჭრობა უდრის: შემოვიტანეთ უცხოეთიდან 140 929 260 მან., ხოლო გავიტანეთ 87 494 105 მან. მაშასადამე, ჯამი ჩვენი საგარეო აღებმიცემობისა გასულ წლის უკანასკნელ ექვს თვეს უდრიდა

228 343 336 მანეთს. შემოზიდვა აღემატება გაზიდვას 54 435 095 მანეთი. რაიცა აიხსნება იმით, რომ ჩვენ ვსაჭიროებთ უცხო პურს და შაქარს. მთავარი ვაჭრობა გვექონებია უკრაინასთან – უდრის 110 მილ. მან. შემდეგ 6 მილ., სომხეთი – მილიონი და დანარჩენი – 56 მილიონი [17, 8]. მრეწველობის მხრით, თითქმის არაფერი ახალი არ გაკეთებულა ამ ხნის განმავლობაში, თუ სახეში არ მივიღეთ, ტყიბულის ქვანახშირის დამუშავებას რკინისგზების საჭიროებისათვის. აქ, როგორც ხედავთ, ვაჭრობა-მრეწველობა და გადასახადთა სისტემა, ჯერ კიდევ, არ დგას იმ დონეზე, რომ სახელმწიფოს დეფიციტი ამ საშუალებიდან დაგვეფარა. მართალია, გვაქვს ერთი დიდი დარგი, რომელზედაც ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ, მაგრამ, ჯერჯერობით, კი ეს საქმეც ვერ იძლევა საჭირო შემოსავალს. მე მოგახსენებთ – სახელმწიფო ქონებაზე. აგრარული რეფორმის წყალობით სახელმწიფოს ხელშია დღეს დაგროვილი ორ მილიონ დესიატანამდე ტყე, ნახევარ მილიონამდე სახნავი მიწები, რვაას ათასამდე საძოვარი, კურორტები თავის სასახლეებით, მადნეული წყლით, მადნები და სხვა. მაგრამ ყველა ეს, როგორც ახალი შემოღებული, საჭიროებს შესაფერ მონყობას, დაყენებას, შესაფერ სამეურნეო საქსპლუტაციო აპარატების შექმნას, რაიცა დიდ ხარჯებს ითხოვს. უწყების ვარაუდით, წელს ეს ქონება მოგვცემს 90 მილიონ მანეთს, ხოლო დაიხარჯება 71 მილიონი მანეთამდის. აქ რასაკვირველია, ჩათვლილი არ არის სახნავი მიწების გადაცემა გლეხებზე კერძო საკუთრებათ, თანახმად პარლამენტის დადგენილებისა, საიდანაც მოველით არანაკლებ ორას მილიონ მანეთს, რაიცა, რასაკვირველია, ჩვენს ფინანსებს გააუმჯობესებს დროებით, მაგრამ ვერ მოსპობს დეფიციტს. მთავარი ძარღვი ჩვენი სახელმწიფო მოთხოვნილებისა, გარდა თავდაცვისა გარეშე და შინაურ მტერთაგან, არის ფინანსიურ მდგომარეობაში, რის გამოკეთება დავაყენებს საბოლოოდ მტკიცე, შეურყეველ საფუძველზე [17, 8].

ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით შემდეგი აზრი დომინირება: „ჩვენი დამოუკიდებლობის და დემოკრატიის რე-

ჟიმის განმტკიცება მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებასთან, თუ ჩვენ ეკონომიურად არ გავ-
მაგრდით, ჩვენს პოლიტიკურ თავისუფლებასაც ბოლო არ ექნე-
ბა. ეს ჭეშმარიტება ყველასთვის ცხადია. ჩვენი ქვეყნის ბუნების
სიმდიდრე საუკეთესო პირობებს იძლევა სანარმოვო ძალთა გან-
ვითარებისათვის, რომ ჩვენი ხალხი შესაფერისი ცოდნით თუ გა-
მოცდილებით იყოს აღჭურვილი. ძველ სკოლაში, სადაც ჩვენი
ინტელიგენცია აღზრდილა, გამეფებული იყო კლასიციზმი და
ბიუროკრატიული რეჟიმი. სპეციალურ ცოდნას, ბუნების შესწავ-
ლას და ბუნების ძალთა გამოყენებას აქ ნაკლები ყურადღება
ჰქონდა მიქცეული. დღეს კი, ჩვენი ახალი ცხოვრება სწორედ
ასეთ განათლებას თხოულობს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ
ის ხალხი უფრო მდიდარი და კულტურულია, სადაც პროფე-
სიონალურ და სამრეწველო განათლებას დიდი ყურადღება აქვს
მიქცეული. ეს ითქმის არა მარტო დიდ სახელმწიფოების შეს-
ახებ, არამედ ისეთ პატარებზედაც, როგორცაა მაგალითად,
შვეიცარია, ბელგია, დანია და სხვა. ჩვენ დღეს ახალ ცხოვრებას
ვინწყებთ, შრომის და წარმოების განვითარებას დიდი ყურადღება
უნდა მივაქციოთ და ამისთვის კი ხალხში პროფესიონალურ და
სამრეწველო ცოდნის გავრცელებას უნდა ვეცადოთ, მაგრამ თუ
ჩვენ საკმარისად მომზადებული და უმაღლესი ცოდნით აღჭურ-
ვილი სპეციალისტები არ გვყოლია, ვერც ერთს ამას ვერ შევას-
რულებთ. სწორედ, ეს მიზანი აქვს დღეს მთავრობას დასახული,
როცა დღეს საზღვარგარეთ ახალგაზრდებს აგზავნის სპეციალ-
ურ ცოდნის შესაძენათ. დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს ევროპის
კულტურას ფართოდ დავეწაფოთ, მეცნიერების, ტექნიკის და
ვაჭრობა-მრეწველობის მეთოდებს იქვე გავეცნოთ, სადაც ცენ-
ტრია მსოფლიო კულტურის. მდიდრად მონყობილი ლაბორატო-
რიები, სადაც საუკეთესო მეცნიერები მეცნიერების პრინციპებს
ყოველ დღეს ცდას უკეთებენ დიდი სამრეწველო ცენტრები, სა-
დაც ტექნიკის უკანასკნელი განვითარებანი პრაქტიკაში განხორ-
ციელებას პოულობენ. ასეთ ალაგებში ტრიალი, სწავლა და დაკ-

ვირვება ბევრ რამეს შესძენს ჩვენს ახალგაზრდობას [13, 55-56].

ჯერ კიდევ, 1909 წელს ჟურნალში „მოსავალი“ ილია წინამძღვრიშვილი წერდა: „უწინ ჩვენ ოთხი კუთხივ მახეში ვიყავით გაბმულნი. ჩვენი ძალ-ღონე ჩვენი მტრების მოგერებას უნდებოდა. მართალია, გაჭირვებიდან გამოვედით, მაგრამ ჩვენი შვილების სწავლა-განათლება კი შეფერხდა. ესლა ყველა მეურნე უნდა ცდილობდეს მისცეს თავის შვილებს სამეურნეო ცოდნაც, რომ შეეძლოთ მათ გააუმჯობესონ ის მამული, რომელიც დღეს ხელათა აქვთ. სამეურნეო ცოდნას იძლევიან სამეურნეო სკოლები, სამეურნეო ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, საცადი მინდვრები და სხვა. მხოლოდ სამეურნეო ცოდნაში გამოცდილ მეურნეს შეუძლია სამეურნეო საქმის კეთილ ნიადაგზე დაყენება თავისა და საზოგადოების სასარგებლოდ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქართველს უყვარს თავისი სამშობლო ქვეყანა. ამისათვის მეურნეს ყოველთვის უნდა ქონდეს მხედველობაში, რომ მამული ხელიდამ იმას არავინ გამოაცალოს, ცარიელზედ არ დარჩეს და მანანნალა არ გახდეს, თორემ შემდეგში ბევრ ცრემლს დაღვრის გატანჯული ცხოვრებით. ცოდნა და შრომა კაცს ახალისებს, აპატიოსნებს, უნერგავს გულში მამულის სიყვარულს. როგორც ლამპარი უნათებს გზას, უადვილებს შრომას და აძლევს კაცს ნაწარმოებიდამ მეტ ღალას, მეტ სარჩო-ქონებას. ცოდნით მდიდარი ადამიანი არავისი მონა არ არის. თავისი შრომით ირჩენს თავს, ინახავს ოჯახს, კეთილსინდისიერად იხდის ყველა თავის მოვალეობას წინაშე საზოგადოებისა და სახელმწიფოსი. ცოდნით ბრმასაც კი ეძლევა საშუალება იცხოვროს თავისი შრომით“ [20, 4-5].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ღონისძიებები ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის თავისთავად მნიშვნელოვანია, როგორც ამას საარქივო დოკუმენტებიც მოწმობენ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ, ბუნებრივია, ასეთი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში საკმაოდ რთული იყო ყველა იმ ღონისძიების გატარება, რომელსაც შედეგად ეკონომი-

კის აღორძინება და განმტკიცება უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ განხორციელებულ რეფორმებს გააჩნდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, როგორც ეროვნული ეკონომიკის, ასევე ქვეყნის სხვადასხვა სფეროების გაძლიერების თვალსაზრისით.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლ. ბოცვაძე, სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება, ჟურნალი, განათლება, 1917, № 2.
2. ფ. გოგიჩაიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1974.
3. იოსებ გულისაშვილი, პროვინციელის ფიქრები, გაზეთი, სამშობლო, 1918, №7.
4. ევროპული XX საუკუნე, თბილისი, 2019.
5. გაზეთი, „თემი“, 1911, №10.
6. გაზეთი „თემი“, 1913, № 118.
7. გაზეთი, „ისარი“, 1908, №39.
8. კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, ტ. 2, პარიზი, 1960.
9. ჟურნალი, მოგზაური, 1902, №2-3.
10. ნოე ჟორდანიას, ჩემი წარსული, თბილისი, სარანგი, 1990.
11. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1861, აღნ. 1, საქ. №533.
12. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1861, აღნ. 1, საქ. №418.
13. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1830, აღნ. 1, საქ. № 52.
14. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1830, აღნ. 1, საქ. №21.
15. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. №273.
16. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. №273.

ლური არქივი, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. №20.

17. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. № 81.

18. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1833, აღნ. 1, საქ. №273.

19. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1940, აღნ. 1, საქ. №4.

20. ილია წინამძღვრიშვილი, რა არის ცოდნა, ჟურნალი „მოსავალი“, 1909, № 1.

21. ალ. ჯაბადარი, სახალხო მეურნეობის შექმნა-განვითარება, გაზეთი „საქართველო“, 1920, №40.

Nato Songulashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

**National Economy and Education in the Democratic Republic of Georgia
(1918-1921)**

Summary

The study of this problem is still relevant, because:

In the modern period, great importance is attached to the factor of education, having a high profile in the formation of public thinking. The issue of studying education is important not only for the dissemination of knowledge but also for the development of national consciousness and the formation of state thinking.

Today, when the issue of nationalism is so relevant and various theoretical trends and tendencies have been created, some theoretical trends such as modernism, pay great attention to the factor of education in the formation of a modern nation. Thus, it's worth studying one of the important stages of the history of Georgia namely the 1918-1921 years, from the point of the educational system.

Such an approach to the problem is new and the findings of the research will allow us to set forward the need for an educational process, in accordance with the new needs of the epoch, not only as a means of disseminating knowledge to the population but also as a key factor in maintaining the national consciousness of the whole Georgian nation.

კულტურა, როგორც „რბილი ძალის“ შემაღლებელი კომპონენტი

იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ დავინახოთ კულტურის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, უნდა განვმარტოთ თავად „რბილი ძალის“ ფენომენი და ის თუ რა კონტექსტში ხდება კულტურის, როგორც ერთ-ერთი მექანიზმის გამოყენება სხვა სახელწიფოებთან ურთიერთობის დროს. რბილი ძალა – ეს არის ძალაუფლების ერთ-ერთი სახე, რომელიც არ საჭიროებს არანაირ სამხედრო ინტერვენციას, ეკონომიკური სტიმულის გაცემას ან ძალდატანებას. ტერმინი „რბილი ძალა“ ჯოზეფ ნაიმ პირველად გამოიყენა 1990 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, შემდგომ კი 2004 წელს გამოსცა წიგნი სახელწოდებით „რბილი ძალა – მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის საშუალება“. „რბილი ძალა“ ეს არის „უნარი, მიაღწიო შედეგს არა ძალდატენების ან გადახდის, არამედ დარწმუნების და მიმზიდველობის მეშვეობით“ [1, 5]. რბილი ძალის თეორია ეფუძნება თანამშრომლობას და იდეოლოგიურ-ინტელექტუალურ რესურსებს ანიჭებს უპირატესობას. ნაი აღნიშნავს, რომ აუცილებელია „რბილი ძალის“ რესურსების გაცნობიერება და მუდმივი ინვესტიცია „რბილი ძალის“ მექანიზმების განვითარებაში.

„რბილ ძალას“ ხშირად „მიმზიდველ ძალასაც“ უწოდებენ. მის მიმზიდველობას კი თავის მხრივ სხვადასხვა რანგის ფაქტორები და მახასიათებლები განაპირობებს. უმთავრესად ეს არის ღირებულებათა სისტემების თანხვედრა. ნაის მტკიცებით, თუ სახელმწიფოს დადებითი იმიჯის შექმნაზე კულტურული, სამეცნიერო, დიპლომატიური და საგანმანათლებლო ფაქტორები მუშაობენ,

აუცილებლობას არ წარმოადგენს სამხედრო და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება მიზნის მისაღწევად. უნდა აღინიშნოს, რომ „რბილი ძალა“ არა მხოლოდ სახელმწიფოს დონეზე, არამედ შიდა საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც ხშირად გამოიყენება გარკვეული ჯგუფის აზრთა სამართვად ან სრულიად ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური ფონის შესაქმნელად. „რბილი ძალა“ ხაზს უსვამს არა ომის შესაძლებლობას, არამედ თანამშრომლობას; არა სამხედრო ექსპანსიას, არამედ იდეების შეჯერებას და მათ იმპლემენტაციას. იმგვარი სახელმწიფოებისთვის, სადაც მთავარი ადამიანთა უფლებები და დემოკრატიული ფასეულობების გამოვლენა და დაცვაა, მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გზით დასახული მიზნის მიღწევა.

სახელმწიფოებრივ დონეზე „რბილი ძალის“ გამოვლინება მეტ რესურსს მოითხოვს. თუმცა, ფაქტია უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ცდილობს სწორედ ამ მეთოდით, სასურველი ადგილის დამკვიდრებას საერთაშორისო პლატფორმაზე და არა მარტო. მაგალითად, ჩინეთმა ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის კუთხით, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ასობით „კონფუციის ინსტიტუტი“ დააარსა. ჩინეთში, კულტურა აღიქმება როგორც ძალაუფლების მთავარი რესურსი. სწორედ კულტურული მემკვიდრეობის გაცვლის ხარჯზე ცდილობს ჩინეთი დაარწმუნოს მსოფლიო, რომ ის არის ცივილიზებული, საიმედო სახელმწიფო.

ყურადსაღებია, რომ თანდათან შეუძლებელი ხდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარება. ამიტომ წინ არის წამოწეული „რბილი ძალის“ განვითარების თეორიული, პოლიტიკური გააზრება და მისი ფინანსურად უზრუნველყოფის საკითხები. „რბილი ძალის“ მეშვეობით მიზნის მიღწევის წარმატება დამოკიდებულია აქტორის რეპუტაციასა და რესურსებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „რბილი ძალა“ ხშირად დაკავშირებულია გლობალიზაციასთან. გლობალიზაცია კი თავის მხრივ ის უხილავი ჯაჭვია, რაც მრავ-

ვალი ქვეყნის დაკავშირებას ერთმანეთთან გაცილებით მარტივს ხდის. ბუნებრივია, ბევრად რთული იქნებოდა უპერატესობების წარმოჩენა თუნდაც ტექნოლოგიური და ინფორმაციული განვითარების გარეშე.

უმეტესად სახელმწიფოები, რომლებსაც მდგრადი და ძლიერი ეკონომიკა გააჩნიათ, აიძულებენ ეკონომიკურად სუსტ სახელმწიფოებს გახდნენ მათზე დამოკიდებულნი. თუმცა ისინი ასევე ხშირად იყენებენ „რბილი ძალის“ სხვადასხვა მექანიზმებს. ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი სახელმწიფოა, რომელიც საკმაოდ აქტიურად იყენებს „რბილი ძალის“ მექანიზმებს თუნდაც საგარეო პოლიტიკის წარმოებისას. თუმცა რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის ასე არ იყო და ამერიკის შეერთებული შტატებიც განვითარების გარკვეულ ეტაპზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი არ არის მსოფლიოს ომით დაამახსოვრო თავი და, პირიქით, შესაძლებელია იმიჯის ამაღლება იმ დონეზე, რომ სახელმწიფოებს თავად მოუნდეთ შენთან თანამშრომლობა.

მე-20 საუკუნეში „ამერიკული კულტურა“ იყო კულტურული ექსპორტი მსოფლიოში და შთაგონება იმისა, რომ ამერიკაში ყველა ოცნება ხდება. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, ამერიკამ პირველად დაიწყო კულტურული ექსპორტი საზღვარგარეთ ფილმების და მუსიკის საშუალებით. ჩარლი ჩაპლინი და „ვესტერნები“, ჯაზი მილიონობით ქვეყანას გააცნო და შეაყვარა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ეს პროცესი გაცილებით ინტენსიური გახდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოიტანა სიმშვიდე მსოფლიოში. ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ დაასრულა ცივი ომი და ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის დაშლას. ამგვარად, ამერიკული პოპულარული კულტურა გლობალური გახდა. მაგალითისათვის, უნდა ვახსენოთ ინგლისური ენის პოპულარიზაცია. განსაკუთრებით ძლიერია ამერიკის კულტურული გავლენა ფილმების საშუალებით. მხოლოდ სიტყვა „ჰოლივუდი“ მოგვითხრობს კინოვარსკვლავებისა და ოსკარის ლამეების შესახებ. ფილმებისა და სატელევიზიო გადაცემების მხრივ, ამერი-

კა ითვლება ნომერ პირველ ექსპორტიორ ქვეყნად. სრულიად არ იქნება გაზვიადება, თუ ვიტყვით, რომ ამერიკულმა პოპულარულმა მუსიკამ დაიპყრო მსოფლიო მე-20 საუკუნეში. ჯაზი, როკ ენდ როლი, ჰიპ-ჰოპი და სხვა, მუსიკის ყველა ამ ფორმამ მთელი მსოფლიო მოიცვა. მეორე მსოფლიო ომის კატასტროფებმა მხატვრები ატლანტის ოკეანის მიღმა გადაისროლა, შეერთებული შტატები თანამედროვე ხელოვნების ცენტრად იქცა. ნიუ იორკი პარიზს დაუპირისპირდა, როგორც ახალი მხატვრებისა და ხელოვნების ფორმების კერა [7].

ამერიკული „რბილი ძალის“ გაზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აკადემიური და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამები. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მეცნიერების ვიზიტებს ამერიკელები უფროთხოვდნენ, მოგვიანებით სწორედ ამ ადამიანებმა შეუწყვეს ხელი საბჭოთა კავშირის დანგრევას.

„რბილი ძალის“ მექანიზმების უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ აღიარებული და დაცული იქნას კულტურული მემკვიდრეობა და შემდგომ ეს მემკვიდრეობა გამოყენებული იქნას საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, მიმზიდველობის შესაქმნელად, იმიჯის ასამაღლებლად, კონკრეტული საგარეო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. როდესაც ვსაუბრობთ, კულტურაზე და კულტურის როლზე, როგორც „რბილი ძალის“ შემადგენელ კომპონენტზე აუცილებლად უნდა მოვიყვანოთ კონკრეტულ სახელმწიფოებზე მორგებული მაგალითები, რათა აღქმა კულტურის მნიშვნელობისა გაიზარდოს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საკმაოდ დიდი კულტურული რესურსი აქვს იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოიყენოს. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკა ყოველთვის არ სახელდება როგორც ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მიმზიდველობის მკვეთრი შემცირება მოხდა 2003 წელს ერაყის ომის შემდეგ, როდესაც გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა ხალხის უარყოფითი რეაგირება ჯ. ბუშის ადმინისტრაციის პოლიტი-

კაზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით დღევანდელ მსოფლიო წესრიგში ამერიკა გახლავთ სწორედ ის ქვეყანა, რომელიც აქტიურად მუშაობს „რბილი ძალის“ მექანიზმებისა და მეთოდების შემუშავებასა და განვითარებაში.

უნდა ვახსენოთ ასევე კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელიც დღესდღეობით განსხვავებულ საერთაშორისო პოლიტიკას ატარებს და რომელმაც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აღიარა „რბილი ძალის“ ფენომენის არებობა და აქტიურად დაიწყო იმ მიმართულებების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივი მიზნების მიღწევაში. ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში, საბჭოთა კავშირის რბილი ძალის რესურსები მიმართული იყო იმისკენ, რომ დაერწმუნებინა მსოფლიო კომუნისტური სისტემის მიმზიდველობაში. საკმაოდ ბევრი ფულადი რესურსი იხარჯებოდა სახალხო დიპლომატიის, რადიო-მაუნყებლობების, კულტურის განვითარებაზე. დიდი თანხა იხარჯებოდა ცეკვის ანსამბლებზე, სახელმწიფო თეატრებზე, საბალეტო დასებზე, სპორტსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე. დამერწმუნებით, რომ არც რუსული კულტურული მემკვიდრეობა ჩამოუვარდება ამერიკულს. თუმცა აქ განსხვავება ვფიქრობ, მაინც ისტორიაშია. რუსეთისათვის, ძირითადად, მიზნის მიღწევის საშუალებას ყოველთვის ხისტი სამხედრო ძალა წარმოადგენდა. ამიტომ რა თქმა უნდა, „რბილი ძალის“ ფენომენი რუსეთისთვის საკმაოდ ახალია და ჯერ კიდევ გარკვევის პროცესშია, თუ რა რესურსები გააჩნია მას და როგორ მართოს ეს რესურსები სწორად.

2012 წლიდან „რბილი ძალის“ გამოყენება აქტიუალური გახდა რუსეთის პოლიტიკაში. პუტინის წინასაარჩევნო სტატიაში „რუსეთი და ცვალებადი მსოფლიო“, რომელიც 2012 წლის თებერვალში გამოქვეყნდა, მკაფიოდ არის დაფიქსირებული ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავისი გავლენის სფეროების გასაფართოვებლად იყენებს „რბილ ძალას“. ეს ყველაფერი კი, როგორც სტატიაშია ნახსენები, ემსახურება ტერიტორიების

გაკონტროლებას, პოლიტიკურ დამონებას და სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ექსპლუატაციას. პუტინის თქმით, „რბილი ძალის“ მექანიზმების მთავარი მიზნებია ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის პროვოცირება, მასების მანიპულაცია, სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკაში ჩარევა და ა. შ. [2].

2012 წლის ივლისში გამოსვლის დროს კი უკვე რუსეთის პრეზიდენტმა, პუტინმა განსაზღვრა „რბილი ძალა“ არა მხოლოდ, როგორც უარყოფითი ფენომენი, არამედ ისაუბრა მის დადებით გამოვლინებებზე და აღნიშნა, რომ „რბილი ძალის“ მეთოდები შესაძლოა გამოყენებულ იქნას საკუთარი ინტერესების გასატარებლად. მან ასევე ყურადღება გაამახვილა, რუსეთის დიპლომატიური კორპუსის აქტივობებსა და ჩართულობაზე. 2013 წელს ტერმინი „რბილი ძალა“ გამოჩნდა დოქტრინის ახალ ვერსიაში და განისაზღვრა როგორც „საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება საინფორმაციო, კულტურული, და ტრადიციული დიპლომატიის ალტერნატიული საშუალებებით“ [3, 36].

ცხადია, რუსეთისათვის გავლენის მოხდენის უმთავრესი არეალი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებია. რუსეთის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი კი სწორედ რელიგიაა. რელიგია, რომელიც კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და რომლის მიმართაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობა ფრიად სენსიტიურია, განსაკუთრებით კი საქართველო. რუსეთის მხრიდან მუდმივად ხდება აპელირება იმ ფაქტზე, რომ ევროპასთან ინტეგრაცია „გახრწნის“ ქართველ ერს და რომ ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც იზიარებს ოჯახის სინმინდის ფასეულობებსა და კულტს არის რუსეთი. მუდმივად ხდება იმ აზრის დაფიქსირება, რომ ლიბერალური დასავლეთი ებრძვის ქართულ მართლმადიდებელ რწმენას, ტრადიციებს და კულტურულ ფასეულობებს. ეს მითი არის ანტიდასავლური ძალების პროპაგანდის მთავარი არგუმენტი, რომელსაც ერთნაირი ინტენსივობითა და წარმატებით მიმართავენ როგორც პოლიტიკოსები, ისე სასულიერო პირები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები,

რომელთაც აქტიურ პროპაგანდას უწევს ანტიდასავლური პრო-რუსული მედია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამ მითის განვრცობით საქართველოს ეკლესიის კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლები გამოირჩევიან. დანამდვილებით რთულია იმის თქმა, კლერიკალების რა ნაწილს შეადგენენ ისინი, არიან უმრავლესობაში თუ უმცირესობაში, თუმცა საგულისხმოა, რომ ბევრი მაღალი რანგის სასულიერო პირები ქადაგებებში ავითარებენ თეზისს რუსეთთან ერთობისა და დასავლეთთან მსოფლმხედველური და მორალური შეუთავსებლობის შესახებ. რელიგია და კულტურული მემკვიდრეობა რუსეთის რბილი ძალის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია. მართლმადიდებლური ქრისტიანული ღირებულებები საკმაოდ მნიშვნელოვანია მოსახლეობის უმთავრესი ნაწილისათვის, შესაბამისად ხშირად სწორედ რელიგია, კულტურული და ისტორიული ასპექტები განსაზღვრავს მოსახლეობის არჩევანს მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში.

საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია, რომლითაც ასე თუ ისე ხელმძღვანელობს რუსეთი, მიმართულია ამ სახელმწიფოს პრესტიჟისა და როლის გაზრდისკენ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ეს უკანასკნელი კი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გახდა მრავალპოლუსიანი, სადაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ღირებულებათა სისტემას, განსაკუთრებით კი საინფორმაციო და „რბილი ძალის“ კონტექსტში. თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი რუსეთის მხრიდან ისეთ სახელმწიფოებთან როგორცაა ინდოეთი, ჩინეთი გვაფიქრებინებს რომ რუსეთს გააზრებული აქვს იმ შედარებით ახალი ფენომენის მნიშვნელობა, რასაც „რბილი ძალა“ ჰქვია და ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ის რესურსები, რაც მას გააჩნია ამ მიმართულებით. რუსეთმა რიგი ნაბიჯები განახორციელა, რათა მოეხდინა პოსტსაბჭოთა სივრცეში უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის განვითარება. შეიქმნა უნივერსიტეტთა ქსელი დსთ-სა (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) და შთო-ში (შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია), განვითარდა

სტუდენტური გაცვლითი პროგრამები, შეიქმნა რუსეთის სასწავლო დაწესებულებების ფილიალები. მაგალითად, აზერბაიჯანში რუსულმა გავლენამ ბევრს მიაღწია განათლების სისტემაში – როგორც სკოლებში, ისე უნივერსიტეტებში. მართალია, აზერბაიჯანის რუსულენოვან სკოლებში მოსწავლეების რიცხვმა განახევრებულზე ნაკლები შეადგინა, მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში რუსულ ენაზე განათლების მიღების სურვილს ახალი ბიძგი მიეცა. მიუხედავად ზემო თქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ საგანმანათლებლო სისტემას უჭირს დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებთან კონკურენცია. რუსეთში სამაგისტრო პროგრამები განიცდიან მუდმივ ცვლილებას და, ძირითადად, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული განათლების ხარისხი. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას, ხშირად ეს ორი ერთიან კულტურულ სივრცედ აღიქმება, თუმცა რეალურად განსხვავება საკმაოდ დიდია. განსხვავებულია ამერიკის შეერთებული შტატების „რბილი ძალის“ ზეგავლენა ევროპაში და ამ უკანასკნელის გავლენა მსოფლიოში. ჯერ კიდევ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოხდა ამერიკის მხრიდან „რბილი ძალისმიერი“ მეთოდების გამოყენება, რაც გამოიხატა მარშალის გეგმით. მარშალის გეგმის ფარგლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მილიარდობით დოლარი დახარჯა ომისგან განადგურებული ევროპული სახელმწიფოების აღორძინებისა და განვითარებისათვის. გეგმა ასევე მოიცავდა ჰუმანიტარულ დახმარებას საკვებითა და სამედიცინო რესურსებით, საკმაოდ აქტიურად მუშაობდა აშშ სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელების განსავითარებლად, გაიცა დიდი რაოდენობით ფულადი გრანტები. ამერიკის „რბილი ძალის“ მექანიზმები, რომლებიც ევროპაში აქტიურად მუშაობს არის კულტურული ღირებულებების გაზიარება (მაგ. დემოკრატია), ამერიკის მასკულტურის გავლენა ასევე მკვეთრად იგრძნობა ევროპულ სახელმწიფოებში (მაგ. ინვდივიდუალიზმი).

რაც შეეხება თავის მხრივ ევროპას, „რბილი ძალის“ მექა-

ნიზმებად აღიქმება კულტურა და ხელოვნება, პოლიტიკური ღირებულებები, „საყოველთაო კეთილდღეობაზე დამყარებული ეკონომიკური მოდელების არსებობა“, მშვიდობის შენარჩუნებისთვის წარმოებულ პოლიტიკურ აქტივობებში ჩართულობა. „რბილი ძალის“ საუკეთესო მაგალითი თავად ევროკავშირია, რომელმაც შექმნის დღიდან თავი დაიმკვიდრა როგორც წარმატებული ეკონომიკური მოდელისა და დემოკრატიული ღირებულებების გამავრცელებელმა ორგანიზაციამ მსოფლიოში [4]. ევროკავშირის „რბილი ძალის“ საზომი იყო ის, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ძალას, რომელიც თუნდაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ეხმარებოდა პრობლემების გადაჭრაში ისეთი მეთოდებით, როგორცაა, მაგალითად, დიპლომატია. ასევე აღსანიშნავია, რომ ევროპული პოლიტიკა სიკვდილით დასჯასთან მიმართებაში, ჰომოსექსუალების უფლებებთან მიმართებაში, იარაღის კონტროლზე ბევრისთვის მეტად მისაღებია, ვიდრე ამერიკის პოლიტიკა ზემო აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით.

საკმაოდ საინტერესოა ჩინეთის გააქტიურება საერთაშორისო ასპარეზზე „რბილი ძალის“ სხვადასხვა მექანიზმებით. ჩინეთი მკვეთრად ზრდის აფრიკის კონტინენტზე სავაჭრო კავშირებს. როგორც მოგეხსენებათ, აფრიკა საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ეს არის წიაღისეულით უმდიდრესი რეგიონი. რკინა, ალმასი, ოქრო, სპილენძი, ნავთობი და ბუნებრივი აირი – ეს არასრული ჩამონათვალია იმ სიმდიდრისა რასაც ეს კონტინენტი ფლობს. რა თქმა უნდა, არსებობს დაინტერესება და სურვილი აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოების მხრიდან ამ ტერიტორიაზე გაზარდონ გავლენა და ამ მხრივ იხარჯება საკმაოდ დიდი რესურსები, თუმცა გავითვალისწინებთ რა კოლონიალურ წარსულს, აფრიკული სახელმწიფოები მაინც სკეპტიკურად არიან განწყობილნი. ჩინეთი საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, თუმცა ეს რესურსებიც ამონურვადია და იგი საჭიროებს ალტერნატივას. ჩინეთის „რბილი ძალის“ მეთოდები საკმაოდ ჭკვიანურად მუშაობს ამ მიმართულებით და სხვადას-

ხვა პროგრამების წყალობით ცდილობს სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერებას. ამ სახელმწიფოს არ აკლია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, თუ კულტურული რესურსები და მას უცილობლად აქვს პოტენციალი სერიოზული კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოს როგორც „ხისტი“, ასევე „რბილი ძალის“ მეთოდების გამოყენებით.

ვთანხმდებით, იმაზე რომ კულტურა „რბილი ძალის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია. კულტურა საკმაოდ რთული ცნებაა და შეუძლებელია კულტურის ფენომენის ერთი განმარტებით განსაზღვრა, ისევე როგორც კულტურის ყოველი ელემენტის გავლენის განსაზღვრა. თუკი ადრე კულტურა განიხილებოდა როგორც ვინრო ფენომენი, ახლა მას სრულიად ახალი დატვირთვა მიენიჭა და იგი მოიაზრება არა მხოლოდ ცალკე მდგომ ფენომენად, არამედ როგორც მექანიზმად, რომელიც განაპირობებს სხვადასხვა სახელმწიფოების ქცევას და ხშირად ხდება კიდევ თავად იარაღი გავლენის მოსახდენად და მიზნის მისაღწევად. კულტურას საკმაოდ ბევრი განზომილება აქვს: ლიტერატურა, განათლება, ხელოვნება და ა. შ. ნაის აზრით, სწორედ განათლება წარმოადგენს „რბილი ძალის“ ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად ასი-ათასობით სტუდენტი მიემგზავრება სხვადასხვა სასწავლო პროგრამებით. იქ ჩასულებს კი საშუალება აქვთ ეზიარონ იმ მასკულტურას, რომელზეც მხოლოდ ფილმებიდან სმენიათ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცნობიერებასა და შეხედულებებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის როლი საკმაოდ იზრდება საერთაშორისო ურთიერთობებში. გამოსაყოფია მაღალი კულტურის და პოპულარული კულტურის გამოვლინებანი (ლიტერატურა, ხელოვნება განათლება, კინო და ა. შ.) „რბილი ძალის“ სახით. უკვე აღვნიშნეთ, თუ რა როლი ითამაშა ამერიკის საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევაში კულტურამ. გლობალიზაციის პირობებში კულტურული ღირებულებების გაზიარება საკმაოდ

მარტივი ხდება. ეს პროცესი თავისთავად უამრავი დადებითი ასპექტის წარმოშობასთან ერთად, ქმნის უარყოფით ფონსაც, რაც ხშირად სწორედ კულტურული ღირებულებების შეუთავსებლობით ხასიათდება და რაც გარკვეულწილად კონფლიქტების შექმნისა და ესკალაციის მიზეზიც ხდება.

კულტურული დიპლომატია არის ის ცნება, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად მუშობს გლობალიზაციის პირობებში და თავის მხრივ გულისხმობს ქვეყნის კულტურისა თუ სხვა რესურსების გამოყენებას სხვადასხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის და გარკვეული პოლიტიკის წარმოებისას. იგი განისაზღვრება როგორც იდეების, ინფორმაციების, ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტების გაცვლის პროცესი ერებსა და ხალხებში, ურთიერთგაგების განმტკიცების მიზნით. კულტურა, როგორც ცნობილია, მოიცავს არამხოლოდ მატერიალურ, ინტელექტუალურ, სულიერ თვისებებსა და ღირებულებებს, არამედ კონკრეტული საზოგადოებისა თუ სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს, ღირებულებათა სისტემებს.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით ცივი ომის შემდგომ პერიოდში ძირეულად მოხდა მოვლენებისა თუ ღირებულებების გადაფასება და სახელმწიფოებმა გადანყვიტეს ხისტი ძალისმიერი მეთოდების, სრულიად თუ არა გარკვეულწილად უგულვებელყოფა და „რბილი ძალის“ მექანიზმების შემუშავება და განვითარება. პოლიტიკოსები მიხვდნენ, რომ საკუთარი მიმზიდველობის წარმოჩენით სხვა სახელმწიფოებზე გავლენის მოხდენის მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ და ეს გავლენა გაცილებით დიდ ხანს გრძელდებოდა, ვიდრე სხვა შემთხვევაში, მაგალითად, ომის წარმოების დროს. „რბილი ძალა“ ერთგვარი გონებრივი ძალაა და ის წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული ძალაუფლების მნიშვნელოვან კომპონენტს. კულტურის ძირითადი საფუძველია ღირებულებები. რაც შეეხება კულტურის შინაარსს, იგი მოიცავს ისტორიულ მასალებსა და სულიერ სიმდიდრეს, რომლებიც შეიქმნა კაცობრიობის არსებობის ისტორიაში. კულტურა მოიაზრება,

როგორც სოციალური იდეოლოგია, რომელიც მოიცავს აზრებს, ღირებულებებს, რელიგიას და ა. შ. ამჟამინდელ სახელმწიფო ძალაუფლებასთან დაკავშირებული გაზრდილი კონკურენცია მოიცავს: ეკონომიკურ, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ, თავდაცვით და კულტურულ ძალას. როგორც ჯოზეფ ნაი აღნიშნავს, „რბილი ძალა“ შეიძლება შეფასდეს ქვეყნის ერთიანობის, მისი გლობალური კულტურული პოპულარობისა და საერთაშორისო ინსტიტუტების როლის საფუძველზე. კულტურა, როგორც „რბილი“ ძალა, ეროვნული ძალაუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ ბევრმა ქვეყანამ აირჩია საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისა და გავლენის გაძლიერების წარმოჩენისათვის.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იაპონიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ნაკასონემ შემოგვთავაზა სტრატეგიული გეგმა „კულტურულად განვითარებული ქვეყნის შექმნის“ შესახებ. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი გვთავაზობდა კულტურული ევროპის მიღწევას და ევროპული კულტურული საზოგადოების ჩამოყალიბებას. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა „კულტურული გაფართოების“ სტრატეგიის განხორციელება დაიწყო. თამამად შეგვიძლია კულტურა მივიჩნიოთ, როგორც ერთგვარი გზამკვლევი, კომპასი გადანწყვეტილების მიღების პროცესში. განსხვავებულ სახელმწიფოებს აქვთ განსხვავებული სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც სათავეს იღებს სახელმწიფოს ჩამოყალიბების ადრეულ გამოცდილებაში და რომელზეც გარკვეულწილად მოქმედებს სახელმწიფოსა და მისი პოლიტიკური ლიდერების ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, კულტურული მახასიათებლები.

ცხადია, კულტურა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია „რბილი ძალისა“ და ასევე ნათელია, კულტურის როლის ამალღება საერთაშორისო ურთიერთობებში. გარდა იმისა, რომ კულტურამ შეიძლება განსაზღვროს კონკრეტული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებები. იგი ასევე შეიძლება გახდეს მიზეზი კონფლიქტებისა. გავიხსენოთ თუნდაც

სამუელ ჰანთინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ მომავალი ომები იქნება არა ქვეყნებს, არამედ კულტურებს შორის. იგი ამტკიცებდა, რომ 21-ე საუკუნის განმსაზღვრელი იქნება სწორედ ცივილიზაციათა შეჯახება, კულტურათაშორისი ომი. ჰანთინგტონის აზრით, სწორედ ცივილიზაციათა კონფლიქტი ჩაანაცვლებს კონფლიქტებს ეროვნულ სახელმწიფოებსა და იდეოლოგიებს შორის, რომლებიც მე-19-20 საუკუნეების განმავლობაში დომინირებდა.

გლობალიზაციის პირობებში კი ცივილიზაციათა კონფლიქტი მეტად შესაძლებელი ხდება. განვიხილოთ თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი. როგორც ჰანთინგტონი მიიჩნევს, სხვადასხვა იდეების პროპაგანდა დასავლეთის მხრიდან, სხვა ცივილიზაციებში იწვევს რეაქციას „დემოკრატიული იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ. ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატების სურვილი შეინარჩუნოს სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური უპერატესობა ახალ პრობლემებს ქმნის განსხვავებულ კულტურებში. დემოკრატიზაცია უნდა მოხდეს დასავლური მოდელით, ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული, ისევე როგორც ეს ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, იწვევს აგრესიას, კონფლიქტებს განსხვავებული ცივილიზაციების, განსხვავებული კულტურის მქონე საზოგადოებაში [5]. რონალდ ინგლეჰარტი და პიპა ნორისი ამტკიცებენ, რომ ცივილიზაციათა ნამდვილი შეჯახება, იქნება მუსლიმანურ სამყაროსა და დასავლეთს შორის. ეს უკანასკნელი კი გამონგვეული იქნება მუსლიმთა მიერ დასავლური, ლიბერალური სექსუალური ღირებულებების უაროფით და არა პოლიტიკური იდეოლოგიის სხვაობით. ზემო აღნიშნული კი, თავის მხრივ, კულტურის, როგორც „რბილი ძალის“ მექანიზმის აქტიურად მუშაობის შედეგი იქნება[9].

გლობალიზაციის პროცესები განაპირობებს გეოპოლიტიკური სივრცის რეფორმირებას, ახალი იერარქიული სისტემის, ახალი გეოპოლიტიკური პოლუსების ჩამოყალიბებას. შე-

საბამისად გლობალიზაციის მიერ გამოწვეული პროცესები, თავის მხრივ, საჭიროებს ახალი რეალობის შესაბამისი საგარეო პოლიტიკის ფორმირებას, სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და ეროვნული ინტერესების შესასრულებლად ახალი ინსტრუმენტების, მექანიზმებისა და მეთოდების გამოყენებას. „რბილი ძალა“, თავის მხრივ, უამრავ შესაძლებლობებს იძლევა იმ სახელმწიფოებისთვისაც კი, რომელთაც ტრადიციული გავლენის რესურსების შეზღუდული სპექტრი აქვთ. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს გავლენა იმ გეოპოლიტიკურ არეალში, სადაც ის მოღვაწეობს ან თუნდაც საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესებში.

ჯონ ლენკოვსკი, მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ჯოზეფ ნაის „რბილი ძალის“ დეფინიციაზე დაყრდნობით აყალიბებს „კულტურული დიპლომატიის“ კონცეფციას. კულტურული დიპლომატია წარმოადგენს მოქმედებათა კურსს, რომელიც ემყარება და იყენებს იდეების, ღირებულებების, ტრადიციების და კულტურისა ან იდენტობის სხვა ასპექტების გაცვლას ურთიერთობების გაძლიერების, ეროვნული ინტერესების ხელშეწყობის მიზნით. ამ ფენომენის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კულტურული დიპლომატია წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების ასამაღლებელ სტრატეგიულ და ეფექტურ საშუალებას. ამიტომ კულტურული დიპლომატია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ელემენტი [6, 164]. ზემო აღნიშნული ნიშნავს, რომ საკუთარი ქვეყნის კულტურაში, საგანმანათლებლო პროცესებში ინვესტირება ხელს უწყობს სხვადასხვა სახელმწიფოებთან ნდობის მოპოვებას, რაც თავის მხრივ შეიძლება გამოიხატოს დიპლომატიურ, ფინანსურ ან თუნდაც სამხედრო მხარდაჭერაში. კულტურული დიპლომატია არის ის ცნება, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად მუშაობს გლობალიზაციის პირობებში და თავის მხრივ გულისხმობს ქვეყნის კულტურისა თუ სხვა რესურსების გამოყენებას სხვადასხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის და

გარკვეული პოლიტიკის წარმოებისას. იგი განისაზღვრება როგორც იდეების, ინფორმაციების, ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტების გაცვლის პროცესი ერებსა და ხალხებში, ურთიერთგაგების განმტკიცების მიზნით და შეიძლება მოიცავდეს ისეთ საქმიანობებს, როგორცაა კულტურული სუბიექტების დახმარება ეროვნული კულტურისა და კულტურული იდენტობის გავრცელებაში, ეროვნული ენის გავრცელების ხელშეწყობა, მიმღებ სახელმწიფოში მყოფ ემიგრანტ თემებთან კონტაქტების დამყარება და შენარჩუნება [8].

დღეს მსოფლიოში ძალზე ძლიერი კონკურენცია მიმდინარეობს. კულტურა, რომელიც წარმოადგენს „რბილი ძალის“ ერთ-ერთ ელემენტს, დადებით და უარყოფით გავლენას ახდენს ეროვნული ძალაუფლების განვითარებაზე. მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე იზრდება. ბევრ თანამედროვე საერთაშორისო საკითხს ღრმა კულტურული მიზეზები აქვს და მსოფლიოს ქვეყნები გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ „რბილი ძალის“ გამოყენებას ეროვნული ინტერესების სამსახურში. მიუხედავად იმისა, რომ ხისტი ძალა კვლავ ინტენსიურად გამოიყენება რიგ შემთხვევებში სახელმწიფოთა ურთიერთობებში, დღეს საერთაშორისო პოლიტიკაში „რბილი ძალა“ სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მაშინ როდესაც ქვეყნის კულტურა მოიცავს საყოველთაო ღირებულებებს და „მისი პოლიტიკა ხელს უწყობს ღირებულებებს და ინტერესებს, რასაც სხვები იზიარებენ, იზრდება სასურველი შედეგების მიღების შესაძლებლობა“ [7].

„რბილი ძალის“ მექანიზმები კონკრეტული მიზნის მისაღწევად მუშაობენ. დღევანდელი მსოფლიო ხდება მრავალპოლუსიანი. საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ რუსეთსა და ამერიკას აღარ ვხვდებით. უამრავი სახელმწიფო, როგორცაა, მაგალითად, ჩინეთი, კორეა აქტიურად ავითარებს „რბილი ძალის“ მექანიზმებს და ვფიქრობ, საკმაოდ დიდი წარმატებითაც. ისეთ სახელმწიფოებში, როგორც მაგალითად საქართველოა საკმაოდ

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ისტორიას, ტრადიციებს. შესაბამისად, აუცილებელია, გამოიკვეთოს „რბილი ძალის“ ის მექანიზმები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ამ სახელმწიფოში. ზემო აღნიშნული საკმაოდ მნიშვნელოვანია არამარტო შიდა განვითარების, ისე რეგიონული და სამეზობლო პოლიტიკის თვალსაზრისითაც. „რბილი ძალის“ არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს ბაზას პოლიტიკური პროცესების წარმართვისთვის და სწორი სტრატეგიების განსაზღვრისათვის. „რბილი ძალა“, რომელიც კულტურული ძალაუფლების გარშემო ტრიალებს, ახლაც და მომავალშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების გარდაქმნასა და გლობალურ კონფიგურაციაში.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Joseph S. Nye, JR., *Soft Power, The Means to Success in World Politics*, Public Affairs, NY., 2004.
2. Чихарев И. А., Столетов О. В. «Мягкая сила» и «разумная сила» в современной мировой политической динамике, Москва, 2015.
3. Указ Президента Российской Федерации от 30. 11. 2016 № 640 „Об утверждении Концепции внешней политики Российской Федерации“, 2016.
4. გ. აბდალაძე, რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში, თბილისი, 2020.
5. Huntington, Samuel, *the Clash of Civilizations and the Remaking of World Order*, 1997.
6. Lenczowski, John, *Full Spectrum Diplomacy and Grand Policy*, Lanham: Lexington Books, 2011.
7. გ. ლილუაშვილი, რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში, თბილისი, 2018.
8. Bound K, Briggs R, Holden J, Jones S, *Cultural Diplomacy*, 2007.
9. Inglehart, Ronald; Pippa Norris, *The True Clash of Civilizations*, *Foreign Policy*, 2003, #135.

Natia Mamaladze

*Georgian Technical University, Doctoral student of
the Faculty of Law and International Relations*

Culture as an Element of Soft Power

Summary

Soft power has become a term that has been widely used in modern international relations. This is a relatively new phenomenon that has gained popularity. Although, we can still say that this new concept has not been either fully studied, or even acknowledged by certain scholars, organizations or even higher authorities.

As Josef Nye notes „soft power” is often called „attractive power”. Its attractiveness is due to different factors and characteristics. Most importantly, this is the match of systems of values. The „soft power” can be obtained through mechanisms such as diplomacy, trade, tourism, media, exchange of educational and scientific programs, assistance in disasters, etc. „Soft Power” consists of three elements: Culture, Political values and Foreign Policy.

Culture itself is quite a complex concept and it is impossible to define the term with one definition, as well as to determine the influence of each element of culture. Culture can no longer be perceived as a separate concept, but it has now become the mechanism to influence and achieve goals.

In the 20th century, American Culture became a cultural export to the world and an inspiration that everything is achievable in America. Films, music, sports - every segment of Culture has been working to promote the image of the United States of America as a strong, outstanding country, that supports individualism and promotes different values, like equality. However, the USA is not the only country nowadays in modern international relations that uses culture as a weapon to increase its popularity worldwide. For European states, the mechanisms of the „Soft

Power” are perceived as culture and art, political values, the existence of economic models based on universal welfare. The best example of „Soft Power” is the European Union itself, which has been established as a successful economic model and an organization that promotes democratic values around the world and assist countries to develop and prosper. China has also started using its culture to gain popularity in the world. There were established schools for learning the Chinese language, also different educational programs have been financed to promote the student flow to the country, etc.

The processes of globalization lead to the reform of the geopolitical space, the formation of a new hierarchical system, new geopolitical poles. Consequently, the processes caused by globalization, in turn, require the formation of a foreign policy in line with the new reality, the use of new tools, mechanisms and methods to achieve strategic goals and pursue national interests. „Soft Power” offers a lot of opportunities even for states that have a limited range of traditional resources for influence. Any state can influence the geopolitical area in which it operates or even the ongoing processes in the international arena.

Culture, as a „Soft Power”, is an important part of national power and quite many countries have chosen to enhance international competitiveness and influence through cultural development. Although hard power is still used extensively in state relations, „Soft Power” that revolves around cultural power will place an important role now and in the future in transforming international relations and global configuration.

ისტორიოგრაფია

მერაბ კალანდაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები (1918-1921), როგორც ამ დარგის ისტორიის წყარო

უპირველეს ყოვლისა, დავინყოთ იმით, რომ წინამდებარე ნაშრომი წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საზღვარზეა. ამჯერად, ყურადღებას მივაპყრობთ 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოსულ მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებს, როგორც ამ დარგის ისტორიის საინტერესო საბუთს; წყაროს, რომელიც საშუალებას გვაძლევს მისი განვითარების გაცილებით უფრო ადეკვატური სურათი შევქმნათ, ვიდრე ეს აქამდე იყო. აღნიშნული სახელმძღვანელოები, როგორც ამ დარგის ისტორიის პირველწყარო, საშუალებას გვაძლევს საინტერესო დასკვნები გავაკეთოთ და შევეცადოთ არგუმენტირებულად გავაბათილოდ მთელი რიგი საბჭოთა, მარქსისტული ლეგენდები და მითები, რომელმაც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, მყარად დაიმკვიდრა ადგილი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. საკითხის ამ კუთხით გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

დღეს ეს სახელმძღვანელოები, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია, მაგრამ არის

ერთი საკითხი, რომელსაც თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები ამ დარგის ისტორიის, მისი განვითარების ერთ-ერთ საინტერესო საბუთს, პირველწყაროს წარმოადგენს. ამჯერად, შევეცადეთ სახელმძღვანელოებს, სწორედ, ამ კუთხით შევხედოთ, რადგან ისინი აღნიშნული პერიოდის ისტორიულ აზროვნებას განასახიერებენ.

აღსანიშნავია, რომ ეს თემა საგანგებო კვლევის ობიექტი დღემდე არ გამხდარა. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით, შეგვევსო ეს ვაკუუმი და აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გაგვემახვილებინა. ეს საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი.

წინამდებარე ნაშრომს მკვეთრად გამოკვეთილი პოლემისტური მუხტი გააჩნია და საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის საკითხისადმი საბჭოთა მიდგომის რევიზიის მცდელობად გვევლინება. ჩ განსხვავებული მიდგომის მთავარი პოსტულატია ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი წვლილის წარმოჩენა, რეანიმაცია, რეაბილიტაცია. ფაქტობრივად, ეს მონაკვეთი ელიმინირებული, ამოღებული იქნა საქართველოში ამ დარგის განვითარების ისტორიიდან, თითქოსდა არც კი არსებობდა, გაქრა, გაუჩინარდა, მივიწყების სქელმა ნისლმა დაფარა, რადგან ასეთი იყო პოლიტიკური ნება. [1; 2, 347-367; 3, 161-171]

საბჭოთა წლებში მსოფლიო ისტორიის შესწავლისა და კვლევის სფეროში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის წვლილი უგულებელყოფილი იქნა, ხოლო იმ პერიოდში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, დარგის განვითარების კუთხით, არც კი განიხილებოდა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი წარმატებები ტაბუდადებული თემა იყო და ის მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში,

მოიხსენიებოდა. მსოფლიო ისტორიის კვლევისა და სწავლების პრობლემისადმი საბჭოთა მიდგომა ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული იყო. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება მეცნიერულად მცდარი და არაპატრიოტულია, რაც ამ დარგის წარსულზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა.

* * *

როგორც წყაროებიდან ირკვევა, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ქართველმა ისტორიკოსებმა თავისი წვლილი შეიტანეს და შეძლებისდაგვარად შეეცადნენ წინ წაენიათ და განევითარებინათ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, პოპულარიზაცია, შესწავლა. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა, რაც უმთავრესად აისახა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენით. ეს იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მეტის გაკეთება, უბრალოდ ველარ მოესწრო. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამის გვერდის ავლა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია იწყება 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში, დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს ამ დარგის განვითარების საქმეში ეტაპობრივი მოვლენა იყო.

1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის საისტორიო მეცნიერების მესვეურები, სხვა დანარჩენთან ერთად, ორი კარგი ნამოწყების ინიციატორად მოგვევლინენ: 1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიდი ივანე ჯავახიშ-

ვილის ძალისხმევით, საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ სწავლებას. ამ მიზნით უნივერსიტეტში მოიწვიეს ამ დარგის სპეციალისტები სიმონ ავალიანი (1881-1922) და გრიგოლ ნათაძე (1878-1951) [4; 5, 23-24]. უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის პირველი ლექტორი სიმონ ავალიანი ბრძანდებოდა [2, 363; 6; 8], ამიტომ დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალექსანდრე ნამორაძის მოსაზრება, თითქოსდა „ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში გრ. ნათაძემ პირველად წაიკითხა მსოფლიო ისტორიის კურსი და სათანადო გზა და მიმართულება მისცა მომავალ ლექტორთა მუშაობას“ [7, 366]. 2. დაინყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. დასაწყისი ნამდვილად არ ჩანდა ურიგო. რისი გაკეთებაც მოასწრეს, გააკეთეს.

გამოდის, რომ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ამ სფეროში საქმიანობა ცარიელ ნიადაგზე, ნულიდან, კი არ დაუწყია, არამედ გარკვეული ტრადიცია დახვდა, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის მანძილზე, ფართო საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩებოდა.

მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება, ცხადია, პატარა საქმე არ იყო და საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მესვეურთა წარმატებას წარმოადგენდა. ეს, იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე, როდესაც ამ დარგში მშობლიურ ენაზე, პრაქტიკულად, არაფერი იყო დაწერილი, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. ამ პერიოდის სახელმძღვანელოების მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს:

ა. საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში ჰპოვა ასახვა. მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციამ პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის სფეროდან, ჟურნალ-გაზეთების ფურცლ-

ბიდან, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში გადაინაცვლა. ცხადია, ეს დარგის წინსვლა იყო. ჩვენი აზრით, აღნიშნული სასწავლო სახელმძღვანელოები, პუბლიცისტიკის სფეროდან მსოფლიო ისტორიის მეცნიერულ შესწავლაზე გადასვლის საქმეში შუალედურ რგოლად შეიძლება ჩაითვალოს. ძირითადად, აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ეს არის საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ბ. მსოფლიო ისტორიის სწავლებამ და პოპულარიზაციამ საქართველოში, ეროვნული, პატრიოტული მუხტი შეიძინა. პირველად შეიქმნა მსოფლიო ისტორიის ქართულ ენაზე სწავლების პრეცედენტი. ეს, ცხადია, იოლი საქმე არ იყო. აღნიშნული სახელმძღვანელოები სავსებით აკმაყოფილებდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდებოდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. ცარიზმის დროს არსებული მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შემდეგ, ეს უთუოდ, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ვფიქრობთ, სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლების დროს სწორი გზით მიდიოდნენ და სწორი ვექტორი ჰქონდათ დასახული.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საისტორიო მეცნიერების ამ სფეროს (მსოფლიო ისტორიის) განვითარება სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნით, ანუ სკოლიდან დაიწყო. უპირველეს ყოვლისა, აქცენტი გაკეთდა სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლებაზე. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. ფაქტობრივად, მათ სურდათ მტკიცე ბალავარი ჩაეყარათ ამ დარგის განვითარებისათვის. ამას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სახლის შენება სახურავიდან კი არ დაიწყო, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, არამედ თავის საქმიანობას საძირკველიდან შეუდგნენ.

ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევით არ იყო და, უმთავრესად, პრობლემის პრაქტიკულმა, პრაგმატულმა მნიშვნელობამ განაპირობა. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება სასკოლო სახელმძღვანელოების ის ბუმი და სიმრავლე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. მსოფლიო ისტორიის სწავლება სკოლაში ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა ნორმალური სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე. ეს სუვერენული საქართველოს განათლების დარგის მესვეურთ, ვფიქრობ, ძალიან კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული.

ქვემოთ მოვიყვანთ მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოების ჩამონათვალს. მივყვით თანმიმდევრობით, თემატურად და ქრონოლოგიური პრინციპით:

დ. უზნაძე, „პირველყოფილი კულტურის ისტორია“, თბილისი, 1916; დ. უზნაძე, „ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა“, თბილისი, 1919; თ. ჭუმბურიძე, „პირველყოფილი კულტურა“, პირველი კლასის კურსი, გადმოკეთებული დ. კუდრიავსკის წიგნიდან, ქუთაისი, 1919; გრ. ნათაძე, „პირველყოფილი კულტურა“, თბილისი, 1920. (დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალექსანდრე ნამორაძის ფრთხილი ვარაუდი, თითქოსდა „გრ. ნათაძის წიგნი „პირველყოფილი კულტურა“ იყო „პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ამ დარგში, განკუთვნილი საშუალო სკოლის პირველი კლასებისათვის“ [7, 372]. ეტყობა, ღვანლმოსილ მეცნიერს უნებლიეთ გამორჩა დიმიტრი უზნაძის და თეიმურაზ ჭუმბურიძის სასკოლო სახელმძღვანელოები „პირველყოფილი კულტურა“, რომელიც ცოტა ადრე გამოვიდა).

დ. უზნაძე, „ძველი ისტორია“, წიგნი პირველი, (ძველი აღმოსავლეთი და საბერძნეთი), 1919; დ. უზნაძე, „ძველი ისტორია“, წიგნი მეორე (ძველი რომი), ქუთაისი, 1920; ალ. წერეთელი, „მსოფლიო ისტორია“, წიგნი პირველი, „ძველი ისტორია“, 1920.

ვ. დუნდუა, „საშუალო საუკუნეთა ისტორია“, ქუთაისი, 1919; ალ. ვულფიუსი, „საშუალო საუკუნეების სახელმძღვანელო“,

ქუთაისი, 1919; ივ. გველესიანი, „საშუალო საუკუნეების ისტორია“, თბილისი, 1920; ალ. წერეთელი, „მსოფლიო ისტორია“, ნაწილი მეორე, „საშუალო საუკუნეები“, თბილისი, 1920.

ალ. ვულფიუსი, „ახალი ისტორია“, ნაწილი პირველი, ქუთაისი, 1918; ე. ლავისი, „ახალი ისტორია“, ქუთაისი, 1918; დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, „ახალი ისტორია“ ორ ნაწილად, თბილისი, 1919-1920 (ნაწილი პირველი, მე-15-17 საუკუნეები, თბილისი, 1920; ნაწილი მეორე, მე-18-19 საუკუნეები, თბილისი, 1919); ალ. წერეთელი, „მსოფლიო ისტორია“, ნაწილი 3, ახალი სუკუნეები, თბილისი, 1919; თ. ჭუმბურიძე, „ახალი ისტორია“, ქუთაისი, 1920; ს. ავალიანი, „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“, ორ ნაწილად, თბილისი, 1920; (ისტორიკოსი ლალი ფირცხალავა სიმონ ავალიანის ამ ორ სახელმძღვანელოს დუმილით უვლის გვერდს, რაც სწორი არ უნდა იყოს და ამ სფეროში სიმონ ავალიანის მიერ შეტანილ წვლილზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის [6; 9]). ცოცხათი განცალკევებით დგას. პროფ. გრ. ნათაძის ნიგნი „ინგლისის მოკლე ისტორია“, თბილისი, 1919, რომელიც, პირობითად, ამ საგანში აღნიშნულ თემაზე სახელმძღვანელოს დაწერის პირველ მცდელობად შეიძლება იქნას მოაზრებული. ის ერთ კონკრეტულ ქვეყანას ეხება და არა მთელ რეგიონს.

სახელმძღვანელოების ასეთი სიმრავლე, არ უნდა გაგვიკვირდეს. ეს გარემოება საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ამ სფეროში არსებულ ქაოსზე კი არ მეტყველებს, როგორც ეს ზოგიერთ თანამედროვეს ეგონა [7], არამედ ამ პერიოდში არსებული კონკურენტუნარიანი გარემოს გამოძახილია. ეს ამ დარგის განვითარების კიდევ ერთი პლუსია.

დღევანდელი გადმოსახედიდან აღნიშნული სახელმძღვანელოების მკაცრად განსჯა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და აღნიშნულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. დღეს ეს სახელმძღვანელოები მოძველებულია, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტიკიუმში საზომად

არ გამოდგება. საკითხს უნდა შევხედოთ რეტროსპექტივაში – რამდენად შეესატყვისებოდა ეს სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართულ რეალობას და დარგის განვითარების დონეს.

სახელმძღვანელოები ისეა შედგენილი, რომ მისი ენა, მარტივი მსჯელობა ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად დააკვლიანებდა და მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებზე ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებდა. აი, ეს იყო, სწორედ, მთავარი მიზანი, რითიც აღნიშნული სახელმძღვანელოები ამართლებს თავის თავს. ამ კულტურტრეგერულ მისიას დარგის სპეციალისტებმა, ურიგოდ როდი გაართვეს თავი, რაც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წარმატება იყო და ამაზე თვალის დახუჭვა უმართებულო იქნება. ეტყობა, ეს ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. მსოფლიო ისტორიის ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა იყო დასაწყისი, იმისათვის რომ მტკიცე საფუძველი შექმნოდა დარგის განვითარებას. ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამას მოყვებოდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები და საკვლევი ლიტერატურა. ეს იქნებოდა იმ ტრადიციის გაგრძელება, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნით; თუმცა, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ საქმემ სულ სხვა ხასიათი შეიძინა, სხვა მიმართულება მიიღო, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ.

როგორც პირველი მცდელობა, ეს სახელმძღვანელოები, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. მიმდინარეობდა მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა. ეს იყო ნორმალური პროცესი.

მოვუსმინოთ დიმიტრი უზნაძეს. აი რას წერდა იგი: „არც ჩვენი ნაშრომია დადინჯებული და დამშვიდებული მუშაობის ნაყოფი. იგი ნაჩქარევია და ამ მიზეზით შესაძლოა ნაადრევი

და, უდროვოდ, მომნიჭებული აღმოჩნდეს, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ამ ნაშრომის პირველ გამოცემას, რომელიც მრავალრიცხოვანი იბეჭდება, მეორე მოჰყვება და ამ დროისათვის პრაქტიკის და სხვა პედაგოგთა დახმარების წყალობით, ჩემი ნაშრომი უფრო მომნიჭებული ნაშრომის სახეს მიიღებს“ [10]. მოვიტანთ კიდევ ერთ ამონარიდს დ. უზნაძის სახელმძღვანელოდან: „ამ მოთხოვნილებების მიხედვით მისი ღირსებებიც უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ განსაკუთრებულმა ხანამ... წაგვართვა საშუალება საკაბინეტო მუშაობისა და ამით აიხსნება, რომ ჩვენი სახელმძღვანელო არსებითად იგივე დარჩა... დამატება მხოლოდ მცირეოდენი მოვასწარით – თუ საჭირო შეიქმნა, მესამე გამოცემისთვის უფრო გულდასმით მოვემზადებით და შინაარსის მხრივ წიგნს გავაფართოვებთ. ახლა კი, ხელახლა იმას ვაწვდით საზოგადოებას – რისი დამზადებაც მოვასწარით“ [11]. დამონმებული ტექსტიდან გამომდინარე, ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას: ჯერ ერთი, კარგად ჩანს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ავტორები მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენას. მეორე, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდათ მათ ამ საშური საქმის კეთება. მეორე, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდათ მათ ამ საშური საქმის კეთება ამგვარი თვითკრიტიკული დამოკიდებულება მისასაღმებელი უნდა იყოს და ამ კარგი საქმის წარმატებით დაგვირგვინების საიმედო გარანტიად გვევლინება. სამწუხაროდ, ეს ასე ვერ მოხდა. [9, 229-230; 12].

მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შემდგენლები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი დიდ და სერიოზულ საქმეს შეეჭიდნენ. მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას ემატებოდა კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს: მათ ამ საქმეში გამოცდილება არ გააჩნდათ და ფაქტობრივად, ყველაფერი თავიდან, ნულიდან, უნდა დაეწყოთ. აი, ეს იყო სწორედ, ერთ-ერთი მთავარი სირთულე. საინტერესოა, ამ რთული სიტუაციიდან მათ

რა გამოსავალი იპოვეს? ავტორები კარგად აცნობიერებდნენ, რომ დროის ამ მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნა დიდ სირთულეს წარმოადგენდა ან თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ აქცენტი გაკეთდა უცხოური, ძირითადად, რუსული სახელმძღვანელოების გადმოქართულებაზე. ამასთან, ისინი შეეცადნენ, რომ ეს სახელმძღვანელოები მიესადაგებინათ ქართული რეალობისთვის. ვფიქრობ, ეს იყო იმ ვითარებისთვის გამართლებული მიდგომა. ავტორებმა შეძლეს გამოსავალის მოძებნათ. ჩვენი აზრით, ეს ჩრდილს არ აყენებს, არ აკნინებს ამ საქმეში მათ მიერ შეტანილ წვლილს. ფრიად სიმპტომურად მიგვაჩნია, რომ ქართველი ისტორიკოსები თავის თავს სახელმძღვანელოების შემდგენლებად მოიაზრებდნენ და არა ავტორებად. ეს იყო სწორი ნაბიჯი, რომელმაც სასკოლო განათლების სფეროს ააცილა მოსალოდნელი კოლაფსი მსოფლიო ისტორიის სწავლების მიმართულებით.

მრავლისმეტყველად მიგვაჩნია, რომ უმთავრესად, ეს იყო პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან დაწერილი სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლის ავტორები იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები: პროფ. პავლე ვინოგრადოვი, პროფ. ნიკოლოზ კარევი, პროფ. რობერტ ვიპერი და სხვები. იმ მონარქისტულ, შავრაზმულ-კლერიკალური სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ისწავლებოდა მსოფლიო ისტორია საქართველოში ცარიზმის დროს, ეს, უდავოდ, პროგრესი, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ეს სახელმძღვანელოები სავსებით შეესაბამებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების საერთო მოთხოვნებს. ამდენად, ქართული ისტორიოგრაფია ცდილობდა არ ჩამორჩენოდა, ფეხი აენყო იმ სიახლეებისა და ნოვაციებისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ პერიოდის ისტორიულ მეცნიერებაში. ამიტომ მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები აღნიშნული პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად

მიგვაჩნია, რომელსაც, ღირსებები გაცილებით უფრო მეტი გააჩნია, ვიდრე ნაკლი.

როგორც ხედავთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918-1921) ქართველმა ისტორიკოსებმა მაინც მოასწრეს თავისი მოკრძალებული წვლილის შეტანა საქართველოში მსოფლიო ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის, შესწავლის საქმეში. შეიქმნა მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, რაც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც მსოფლიო ისტორიის აქტუალურ საკითხებზე, ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იყო დაწერილი, დარგისთვის წინსვლას წარმოადგენდა. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ მოასწრეს. რაც მოასწრეს ის გააკეთეს. მსოფლიო ისტორიის ეროვნული სახელმძღვანელოების შედგენა, ჩვენი აზრით, დარგის განვითარების გზაზე გადადგმულ ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად შეიძლება იქნას აღქმული. სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური ძვრების კონტურები მაინც გამოჩნდა და ამის შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. თუმცა, ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ამ სიახლეების მნიშვნელობის გაზვიადება, ცხადია, არ ღირს და ზედმეტად მიგვაჩნია. საქმე გვაქვს ქართული საისტორიო მეცნიერების აღნიშნული კონკრეტული სფეროს განვითარების წინამძღვრებთან, პირველ სიმპტომებთან და ნიშნებთან. ეს კვალი, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა და, ცხადია, ეს დადებითი პროცესი და ამ ისტორიული მონაკვეთის პლუსია. მთავარი კი, ვფიქრობთ, ისაა, რომ ამ საკითხში ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა, მეცნიერული კურსი ჰქონდა დასახული, რაც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისა და განათლების მნიშვნელოვანი წარმატება იყო მსოფლიო ისტორიის შესწავლის

სფეროში. ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ აღნიშნულ პერიოდში ამ დარგის მიღწევების ამოღება ისტორიიდან, როგორც ეს ჩაიდინეს ბოლშევიკებმა, ყოვლად გაუმართლებელი, ანტიეროვნული და მეცნიერულ საფუძველს მოკლებული იყო.

ამგვარად, სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ საქართველოში მსოფლიო ისტორიის ეროვნულ საფუძველზე, ქართულ ენაზე სწავლების, პოპულარიზაციის, შესწავლის, კვლევის საწყისი ეტაპი, სწორედ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იწყება. ცხადია, ეს ბოლშევიკებს მოსვენებას უკარგავდა. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ამოეშანთათ ეს ფაქტი ქართული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, სრული ფიასკო განიცადეს. „დრო ყველაზე ნამუხიანი კრიტიკოსია“, მითებს რეალობა ამსხვრევს.

* * *

საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების სახით საქმე გვაქვს ამ დარგის ისტორიის საინტერესო წყაროსთან, რომელიც საშუალებას გვაძლევს სერიოზული დასკვნები გავაკეთოთ და ამ სფეროს განვითარების განსხვავებული სურათი შევექმნათ; სულ სხვა აქცენტები დავსვათ, რომელიც შესაძლებელს გახდის მეცნიერულად, არგუმენტირებულად გავაბათილოთ მთელი რიგი საბჭოთა სტერეოტიპები და შტამპები, რომელმაც, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, მყარად გაიდგა ფესვები ფართო საზოგადოების ცნობიერებაში.

ვფიქრობთ, სტატიაში წარმოდგენილი ფაქტებით საინტერესო სურათი იკვეთება. როგორც ირკვევა ამ დარგის ისტორია საქართველოს გასაბჭოებით კი არ იწყება, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია. გასაბჭოებამდე ქართულ რე-

აღობაში მსოფლიო ისტორიით დაინტერესების მწვერვალად, კულმინაციად 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები მიგვაჩნია. დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე; ეს გახლავთ რეალობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოებას ნაკლებად ჰქონდა გაცნობიერებული. აი, ასე გვესაახება საქართველოში ამ დარგის წარსული, მისი განვითარების საკვანძო მომენტები. [13; 14; 15; 16; 17; 18].

ჩვენი აზრით, ეს არის საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო და ნაყოფიერი მონაკვეთი, როდესაც საისტორიო მეცნიერების ეს სფერო ცდილობს განვითარდეს, მისი შესწავლა საქართველოში ინტენსიურ და მეცნიერულ ელფერს იძენს. 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოები, ამ გზებზე გადადგმული პირველი ნაბიჯად უნდა შეფასდეს. ჩვენი აზრით, ამ ისტორიულ მონაკვეთზე უნდა ვიმსჯელოთ არა იმის მიხედვით რისი გაკეთებაც მოასწრეს (ეს სწორი არ იქნება), არამედ იმის მიხედვით რისი გაკეთებაც ჩაფიქრებული ჰქონდათ, მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა, უპირატესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, გაუჭირდათ, ვეღარ მოახერხეს. ვფიქრობთ, ეს უფრო სამართლიანი იქნება. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს (1918-1921) არსებობის „ოქროს ხანა“ ძალზედ ხანმოკლე აღმოჩნდა.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. რომ არა საქართველოს გასაბჭოება, არსებობდა დიდი ალბათობა, რომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ეს გზა სულ სხვა-

გვარად გაგრძელებულიყო და წარმართულიყო. ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო საინტერესო სურათს მივიღებდით. ამის პერსპექტივა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ეს კარგი საქმე, ძირითადად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ბოლომდე ვერ დასრულდა და დასაწყისშივე შეწყდა. მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევის შერწყმა, შეხამება, ამ პერიოდში უბრალოდ ვეღარ მოასწრეს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მსოფლიო ისტორიის შესწავლამ სულ სხვა ხასიათი მიიღო და სხვა მიმართულება შეიძინა. ის მოექცა პოზიტივისტური და ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ყალიბში და ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ამ ჩარჩოებს ვერ გაცდა. ამიტომ, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე გულუბრყვილოდ ჩანს მოსაზრება, თითქოს მსოფლიო ისტორიის კვლევები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არ განიცდიდა სახელმწიფოს მხრიდან ზენოლას.

ჩვენი ღრმა რწმენით, XX საუკუნის დასაწყისში ქართულმა ისტორიოგრაფიამ მიაღწია ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონეს, ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, ვფიქრობ, ამის კარგი მაგალითია. მაგრამ უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ქართულმა ისტორიოგრაფიამ ფეხი ვეღარ აუწყო, ჩამორჩა, იმ სიახლეებსა და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის ევროპულ ისტორიოგრაფიაში და ის იძულებული შეიქმნა გადაეხვია არჩეული გზიდან. ის ვერ გაცდა პოზიტივისტური და ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის თეორიულ, მეთოდოლოგიურ ჩარჩოებს და თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუფერულება განიცადა [19, 8-22]. თუ ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარებას განაპირობებდა ის სიახლეები და ნოვაციები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ მეცნიერებაში, საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარება, უპირატესად, პოლი-

ტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდებოდა. ამიტომ პირველ შემთხვევაში პროგრესი იყო რეალური, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები და მისი აპოლოგეტური შეფასება, ცხადია, არ ღირს. მეორე შემთხვევაში, მას ილუზორული ხასიათი ჰქონდა და, უპირატესად, სახელმწიფოს მიერ იყო გაპიარებული. სახელმწიფო აქტიურად ერეოდა მეცნიერების საქმიანობაში და ცდილობდა მეცნიერისთვის თავს მოეხვია სახელმწიფოსთვის სასურველი იდეოლოგია. ევროპულ და ქართულ ისტორიოგრაფიას შორის არსებული პრინციპული განსხვავების გასაღები, სწორედ, აქ ძვეს [19, 13]. ამიტომ, ჩვენი აზრით, ჩამორჩენა უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათისაა და არა აკადემიური.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქ. ნერეთელი, სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში 1804-1917 წლებში, თბილისი, 1978. ფრიად სიმპტომატურად მიგვაჩნია ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილი ტაბუდადებულ თემად გვევლინება. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. არჩევანი არ არსებობდა.

2. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბილისი, 1970.

3. ი. ტაბალუა, ვ. ჩოჩია, მსოფლიო ისტორიის შესწავლა და კვლევა საქართველოში, ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, ნაკვეთი 3, თბილისი, 1983.

4. გრ. ნათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი – პირადი საქმე, ფონდი 1, ანაწერი 1, შესანახი ერთეული 1426, ნუსხა 293.

5. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია,

თბილისი, 2014.

6. ალ. ფირცხალავა, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, კრებული მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბილისი, 1998.

7. ალ. ნამორაძე, პროფესორი გრიგოლ იასონის-ძე ნათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, თბილისი, 1959.

8. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე 875.

9. მ. კალანდაძე, სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ანალები, №13, 2017.

10. დ. უზნაძე, ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა, ქუთაისი, 1917.

11. დ. უზნაძე, პირველყოფილი კულტურის ისტორია, თბილისი, 1922.

12. დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლები, თბილისი, 2000.

13. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, ბილისი, 22019.

14. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VIII ყოველწლიური კონფერენცია, თბილისი, 22015.

15. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ერთი მარქსისტული სტერეოტიპის გამო, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2017, №1 (20).

16. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბილისი, 2006.

17. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბილისი, 2007.

18. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბილისი, 2009.

19. მ.კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბილისი, 2015.

20. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე და ნაპოლეონზე, თბილისი, 2016.

21. მ. კალანდაძე, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია, მაცნე, ისტორიის სერია, №1-2, 2016.

Merab Kalandadze

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili
Tbilisi State University, associated professor*

The First National School Textbooks in World History (1918-1921) as a Source of History in this Field

Summary

The present work is on the border of source studies and historiography.

The first national history textbooks of world history, published in the Sovereign Republic of Georgia in 1918-1921, are obsolete today, have worn out and are a past stage of historiography, but there is one issue that has not lost its relevance today. These textbooks are interesting and relevant to the history of this field. This issue has not yet been explored from this perspective. It has a polemical charge and aims to scientifically, argumentatively, dispel several Soviet stereotypes and stamps, which have become widespread in the consciousness of the Georgian society.

The first national school textbook in world history, published in 1918-1921, is an interesting document in the history of this field, a source that allows us to draw interesting conclusions and give a much

more adequate picture of the development of this field than it was before.

The opening of Tbilisi State University by the great Ivane Javakhishvili and the proclamation of the Sovereign Republic of Georgia are step-by-step processes in the study of world history in Georgia.

The opinion that nothing positive was done in this field before the Sovietization of Georgia is not true and is another myth. The reality was completely different.

We tried to clarify the general picture and periodization of the study of world history in Georgia, which was mainly distorted by the efforts of the totalitarian Bolshevik regime.

It seems that the first symptoms of teaching, studying and popularizing world history in Georgia appeared not in the Georgian historiography of the Soviet period, as it was claimed in the Soviet period, but much earlier, still in the Democratic Republic of Georgia in 1918-1921. The first national school textbooks in world history published during this period are a good proof of this.

They were going in the right way during the teaching and popularization of world history in Georgia. They were mainly focused on free-thinking, multivariate approach to historical events, pluralism, progressive-liberal values. It was a scientific approach to the issue, which naturally has its pros and cons.

We think that the study and popularization of world history in Georgia were not as uniform and linear as it was in the Soviet period. He underwent a difficult evolution. It is more zigzag, spiral, we imagine. From Free Thought to Marxism and From Marxism to Free Thought Again.

წყაროთქცოდნეობა

დავით მერკვილაძე

ისტორიის დოქტორი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ისტორიის ჯგუფის სპეციალისტი

პეტრა ბუტკოვი ქალაქ-სიმაგრე მოზდოკის დაარსების შესახებ

პეტრე ბუტკოვმა რუს მეცნიერთაგან, ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მისი დროისათვის კავკასიის ისტორიის ბოლო პერიოდის (მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის დამდეგის) საისტორიო ნაშრომის შექმნა. ამ მიზნით იგი მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა არქივებიდან საგანგებოდ აგროვებდა მრავალრიცხოვან ისტორიულ დოკუმენტებსა და მისთვის საყურადღებო ამონარიდებსა და ამონაწერებს რუსულ პერიოდიკაში გაფანტული სტატიებიდან. აღნიშნული მასალის შეგროვებას მან ხელი მოკიდა, ჯერ კიდევ, იმპერიის სამხედრო სამსახურში ყოფნისას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილის გატარება მას სწორედ კავკასიაში მოუწია (1791-1803 წლები).

კერძოდ, იგი მონაწილეობდა ანაპაზე ლაშქრობაში 1791 წელს, გენერალ ზუბოვის მეთაურობით მოწყობილ ე. წ. სპარსეთის ლაშქრობაში 1796 წელს, მუშაობდა მთავარსარდლის კანცელარიაში, კაპიტნის ჩინით ირიცხებოდა თბილისის მუშკეტერთა პოლკში, მსახურობდა კავკასიის ინსპექციის საინსპექტორო ადიუტანტად, 1801-1802 წლებში კი იყო კავკასიის მთავარსარდლის, გენერალ კნორინგის კანცელარიის მმართველი.

პ. ბუტკოვი ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის რანგში 1857 წელს ისე გარდაიცვალა, რომ კავკასიის ისტორიისადმი მიძღვნილი

თავისი ვრცელი საისტორიო ნაშრომის გამოქვეყნება ვერ მოასწრო.

განსვენებული მეცნიერის ხელნაწერების ძირითადი ნაწილი გამოცემულ ნაშრომებთან ერთად მისმა ქვრივმა საჩუქრად უსახსოვრა რუსეთის მეცნიერებათა საიმპერატორო აკადემიას. აკადემიამ თავის მხრივ პ. ბუტკოვის არქივი დასამუშავებლად გადასცა საგანგებოდ საამისოდ შექმნილ კომისიას, რომელმაც წლების განმავლობაში მრავალწლიანი შრომატევადი შრომა გას-ნია კავკასიის შესახებ ნაშრომის გამოსაცემად მომზადებისათ-ვის. ხელნაწერებს ახლდა ავტორის მიერ სხვადასხვა ადგილას გაკეთებული მრავალრიცხოვანი ჩამატებები და ჩასწორებები. ზოგან ხელნაწერის გარჩევაც კი ურთულესი საქმე აღმოჩნდა. სამუშაოს ლომის წილმა კომისიის წევრის, აკად. მარი ბროსეს მხრებზე გადაიარა. საბოლოოდ პ. ბუტკოვის ნაშრომი – მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის 1722-1803 წლებში – 1869 წელს 2 ტომად წარსდგა მკითხველის წინაშე.

ეს ნაშრომი შესაბამისი ეპოქის კავკასიის ისტორიის უმნიშ-ვნელოვანესი ნყაროა. აქ წარმოდგენილი და გამოყენებულია რუსეთის სხვადასხვა არქივებში დაცული უამრავი საგულისხმო დოკუმენტი.

ამჯერად, ქართველ მკითხველს ვთავაზობთ რუსეთის საიმ-პერიო ხელისუფლების მიერ მოზდოკის ქალაქ-სიმაგრის დაარსე-ბასა და იმპერიის ამ ლონისძიებაზე ჩრდილო კავკასიელთა რეაქციის შესახებ პ. ბუტკოვის თხრობის ქართულ თარგმანს. აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს „მასალების“ მე-2 ტომის დასაწყისს, კერძოდ, მის პირველ ორ – 69-70-ე თავებს. თარ-გმანი რუსულიდან და ტექსტის ბოლოს დართული კომენტარები შესრულებულია თქვენი მონა-მორჩილისა და ერეკლე ხუციშვი-ლის მიერ.

ტექსტის ქვეშ სქოლიოში წარმოდგენილი შენიშვნების ნაწილი ავტორისეულია, ნაწილი — ბუტკოვის ორიგინალური ნაშრომის თავდაპირველი გამომცემლების. მათში ჩვენ მიერ ჩართულ და-ზუსტებებს თან ერთვის შესაბამისი მითითება.

პეტრე ბუტკოვი

მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის 1722-1801 წლებში

თავი 69

აქამდე რუსეთის მიწების საზღვრები კავკასიის მიმართულებით უწინდელ, ძველ ფარგლებში ნარჩუნდებოდა. მაგრამ ახლა, 1762 წელს, იმპერატორ პეტრე III-ის დროს რუსეთის მიერ პრუსიასთან სამშვიდობო შეთანხმების დადებას მოჰყვა რუსულ დასახლებათა განვრცობა კავკასიაში, მდინარე თერგის აღმა; განზრახული იყო სულაკზე ციხე-სიმაგრის აღდგენაც კი [1]. მათ დასახლებას ფიქრობდნენ კავკასიის მთებში მცხოვრებ აზიელთა – ოსების, ქისტების, ყაბარდოელებისა და სხვა იქაური ხალხებისაგან, რომლებიც ქრისტიანობაზე მოექცეოდნენ¹, ასევე – სომხებისა და ქართველებისგან. ამ წამოწყებისგან იმ სარგებელს ითვალისწინებდნენ, რომ, რაც უფრო მეტად იქნებოდა ყიზლარის მხარე დასახლებული და ხალხით მომრავლებული, მით მეტად იქნებოდა შესაძლებელი ყველა ბარბაროსის დამორჩილება; რომ, ამასობაში იქნებ აღმოჩენილიყო იქაურ მთებში არაერთგზის შენიშნული ძვირფასი ლითონების სიუხვით სარგებლობის საშუალება; და რომ, ამის გარდა, მოსალოდნელი იყო გარკვეული სარგებლის მიღება იქაური ნაყოფიერებისგანაც².

საამისოდ უმთავრესი საბაზი, ჩანს, მცირე ყაბარდოს ზოგიერთმა მფლობელმა განაპირობა.

ჯერ კიდევ 1750 წლამდე დიდი ყაბარდოს მფლობელებს

¹ ბრონევსკისთან: მმართველი სენატის 1762 წლის 9 ოქტომბერს უმაღლესის მიერ დამტკიცებული მოხსენებით, ქრისტიანული რწმენის მიღებისა და თერგის აქეთა მხარეს დასახლების მსურველთათვის დადგინდა ყიზლარის შემოსავლებიდან ათ-ათი რუბლის ერთჯერადად გაცემა უზდენებისთვის, უბრალო ხალხისთვის – ხუთ-ხუთი რუბლისა, ხოლო დაუოჯახებელთათვის – ამის ნახევრისა. ამგვარი ნახალისებით მომრავლდნენ მთებიდან მოსანათლად გამოქცეულნი და 1764 წელს მოზდოკში უკვე ახალმონათლულ მოსახლეთა მამრობითი და მდედრობითი სქესის ორას სულზე მეტი მოითვლებოდა.

² სენატის 1762 წლის 20 იანვრის ბრძანებულება.

ზოგიერთი მიზეზის გამო საკუთარი სამშობლოს ამ ნაწილის მიმართუქმაცოფილება აღეძრათ. თუმცაღა ორივე ამ ყაბარდოს ერთმანეთთან ყოველთვის ნათესაური კავშირი ჰქონდა, სარგებლობდნენ მათი წინაპრების მიერ დაწესებული ერთნაირი სამართლით და ერთმანეთზე გულის აყრისგან დიდი ხნის განმავლობაში ურღვევად დაცული დადგენილებით იყვნენ შეზღუდულნი, – უკეთუ ვინმე, რომელიმე ამ მხარეთაგან დანაშაულში იქნებოდა მხილებული, მას საზღაური დაზარალებულის სასარგებლოდ ცხრანწლად გამოერთმეოდა. მაგრამ როდესაც დიდი ყაბარდოს მფლობელებმა მცირე ყაბარდოს მფლობელთა დასუსტება შეამჩნიეს, ანუ როდესაც ამ უკანასკნელთა საგვარეულოები მცირერიცხოვანი გახდა, დაიწყეს მათი სხვადასხვაგვარი შევიწროვება ძლიერის უფლებით. ართმევდნენ მათდამი დაქვემდებარებულ მთელ სოფლებს, არღვევდნენ მფლობელებისადმი ქვეშევრდომთა სათანადო მორჩილებას და მათი (მფლობელების – მთარგმნ.) ბატონობის სრული ჩამორთმევის საფრთხესაც კი ქმნიდნენ; მით უმეტეს, რომ მცირე ყაბარდო, რომელიც ამ მიწის უძველეს მცხოვრებთა უდიდეს ნაწილს მოიცავს, ბევრად მორჩილია თავისი ხასიათით და ნაკლებად მამაცი – სამხედრო საქმეში.

ამ გარემოებებმა და დიდი ყაბარდოს შინააშლილობამ, რომელში მონაწილეობაც მცირე ყაბარდოს არ სურდა, 1751 წელს მისი ორივე, ტაუსულთანოვისა და კილესხანოვის საგვარეულოს მფლობელებს – კორგოკო კონჩოკინს, გირეი მამეტოვსა და ისლამ ხანოვს აღუძრა აზრი, თავის ქვეშევრდომებთან ერთად გადასახლებულიყვნენ ბრაგუნის [2] მეზობლად, გრებენის სტანიცა ჩერვლიონაიას [3] მოპირდაპირედ. ისინი ამას სთხოვდნენ რუსეთის მთავრობას და პირობას სდებდნენ, რომ იქ ცხოვრებისას იმსახურებდნენ ყიზლარის მოხალისე თათრების მსგავსად. მათ ნებართვა მიეცათ, მაგრამ, უცნობია, რატომ, არ გადასახლებულან.

1755 წელს ისინი მფლობელ ბატოკ ტაუსულთანოვის მეშვეობით, რომელიც იმ დროს სანქტ-პეტერბურგში იმყოფებოდა, რუსეთის მთავრობას კვლავ შესჩიოდნენ დიდ ყაბარდოზე; და,

თუმცა კი საქმე განიხილეს, მაგრამ ამანაც ვერ უზრუნველყო მათი სიმშვიდე.

ბოლოს ეს საჩივრები განმეორდა ზემოხსენებული მფლობელის, კორგოკო კონჩოკინის მეშვეობით, როდესაც ის უმაღლეს კარზე იმყოფებოდა იმპერატორ პეტრე III-ის თაყვანსაცემად.

როგორც კი თერგზე დასახლებათა მონყობის საქმის დაწყება გადაწყდა, სანქტ-პეტერბურგში მყოფმა ამ კორგოკომ მაშინვე გამოთქვა სურვილი, იქ დასახლებულიყო თავისი ქვეშევრდომების ნაწილით (40 კომლამდე) და პირობა დადო, რომ ამისათვის ასევე დაიყოლიებდა ოსებს, ქისტებსა და სხვა კავკასიელ ხალხებს; ხოლო საკუთარი განზრახვის გულწრფელობის დასამტკიცებლად პეტერბურგში წმიდა ნათლისღება მიიღო და ანდრეი ივანოვად იწოდა, რასაც შემდეგ მიბაძეს მისმა ცოლმა და შვილებმა. მას პოდპოლკოვნიკობა მიენიჭა მოზრდილი ჯამაგირითურთ, ნება დაერთო, წოდებულიყო თავად³ ჩერკასკი-კონჩოკინად და ებოძა ოქროს მედალი, მასთან მყოფ მის სამ უზდენს [4] კი – ვერცხლისა.

ამ თავად ჩერკასკი-კონჩოკინს შესთავაზეს, სათავე დაედო დასახლებისთვის, სადაც ის მოისურვებდა, მოზდოკის [5] ან მეკენის [6] მიდამოებში, ან სხვა ადგილებში მდინარე თერგის გაყოფებაზე, მასში მარჯვნიდან მდინარე კურპის ჩადინების ქვემოთ, რომლის შესართავიც მოზდოკიდან 18 ვერსით ზემოთაა. მისსავე ნებას მიენდო, რომ თავისი დასახლებისთვის აერჩია ხელსაყრელი ადგილი შემდგომში იქ სიმაგრის მოსაწყობად, რომელიც იქ დასახლებათა გამრავლების კვალობაზე შეიძლებოდა აშენებულიყო; ხოლო იქ სოფლის მონყობისა და პირველ ჯერზე ფორპოსტის დაფუძნების საქმე დაეკისრა პოდპოლკოვნიკ გაკს.

თავადმა ჩერკასკი-კონჩოკინმა დასახლების დასაარსებლად ადგილი მოზდოკი აირჩია, რომელიც თერგის მარცხენა ნაპირზე, 62°42' გრძედსა და 43°43' განედზე მდებარეობდა.⁴

³ უნდა ვიცოდეთ, რომ ახალ დროებაში ყაბარდოელ, ყუმუხ და ჩერქეზ მფლობელებს არ იხსენიებდნენ „თავადებად“, არამედ – „მფლობელებად“.

⁴ ბრონევსკისთან, საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივიდან: 1769 წელს მცირე

1763 წელს აქ დაარსდა და მოენყო ფორპოსტი (სამხედრო გამაგრება), ხაზინის ხარჯზე აშენდა ორი სახლი, ერთი თავადი კონჩოკინისთვის, მეორე კი პოდპოლკოვნიკ გაკისთვის; აიგო ხის ეკლესია, რისთვისაც გაიცა 3 ათასი რუბლი, მღვდლისა და დიაკვნისთვის ჯამაგირის გათვალისწინებით; სადიაკვნესათვის სასახლის მიერ გარდერობიდან დასაწყისისათვის გაიცა რამდენიმე ძველი შესამოსელი, შემდეგ კი ენცალობათ კიდევ სამი სადიაკვნი, წიგნები, ზარები და სხვა საჭირო ნივთები.

ყუბანის მხრიდან მარბიელი თავდასხმების აღსაკვეთად 1763 წელს დაფუძნდა ორი სამხედრო საგუშაგო: ერთი მდინარე კუმაზე, ადგილ ანგეტეფში, [7] ყიზლარის მოპირდაპირედ, მეორე კი – მტკნარ წყალთან, კოლპიჩიეს ტბიდან 150 ვერსში.⁵

1764 წელს მოზდოკში დაარსდა საბაჟო, ბაჟის მოკრების განწესებით; დაინიშნა მკურნალი და კონდუქტორი; 1765 წელს კი მოზდოკის დასახლება ჩვეულებრივ ფორპოსტებზე მეტად გამაგრდა ჯარისკაცების ხელით, რომლებიც შეადგენდნენ დამცავ ჯარს პლაკატით გათვალისწინებული ანაზღაურებით; ამასთან, ახლადმოქცეული ხალხების დასაცავად 1766 წლიდან აქ იმყოფებოდა დრაგუნთა რაზმი [8] და ათასი ყალმუხი [9].

კავკასიელთა მოზდოკში გადასვლაზე დასაყოლიებლად პოდპოლკოვნიკ გაკის მიერ ყიზლარის კომენდანტთან და ასტრახანის გუბერნატორ ბეკეტოვთან ერთად შემუშავდა ინსტრუქცია და პრივილეგიის ფორმა, — იქაური ადგილების საჭიროების მიხედვით: თუ როგორი შეღავათები მიეცემოდა დასასახლებლად

ყაბარდოს მფლობელმა კორგოკო კონჩოკინმა ქრისტიანული კანონი მიიღო და თურგზე, ადგილ მოზდოკში დასახლდა.

⁵ ბრონეესკისთან: 1763 წელს ყიზლარსა და ასტრახანს შორის სავაჭრო ქარავანი გაიძარცვა. ამაზე ყუბანის სერასკერსა და ყირიმის კონსულს, პრემიერ-მაიორ ნიკოლოროვს მისწერეს, მაგრამ დაკმაყოფილება არ მოჰყოლია. ყიზლარის კომენდანტის, გენერალ-მაიორ პოტაპოვის რაპორტით, ამ თავნებობაზე ეჭვი მიიტანეს ყუბანელებზე, ყაბარდოელებთან თანამზრახველობით.

1765 წელს გაიცა ყაბარდოელთა დასჯის ბრძანება ყიზლარში მათი რამდენიმე მფლობელის დაკავების სახით. ობრესკოვის მოთხოვნით, 1766 წელს პორტამ გაძარცვული ვაჭრების ზარალის ანაზღაურება ბრძანა, მაგრამ არავითარი სარგებელი არ მიღებულა.

გადმოსულ ხალხს. მათ სასარგებლოდ, სხვათა გარდა, დაწესდა ახალმოსახლეთა სესხის სახით მომარაგება სხვადასხვა ჯიშის ხორბლეულის თესლითა და საკვები პურიით; ამისთვის ეს ყოველივე ასტრახანიდან ჩამოიტანეს ხაზინის ხარჯზე.

მთებიდან დასასახლებლად ჩამოსულთა დახმარებისთვის 1765 წლის 9 ივლისს განისაზღვრა თანხა 250 რუბლის ოდენობით, რაც საამისოდ შემდგომში ყოველთვის გაიცემოდა.⁶

ამასობაში, უკიდურესი სიფრთხილითა და შეუმჩნეველად, ოსეთის კომისიის უფროსის, ქართველი არქიმანდრიტი პახომის [10], უფრო კი თავად კონჩოკინის⁷ მეშვეობით, ოსები მოზდოკში დასასახლებლად გადასვლაზე დაითანხმეს. ამგვარადვე მოუწოდეს მცირე ყაბარდოს მფლობელებსა და სხვა ხალხებს. გადმოსულთ ეძლეოდათ ფულადი ჯილდო; ნაბრძანები იყო მოწადინე მთიელების მიღება რუსეთის სამსახურში, მოზდოკში მათგან ხელახლა ჩამოყალიბებულ რაზმში და მათთვის ჯამაგირის მიცემა. ასევე, სომხებსა და რომაულ-კათოლიკურ სხვა აღმსარებლებს ნება დაერთოთ გადმოსახლებულიყვნენ ყიზლარიდან მოზდოკში. მაგრამ 1768 და 1769 წლებში ბრძანეს, რომ ამიერიდან მოზდოკში გადმოსული ყაბარდოელი და მთიელი ყმები, თუ ისინი

⁶ ასტრახანის გუბერნიაში დასახლებული სომხების, თათრებისა და ინდოელების მიმართ კი ასტრახანის გუბერნატორისადმი 1765 წლის 18 იანვარს გაცემული რესკრიპტით ნაბრძანები იყო, რომ მათ მოსული უცხოელების შესახებ მანიფესტის შესაბამისად მოქცეოდნენ და მათ ჩვეულებებთან მიახლოებული სასამართლო დაენესებინათ, რათა დროთა განმავლობაში მათი მმართველობა იმ საფუძვლებზე მოწყობილიყო, რაც საკმარისი იქნებოდა მათი სათანადო წესრიგში ყოფნისათვის. ამის შედეგად ასტრახანში დაფუძნდა კიდევ სასამართლო აზიური სასამართლოს სახელწოდებით.

⁷ ის გარდაიცვალა 1766 წელს. მის ცოლს, ორ ქალიშვილს, მცირეწლოვან ვაჟსა და დაქვრივებულ ღვიძლ დას პენსიები დაენიშნათ. მისი ეს ვაჟი, თავადი ნიკოლოზ ჩერკასკი-კონჩოკინი, ქრისტიანია, დაქორწინებულია მცირე ყაბარდოს მფლობელ, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცეული კილესხანოვის ასულზე. თავად ნიკოლოზს პოდპოლკოვნიკის ჩინი აქვს, რუსული ენა მშობლიურით იცის და წერაც. თუმცა კი მცირე ყაბარდოში, თავის სამფლობელოში ცხოვრობს, მაგრამ ხშირად ჩამოდის მოზდოკში, განსაკუთრებით მარზვისას, ზიარებისათვის მოსამზადებლად; აქ მას სახლი აქვს, სადაც მისი 30 კომლამდე ყმა ცხოვრობს.

[სამხედრო] სამსახურში არ განაწილებოდნენ, ხოლო მათი პატრონები საცხოვრებლად იქვე გადმოვიდოდნენ, მათ განკარგულებაში დაეტოვათ; არ მიეღოთ მოზდოკში ჩერქეზები და არ მოენათლათ ისინი, – თუმცა მემკვიდრეობითი ქრისტიანებისა და იმათ გარდა, ვინც აღიარებული იქნებოდნენ კეთილ ადამიანებად და უანგაროდ მოისურვებდნენ მონათვლას.

1767 წელს მოზდოკელ მოსახლეებს სახნავი, სათიბი და საბოსტნე მიწები ეროვნებების მიხედვით გაუმიჯნეს, მათი საოჯახო მოთხოვნილებებისთვის კი ტყეში ყველგან ცალკეული ახობები გამოიყო. ჯარისკაცებს არ ეკრძალებოდათ თავისუფალ დროს მათთან დაქირავებული შრომა. გაიცა განკარგულება, მოსახლეებს სხვადასხვა ადგილებში წასასვლელად მისცემოდათ ბილეთები; ერთმანეთში სამართალი მათი ჩვეულებისამებრ გარიგებულიყო; მათი მხრიდან შემჩნეული ქურდობის აღსაკვეთად, უსაფრთხოებისათვის, განსაკუთრებით ღამით, სათანადო ადგილებში ყარაული დაეყენებინათ. გადმოსახლებისათვის სხვების უკეთ მოსათაფლად, საოჯახო საჭიროებებისთვის შესაძენი იაფფასიანი საქონლის გარდა, როგორცაა ტილო, ნაერთი ქსოვილი, საცერი, ცხავი და სხვა, ყიზლარიდან მათზე გასაცემად, მათგან კი სხვაგან გასატანად, დადგინდა ბრძანებულებებით აუკრძალავი ყოველგვარი საქონლის უბაჟოდ გამოყოფა და მათ მიმართ შემწყნარებლური მოქცევა. 1772 წელს ბრძანეს, რომ მოზდოკელი მოსახლეების საქონელზე საბაჟო მოსაკრებელი არ აეღოთ, საბაჟოები და ცხენოსანი მეთვალყურეები არ განენესებინათ.

1770 წელს მოზდოკის ციხე-სიმაგრეში ასტრახანიდან ერთი საგარნიზონო ბატალიონი გადაიყვანეს; ახლომდებარე ადგილებიდან ჩაიტანეს არტილერია – 40 ზარბაზანი მომსახურეებით; დონიდან მოზდოკში გადაასახლეს დონის კაზაკთა 100 ოჯახი მათ გამოსაყენებლად ამ არტილერიაში მეზარბაზნეთა [11] ნაცვლად; შედგა მოზდოკში დაფუძნებული და მთიელთაგან შეკრებილი, 214 კაცის ოდენობის კაზაკთა რაზმის დებულება, მოზდოკს კი ქალაქი ეწოდა.

მოზდოკსა და გრებენელთა [12] სტანიცა ჩერვლიონაიას შორის დაახლოებით 100 ვერსის სივრცის დასაკავებლად აქ 1734 წელს დაარსებული ვოლგის კაზაკთა ჯარიდან გადმოასახლეს 517 ოჯახი, რომელთაგანაც კაზაკთა ხუთასკაციანი პოლკი შედგა, მოზდოკის პოლკის სახელწოდებით, და დაასახლა (...) [13] სტანიცა.⁸

მთელი ეს საგუშაგო დაუმორჩილეს ყიზლარის კომენდანტს.

იმავდროულად, ლითონის საბადოს აღმოსაჩენად, ყაზანის სამთამადნო უფროსობისგან ქარხნის მთავარ მუშაკთან, მარკ-შეიდერ სტეფანე ვინიავინთან ერთად ყიზლარში გამოიგზავნა 36 კაცი ინსტრუმენტებით, მაგრამ რა მოიმოქმედეს, უცნობია.⁹ იმავე 1770 წელს კავკასიის მთებსა და სხვა მთიან ადგილებში საბუნებისმეტყველო კვლევებისათვის გაემგზავრა დოქტორი ანტონ გიულდენშტედტი თავისი ამალით. ყიზლარის კომენდანტმა მას გააყოლა თარჯიმნები და მფლობელებთან წარსადგენი რეკომენდაცია.¹⁰

⁸ ეს ყოველივე საგარეო საქმეთა და სამხედრო კოლეგიების 1770 წლის 22 იანვარს უმაღლესად დამტკიცებული მოხსენების მიხედვით მოხდა.

ბრონევსკისთან: 1765 წელს, გრაფ ნიკიტა ივანეს ძე პანინს 2 ივლისის სახელობითი ბრძანებულებით დაევალა, რომ დუბოვკის სიახლოვეს მცხოვრები ვოლგის კაზაკებიდან 500 კაცი მოზდოკსა და ყიზლარს შორის დაესახლებინა.

⁹ სენატისადმი პეტრე დიდის 1716 წ. 13 მაისის ბრძანებულებიდან: „გვარდიის კაპიტანი, თავადი ალექსანდრე ჩერკასკი სამადნო ოსტატ ბლეერის თაობაზე, რომელიც მისგან ჩერქეზეთის ქვეყანაში მადნის საძიებლად იყო გაგზავნილი, წერს, რომ არაფერი გაუკეთებია და მოსკოვში დაბრუნდა. ამიტომ ეს ბლეერი კვლავ გაგზავნეთ იქ და ისეთი ადამიანი მიუჩინეთ, რომელიც მუდამ მასთან იქნება და მას უმეთვალყურებს.“

¹⁰ ბრონევსკისთან: 1769 წელს ბერგ-კოლეგიიდან (სამთო კოლეგია – მთარგმნ.) ყიზლარის ახლოს მდებარე მთებში მადნის დასაზვერად გაიგზავნენ სამთამადნო მომსახურენი, მაგრამ მთიელების მიერ შექმნილი დაბრკოლებების გამო საქმეს ვერ შეუდგნენ. ქისტები, რომლებიც მამინ რუსეთისადმი კეთილგანწყობილი იყვნენ, ამ წამოწყებაში თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ. ისინი მეტად მიდრეკილი იყვნენ ქრისტიანობის მისაღებად. მათთან იმყოფებოდა მღვდელი ოსეთის კომისიიდან და ერთი ყიზლარელი აზნაურის თანმხლები ათკაციანი გუნდი. პირველი დადასტურება, რომ კავკასიის წიაღში არის სხვადასხვა ლითონი, 1767 წელს იყო მიღებული ყიზლარის კომენდანტის, გენერალ-მაიორ პოტაპოვისგან გამოგზავნილი სინჯებით, რომელიც აღმოაჩინეს ოსეთში, ინგუშეთის, ქურთათისა (ტექსტში хуртацких – მთარგმნ.) და ალაგორის

მოზდოკის დაარსებისას თვალყურს ადევნებდნენ, რომ მის ზემოთ მდებარე ადგილებში არავითარი ჩვენი გამაგრება არ მოწყობილიყო.

თავი 70

მოზდოკის აღმშენებლობა გართულებების გარეშე არ ხდებოდა. რუსეთის მთავრობა მიიჩნევდა, რომ ეს ადგილი ყაბარდოს მიწებში არ შედიოდა, რომლებიც ბელგრადის ხელშეკრულებით ბარიერის ზონაში მდებარეობდა; [14] მაგრამ ყაბარდოელები მას ისაკუთრებდნენ.¹¹

პორტა [15] მოზდოკთან წარმოებული გამაგრებების დასაზვერად საიდუმლოდ აგზავნიდა ჯაშუშებს. ისევე, როგორც ყირიმის ხანი, ის ცდილობდა ამ საქმის შენინააღმდეგებას. ამის თაობაზე მინისტრების მიერ წარმოებდა მიმოწერა, რომელშიც რუსული მხარე ამ ადგილზე [თავის] უდავო უფლებას ამტკიცებდა.

დიდი ყაბარდოს მფლობელები, დამოუკიდებლობისთვის

(ტექსტი ვალაგირსკის – მთარგმნ.) სამოსახლოებში. ბერგ-კოლეგიის გამოკვლევით, ისინი არ ჩამორჩებოდა ნერჩინსკის მადნებს, როგორც ვერცხლის, ისე ტყვიის, ხოლო 1768 წელს საგანგებოდ გაგზავნილმა გიტენ-ფერვალტერმა (სამთამადნო, ობერ-ოფიცრის მე-10 კლ. ჩინი – მთარგმნ.) ვინიავინმა (ტექსტში **Вонявин** – მთარგმნ.) აქ და ზოგ ადგილას ოქროს ნიშნებიც ნახა. ომის მიზეზით საძიებო სამუშაო გადაიდო. 1774 წელს ალაგირის მამასახლისმა ჩ(ჭ)ალიკოვმა ასტრახანის გუბერნატორ გენერალ-მაიორ კრეჩეტნიკოვს ვერცხლის და ტყვიის მადნის შემცველი რამდენიმე შტუფი (ნიმუშად აღებული მადნის ქანის ნაჭერი— მთარგმნ.) ჩაუტანა და მათი რუსეთში გატანა შესთავაზა. ამის გამო ქურთათისა და ალაგირის სხვა ოსი მამასახლისებიც მოზდოკში გამოცხადდნენ გუბერნატორთან. ისინი მზადყოფნას გამოთქვამდნენ რუსეთის სამსახურისთვის და ითხოვდნენ ოსური ახალშენების აღდგენასა და ყაბარდოელთაგან მათ დასაცავად სათანადო რუსული რაზმის გამოყოფას. იმავე წელს ოსეთიდან გოგირდის მყარი ნაცარი იქნა მიღებული. ამ ღონისძიებას წარმატება არ მოჰყოლია მთიელი ხალხების გაძნელებული მართვის გამო.

¹¹ როცა 1739 წლის ტრაქტატის შემდეგ გამოჩნდა, რომ ყაბარდოელები უკვე სრულიად არაკეთილგანწყობილნი და ორგულები გახდნენ, გაჩნდა სხვადასხვა შესაძლო საცდურის გამოყენების საჭიროება აქაურ საზღვრებში მათ გადმოსაყვანად, რათა ასეთ გადმოსახლებულებს თავიანთი დაზვერვით შესძლებოდათ სამსახურის განწევა მათივე მოწინააღმდეგე ყაბარდოელთა ზრახვების მოსასპობად და თავიანთი რიცხოვნობის გაზრდით თვით სასაზღვრო ადგილების დაცვა.

თავისი უსაზღვრო თავგამოდებისა და შორსმიმავალი ექვიანობის გამო, მოზდოკის დაფუძნებით მყისვე შეშფოთდნენ; მაგრამ უფრო რე იმის მიზეზით, რომ მათი კუთვნილი ხალხისა და ტყვეებისთვის იოლი და ხელსაყრელი შესაძლებლობა გაჩნდა, რომ ყაბარდოს ახლოს მდებარე ამ დასახლებაში მონობისგან გათავისუფლებულიყვნენ, სადაც ისინი, ქრისტიანობის მიღებით, თავისუფლებას იძენდნენ და საერთოდ მოზდოკელი მოსახლეებისთვის თავიდანვე დადგენილი მრავალი ხეირით სარგებლობდნენ; ვინაიდან, თუმცა ამ ადამიანებს ყიზლარში მანამდეც იღებდნენ, იქ ყაბარდოდან სიმორების გამო ბევრი ვერ გამოიშობოდა, ამიტომ მფლობელების წყენა მათი გადაუცემლობის გამო ძლიერი არ იყო.

ამ საკითხზე ყაბარდოელებმა, ჯერ კიდევ 1764 წელს რუსეთის სამეფო კარზე წარგზავნილ დეპუტაციაში გაამგზავრეს ჯანბულატოვის საგვარეულოს მფლობელი კაიტუკ კაისინოვი და უპირველესი უზდენი, შაბაზ-გირეი კუდენეტოვი, რომლებიც 1735 წელს ყიზლარში ამანათებად [16] იმყოფებოდნენ. მათ კარზე შეიტანეს წარდგინება მოზდოკის აშენებით მათი შევიწროების შესახებ. თავის თხოვნაში ისინი თავისად აცხადებდნენ ამ ადგილს იმიტომ, რომ მის სიახლოვეს სარგებლობდნენ ტყით და იქ ჰყავდათ თავიანთი საქონელი.¹²

ამაზე მათ ეპასუხათ, რომ მხოლოდ ამით მათი უფლება ვერ მტკიცდება, რადგანაც რუსეთის ნებართვით მათ ეკავათ საძოვრები არა მარტო ბევრ ადგილას მდინარე კუმაზე, რომელიც მათთან ახლოს არ მიედინებოდა, არამედ თავიანთ ნახირს ხშირად თვით გრებენელ კაზაკთა ძველთაგან დაარსებულ დასახლებებთანაც კი მიერეკებოდნენ. მოზდოკის დასახლებაც

¹² ბრონევსკისთან: მაშინ ყაბარდოში ორი პარტია იყო, ერთი – ჩვენი მონინალმდეგე, მეორე კი – კეთილგანწყობილი. კაისინოვი ითხოვდა, რომ მოზდოკში სიმაგრე და დასახლება მოშლილიყო; რომ მათთვის გადაეხადათ მათგან გაქცეული ქრისტიანი ტყვეების გამო; რომ მათგან მოსანათლად ან ჩვენს მხარეს გადმოსასახლებლად წამოსულ მფლობელებსა და უზდენებს ყაბარდოში დარჩენილ მათ ქონებაზე საერთოდ უარი ეთქვათ; რომ ყიზლარში ბაჟი შემცირებულიყო.

მათსავით თერგის ერთ მხარეს მდებარეობს და მათზე ბევრად დაღმაც კი, მაგრამ ამ მდინარის მეორე მხარეს მდებარე ყაბარდოელთა საცხოვრებლებსა და სახნავ მიწებს სრულიადაც არ ზღუდავს; შესაბამისად, მათ არც მოზდოკის მიწა არ ეკუთვნით და ამ დასახლებისგან არავითარ შევიწროებასაც არ განიცდიან.

რუსეთის მთავრობას სურდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, შეერბილებინა ამ პასუხის სიხისტე. ვინაიდან, როგორც მანამდე ხდებოდა ხოლმე, განსაკუთრებულ შემთხვევებში და პეტერბურგში მთელ მათ საზოგადოებასთან დაკავშირებული საქმების გამო ჩამოსული ყაბარდოელი მფლობელების უკან გაბრუნებისას, ყაბარდოში ყველა მფლობელს ჯილდოდ და იმპერატორის წყალობის ნიშნად საჩუქრად უგზავნიდნენ მაუდსა და ფულს, – ამიტომაც იმავე 1764 წელს მფლობელ კაიტუკ კაისინოვის გამგზავრებისას, ყაბარდოში გაიგზავნა 3 ათასი რუბლი, რათა ის ერთად შეკრებილ ყველა ყაბარდოელ მფლობელს ყველას დასანახად დარიგებოდა (ვითომ) ჯილდოდ, ზოგიერთი მათგანის მიერ რუსულ ჯართან ერთად 1757 და 1758 წლებში ამბოხებული ჩეჩნების წინააღმდეგ მოქმედებაში მონაწილეობისათვის; იმ იმედით, რომ ყაბარდოელი მფლობელები, დაინახავდნენ რა მათდამი მონარქიული წყალობის განგრძობას, ყველა ეჭვი გაეფანტებოდათ და დამშვიდდებოდნენ.

მაშინვე, 1765 წელს, დადგინდა, რომ ყაბარდოელებსა და ყუმუხებს როგორც საკუთარი ნაწარმისა და პირუტყვის გაყიდვისას, ისე ყიზლარში ნივთების შესყიდვისას ბაჟი საერთოდ არ გადაეხადათ, მათი გადახდა კი ორივე შემთხვევაში ყიზლარის მცხოვრებლებს (ანუ გამყიდველებსა და მყიდველებს) დაეკისრათ.

ასეთი წყალობების გადმოღვრამ ყაბარდოელებზე ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა. უარმა მოზდოკის თაობაზე ისინი სრულიად გააღიზიანა – იმ ზომამდე, რომ მათთვის გაგზავნილი ფულიც არ მიიღეს, – და მათ რუსულ მხარისაგან სრულიად განშორებისაკენ უბიძგა.

ამას ხელს უწყობდა ყირიმელი ხანების ფარული მოქმედებები; რადგან ყირიმის ხანებს ყოველთვის სურდათ თავიანთი ინტერესებში ყაბარდოელთა ჩართვა, რათა თავის მხარეს ისეთი ხალხი ჰყოლოდათ, ვისი მეშვეობითაც კავკასიის მთებში მათი გავლენა და ძალაუფლება შეიძლებოდა გავრცელებულიყო; და, რაც უმთავრესია, ყაბარდოელთა შორის გაძლიერებულმა მაჰმადიანობამ მათში აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა და ბევრი მფლობელი ამ ხანების ერთგულებისაკენ მიაქცია. ამასთან, ყაბარდოელებს უდიდესი ქედმაღლობა გაუჩნდათ, როცა გაიგეს, რომ მათთან დაკავშირებულ ყოველ საქმეზე ორივე კარის (იგულისხმება რუსეთისა და ოსმალეთის – მთარგმნ.) შეთანხმება იყო საჭირო და მათი უსაფრთხოება და მთლიანობა მათ საკუთარ ზრუნვაზე ნაკლებად იყო დამოკიდებული, ვიდრე მათ შესახებ ხელშეკრულების დამდებ მძლავრი სახელმწიფოების ურთიერთგანმარტებებზე. ამგვარად, როგორც კი მოზდოკში დასახლება მოეწყო, თითქმის ყველა ყაბარდოელ მფლობელს, გამონაკლისის გარეშე, მაშინვე სითამამე დაეუფლა.¹³

ეს გრძნობები მათ მით უფრო უძლიერდებოდათ, რადგან მოზდოკის დასახლების მოსპობაში წარმატების მიღწევას ყირიმის ხანის მეშვეობით იმედოვნებდნენ; ვინაიდან ამის თაობაზე 1763 და 1764 წლებში ჩვენი კარი როგორც პორტასთან, ისე ყირიმის ხანთან მრავალ მიმონერას აწარმოებდა კონსტანტინოპოლში ჩვენი რეზიდენტის, ობრესკოვისა [17] და ყირიმში კონსულის, ნიკიფოროვის [18] მეშვეობით. ყირიმის ხანი ამ დროს მათზე (ყაბარდოელებზე – მთარგმნ.) თავისი ჩაგონებებით მოქმედებდა და ცდილობდა მათ უმეტესად მიზიდვას თავის მიზნებისკენ.

ამ აალების რაც შეიძლება მინავლების მიზნით, რუსეთის მხრიდან ყაბარდოში ხშირი ჩასვლისგან შეძლებისდაგვარად თავს იკავებდნენ და მათი მდგომარეობის შესახებ იმ ცნობებით კმაყოფილდებოდნენ, რაც შეიძლებოდა მოეწოდებინათ იქიდან ჩამოსულთ და რუსეთის ერთგულ უზდენს, შაბაზ-გირეი კუდენე-

¹³ ბრონევესკისთან: ყაბარდოელები (1764 წ.) შეეკვრნენ ყუბანგალმელებს და ჩვენს საზღვრებზე თავდასხმები დაიწყეს.

ტოვს, რომელმაც 1764 წელს პეტერბურგში ყოფნისას დაიფიცა, საიდუმლოდ შეეტყობინებინა ყაბარდოში მომხდარი ყველა ამბავი. მაშინ მას ჯამაგირად 120 რუბლი დაენიშნა. ის მთელი თავისი ცხოვრება ინარჩუნებდა ერთგულ დამოკიდებულებას რუსეთისადმი; იცოდა რა რუსული ენა, მისი საქმეების სასარგებლოდ ბევრი იმსახურა და 1800 წელს გარდაიცვალა მაიორის ჩინით.

იმის მიუხედავად, რომ ყაბარდოელ მფლობელებს შორის მერყეობა და სითამამე ძლიერდებოდა, 1765 წელს მოზდოკის დასახლება ჩვეულებრივ ფორპოსტებზე მეტად გამაგრდა და პირველი ეკლესია აღიმართა.¹⁴

მათი (და ხანის) ჩაგონებებით ყუბანელებმა განიზრახეს ყიზლარის ციხე-სიმაგრეზე თავდასხმა და ყიზლართან და ყალმუხეთის ულუსებში მომთაბარე ნოღაელების ნაყვანა, რომლებიც ყუბანგალმელებს ამას თავად სთხოვდნენ. შედეგად ყუბანელი მურზები – სოკურ (ანუ მრუდე) (ჰ)აჯი რასლამბეკ ყარამურზინი, მცირე ნოღაიდან, და კაშკაბალი 1765 წლის ივნისში 4 ათასი კაციით შემოადგნენ ყიზლარს, თვენახევარი ალყაში ჰყავდათ და ბოლოს ისიცო, შტურმიც სცადეს, მაგრამ ისინი დიდი დანაკლისით უკუაგდეს, ხოლო ყიზლარელ ნოღაელთაგან წამომწყებნი დასაჯეს. მაშინ სოკურ-ჰაჯიმ იურტებში მცხოვრები ასტრახანელი თათრებისგან მთლიანად წაასხა ის მრავალი ცხენი, კუმაზე რომ ბალახობდნენ და აქ მხოლოდ ცხვრები და რქოსანი პირუტყვი დარჩა.¹⁵

¹⁴ ბრონევსკისთან: ასტრახანის გუბერნატორ ბეკეტოვისადმი მიცემული 1766 წლის 7 ივლისის რესკრიპტით, ყაბარდოს საქმეებში საექვო გარემოებების აღმოჩენის გამო მისი და გენერალ-მაიორ პოტაპოვის წარდგინებით, ყალმუხეთის ნაცვალს მიენერა, რომ მას, იქ გაგზავნილი 500 დუბოკელი და 500 დონელი კაზაკის გარდა, ერთი ძლიერი ულუსი გაეგზავნა სალაშქროდ. იმავე წლის 23 ივლისს ყიზლარის კომენდანტის, პოტაპოვის განკარგულებაში კიდევ 2 ათასი დონელი კაზაკი გამზადდა.

¹⁵ ყუბანზე, მდინარეების ინჯიყისა (იგივე ინჯიყ-სუ, ან ინჯიყ გუზდა – იგულისხმება ყუბანის მარცხენა შენაკადი დიდი ზელენჩუკი – მთარგმნ.) და არზის შესართავებს შორის და მათ სიახლოვეს ყასაი აულად წოდებული ნოღაელები მომთაბარეობენ, რომლებშიც დაახლოებით 8 ათასი ოჯახი მოითვლება (მათ ასევე მოიხსენიებდნენ როგორც Казиев улус-ს. იგივე მცირე ნოღაი, რომელიც დიდ ნოღაის გაემიჯნა მურზა ყაზი-ბეგის (მოკლეს 1576 წ.) მეთაურობით მე-16 ს-ის მეორე ნახევარში. ამიტომაც სშირად მისი სახელით მოიხსენიებდნენ –

ეს ავაზაკობები განმეორდებოდა, მით უმეტეს, რომ მოზდოკის დაარსებაზე არა მხოლოდ ყირიმელებს, არამედ თურქებსაც ჰქონდათ ეჭვები, ცდილობდნენ ამის შენინაალმდეგებას და მოზდოკთან საიდუმლო მოთვალთვალეებს გზავნიდნენ. ამ და სხვა ადგილებში მყოფ რუს რეზიდენტებს კი ამ ადგილზე რუსეთის უდავო უფლება უნდა ემტკიცებინათ. მაგრამ ეს ბოროტ-მოქმედებანი აცილებულ იქნა ყიზლარის მხარის ყალმუხებითა და დონისა და ვოლგის კაზაკებით გაძლიერებით, რომელთაგან ყალმუხები ყაბარდოელთა ქცევას განსაკუთრებით აკვირდებოდნენ, თუმცაღა ყოველგვარი სამხედრო მოქმედებების დაწყების გარეშე, ამასობაში კი მოზდოკის სიმაგრის აღმართვას იფარავდნენ.¹⁶

დონის ჯარს კი მაშინ საგანგებო განკარგულება მიეცა, რომ

მთარგმნ.). მათი უწინდელი მამასახლისი სოკურ-ჰაჯის სახელით ცნობილი მურზა არსლან-ბეგი იყო, რომელიც 1772 წელს გარდაიცვალა. მის შემდეგ მამასახლისად იყო ისლამი (გიულდენშტედტი (Reisen, herausg. v. Pallas. S.PB. 1787) [(D. Güldenstädt, Johann Anton. Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, hrsg. von P. S. Pallas. St. Petersburg, 1787)], ნან. I, გვ. 500).

გენერალმა პოტაპოვმა ყიზლარის წყლით შემოზღუდვისთვის და ყუბანელთა თავდასხმებისგან მის დასაცავად, ყიზლარს რომ ემუქრებოდნენ, 1768 წელს ბოროზდაზე ჯებირის მონგრევა ბრძანა. ბოროზდა თერგის ყველაზე ჩრდილოეთი ტოტია, ყიზლარს ზემოთ გამოშავალი. ადრე მას მინდვრების მოსარწყავად იყენებდნენ, მაგრამ როცა შენიშნეს, რომ თერგმა იქით იწყო სწრაფვა, ის ჯებირით დააგუბეს. პოტაპოვის მიერ მისი მოშლის შემდეგ თერგის კალაპოტი ბოროზდაში ჩადგა, ისე, რომ მისი შეცვლა შეუძლებელი იყო, ხოლო ნამდვილი თერგი, ყიზლარში რომ მიედინებოდა, თითქმის მდორე წყლად იქცა (გიულდენშტედტი, იქვე, ნან. I, გვ. 165).

¹⁶ ბრონევსკისთან: რეზიდენტ ობრესკოვს 1765 წ. 21 სექტემბრის რესკრიპტით ებრძანა თერგზე, ადგილ მოზდოკთან ახალი დასახლების დაარსების გამო, რომელიც მტრული თავდასხმების ასაცილებლად თხრილით იყო შემოსაზღვრული. ცრუ ხმით შემფოთებულმა პორტამ, თითქოს მოზდოკში ახალ ციხე-სიმაგრეს ჩაეყარა საფუძველი, შიკრიკებდა სანდო ადამიანები გაგზავნა, რათა ადგილზე ენახათ, თუ რა სახის გამაგრება იყო. ობრესკოვსა და საქმეთა რწმუნებულ ლევაშოვს დაევალით ყველანაირი საშუალების გამოყენება პორტას დასამშვიდებლად. 29 სექტემბერს პოტაპოვს საიდუმლოდ ებრძანა, რომ მოზდოკის გამაგრება მეტი სიფრთხილით ენარმოებინა და არასაჭირო სამუშაოები უმჯობესი დროისთვის გადაედო, რაზეც დაუყოვნებლივ შეატყობინეს მოზდოკში მეთაურად მყოფ პოდპოლკოვნიკ გაკს.

ყაბარდოელთა მოძრაობებსა და თავყრილობებზე თვალყური დაეჭირა.

ამგვარად, ყაბარდოელებმა მოზდოკის განადგურების განზრახვაში 1764, 1765 და 1766 წლებში წარმატებას რომ ვერ მიანღნიეს, 1767 წელს ამას მთელი ხალხის გადასვლა მოჰყვა ძველი საცხოვრებლებიდან მდინარე კუმას ზემო წელზე, ყუბანელ ხალხებთან ახლოს, სადაც მათ უკვე აშკარა თანამზრახველობა იწყეს ყუბანელებთან და რუსულ სოფლებზე მათ თავდასხმებში მონაწილეობდნენ.

მფლობელი ტაუსულთანოვების მცირე ყაბარდოს კუთვნილმა ნაწილმაც გადაინაცვლა მთებისკენ; რადგანაც მოზდოკის დასახლებისგან მცირე ყაბარდოც ბევრს ზარალობდა მონების დაკარგვით და, არანაკლებ, იმითაც, რომ მისმა ძველმა მოხარკეებმა, ქურთათისა და დორგობუშის¹⁷ ოსურმა თემებმა და ქისტურმა [თემმა] ინგუშმა (кистинское Ингушь), როცა იხილეს, რომ მათ მოზდოკში ხელგაშლით ხვდებოდნენ, არათუ გადასახადებზე უთხრეს მათ უარი, არამედ მათ მიმართ ქურდული თარეშიც კი დაიწყეს.

ასეთ ვითარებაში დაიწყო 1768 წელს რუსეთისა და პორტას ომი.¹⁸

¹⁷ მინანერი: „თავაურები ხომ არა? დუგორი?“ (Не Тагауры ли? Дугор?).

¹⁸ ბრონევსკისთან: კიევის გენერალ-გუბერნატორ გლებოვის 1765 წლის 28 დეკემბრის მოხსენების მიხედვით, ყაბარდოელი მფლობელი დუდარუქ ბამატოვი ყირიმელი თათრების მიერაა დატყვევებული და ბახჩისარაიშია გადაყვანილი, სადაც მას ყირიმელების მიზრობაზე იყოლიებდნენ, მაგრამ ის ამას არ დათანხმდა. 1767 წელს ყუბანელებმა ყიზლარის მახლობლად მომთაბარე ნოღაელები დაითანხმეს ყუბანის გაღმა გადასვლაზე, მაგრამ მათი განზრახვა გამჟღავნდა და (ყუბანელებთან – მთარგმნ.) თანამოაზრეობაში შემჩნეული ნოღაელები გადაასახლეს ორენბურგში. 1768 წელს ყაბარდოელები ყუბან-გალმელებთან გაერთიანებით აპირებდნენ მოზდოკზე თავდასხმას. მოვიდა ცნობა თურქებისთვის ომის გამოცხადების შესახებ, რის გამოც სიფრთხილის საჭირო ზომები იქნა მიღებული.

კომენტარები:

[1] უნდა იგულისხმებოდეს წმ. ჯვრის ციხე-სიმაგრე, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1722 წელს პეტრე I-ის „სპარსეთის ლაშქრობის“ დროს მდინარე სულაკის პირას, ტარკის საშამხლოს მინა-წყალზე. 1735 წელს კი განჯის შეთანხმების შესაბამისად დაანგრიეს.

[2] ამჟამად უმეტესად ყუმუხებით დასახლებული სოფელი თერგისა და სუნჯის შესართავთან, თანამედროვე ჩეჩნეთში.

[3] გრებენელ კაზაკთა დასახლებათა ცენტრი მდ. თერგის შუანელზე, მის მარცხენა ნაპირზე.

[4] „უზდენები“ (etimol. – „თავისი თავით“, „თვითგან“) – სხვადასხვა ჩრდილო კავკასიელ ხალხში აღნიშნავდა თავისუფალ ან წარჩინებულ ფენას, მომდევნო თავადების შემდეგ. დაახლოებით შეესატყვისება ჩვენებური აზნაურის ცნებას. ბევრგან რამდენიმე ფენადაც იყოფოდა. ეს, საკმაოდ ზოგადი, ტერმინი ყაბარდოში ფართოდ არ გავრცელებულა და იქ ამ ფენის აღსანიშნავად ძირითადად ადიღეურ ტერმინს, „უორკებს“ იყენებდნენ.

[5] ამჟამად ჩრდილო ოსეთის სიდიდით მეორე ქალაქი. გაშენებულია მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე. სახელწოდება წარმოსდგება ჩერქეზულ-ყაბარდოული სიტყვისაგან „მეზ დეგუ“ – უღრანი ტყე.

[6] ამჟამად მეკენსკაია, სოფელი თერგის მარცხენა სანაპიროზე, თანამედროვე ჩეჩნეთში (ნაურის რ-ნი), მოზოკიდან აღმოსავლეთით დაახლ. 65 კმ-ში.

[7] კუმა (ყუმი) კასპიის ზღვის აუზის მდინარეა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში. გაედინება თანამედროვე სტავროპოლის მხარეში და შემდეგ მიედინება დაღესტნისა და ყალმუხეთის საზღვრის მიმდებარედ, სადღაც აქ უნდა ყოფილიყო იმ დროს ადგილი ანგეტეფი. ამჟამად ადგილი ან დასახლება ამ სახელწოდებით აღარ არსებობს.

[8] რუსეთის იმპერიის არმიაში იყვნენ ცხენოსანი სამსახურის დრაგუნები, სამხედრო კავალერია რომელსაც ჩამოქვეითებულად

ბრძოლაც შეეძლო, და ქვეითი სამსახურის დრაგუნებიც, რომლებიც ძირითადად ქვეითად იბრძოდნენ, მაგრამ ამხედრებულნი გადაადგილდებოდნენ. რუსეთში დრაგუნთა რაზმების შექმნის მცდელობა პირველად იყო 1631 წელს მეფე ივანე თეოდორეს ძის მიერ. დრაგუნთა პოლკები საბოლოოდ ჩამოაყალიბა პეტრე I-მა 1700 წლიდან.

[9] მონღოლოიდური რასის ხალხი, რომლებიც მომთაბარეობდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ კასპიისპირეთში, ყალმუხეთის სახანოში. 1771 წელს ყალმუხეთის სახანო იმპერატორ ეკატერინე II-ის ბრძანებით გააუქმეს და ასტრახანის გუბერნიას შეუერთეს. ამასთანავე ყალმუხები ტომობრივ-სუბეთნიკური ჯგუფების მიხედვით ულუსებად დაყვეს.

[10] ჩრდილო კავკასიის ოსებში საკუთარი გავლენის გაძლიერების მიზნით რუსეთის მთავრობამ ქართველი სასულიერო პირებისაგან 1744 წელს ჩამოაყალიბა ოსეთის სასულიერო კომისია, რომლის მიზანი ოსებში ქრისტიანობის გავრცელება იყო. კომისიას ხელმძღვანელობდა ქართველი არქიმანდრიტი პახომი.

[11] ტექსტი – канонир. 1917 წლამდე ამგვარად იწოდებოდა რუსეთის საარტილერიო არმიის უმცროსი მოსამსახურე. წარმოსდგება ფრანგული canonieri-საგან (canon - ზარბაზანი).

[12] იგივე გრებენელი კაზაკები, კაზაკთა ეთნოსოციალური ჯგუფი. ჩრდილო კავკასიაში გამოჩნდნენ XVI ს-დან. რუსეთის სამეფო კარი მათ იმთავითვე იყენებდა რეგიონში საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად. 1712 წლიდან გრებენელი კაზაკები თერგის მარცხენა სანაპიროზე ქმნიან ხუთ მოზრდილ დასახლებას, რომელმაც სათავე დაუდო ე. წ. კავკასიის გამაგრებულ ხაზს. მალავე გრებენელთაგან ჩამოაყალიბეს გრებენელ კაზაკთა საჯარისო ერთეულიც.

[13] სამწერტილი გამოცემული ტექსტისმიერია. როგორც ჩანს, საგამომცემლო კომისიამ პ. ბუტკოვის ხელნაწერში შესაბამისი სიტყვა (ან რიცხვი) ვერ ამოიკითხა.

[14] იგულისხმება რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1739 წლის 18 სექტემბერს ბელგრადში ხელმოწერილი საზავო შეთანხმება, რომლითაც დასრულდა 1735-1739 წლებში მათ შორის მიმდინარე ომი. ამ შეთანხმების მიხედვით, დიდი და მცირე ყაზარდო გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და მათ მოქიშპე ორ იმპერიას შორის ნეიტრალური ბარიერის როლი დაეკისრათ.

[15] „(მაღალი) პორტა“ – ოსმალეთის იმპერიის მთავრობის სახელწოდება; ფრანგ. თარგმანიდან, რაც აღნიშნავდა დიდი ვეზირის უწყების მთავარ, მაღალ ჭიშკარს სულთნის სასახლეში.

[16] ამანათი – რომელიმე მხარის მიერ მეორესათვის გაცემული ერთგვარი მძევალი რაიმე შეთანხმების დაცვის უზრუნველსაყოფად.

[17] ალექსი ობრესკოვი (ტექსტში – ობრეზკოვი) იყო კონსტანტინოპოლში რუსეთის რწმუნებული 1751 წლიდან და რეზიდენტი (მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენელი) – 1752 წლიდან.

[18] ალექსანდრე ნიკიფოროვი 1763-1765 წლებში იყო ყირიმის სახანოში რუსეთის კონსული სასაზღვრო საქმეთა საკითხებში და რუსეთის სავაჭრო ინტერესების დასაცავად.

Davit Merkviladze

*Doctor of History, National Examinations Center;
History group specialist*

Peter Butkov on the Founding of the Fortress Town of Mozdok

(Summary)

Peter Butkov was one of the first Russian scholars to begin writing a historical work on the history of the Caucasus in the 18th and early 19th centuries. For this purpose, for many years, he especially collected numerous historical documents from various archives and extracts and quotations from articles scattered in Russian periodicals. He collected this material while being still in military service, a significant part of which he had to spend in the Caucasus (1791-1803).

P. Butkov died in 1857, failing to publish his extensive historical work on the history of the Caucasus. Most of the manuscripts of the late scientist, along with his published works, were donated by his widow to the Imperial Academy of Sciences of Russia. P. Butkov's archive was handed over to a special commission for processing, which took years of hard work to prepare for the publication of a paper on the Caucasus.

Finally, P. Butkov's work „Materials for the New History of the Caucasus in 1722-1803“ was published in two volumes in 1869. This work is a very important source for the history of the Caucasus of this era.

The present article is given a Georgian translation of the part of P. Butkov's work, which tells about the establishment of the fortress city of Mozdok by the Russian Imperial Court and the reaction of the North Caucasians to it. It is translated from Russian into Georgian by Davit Merkviladze and Erekle Khutsishvili.

გია გელაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

მაქს ფონ ტილმანი კავკასიის შესახებ

ბარონი მაქს ფონ ტილმანი (1846-1929) იყო გერმანელი დიპლომატი, პოლიტიკოსი და გერმანიის იმპერიის ხაზინის სახელმწიფო მდივანი. მან განათლება მიიღო ბერლინსა და ჰაიდელბერგში. 1864 წელს გახდა საქსო-ბორუსიის კორპორაციის წევრი. იყო განმათავისუფლებელი ომის გენერლის იოჰან ფონ ტილმანის შვილიშვილი. მისი მშობლები იყვნენ ფრანც ფონ ტილმანი და მათილდა ფონ ფრიბე.

დიპლომატიურ სამსახურში შესვლის შემდეგ მსახურობდა გერმანულ საელჩოებში პეტერბურგში, კოპენჰაგენში, ბერნში, ვაშინგტონში, ბრიუსელში, პარიზსა და კონსტანტინოპოლში. 1886 წელს გახდა გენერალური კონსული სოფიაში. 1888-94 წლებში იყო პრუსიის დესპანი დარმშტადტში, ჰამბურგსა და მიუნხენში. 1895-97 წლებში იყო ელჩად ვაშინგტონში. 1897 წლიდან მიიწვიეს სახელმწიფო მდივნად იმპერიის ხაზინაში, საიდანაც გავიდა 1903 წელს. ამას გარდა ის აღიარეს იოჰანიტების ორდენის (მალტის) რაინდად. 1909 წლიდან იყო პრუსიის ზედა პალატის წევრი.

როგორც დიპლომატმა მოაწყო ხანგრძლივი მოგზაურობა კავკასიაში, სპარსეთსა და ამერიკაში და გამოსცა სამოგზაურო ჩანაწერები. მას ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო ვრცელი ნაშრომი „მოგზაურობა კავკასიაში, სპარსეთსა და აზიურ თურქეთში“ (ლაიფციგი, 1875), რაც იმავე წელს ითარგმნა ინგლისურად, ხოლო 1880 წელს ფრანგულად.

ჩვენს გეგმაშია ამ წიგნის იმ თავების თარგმნა და გამოცე-

მა, რაც ეხება საქართველოს და ნაწილობრივ კავკასიას, სადაც ტილმანი იმყოფებოდა 1872 წლის აგვისტო-სექტემბერში. წიგნი შეიცავს რვა თავსა და ავტორის წინასიტყვაობას. აქედან საქართველოს შესახებ ცნობები დაცულია მის II, III, IV და ნაწილობრივ I და VIII თავებში. ეს თავებია: I – ოდესიდან ფოთამდე; II – ფოთიდან ბორჯომამდე; III – ბორჯომიდან ტფილისამდე; IV – ტფილისიდან პეტროვსკამდე; VIII თავი წარმოადგენს საგანგებო დარიგებებს კავკასიაში წამსვლელი ტურისტებისთვის.

აქ შემდეგი ქვეთავებია გამოყოფილი: ა) სათანადო ლიტერატურისა და რუკების სია. ბ) სამოგზაუროდ შესაფერისი დრო. გ) ფოსტა და სავალდებულო პასპორტის სახეობები; ფოსტის მოვალეობები. დ) თან წასაღები ტანსაცმელი, მედიკამენტები, საჭირო ნივთები და პროდუქტები. ე) ადგილობრივი სასტუმროები, დუქნები, აუცილებელი ხარჯები და ფასები. ვ) მთავარი გზები და გვერდითი განშტოებები, გადასასვლელ-უღელტეხილები მთელ ქვეყანაში; მანძილები და მათი დაფარვის დრო; ტრანსპორტის სათანადო სახეები.

ყოველივე ჩამოთვლილი ძალზე საინტერესო ცნობების შემცველია. წიგნს ერთვის რამდენიმე სურათი: თბილისის ხედი, ბორჯომის დიდმთავრის სასახლე, ქართველი მუსიკოსები, ქართველი ქალი; ასევე, რუკა ტილმანის სამოგზაურო მარშრუტის აღნიშვნით. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტექსტი მოთავსებულია აღნიშნული წიგნის პირველ თავში.

**

I თავი. ოდესიდან ფოთამდე [1]

ოდესა. სევასტოპოლი. ბალჩისარაი. იალტა. ლივადია, ორიანდა, ალუშტა. ჩანჩქერი. ქერჩი. კავკასიის სანაპირო. სუხუმკალე. ჩასვლა ფოთში. კავკასიის ქვეყნები. მთავარი ქედი. დაღესტანი. მცირე კავკასია. დაბლობები. კავკასიის პოლიტიკური დაყოფა. გზები კავკასიაში. ნაოსნობა. რკინიგზები. კავკასიის

ხალხები: ქართველები, თათრები, სომხები, მთიელები, რუსები და უცხოელები. მართლწერა შემხვედრი სახელების.

ჩემი მოკლე საუბარი კავკასიის გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ვითარებაზე, მიზნად ისახავს მიაწოდოს ამ წიგნის მკითხველს ზოგი მონაცემი მათში გასარკვევად; აგრეთვე, ერთგვარად ამომწურავი აღწერა, მიუხედავად მოცულობისა, რასაც ისინი მოითხოვენ, ისედაც უკვე ჩემთვის მიუწვდომელია, რადგან სხვა არაფერი არსებობს, გარდა ცალკეული თვალსაჩინო გამოკვლევებისა და მთავრობის მხრივ მოცემული სტატისტიკური მონაცემებისა. ასეთის არსებობა მოითხოვს ხანგრძლივ შესწავლას ადგილზე. მკითხველი, რომელსაც ენდომება სტატისტიკური თვალსაზრისით მოიპოვოს განმარტებები, თუკი რუსული კარგად ეცოდინება, უნდა გამოიყენოს გენშტაბის ოფიცრების მიერ გენერალ **ობრუჩევის** ხელმძღვანელობით შედგენილი „რუსეთის სამხედრო სტატისტიკა“; გეოგრაფიული თვალსაზრისით კი – გენშტაბის ხუთვერსიანი რუკა. საუკეთესო სახელმძღვანელოდ ეთნოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებაში მოიძიება მხოლოდ ცალკეულ გაფანტულ შრომებში.

კავკასიის გამოცანა იწყება მისი სახელწოდებით. არც ერთ ეტიმოლოგს დღემდე არ მოუცია დამაჯერებელი ჰიპოთეზა მისი მნიშვნელობის შესახებ. რამდენადაც სავარაუდოა, პირველი მარცვალი უნდა ენათესავებოდეს სპარსულ სიტყვას „კუ“ (მთა). აღმოსავლელებს უყვართ ერთი სახელით გააერთიანონ იმდენი მთა, რასაც თვალთ ერთდროულად ხედავენ; ამიტომ კავკასიონი მათთვის ცალკეული ნაწილების სახელით არიან ცნობილი... ყველა ატლასი გვიჩვენებს კავკასიონის საყოველთაოდ ცნობილ მდებარეობას, როგორც გიგანტური კედლისა შავი და აზოვის ზღვებიდან კასპიის ზღვამდე, ისე რომ მნახველი შეჰყავთ შეცდომაში, თითქოს ტამანის ნახევარკუნძულზე უკვე გვხვდება მყინვარები და მუდმივი თოვლის ზოლები. მაგრამ გაცოცხლებული რჩები, როცა ორთქლის გემით მთელი დღის მანძილზე მიცურავ მწვანე გორაკების და დაბალი მთების გასწვრივ. თვალსაჩინოდ

კავკასიონი იყოფა სამ ნაწილად; ან, თუ დალესტანსაც საგანგებოდ გავითვალისწინებთ, ოთხ ნაწილად:

1. მთავარი ქედი ტამანის ნახევარკუნძულიდან ნებელდას მაღალმთიან ხეობამდე, რომელიც კვებავს კოდორის ორივე სათავე ნაკადულებს; ეს უკანასკნელი ზღვას სუხუმ-კალეს სიახლოვეს ერთვის. კავკასიონის ეს ნაწილი აღიმართება ჩრდილო-დასავლეთიდან, თანდათან მალღდება და სამხრეთ-აღმოსავლეთის ბოლოში თხემი აღწევს 6800 ფუტს, რომლის ზევითაც ცალკეული მწვერვალები ათასობით ფუტზე ჩანან; თუმცა უმეტესობა მუდმივი თოვლის ხაზს ვერ აღწევენ. ზღვისაკენ ის ციცაბოდ და ახლოს ეშვება, მაშინ როცა ჩრდილოეთით შორს განშტოებულ გორაკიან მიდამოდ ვრცელდება მას და ყუბანს შორის. შესაბამისად კავკასიონი ზღვისკენ გზავნის მხოლოდ უმნიშვნელო მდინარეებს, ხოლო ჩრდილოეთით პარალელურად მიმავალ დიდი რაოდენობის მნიშვნელოვან წყლებს. ჩერქეზთა გადასახლების [2] დროიდან ეს მხარე გამოუყენებელია, ხშირი ტყეები ავსებენ ხეობებს და ყუბანის ზემო შენაკადებზე ცხოვრობს უიშვიათესი გარეული ცხოველი – პირველყოფილი ხარი.

2. ნებელდიდან ყაზბეგის გადასასვლელამდე ქედი მნიშვნელოვნად იცვლის ხასიათს. თხემის სიმაღლე ადის მუდმივი თოვლის საზღვრამდე, რომელიც აღწევს აქ 12 000 ფუტს; მხოლოდ რამდენიმე უღელტეხილი კვეთს მას. ამის საპირისპიროდ ამ გიგანტურ კედელს ზემოთ და უშუალოდ მის გვერდით აღიმართებიან მწვერვალები ისეთ სიმაღლეზე, რაც ევროპისთვის უცნობია. ასე მაგალითად, ჩრდილოეთში იალბუზი 18.400-ზე, დიხ-თაუ და კომტან-თაუ 17 000-ზე, ყაზბეგი 16 500-ზე, სამხრეთით უშბა (იალბუზთან ახლოს) – იმავე სიმაღლის. ამავე დროს ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებთან არის მთელი რიგი ქედებისა, დაწყებული თეთნულდიდან (კავკასიის *იუნგფრაუ*) [3] ადაი-ხოხამდე (ტვილსას მთა – Twilsas Mta) აღწევენ 15 000 ფუტს. ამ სიმაღლეებს ესადაგება მყინვარების სიმრავლე; სვანეთში ლატპარის უღელტეხილიდან საპირისპიროდ

ჩანს 30, რომელთაგან 10 პირველობს. ეს რეგიონი თავისი მკვეთი ხასიათით განსხვავდება ისეთი მაღალი ქედებისგან, როგორცაა ბერნერისა ობერლენდში, ან ბერნინის ჯგუფი შვეიცარიიდან; კავკასიონის ქედი მიემართება პირდაპირი ხაზით, ამიტომ აკლია განვრცობილი მუდმივი თოვლის ზღვა (რაოდენობა), როგორც ხშირად გვხვდება შვეიცარიაში. გვერდითი ქედები მეტწილად ბევრად დაბალია და მათზე ცოტაა მყინვარები, როგორც, მაგალითად, ლაილას ქედზე ენგურსა და ცხენისწყალს შორის. ამას გარდა, რაც თვალშისაცემად განასხვავებს შვეიცარიისგან, არის ტბების სრული უქონლობა. ამ ქედიდან კოლხეთის დაბლობისკენ ეშვებიან კოდორის, ენგურის, ცხენისწყლის და რიონის ხეობები; ხოლო მტკვრის ხეობისკენ ჩამოედინებიან ლიხვი და არაგვი. ყველა ეს მდინარე მიედინება მთისწინეთში, რომელიც თავს იწონებს ულამაზესი მცენარეულით. ეს ამაღლებები სამხრეთით უერთდება სურამის ქედს – რიონისა და მტკვრის წყალგამყოფს. ჩრდილოეთით მთიანეთი სწრაფად ეშვება სტეპისკენ, რომლისკენაც მიყვევართ ყუბანის, კუმას და თერგის მრავალ პარალელურ ხეობებს.

3. ყაზბეგიდან აღმოსავლეთით მთავარი ქედი იწყებს დატოტვას; ერთი ტოტი მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთით არღუნის და ანდების ყოისუს ხეობების გამყოფად. მთავარი ტოტი მიემართება ძველი ხაზით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ამ ორს შორის მდებარეობს დაღესტანი. პირველი ჯერ კიდევ დასაწყისში მოიცავდა ძალზე მნიშვნელოვან, მყინვარიან ქედებს, შემდეგ ის დაბლდება და, როგორც ციცაბო კედელი, გამოყოფს დაღესტნის ზეგანს თერგისკენ დაშვებულს ჩეჩნეთისგან. სამხრეთ-აღმოსავლეთის ტოტი, თუმცა შემახამდე მოიცავს მნიშვნელოვან სიმაღლეებს 8-10 000 ფუტამდე, არ აღწევს მუდმივი თოვლის საზღვრებს, როგორც მაგალითად, ჟამურის სათავეებთან და ბაზარჯუსში (Bazardshusi) 14 700 ფუტს. პირველი ჩრდილოეთის ტოტი ხშირტყეებიან მხარეებზე გავლით უგზავნის თავის წყლებს ჩრდილოეთით თერგს; სამხრეთისა კი, რომლის ციცაბო ფერდე-

ბი ასევე გაუვალ ტყეებს მოიცავენ, ალაზნისა და სხვა უმნიშვნელო წყლებს – მტკვარს. ამ ორივეს შორის მდებარე დალესტანი თითქმის მთლიანად გაცლილია ხეებისგან.

4. დალესტანი არის მაღალმთიანი პლატო, რომელიც ორივე მთავარი ქედიდან ქვევით თანდათან ეშვება კასპიის ზღვისკენ. ვულკანურმა რევოლუციებმა ძალით დააცილა ისინი ერთმანეთს და ცალკეული ნაწილები გადაადგილა; წარმოქმნილი ჭრილები (არხები) მონადენი წყლისგან ზოგან ისე აკურატულად გამოიხრა, რომ თუ მაღლიდან დახედავ ამ მხარეს, ჰგავს გეოლოგიური მოხსენებისთვის აღებულ რელიეფის ნიმუშს. ოთხი მთავარი წყალსადინარი, რომლებსაც ყველას *ყოისუს* ეძახიან, სხვადასხვა მხარეებში, ერთდებიან და *სულაკის* სახელით ერთვიან კასპიის ზღვას; მეხუთე მდინარე *ჟამური* სამხრეთის ნაწილის წყლებს ასევე კასპიისკენ მიაქანებს.

5. კავკასიონის სამხრეთით, მტკვრისა და რიონის წყალგამყოფი სურამის ქედით, ის შეერთებულია ვრცლად განტოტვილ ქედთან, რომელიც ცნობილია *მცირე კავკასიონის* სახელით. ის შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: ცენტრალური, რომელიც გოქჩას ტბას, როგორც ვულკანი თავის კრატერს, ისე შემორტყმია. შემდეგია – შორს გაგრძელებული და მრავალტოტიანი მთიანეთი, რომელიც პირველისგან ჩრდილო-დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევს. პირველი ჯგუფის ზოგი მწვერვალი თოვლის საზღვრამდე აღწევს, მაგრამ არ აქვს მყინვარები; მისი დიდი რაოდენობის მცირე მდინარეები ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მტკვრისკენ ეშვებიან, ხოლო სამხრეთისა – არაქსისკენ. ეს კი გამოყოფს სპარსეთის მთიანი ზეგნისგან, რომელიც იშვიათად აღწევს 10 000 ფუტის სიმაღლეს და თითქმის სრულად მტკვარს უხდებიან ვალს, რომელიც მას გრძელი ხეობით არღვევს. მიუხედავად ერთმანეთისგან დამოუკიდებლობისა, ორი მძლავრი გიგანტი მთა აღიმართება სამხრეთით; ესენია: საზარლად შიშველი ალაგოზი 13 400 ფუტის და დიდებული არარატი (16 900 ფუტი) თავისი წყვილი მწვერვალით და მუდმივად თეთრი თხემით.

6. კავკასიონის ჩრდილოეთი დაბლობის ხასიათის საფუძველს ქმნიან დასავლეთით – ყუბანი და აღმოსავლეთით – თერგი; ბორცვიან-ბუჩქნარიანი სტეპები ნაყოფიერია, მაგრამ უმეტესად ჯერაც ხელუხლებელი ნიადაგით. ამის საპირისპიროდ, რიონისა და მტკვრის დაბლობები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებიან. რიონის მხარე, ეს დალოცვილი კოლხეთის დაბლობი, საიდანაც იაზონმა ოქროს სანმისი გაიტაცა, წარმოადგენს უმდიდრესი ნაყოფიერების სურათს, რომელიც დაუდევარ მეგრელ გლეხს თავისი პირველყოფილი კავით მდიდარ მოსავალს აძლევს და ყოველ დაუსახლებელ ადგილზე მშვენიერი ტყე იზრდება; ამის საწინააღმდეგოდ, მტკვრის დაბლობი ჩამკვდარი და უდაბურია. ამაში ნიადაგი დამნაშავე არ არის, არამედ ცენტრალური აზიიდან ცხელი ქარებით გამოწვეული გამოხმობა. უხვი მორწყვის შედეგად ძალზე ნაყოფიერი იქნებოდა. ადრეულ ხანებში ამას ანაზლაურებდა ბუნებრივი მორწყვის არხების ვრცელი ქსელი, მაგრამ ის სპარსელებმა გაანადგურეს, ხოლო ახალ დროებში ჯერ არ გამოიძებნა დრო მის აღსადგენად და მხარის ხელახლა დასასახლებლად.

კავკასიის პოლიტიკური ადგილი ჯერაც განსაკუთრებულია, რაც მას დიდად განასხვავებს დანარჩენი რუსეთისგან. მას ჰყავს საკუთარი მეფისნაცვალი, რომელსაც ექვემდებარება არმია და ფინანსებზე გამოცალკევებული მართვა. რუსული უმთავრესი ორგანული კანონები ახლო ხანებში აქაც გავრცელდა სათანადო მოდიფიკაციით; ასევე, შემოიღებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს. მეფისნაცვლის (ამჟამად იმპერატორის ძმა, დიდი მთავარი **მიხეილა**) [4] ცენტრალური მმართველობის ადგილსამყოფელია ტფილისი. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია სამოქალაქო მმართველობა, რომლის სათავეში დგას **ბარონი ნიკოლაი** [5] და კავკასიის არმიის გენშტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს თავადი **სვიატოპოლკ-მირსკი** [6]. ქვეყანა დაყოფილია 5 გუბერნიად და რამდენიმე მხარედ, რომელთაგან უკანასკნელები, მხედველობაშია მისაღები, რომ ცოტა ხნის წინ მიმდინარე საომარ

მოქმედებებამდე, სამხედრო ძალით იქნენ დამორჩილებული. ეს ოლქებია: 1. *სტავროპოლის გუბერნია*. ის მოიცავს სტეპების ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს, 1284 კვ. მილის ფართობს 371 000 მოსახლით (1867 წლის აღწერით). 2. *ყუბანის კაზაკთა მხარე* შავსა და აზოვის ზღვებს შორის, მოიცავს ფართს 1641 კვ. მილს 600 000 მოსახლით, მთავარ ქედს იალბუზამდე და ზემოთ დასახლებულ გუბერნიამდე; მთავარი ქალაქია *ეკატერინოდარი* ყუბანზე. აქ მიმდინარეობდა უკანასკნელი ომები ჩერქეზთა წინააღმდეგ; ამჟამად მოსახლეობა ძალიანაა შემცირებული მასობრივი გადასახლების გამო. მმართველობა არის შერეული – მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენენ რუსები; ყუბანელი კაზაკები, ამავე დროს მხარეს ამუშავებენ და ჯარს ქმნიან. ამჟამად, მოუსვენარი მეზობლების მხრივ მოსალოდნელი თავდასხმები თანდათან შეწყდა. 3. *თერგის კაზაკების მხარე* 1121 კვ. მილის ფართობით და 450 000 მოსახლით; მთავარი ქალაქია *ვლადიკავკაზი* ყაზბეგის გასასვლელთან. მხარე მოიცავს თერგის დაბლობს და მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდს, ე. წ. ჩეჩნეთს. ეს გახლავთ კავკასიის ყველაზე ათვისებული (გამოცდილი) მხარე; კაზაკთა პირველი დასახლებები პეტრე დიდის დრომდე და შემდგომ, აწარმოებდნენ მცირე ბრძოლებს, სანამ ბოლოს 1839-1859 წლების ცხარე ომით [7] არ დამთავრდა. 4. *დაღესტნის მხარე*, მოიცავს 519 კვ. მილის ფართობს 450 000 მოსახლით. ის საბოლოოდ დაიმორჩილეს 1859 წელს შამილის დამარცხების შემდეგ; ამჟამად სრული სიწყნარეა. მთავარი ქალაქია *თემირხანშურა*, ჩვეულებრივ შემოკლებით *შურა*-ს უწოდებენ. მხარის საზღვრები დაღესტნის ბუნებრივ საზღვრებს ემთხვევა; მხოლოდ სამხრეთით უკვე დიდი ხნის წინათ დაპყრობილი *ყუბას სახანო* გაუნაწილეს ბაქოს გუბერნიას.

5. *ტფილისის გუბერნია* მოიცავს 805 კვადრატული მილის ფართობს 650 000 მოსახლით და მდებარეობს ქვეყნის (კავკასიის – გ. გ.) ცენტრში. მის საზღვრებს ქმნიან: დასავლეთით რიონისა და მტკვრის წყალგამყოფი [ქედი]; ჩრდილოეთით (მცირე

გადახრით ყაზბეგთან და მის აღმოსავლეთით) მთავარი ქედი ლი-ახვის სათავეებიდან ქალაქ ნუხამდე; სამხრეთ-აღმოსავლეთით – ხაზი, რომელიც კვეთს მტკვრის სტეპს და მიემართება გოქჩის ტბის ჩრდილო-დასავლეთის კუთხემდე; შემდეგ მიდის მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფზე სამხრეთ-დასავლეთით და სრულდება თურქეთის საზღვრებით. ქვეყნის არც ერთი ნაწილი არაა ასე მრავალფეროვანი, როგორც ეს გუბერნია: ჩრდილოეთით ყაზბეგის გასასვლელთან ველური მთები; ჩრდილო-აღმოსავლეთით ალაზნის დალოცვილი ველი, კახეთის მთავარი ღვინის ქვეყანა; აღმოსავლეთით უდაბური სტეპები; შუაში – რომანტიული ქართლი (გრუზია); დაბოლოს, ერთგვაროვანი მაღალი ზეგანი თურქულ საზღვრებთან. ქვეყნის დედაქალაქი – ტფილისი – მხარის ცენტრში მდებარეობს, სწრაფი მტკვრის ნაპირზე, ამჟამად, 100 000 მაცხოვრებლით.

6. ქუთაისის გუბერნია მოიცავს რიონისა და ენგურის მთელ აუზებს და მის 374 კვადრატული მილის ფართობზე ცხოვრობს 650 000 მოსახლე; ის შედარებით უფროა დასახლებული. ლანდშაფტის თვალსაზრისით უმშვენიერესია – დაბლობები დიდად ნაყოფიერი; მთები მთავარ ქედამდე ხშირი ტყეებით დაფარული, რაც შედეგია შავი ზღვიდან მონაბერი ნესტიანი ქარებისა. უდავოა, რომ ქვეყნის არც ერთ მხარეს არ ექნება უკეთესი მომავალი, როგორც ამას: უკვე ამჟამად მთელ ამ მხარეზე გადის რკინიგზა [8], რომელიც, როგორც ჩანს, მოწოდებულია იყოს შავი ზღვისთვის ხე-ტყისა და მარცვლეულის ბეღელი. მხოლოდ ორი ნაკლი აფერხებს მას: მოსახლეობის გულგრილობა და ევროპელთათვის საშიში ციებიანი ჰავა; თუმცა ორივე არც თუ გადაულახავი დაბრკოლებაა.

7–8. მთავარი ქედიდან შავ ზღვამდე სამხრეთით დაშვებულ კალთებზე დღესაც არის ორი პატარა, სამხედრო ძალით დაპყრობილი მხარე: სუხუმ-კალეს დისტრიქტი მდინარე ენგურიდან დასავლეთით ბიჭვინთამდე, უკავია 133 კვადრატული მილი 66 000 მცხოვრებით და ჩერნომორის, რომელსაც უკავია დანარჩენი ზღვის-

პირა ზოლი [დასავლეთით] და არცთუ ისე დასახლებულია.

9. *ერევნის გუბერნია* მოიცავს არაქსის აუზის რუსეთის კუთვნილ ნაწილს თურქეთისა და სპარსეთის საზღვრებამდე დასავლეთით და სამხრეთით; ზოლი გოქჩას ტბიდან ქალაქ ორდუბატამდე არაქსზე აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით; ჩრდილოეთით კი ვრცელდება ტფილისის გუბერნიამდე. მას უკავია 498 კვადრატული მილის ფართობი 436 000 მაცხოვრებელით. ესაა მეტწილად დაუსახლებელი მთიანი ზეგანი, წყლის სიახლოვეს კი ნაყოფიერი. თვით ქალაქი *ერევანი* საკმაოდ უმნიშვნელოა.

10. *ელიზავეტპოლის გუბერნია* მდებარეობს ერევნისა და ტფილისის გუბერნიების აღმოსავლეთით; ჩრდილოეთით ესაზღვრება მთავარი ქედის მოკლე მონაკვეთს; სამხრეთით სასაზღვრო მდინარე არაქსით სპარსეთს, ხოლო აღმოსავლეთით ბაქოს გუბერნიიდან გამოჰყოფს ზოლი, რომელიც იწყება ქალაქებს ნუხასა და შემახას შორის და მიემართება სამხრეთისაკენ. დაბლობის 801 კვადრატული მილის ფართობზე ცხოვრობს 503 000 მოსახლე. მთავარი ქალაქი რომელსაც ადრე განჯა ერქვა, უმნიშვნელოა, სამაგიეროდ, ქალაქი *ნუხა* არის კავკასიის მებარეშუმეობის ცენტრი და აღმავლობის გზაზეა. ეს გუბერნია ტფილისის მსგავსად იგივე წინააღმდეგობების შემცველია – დაბლობზე უკაცრიელი სტეპები და უხვწყლიანი და კარგად მოშენებული ხეობები მთებში.

11. *ბაქოს გუბერნია* (702 კვადრატულ მილზე 486 000 მაცხოვრებით) აღწევს დაღესტნის საზღვრებიდან და წინა გუბერნიებიდან კასპიის ზღვამდე. მას თავის დედაქალაქში აქვს ერთადერთი კარგი ბუნებრივი ნავსადგური კასპიის ზღვაზე. მეორე ქალაქი *შემახა*, სამწუხაროდ პერიოდული მინისძვრებისგან დანგრეული, წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან ინდუსტრიულ პუნქტს. გუბერნიის ცენტრში უკაცრიელი სტეპებია, სამაგიეროდ როგორც ჩრდილოეთით მდებარე მხარე ყუბა და მთელი კავკასიის სამხრეთის ბოლოში *ლენქორანის* მხარე, ნაყო-

ფიერია და ტყეებით მდიდარი.

კომუნიკაციების განვითარება კავკასიაში უნდა უმაღლოდეს ახალ დროებას; რუსულმა მთავრობამ დაავალდებულა სალდათების ბატალიონები გზის ყოველი მილის შეცვლა; მათი მუყაითი შრომით კავკასია დაიფარა გზათა ბადებით და იმას მიაღწიეს, რომ ამჟამად ყოველ ქალაქში არის ფოსტა. მნიშვნელოვანი შედეგი, როცა გაიხსენებ, რომ აღმოსავლეთმა არაფერი იცოდა, გარდა საქარავნო გზებისა; ეს ნიშნავს გზებს, რომელზეც საუკუნეები ხდებოდა მიმოსვლა, ისე რომ ქვაც კი არ გადაუადგილებიათ გზიდან. გზები შეიძლება ყველა არ იყოს ე. წ. შოსე, მაგრამ ისეთ მდგომარეობაშია, რომ წლის კარგ პერიოდში იოლად სამოგზაუროა, ხოლო ცუდი დარის პირობებში შესაძლებელი მაინცაა. ახლა მოგანვდით არსებული გზების მოკლე მიმოხილვას: 1) ესაა დიდი შარაგზა აზოვის ზღვიდან ტფილისისკენ; ის მოდის აზოვის ზღვაზე მდებარე როსტოვიდან, კვეთს სტეპს და სტავროპოლის, გეორგიევსკისა და მოზდოკის გავლით აღწევს ქედის ძირს მნიშვნელოვან ჩამკეც პუნქტს – ვლადიკავკაზს („კავკასიის დამპყრობი“). მანამდე სტავროპოლიდან არის განშტოებები ეკატერინოდარისკენ, ცნობილი კურორტების პიატიგორსკისა და კისლოვოდსკისკენ და ნალჩიკის სიმაგრემდე. ვლადიკავკაზიდან გზას ოფიციალურად ეწოდება „საქართველოს სამხედრო გზა“; აქედან ის შედის თერგის ვიწრო კლდოვან ხეობაში, დიდი აღმართით ადის დარიალის საშინელ ხეობაში და კობისა და მლეთის სადგურებს შორის გადადის მთავარ ქედზე 7977 ფუტის სიმაღლეზე. შემდეგ მიუყვება არაგვის ხეობას მცხეთამდე და ტფილისამდე რამდენიმე მილზე შედის მტკვრის ხეობაში. მთლიანი გზის პირველი ნახევარი სტეპებზე გადის, რის გამო მის შოსირებაზე ნაკლებ ფიქრობენ, ვიდრე მშენებარე რკინიგზაზე როსტოვიდან ვლადიკავკაზამდე; ამის საპირისპიროდ მეორე ნახევარი – უკანასკნელი მთიანი გზა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მხოლოდ მცირედ ჩამოუვარდება შვეიცარიის ალპების გზებს. 2) გზა შავი ზღვიდან ტფილისისკენ. ის იწყება მარანთან (ორპირთან) რიონზე

(აქამდე ფოთიდან ამოდიან მდინარის მცირე ორთქლის გემები), გაუვლის ქუთაისს ყვირილას სადგურამდე და ბელოგორიესა და სურამს შორის კვეთს სურამის უღელტეხილს 3627 ფუტის სიმაღლეზე. შემდგომ ის მიუყვება მტკვრის მარცხენა ნაპირს გორის გავლით მცხეთამდე, სადაც ის უერთდება „საქართველოს სამხედრო გზას“. ამ გზის ოფიციალური სახელწოდებაა „იმერეთის სამხედრო გზა“. მისი მდგომარეობაც საკმაოდ კარგია, მაგრამ მისმა დრომ ჩაიარა, რადგან ამავე მიმართულებით ამოძრავდნ რკინიგზა. 3) გზა ბაქოდან ტფილისისკენ. ის მიემართება კასპიის ზღვიდან ინდუსტრიულ ქალაქ შემახამდე; იქიდან ის გადის ხან სტეპებზე, ხან დაბალი გორაკების თხემებზე, გაუვლის ნუხასა და ზაქათალას და სიღნაღით ჩადის ტფილისში. 4) გზა ტფილისიდან სპარსეთისკენ ჯერ მიემართება დაღმა მტკვრის ხეობაში, შემდეგ უხვევს სამხრეთით აღსტაფას რომანტიულ ხეობაში, მის ბოლოში გადადის 7124 ფუტი სიმაღლის ბამბაკის უღელტეხილს („ვირის ზურგად“ წოდებულს) და აღწევს უშუალოდ მის ქვემოთ ზღვის დონიდან 6340 ფუტზე მდებარე გოქჩას ტბას. აქედან ერევანზე გავლით ჩადის არაქსის დაბლობზე, გაივლის ნახიჭევანს სპარსულ სასაზღვრო პუნქტ ჯულფამდე. ამ გზის ვაკე ნაწილი არაა საუკეთესო მდგომარეობაში, მაგრამ მონაკვეთი აღსტაფას ხეობიდან ერევანამდე ახლახან იქნა შოსირებული; 1872 წლის შემოდგომაზე დარჩენილი იყო მხოლოდ ნაწილი ელენოვკადან ტბაზე ერევნამდე.

ეს ოთხი დიდი მარშრუტი არის ძირითადი საყრდენი, რომელზეც ძვეს მთელი დღევანდელი გზების ბადე. პირველი ორი უმთავრესად მართავენ რუსეთის შიგნითკენ მიმოსვლას, დანარჩენები სპარსეთთან და კასპიის ზღვის აღმოსავლეთის ქვეყნებთან. შემაერთებული გზები შემდეგია: 5) „საქართველოსა“ და „იმერეთის სამხედრო გზებს“ შორის – უკვე ნახსენები სტავროპოლიდან ეკატერინოდარისკენ ყუბანზე სამხრეთი განშტოებით მაიკოპის სიმაგრისკენ; ასევე გზა ეკატერინოდარიდან აზოვის ზღვაზე მდებარე ეისკამდე და ტემრიუკის გავლით ტამანისკენ

და ნოვოროსიისკისკენ შავ ზღვაზე. 6) „იმერეთის“ და ერევნის გზებს შორის არის გვერდითი შტოები კოლხეთის დაბლობზე ზუგდიდისკენ სამეგრელოში და ოზურგეთისკენ გურიაში; შემდეგ სურამიდან ბორჯომისა და ახალციხის (აქ ახლოა კურორტი აბასთუმანი) გავლით ახალქალაქამდე; ასევე, დილიჯანიდან აღსტაფას ხეობაში ალექსანდროპოლისკენ, ახტიდან სააგარაკო დარაჩინახამდე; ერევნიდან სომეხთა პატრიარქის რეზიდენცია ერმიადინამდე და სასაზღვრო პუნქტ ჯულფადან ორდუბატამდე. 7) ერევნისა და ბაქოსკენ გზებს შორის განშტოებებია აღსტაფინსკიდან ელიზავეტპოლის (განჯის) გავლით შუმასკენ ყარაბაღში, ხოლო იქიდან მთების გადავლით ნახჭევანისკენ (ბოლო მონაკვეთი 1872 წელს ჯერ არ იყო დასრულებული), ან შემახადან სამხრეთით სტეპებით სალიანზე გავლით *ლენქორანისკენ* კასპის ზღვაზე. ელიზავეტპოლსა და ბაქოს ხაზს შორის *ნუხასთან* არის განშტოება, რომელსაც ალაზნის (კახეთშია) ხეობიდან ზევით მივყავართ პუნქტ *ახმეტამდე*. აქვე უნდა ვახსენოთ მოკლე მონაკვეთი ტფილისიდან აგარაკ კოჯორამდე და *თეთრი წყაროსკენ*. 8) *საქართველოსა და ბაქოს გზების* კავშირებს აქვს უფრო ფართო მნიშვნელობა, ვიდრე ცალკეულს. ეს ხაზებია: ასტრახანიდან ყიზლარის, თემირხანშურას, დარუბანდის და ყუბის გავლით ბაქოსკენ; აქედან არის გადახვევა შოლკოზავოდსკაიადან (ყიზლარის სამხრეთით) მოზდოკისკენ და მეორე აქედან გროზნიას გავლით ვლადიკავკაზისკენ, ისევე როგორც მოკლე მონაკვეთი ტემირხანშურადან ნავსადგურ *პეტროვსკამდე*. ამ კავშირების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის, ერთი მხრივ, მოზდოკზე გავლით ხელს უწყობს აზოვის ზღვიდან კასპის ზღვამდე პირდაპირ ხაზს; მეორე მხრივ, გროზნიასა და ვლადიკავკაზზე გავლით მოკლე გზას ტფილისიდან ბაქომდე. ამით ის წარმოადგენს ვოლგაზე მდებარე მხარეებთან მიმოსვლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეს. სხვა გზებზე საფოსტო მიმოსვლა არ წარმოებს...

ნაოსნობა ქვეყნის მდინარეებზე თითქმის ნულის ტოლია.

რიონზე ის სავსებით შეწყდა რკინიგზის გაყვანის მერე, ხოლო მტკვარზე მხოლოდ მის ქვემო დინებაზე გვხვდება პატარა საფრახტო (გადამზიდი) ნაგებობები... ახალ დროებაში მნიშვნელოვანია მიმოსვლა ორივე ზღვაზე, რომელთა შორისაც არის კავკასია მოქცეული. შავ ზღვაზე ნაოსნობა ფოთშია თავმოყრილი, მიუხედავად დიდი უხერხულობებისა, რასაც იწვევს ნავსადგურის ცუდი თავისებურებანი. ორთქლის გემები ზაფხულობით დაცურავენ კვირაში ერთხელ, ზამთრობით ორ კვირაში ერთხელ სუხუმ-კალეს გავლით ქერჩისა და ოდესისკენ და ბათუმის გავლით ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლისკენ. ამას გარდა საკმაოდ გაცხოველებულია იალქნიანი გემების ცურვა. კასპიის ზღვაზე ზაფხულობით ორი ორთქლის გემი კვირაში ერთხელ დაცურავს ასტრახანიდან პეტროვსკზე გავლით ბაქოსკენ და ერთი გემი იქიდან სპარსეთისკენ; ზამთრობით ზღვის ჩრდილოეთ ნახევარში მიმოსვლა მთლიანად შეუძლებელია.

უკვე ორი წელია, რაც კავკასიაში **რკინიგზაა**. 1867 წელს ფოთი-ტფილისის გზის გაყვანა იქნა ნებადართული (კონცესირებული). 1871 წელს გაიყვანეს პირველი მონაკვეთი – ფოთიდან სურამის ქედის ძირამდე; 1872 წელს გადაეცა სამოძრაოდ დანარჩენი ნაწილიც. მშენებლობისას ყოველნაირი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ: ფოთიდან ჯერ 4 მილი გასაყვანი იყო ჭაობიან ტყეზე, სადაც ციებიანი ანაორთქლით ასობით მუშა ზინდებოდა; შემდეგ სწრაფ მდინარეებზე ხიდები იყო გასადები; დაბოლოს, ქედი იყო გადასალახავი, რომლის დაძლევაც ევროპისთვის გაუგონარი სიმაღლის დაპყრობა იქნებოდა საჭირო, თუკი უარს იტყოდნენ ძალზე ძვირადღირებული გვირაბის გაჭრაზე. მაგრამ დაბრკოლებები დაძლეულ იქნა და რკინიგზას, დიდი ხარჯების მიუხედავად, შეუძლია დამაკმაყოფილებლად იმოქმედოს. მეორე ხაზი როსტოვიდან ვლადიკავკაზამდე გაყვანის ეტაპზეა. მთავრობას გადანყვეტილი აქვს კასპიის ზღვაზე მდებარე პეტროვსკამდე გაგრძელდეს და მთავარი ხაზი მნიშვნელოვნად გაზრდის ტვირთბრუნვას, რადგან კასპიის სანაპირ-

ოს ქვეყნები (მხარეები) მთელი წლის მანძილზე იმოძრავენ; მაშინ როცა ვოლგა წლის ნახევარი გამოუყენებელია. სამომავლო განსახილველ გეგმაში შეტანილია პეტროვსკი-ბაქო-სპარსეთის ხაზი, რომელსაც შეუერთდება ტფილისი-ბაქოს ხაზი და თვალშისაცემი რკინიგზა ვლადიკავკაზიდან ყაზბეგის უღელტეხილზე გადავლით ტფილისამდე, რომელთა მთავარი არენდატორია **ბარონი როიტერი**. პირველი ორი გზა ადვილი გასაყვანია, თუმცა ნაკლებ რენტაბელური, უკანასკნელი კი ალბათ ძალზე დიდ ხარჯებს მოითხოვს. გასავლელი იქნებოდა *ლარს-ყაზბეგ* შორის არსებული ვიწრო ხეობა თავისი მიხვეულ-მოხვეულობით, ხოლო შემდეგ 2000 ფუტის სხვაობა სიმაღლეთა შორის; გვირახს უღელტეხილს ქვემოთ დასჭირდებოდა 8 ვერსი. ცხადია ეს პროექტი დიდხანს დარჩება პროექტად. ასევე გაზეთებში გამოჩნდა ცნობა ტფილისი-ერევან-თავრიზის გზის კონცესირების შესახებ. მაგრამ ერევნისკენ გზის გაყვანა წარმოუდგენელია გზის სირთულისა და უზარმაზარი ხარჯების გამო, რასაც მიმოსვლა ძნელად აანაზღაურებდა. საჭირო იქნებოდა *ხრამისა* და მისი შენაკადების ხეობათა დაძლევა და ყარაქილისამდე დიდი გვირაბების გაჭრა.

კავკასიის ხალხები იმსახურებენ შესწავლას. ევროპელი მიჩვეულია, რომ ყველაფერი, რასაც კავკასიელი ან ჩერქეზი ჰქვია, წარმოიდგინოს როგორც მშვენიერი, რაინდული ხალხი, რომლის მამაკაცები აღსავსენი არიან რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ მგზნებარე ზიზლით და მხოლოდ შინაგანად უხალისოდ მოიხარეს ქედი ამ უღლის ქვეშ; მაშინ როცა ქალები – იდეალური სილამაზისა, რათა გაექცნენ საძულველ უცხო ბატონობას, თურქთა ჰარემებში წაყვანაზე ნებდებიან. უმადურობა იქნებოდა ასეთი პოეტური წარმოდგენის შეწყვეტა, მაგრამ, თუ სინამდვილეს ვუერთგულებ, უნდა ვაღიარო, რომ ეს იდეალი არ არსებობდა და დღესაც ნაკლებადაა. პირველ რიგში სრულიად მცდარია, რომ ჩერქეზები, ქართველები, კავკასიელები და სხვანი ერთ ქვაბში ჩაყვართ. ამასთან, კავკასიაში ვაკის მოსახლეობა სულ ცოტა ოთხ ერთმანეთისგან განსხვავებულ ჯგუფად იყოფიან, ხოლო

მთის მოსახლეობის შტოთა რაოდენობა ურიცხვია, რომლებიც ხშირად ერთმანეთთან არავითარ კავშირში არ არიან. კავკასიის ეთნოგრაფიული აღწერა უნდა იფარგლებოდეს ცალკეული ტიპების შესწავლით, რადგან ერთიანი ხასიათი არ არსებობს. თუ საფუძვლად ბუნებრივ პირობებს ავიღებთ, შეიძლება დავყოთ მთის ხალხებად და ვაკე-დაბლობების მაცხოვრებლებად. მესამე ელემენტად გამოდიან ქვეყნის დამპყრობი რუსები და მათთან ერთად შემოსული კოლონისტები და უცხოელები.

დაბლობში მცხოვრებ კავკასიის უძველეს კულტურულ ელემენტად არიან **ქართველური** (ქართლური – Kartalinische) **მოდგმის ხალხები**, ძველი იბერების შთამომავლები, რომლებიც საერთო, თუმცა ძალზე განსხვავებულ ენაზე „ქართულზე“ ლაპარაკობენ. შუა საუკუნეებში ისინი იყვნენ უშუალო ბატონები რიონისა და მტკვრის ზემო მხარეების ალაზნის შეერთებამდე. ეს შტოები არიან: 1) *ქართველები* (გრუზიერ“ ან „გრუზინერ“-ები, ევროპელების მიერ „გეორგიერ“-ად წოდებული). თავის თავს უწოდებენ „ქართლი“-ს და სახლობენ სურამის ქედიდან აღმოსავლეთით, მთავარ ქედსა და არაქსის წყალგამყოფს შორის, ზაქათალას მთებამდე. 2) *იმერლები* სახლობენ სურამის ქედიდან დასავლეთით მდინარე ცხენისწყლამდე. 3) *მეგრელები* სახლობენ ამ მდინარის, რიონის, ენგურისა და შავ ზღვას შორის. 4) *გურულები* – რიონსა და თურქეთის საზღვრებს შორის. ამათ ახლო ენათესავებიან თურქეთში მცხოვრები მეზობელი ხალხი – ლაზები. 5) ასევე ქართულ მოდგმას ეკუთვნიან მთაში მოსახლე *სვანები* (ინგურისა და ცხენისწყლის ზემო მხარეში), *თუშები*, *ფშავები* და *ხევსურები* ალაზნისა და იორის სათავეებთან... ადრე შუასაუკუნეებში ამათ ყველას ჰქონდათ ერთიანი ძლიერი სახელმწიფო, რომლის მეფის რეზიდენცია იყო მცხეთა ტფილისის ახლოს. მაგრამ სპარსელებთან და თურქებთან ომებით დაშლილ-დასუსტებული ამ საუკუნის დასაწყისში ქართლის, კახეთის და იმერეთის უკანასკნელმა მეფემ [9] ბაგრატიონთა უძველესი გვარიდან, ნებაყოფლობით აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობა; ამის შემდეგ

იგივე ჩაიდინეს სამეგრელოსა და გურიის მთავრებმა [10]. ამჟამად, ეს 900 000 მართლმადიდებელი სრულად ემორჩილება რუსულ კვერთხს; აღარ წუხან ადრინდელ დამოუკიდებლობაზე, როცა ყოველი თურქი სულთანი და სპარსელი შაჰი სურვილისამებრ ომით თავს ესხმოდა, სოფლებს გადაუწვავდა, მათ კაცებს მონად აქცევდნენ, ქალები კი ჰარემებში მიჰყავდათ. საერთოდ მათი ხასიათი ისევ შუასაუკუნეებრივია: აზნაური იყო რაინდული, თუმცა გაუნათლებელი და შრომის უუნარო; მდაბიო, რომელიც მძიმე ყმობაში ცხოვრობდა, იყო ზარმაცი და მატყუარა. ამჟამად ამ ფენებმა დაიწყეს გამოსწორება: აზნაურმა დაიწყო სწავლა; მდაბიომ, შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, – შრომა. მათი გამორჩეული თვისებაა ღვინისადმი სიყვარული. მაგრამ, რადგან დიდ რაოდენობას იტანენ, ამისთვის მკაცრად არ საყვედურობენ. ასევე ბევრს მღერიან, თუმცა არცთუ მშვენივრად. მათი ენა ჟღერს მკვეთრად, თუმცა ასევე უხეშად; სახელდობრ, ამაში როლი მიუძღვით „ნყ“ და „ჟყ“-ს. სამწერლობო ენა ქართული დიალექტისაა. ანბანი რომ წმ. *მესროპმა* მე-6 საუკუნეში შეადგინა [11], ამას ორი ფაზა გვიჩვენებს: ძველ საეკლესიო ანბანს – ხუცურს აქვს ლაპიდარული, ძველსომხური ასოების მსგავსება; ის ახლაც იხმარება საეკლესიო მიზნებით. ამის საპირისპიროდ დღევანდელი დამწერლობა – *მხედრული*, არის ლამაზი, გრაციოზული ხვეულებით. ცალკეული შტოების ჩაცმულობა განსხვავებულია; თუ წარჩინებულებს არ აცვიათ ევროპული კოსტუმები, თითქმის საერთოა ე. წ. ჩერქეზული სამოსი.

მეორე მთავარ ჯგუფს შეადგენენ **თურქულ-თათრული მოდგმის ხალხები**. ისინი არსად ცხოვრობენ ისე ჩაკეტილად ერთად, როგორც ქართველები (Kartaliner), არამედ მთელ კავკასიაში არიან გაფანტული. მათი კრებითი სახელია *თათრები*. უბრალო რუსი, და კერძოდ, სალდათები ასე უწოდებენ ყველას, ვინც არაქრისტიანია, რის გამოც ცხადია სხვაობა ხშირად გაუგებარია. მათი ძირითადი მხარეებია მტკვრის და არაქსის დაბლობები; ამას გარდა ისინი ცხოვრობენ ტფილისის გუბერნიის აღმოსავ-

ლეთ ნაწილში ქართველებთან შერევით და ერევნის გუბერნიასა და ყარაბაღში (ელიზავეტპოლის გუბერნიის სამხრეთი ნაწილია) სომხებთან ერთად. მათ ეკუთვნიან მომთაბარული შტოები სტეპებში კასპიის ზღვიდან ვლადიკავკაზამდე და მრავალრიცხოვანი კოლონიები (დასახლებები) დალესტინის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თვით იალბუზთან ხეობებში ცხოვრობს მათი ერთი შტო. მათი საერთო რაოდენობა მომთაბარეთა ჩათვლით შეადგენს 1 000 000-ს. მათი ენა ძალიან ენათესავება თურქულს და ეკუთვნის ე. წ. აღმოსავლურ-თურქულ შტოს. ის გაცილებით უხეშად ჟღერს, ვიდრე ელევანტური ოსმალური (Osmanli) და თითქმის მთელ კავკასიაში გაეგებათ. მათი ჩაცმულობა მცირე განსხვავებით სპარსულია; მხოლოდ თურქეთის საზღვართან ახალციხეში დადიან მეტწილად თურქულად ჩაცმულნი. ხალხის ქვედა ფენებს ახასიათებთ თურქული რასის უპირატესობანი: გამძლეობა, თავშეკავებულობა და სანდოობა; მაღალ ფენებს, მიუხედავად სპარსელთა ხანგრძლივი ბატონობისა, მათზე სასიკეთოდ არ უმოქმედიათ, თუმცა მათში მაინც არის ნამდვილად კარგი ელემენტი.

სომხებს, 600 000-მდე სულს, ზემოდასახლებულ ხალხთა მსგავსად, არ აქვთ განსაკუთრებული ადგილი ქვეყანაში; ისინი თითქმის ყველგან არიან. მათთან დაყოფა გლეხობასა და დანარჩენ ხალხს შორის უფრო ძლიერია, ვიდრე თათრებში. ერევნისა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში თათრებთან შერეულად მცხოვრები გლეხები ამათგან გარეგნულად არ განსხვავდებიან და თვისებებითაც ცოტათი; სამაგიეროდ, ქალაქელი სომეხი მთლად სხვა კატეგორიაა. ის არის უპირატესად ვაჭარი. არ არის ქვეყანაში სოფელი, სადაც ერთი ან რამდენიმე სომეხი იმავე როლს არ ასრულებდნენ, რასაც ებრაელი აღმოსავლეთ გერმანიასა და პოლონეთში. ცბიერი, მოქნილი, ჯიუტი, ის არც თუ იშვიათად ნაკლებ პატიოსანი გზით ხელთ იგდებს მთელ გარიგებებს (სავაჭრო ოპერაციებს) და ერთდროულად ხდება იმ პუნქტის ბანკირი და ტირანი. აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ მათ შორის არ არიან

საკმაოდ პატივსაცემი ელემენტები, რომელთა ინტელიგენტობას და საქმეებს ქვეყანა წარმატებისკენ მიჰყავთ. სომხურ ენას აქვს მდიდარი ლიტერატურა და საკუთარი ანბანი, რომელშიც ქართულის მსგავსად ორი ტიპია – ძველი ეკლესიური და თანამედროვე. აგრეთვე, თანამედროვე ენა საეკლესიო ენისგან საკმაოდ დამორეზულია. ამ ენის შესახებ მყარად ითქმება, რომ ის ინდოევროპულ ჯგუფს ეკუთვნის. ის ჟღერს ძალიან უხეშად და შესასწავლად ძნელი უნდა იყოს. მოგზაურისთვის ის სავსებით არაა საჭირო, რადგან ყველა სომეხს, გლეხსაც კი ესმის თურქული და უფრო მეტად რუსული. ერთი ფაქტი გამოარჩევს სომეხს: მიუხედავად იმისა, რომ ხალხი მუდამ ახალი დამპყრობლის მიერ იტანჯებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ერთი ნაწილი ყველა მიმართულებითაა გაფანტული, მიუხედავად იმისა, რომ სომეხების დიდი ნაწილი თურქეთის ბატონობაში ცხოვრობს, არც ერთ სომეხს არ უარყვია მათი წინაპრების მიერ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში აღიარებული ქრისტიანული სარწმუნოება.

მთის მოსახლეობა სხვადასხვა მოდგმათა, სხვადასხვა ენათა და განსხვავებულ ჩვეულებათა ისეთ ჭრელ კონგლომერატს წარმოადგენს, რომ კავკასიის სტუმარი თავდაპირველად იმაზე დაფიქრდება, ამ ქაოსს დროულად როგორ შეეგუოს. ყველა სახის ასეთი ღრმა სხვაობის გამო, ამ ხალხის სისტემატიზირებული კლასიფიკაცია შეუძლებელია; ამიტომ მე შემოვიფარგლები მათ შორის გამორჩეულის მოკლე აღწერით. მიმოხილვა ძალზე გაიოლდება, თუ გამოვყოფთ სამ ჯგუფს – დასავლეთის, ცენტრალურს და აღმოსავლეთისას. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ რუსები კავკასიური ომების შესახებ მოხსენებისას ხშირად ხმარობენ აღნიშვნებს – მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს (ფრთებს) პეტერბურგის პოზიციების მიხედვით; მარჯვენა ფრთაში იგულისხმებიან დასავლური შტოები, ხოლო მარცხენაში ჩეჩნეთი და დაღესტანი. ყველა მთიელთა საერთო ჯამი 1865 წელს ითვლიდა 900 000 სულს, სანამ ჩერქეზთა გადასახლებამ ქვეყანას მნიშვნელოვანი ძალა არ გამოაცალა.

1) მთის ხალხების დასავლეთის ჯგუფი მოიცავს იმ შტოებს, რომლებიც ცხოვრობენ კავკასიონის სამხრეთ მხარეზე იალბუ-ზამდე და მის ჩრდილოეთ მხარეზე წინას აღმოსავლეთით ვლადიკავკაზის მიდამომდამდე. აქ პირველ ყოვლისა ვხედავთ **ადილე**-ს, რომელსაც რუსები უწოდებენ **ჩერქეზებს**. თუმცა ეს სახელი არის გამაერთიანებელი დიდი რაოდენობის პატარა და უმცირესი შტოებისა, როგორებიცაა *ჯიქები, უბიხები, შაფსულები, ნატუხაელები* და სხვა, რომლებსაც არაფერი არ აკავშირებთ, აქვთ განსხვავებული ენა და ტრადიციები და მუდმივად მტრობენ ერთმანეთს. წარსულში მათ ეკავათ მთები ტამანიდან ბიჭვინთის მთებამდე და ჩრდილოეთის მთისწინეთი ყუბანს ზემომდე. მათ დამორჩილებას წინ უძღოდა მრავალი ბრძოლა ცალკეული შტოების წინააღმდეგ; მათი გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ თითქმის არასდროს შემდგარა. მათი საბოლოო დამორჩილება მოხდა 1864 წელს, მაგრამ ამ დროიდან დაიწყო შეუჩერებელი გადასახლება თურქეთისკენ და 400 000-მა ჩერქეზმა მიატოვა სამშობლო, რომელიც ახლა მეტწილად უკაცრიელია. მათი ტრადიციები ძალზე განსხვავებულადაა აღწერილი: მაშინ როცა ერთნი მათ თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირებად ხატავენ, მეორენი ხაზს უსვამენ მათ დიდ ლტოლვას ახლობლების ქონებისადმი. უცილობლად ჩანს, რომ ესენი ყაჩაღობის დიდ სურვილს უკავშირებენ მათს შუასაუკუნეების რაინდობას და ერთგულებას.

სხვა ხალხი, რომლებიც ჩერქეზებს სულიერად ენათესავენ ბიან, არიან ზარმაცებად და არასანდობით დახასიათებული **აფხაზები**, რომლებიც ცხოვრობენ ნებელდაში და ზღვის ზოლზე ბიჭვინთასა და ენგურს შორის. მათ აღმოსავლეთ ნახევარს ჰქვია **სამურზაყანო**. ისინი არ შეერთებიათ გადასახლებას და ქრისტიანები უნდა იყვნენ [12]. [აქ იგულისხმება მუჰაჯირობა, რომელიც ქართველებს არ შეხებია – გ. გ.] თუმცა მთის ხალხებში ეკლესიებისა და მღვდლების არსებობა არაა ყოველთვის იმის დამადასტურებელი, რომ ხალხი ნამდვილად ქრისტიანია.

ქედის ჩრდილოეთით, ყუბანის და კუმას ზემო დინებაზე

ცხოვრობენ **ყაბარდოელები**. მათ ქვეყანას ჰქვია **ყაბარდო**, ხოლო მის ნაწილს, რომელიც ვრცელდება აღმოსავლეთით – თერგისკენ და ვლადიკავკაზამდე, უწოდებენ **მცირე ყაბარდოს**. ხალხი, რომელიც ადრე შუასაუკუნეებში იყო ქრისტიანი, მოგვიანებით გადავიდნენ ისლამზე, დღემდე ითვლებიან ყველაზე რაინდულად. მათი ტრადიციები კავკასიელთა დიდი ნაწილისთვის მიმბაძველია (განმსაზღვრელი), ხოლო მათი ტანსაცმელი თითქმის მთელმა ქვეყანამ გადაიღო, თვით მათმა მეზობელმა ყუბანისა და თერგის კაზაკებმა. ყაბარდოელები რუსებთან მეტწილად თანხმობაში ცხოვრობენ და **შამილის [13]** ცდა, ჩაეთრიათ ყაბარდო საღვთო ომში ურწმუნოთა წინააღმდეგ, უშედეგოდ დასრულდა. გარდა ზემოდასახელებული შტოებისა, მთავარი ქედის ჩრდილოეთის ფერდის ხეობებში, იალბუზსა და ადაი-ხოხს შორის, ცხოვრობენ **თათრები**. ამის საპირისპიროდ, ზემონახსენები **სვანები**, სამეგრელოს მთებში მცხოვრები **ლეჩხუმელები** და იმერეთის მთებში მოსახლე **რაჭველები** ეკუთვნიან ქართულ მოდგმას და არა ჩვეულებრივ მთიელებისას [წრდილო კავკასიელები – გ. გ.].

2) **ცენტრალურ ჯგუფს** წარმოადგენს ერთადერთი ხალხი – **ოსები**. მართალია ისინი არ არიან განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი, მაგრამ დიდი ხანია, რაც არიან შესწავლის საგანი, რადგან ესაა ერთადერთი ხალხი, რომელთა არიული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. მათი ენა საშუალებას არსულისა, ხოლო ჩვევები ხშირად გასაოცრად გვახსენებენ ძველგერმანულს; ასევე ხარშავენ ყოვლად მისაღებ ლუდს. მათი ტერიტორია ვრცელდება მთავარ ქედზე ადაი-ხოხიდან ცოტა ზემოთ ყაზბეგის გასასვლელამდე [14]. რაც შეეხება რელიგიას, ნაწილი მაჰმადიანია, ნაწილი ქრისტიანი, ასევე, კერპთაყვანისმცემელებიც უნდა იყვნენ მათ შორის. ყაბარდოელთა მსგავსად, რუსებთან კარგი ურთიერთობა აქვთ, რაც შამილთან ომისას რუსთათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან ოსების ქვეყანაზე გადიოდა ბაქოსი და ტამანის ერთადერთი დამაკავშირებელი საქართველოს სამხედრო გზა.

3) **აღმოსავლეთის ჯგუფი** მთიელი ხალხისა არის, როგორც

ყველაზე მრავალრიცხოვანი, ისე საინტერესო, რადგან აქ 1839–59 წლებში წარმოებდა მწვავე რელიგიური ომი და აქ ბატონობდა შამილი როგორც მოძღვარი, გმირი და ტირანი. ორი ტიპი იოლად განირჩევა აქ – **ჩეჩნები** და **დაღესტნელები**. პირველები ცხოვრობენ **ჩეჩნეთში** კავკასიონის ფერდზე თერგისკენ და ამის ზევით. ისინი იყოფიან მრავალრიცხოვან ცალკეულ შტოებად განსხვავებული ჩვევებით და ენებით. ამ ჯგუფის ერთი ქვეგანაყოფი „**მცირე ჩეჩნეთი**“, რომელიც სახლობს ვლადიკავკაზსა და არღუნს შორის და რომელსაც ეკუთვნიან **ქისტები, ლალაელები** და სხვა, და ჩანს, რომ საკმაოდ განსხვავდებიან სხვებისგან. საყოველთაო აზრი ჩეჩნების შესახებ არ არის სასიკეთო; მათ მიიჩნევენ ქურდებად, დაუნდობლებად და ვერაგებად. მათი ბრძოლების წესები რუსების წინააღმდეგ უმთავრესად იყო ჩასაფრებული თავდასხმები. თუმცა ჩეჩნური ხალხები ისევე ნაკლებ არიან ერთმანეთთან შეკავშირებულები, როგორც ზემოდასახელებული ჩერქეზები; და როცა შამილმა ამათგან ზოგი შტოები ძალითა და სისხლიანი სიმკაცრით თავის დროის ქვეშ შეიყვანა, დანარჩენებმა დაიჭირეს რუსების მხარე, ანდა სულაც მშვიდად ყოფნა ამჯობინეს. **დაღესტნელები**, რა თქმა უნდა, სულიერად ყველა მთიელებზე მაღლა დგანან. მიუხედავად მკაცრი და აუთვისებელი (არაეკონომიური) მთებისა, ისინი ნაწილობრივ მისდევენ წარმოებას (ინდუსტრიას), სამაგალითოდ მოვლილ მინათმოქმედებას, ხოლო ერთი შტო – ლიტერატურასაც კი. მათი წარმოება უმეტესად იფარგლება ფოლადისა და იარაღის დამუშავებით. მიუხედავად საფაბრიკო მონეობილობების არქონისა (სიმწირისა), მათ შეძლეს რუსების წინააღმდეგ ხმარებული ქვემეხების ჩამოსხმა. მათს ზოგიერთ მხარეში დამზადებული ხმლის პირები ძალზე განთქმულია მთელ კავკასიაში. განსაკუთრებული ადგილი ამ მრავალრიცხოვან შტოებს შორის, რომლებიც ჩეჩნებისა და ჩერქეზების მსგავსად, განსხვავებულ ენებსა და ჩვეულებებს ფლობენ, უკავიათ **ავარიელებს**. ისინი ცხოვრობენ დაღესტნის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, ბოთლისა და თემირხანშურას

შორის. მათ აქვთ წიგნიერი ენა, რისთვისაც იყენებენ არაბულ დამწერლობას; ყოველთვის მათგან გამოდიან დიდი წინააღმდეგობების ბელადები. ასევეა ჰამრი, შამილის დაბადების ადგილი, რომელიც მდებარეობს ავარიის მხარში. სამხრეთ დაღესტანისა და მთის ფერდობთა შტოები, რომლებიც ჩადიან ალაზნისა და მტკვრის ხეობებისკენ, გაერთიანებული არიან ერთი საერთო სახელწოდებით – **ლეკები**. ისინი ითვლებიან საიმედო მუყაით მშრომელებად. აღსანიშნავია მცირე შტოების დიდი რაოდენობა დაღესტანში, რომლებიც მცირე სოფლებად, ასევე მცირე ქოხებად ერთად არსებობენ, და ჯერაც თავის საკუთარ ენაზე საუბრობენ, რომელიც არც ერთ მათ მეზობელს არ ესმის. ეს მიუთითებს, რომ ყოფილ მიგრაციას, ალბათ უძველესი დროებიდან, თავისი კვალი დაუტოვებია, მაგრამ მთლად არ გამქრალა. ერთ-ერთი ამ მცირე ხალხთაგან, რომელიც ნუხადან აღმოსავლეთით რამდენიმე სოფელში ცხოვრობს – **უდი (უდები)** დიდხანს აღიზიანებდა ეთნოგრაფებსა და ლინგვისტებს; ერთი ნოვატორი ინგლისელი მეცნიერი, რომელიც საგანგებოდ დაკავებული იყო ამით, თვლის მათ ძველი ეგვიპტელების ნათესავეებად. ის ძალა, რამაც ერთხელ მთელი დაღესტანი ერთი დროშის ქვეშ გააერთიანა, არის *ისლამი*. ალბათ, ცოტაა იმ მაჰმადიანთა რიცხვი, რომლებიც მსგავსად ერთგულებენ თავის რელიგიას, როგორც ეს მთიელები და მხოლოდ ასეთმა ერთგულებამ შეაძლებინა მარჯვე ფანატიკოს შამილს განსხვავებული ელემენტები თავისი ასკეტური ძალაუფლების მოყვარულობისთვის ემსახურებინა. მოგზაურთათვის ეს აშკარა დამოკიდებულება რელიგიაზე ქმნის კეთილისმყოფელ წინააღმდეგობას წარჩინებულთა გულგრილი სკეპტიციზმისადმი და ხშირად ბრბოს არაბუნებრივი ფანატიციზმისადმი სპარსეთსა და თურქეთში. სხვათა შორის, დაღესტნურ შტოებს უქებენ სიმამაცეს და სანდობას, ისევე როგორც პატიოსნებას ქურდული ჩეჩნების საპირისპიროდ. მათი გულითადობა არ საჭიროებს საგანგებოდ მოხსენებას, რადგან მას ხვდები გზებზე ყველგან კავკასიაში.

სხვა მთიელები არიან კიდევ **ფშავეები, თუშები და ხევსურები**, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ ქართველურ შტოებზე საუბრისას. მცირე კავკასიაში არ არიან ნამდვილი მთიელი მოსახლეები; მხოლოდ ალაგოზისა და არარატის ფერდებზე დაეხეტება რამდენიმე ათასი მომთაბარე **ქურთი**, რომელთაგან 80 ოჯახი **იეზიდების** სექტას უნდა მიეკუთვნებოდნენ. ლენქორანის მხარე **სპარსელებითაა** დასახლებული, რომლებიც ლაპარაკობენ სპარსულის **თალიშურ** დიალექტზე და სავარაუდოდ ძველი მიდიელების შთამომავლები არიან. დაბოლოს, კავკასიის ჩრდილოეთით სტეპებში უნდა ვახსენოთ **ნოღაელები**, რომლებიც ან გათათრებული მონღოლები არიან, ან მონღოლური სისხლის თათრები; ნამდვილი მონღოლები არიან **ყალმუხები**, რომლებიც ცხოვრობენ ასტრახანის გუბერნიაში, კავკასიის ქვეყნების სიახლოვეს.

ამჯერად, მივადექით გაბატონებულ ხალხს – *რუსებს*. ამ წიგნის ამოცანა არ გახლავთ მათი საყოველთაო დახასიათება, მაგრამ მოკლედ შევეხებით კავკასიაში მათ ყოფნას. მათი რიცხვი ამ მხარეში ითვლის მილიონს. ისინი იყოფიან სამ კატეგორიად: ოფიცრები და მოხელეები, ხელოსნები და ვაჭრები, გლეხები და კაზაკები. პირველები ყველგან არიან: სოფლებსა და მთებში ნაკლებად, ვიდრე ქალაქებში. ოფიცრები, მოხელეები და უფრო მეტად სალდათები სამსახურს კავკასიაში უყურებენ, როგორც გარდამავალ საფეხურს; ხელოსანი ბრუნდება რუსეთში, როგორც კი საკმარისად გამოიმუშავენს, ხოლო ვაჭარს საქმეს უფუჭებს კონკურენტი სომეხი. რუსი გლეხი იშვიათობაა ამ ქვეყანაში; ისინი არ არიან შეჩვეული მოახალშენეობას. მხოლოდ ორი ჯგუფია, რომლებიც წარმატებით ყვავიან; ესენია ორი სექტა – *მალაკნები* და *დუხობორები*, რომლებიც დეპორტირებულები არიან რუსეთიდან, ქვეყნისთვის სახიფათო შეხედულებების გამო. მათი დასახლებებისა და ტრადიციების შესახებ შემდგომ ქვემოთ გვექნება საუბარი. დაბოლოს, *კაზაკები* იყვნენ პირველი პიონერები რუსეთისა კავკასიაში. ჯერ კიდევ, პეტრე დიდის

დრომდე მრავალმა უკმაყოფილომ მიატოვა მშობლიური მხარე და დასახლდნენ ქედის ჩრდილო საზღვრებისკენ. ისინი მალე აითქვიფნენ მეზობელ მთიელებში, ძირითადად, ქალთა საშუალებით, რომლებიც მათ მოჰყავდათ იმათი თემებიდან; ზოგი მათ ტრადიციებს ეზიარა. ასე მაგალითად, ატარებენ ჩერქეზულ სამოსს. ამჟამად ისინი გაყვეს ორ შეიარაღებულ ძალად – *ყუბანის* და *თერგის კაზაკებად*, რომლებსაც შეუერთეს ძველი, მცირე, დამოუკიდებელი ნაწილები, როგორც იყო სუნჯასა და თერგს შორის მდგომი *გრებენსკელი კაზაკები* და *ჩერნომორელები* (შავი ზღვიდან). თითოეული ამათგანი იყოფა რეგიმენტებად (პოლკებად); ეს უკანასკნელნი კი „სოტნებად“ (ესკადრონებად), რომელიც თავიდან 100 კაცს ითვლიდა, რაც მრავალჯერ ირღვეოდა. ყოველი ნაწილი ცხოვრობს თავის რაიონში. მათი სამსახურის მონესრიგებისა და საოჯახო ურთიერთობების შესახებ ქვემოთ ითქმება. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ ეს ნაწილები გარდაქმნას დაექვემდებარენ, ისევე როგორც დონელი კაზაკები.

ბოლო ელემენტს კავკასიის მოსახლეობისას შეადგენენ **უცხოელები**; მართალია, არ არიან მრავალრიცხოვანი, მაგრამ ქვეყანაზე საკმაო გავლენა მოახდინეს. *გერმანელებს* უკავიათ რამდენიმე კოლონია ტფილისისა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში [15], რომლებიც განთქმული არიან ქვეყანაში თავისი აყვავებული მდგომარეობით; ამას გარდა გერმანელები იმყოფებიან თითქმის ყველა ქალაქში და თანამდებობებზე; მაგალითად, ბ-ნ **სიმენსისა** და **ჰალსკეს** სპილენძის სამთო საწარმო [16] და ბ-ნ **ფონ კუჩენბახის** რძის საწარმოები ტფილისის სამხრეთ-დასავლეთით თათრული დასახლების შუაგულში, ანდა სასტუმროს მეპატრონე ალექსანდროპოლში [17] და მკერავი ბაქოში. *ფრანგები* დიდ ქალაქებში გვხვდებიან როგორც სასტუმროს მფლობელები, დალაქები, შლიაპების მკერავები; ასევე *იტალიელებთან* ერთად ვაჭრობენ აბრეშუმით ნუხასა და შემახაში. *ინგლისელები* წარმოადგენენ რკინიგზისა და მანქანათა ინჟინრებს. *თურქები* და *სპარსელები* ქმნიან დროებითი უცხოელების მძლავრ კონტინგენტს.

თვალში საცემი სტუმარი არის ბაქოს ცეცხლოვანი ტაძრის მქადაგებელი, რომელსაც *სტაროვერების* თემები აგზავნიან ინდოეთში წმ. ადგილებისკენ, რათა არ ჩაქრეს მუდმივი წმ. ცეცხლი. ადგილობრივი ცეცხლთაყვანისმცემლები დიდი ხანია იქ აღარ არიან.

ვფიქრობ ეს მოკლე მითითებები და გადაკრული სიტყვები საკმარისი იქნება შემდგომ წარმოდგენილი ცნობების გასაგებად; მსურს ზოგი ზედაპირული მნიშვნელობის შენიშვნა ჩავუერთო, რაც ეხება შემხვედრი სახელების ორთოგრაფიას. ხშირად უყურადღებოდ ვტოვებ მკაცრ გრამატიკულ წესებს და ვცდილობ ყველა სახელი ისე გადმოვცე, როგორც მესმის. მაგალითად ვწერ „მალაკანებს“ და არა „მოლოკანებს“. მხოლოდ ისეთ სიტყვებს, რომლებიც გერმანელი მკითხველისთვის საკმაოდაა ნაცნობი, აქ ვარღვევ ჩემს გზას და ვწერ „ოდესას“ და არა „ადესას“, „კოზაკს“ და არა „კაზაკს“. ცალკეული, გერმანელებისთვის უცნობი ბგერები შემდეგნაირად გადმოვეცი: მაგარი „s“ - ს-თი, რბილი კი „z-ით, რუსული „იერი“ და თურქული მაგარი „i“ – y-თი, რუსული „უ“ შიშინა „შ“-თი... რაც შეეხება მახვილებს, შევნიშნავ, რომ, როგორც წესი, ყველა ადგილის სახელში ბოლო მარცვალზე მოდის. გამონაკლისია ქართული სახელები და სიტყვები „ი“-ზე, რომლებშიც ბოლოს წინა მარცვალზე მოდის მახვილი (ლუჯი, ლაილაში, ყვარელი), ისევე როგორც საკუთარ სახელებში. სხვა გამონაკლისები (ქუთაისი, ბოთლიხი, სილნალი) აღვნიშნე აქცენტებით.

მცირე კომენტარები

[1] აქ ჩვენ სრულად მოვიტანეთ პირველი თავის შინაარსი, თუმცა წარმოდგენილ სტატიაში ვეხებით მის ნაწილს, დაწყებული მთავარი ქედით.

[2] ჩერქეზთა გადასახლება თურქეთში მოხდა 1864 წელს.

[3] *იუნგფრაუ* არის მწვერვალი ალპებში.

[4] მიხეილ რომანოვი (1832-1909), დიდი მთავარი; ნიკოლოზ

|-ის მეოთხე ვაჟი. გენერალ-ფელდმარშალი, არმიისა და სამხედრო ოლქის სარდალი; კავკასიის მეფისნაცვალი 1862-1881 წლებში.

[5] ბარონი ნიკოლაი, ალექსანდრე პავლეს ძე (1821-1899); 1863 წლიდან სენატორია და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი. ნიკოლაი ბარონთა გვარია, წარმოშობით შვედეთიდან.

[6] დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკი (1825-1899) ინფანტერიის გენერალი; იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. 1876 წლიდან დიდმთავარ მიხეილ რომანოვის თანაშემწე. თავდაზნაურთა გვარის წარმომადგენელია.

[7-13] შამილი (1797-1871) – კავკასიელი მთიელების დამოუკიდებლობისათვის რუსეთის ხელისუფლებასთან ბრძოლის მეთაური 1834-1859 წლებში; მთიელთა იმამი.

[8] ფოთი-თბილისის რკინიგზა საბოლოოდ ამუშავდა 1872 წელს; მისი გაყვანა დაიწყო 1865 წელს.

[9] იგულისხმება ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII ერეკლეს ძე (1798-1800); მისი გარდაცვალების შემდეგ „შეიერთა“ რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო.

[10] სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა რუსეთის მფარველობა აღიარა 1803 წლის ოქტომბერში. გურიის მთავარმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო 1810 წელს.

[11] ცხადია მესროპს ქართული ანბანი არ შეუდგენია. ამ ცნობის მიმწოდებელი, სავარაუდოდ, სომხური წყაროა.

[12] ჩანს, რომ სამურზაყანოს მოსახლეობა ქრისტიანი ქართველებია, რომლებსაც აფხაზთა („აფსუათა“) მუჰაჯირობა არ შეხებია. საინტერესოა აფხაზთა განსახლების არეალი.

[13] იხ. მეშვიდე კომენტარი.

[14] საინტერესოა ოსთა განსახლების არეალი.

[15] ვიურტემბერგელ გერმანელთა გადმოსახლება მოხდა 1818-1819 წლებში ერმოლოვის მმართველობისას.

[16] ვერნერ ფონ სიმენსმა (1816-1892) და იოჰან გეორგ

ჰალსკემ 1847 წლის 1 ოქტომბერს დააარსეს ფირმა „სიმენსი და ჰალსკე“, რომლის წარმომადგენლობა გაიხსნა თბილისში 1860 წელს. დაიწყო სატელეგრაფო სადგურების მოწყობა თბილისიდან სხვადასხვა მიმართულებით. ამას უთავა ვერნერის ძმამ ვალტერ სიმენსმა, რომელსაც აღიარებდნენ კავკასიის ტელეგრაფის მამად.

[17] ალექსანდროპოლი, შემდეგ ლენინაკანი, ამჟამად გუმრი.

Gia Gelashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior scientific-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Max von Thielmann about the Caucasus

Summary

The German diplomat and traveller Max von Thielmann visited the Caucasus in 1872. We translated one part from his work „Journey in the Caucasus, Persia and Turkey in Asia” (Leipzig, 1875) where he gives a common characterization of Caucasus. The author describes the population and divides it into two main parts – mountainous and of lowland, citizens and country people, their social rank. Thielmann recites administrative unity with numbers of their population and largeness of occupied area. He describes the lines of communication, railway line of local importance, main highways and brunch lines, navigation and mountain chain of Caucasus.

გია გელაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

მაქს ფონ ტილმანი ქუთაისში

გერმანელმა დიპლომატმა მაქს ფონ ტილმანმა (1846-1929) მონაწყო ხანგრძლივი მოგზაურობა კავკასიაში, სპარსეთსა და ამერიკაში და გამოსცა სამოგზაურო ჩანაწერები. ჩვენთვის საინტერესოა მისი ნაშრომი „მოგზაურობა კავკასიაში, სპარსეთსა და აზიურ თურქეთში“ (ლაიფციგი, 1875). ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტექსტი მოთავსებულია აღნიშნული წიგნის მეორე თავში („ფოთიდან ბორჯომში“). ქუთაისში ტილმანი იმყოფებოდა 1872 წლის 20-22 და 29-30 აგვისტოს (შუალედში იმოგზაურა სვანეთში – გ. გ.).

**

სადგურ სამტრედიასთან რკინიგზა კვეთს იმერეთის მთავარ სამხედრო გზას და ბორცვიანი გარემოს გავლით ჩადის ქუთაისის სადგურზე. მანამდე კი გრძელი რკინის ხიდით გადადის რიონის მარცხენა ნაპირზე. სადგური ქუთაისი ქალაქს დაშორებულია რვა ვერსით. ორი დროშკით, რომლებიც ტელეგრაფით შევუკვეთეთ სადგურზე, ჩვენ და გერმანულად მოსაუბრე რუსთან და მის სამ, 10-დან 13 წლამდე ვაჟიშვილთან ერთად შევასრულეთ მოკლე მხიარული გასეირნება (რამდენადაც მისი მემკვიდრეთა ხნოვანება იძლეოდა ამის საშუალებას). კავკასიაში ერთი საათის მგზავრობის შემდეგ კარგი შოსეთი და მეტწილად ახალგაზრდა მუხის ტყით მივედით ჩვენი შემდგომი დღეების მთავარ სადგომამდე – ქუთაისის სასტუმრო „დე ფრანს“-ში.

ქალაქი ქუთაისი, დედაქალაქი გუბერნიისა და იმავე სახელის ძველი სამეფოს – იმერეთის, მდებარეობს სწრაფ რიონზე იმ ადგილას, სადაც ის ტოვებს ქედს და გამოდის მცირე ბორცვიან კოლხეთის დაბლობზე. ამ მდებარეობის მნიშვნელობამ, რა თქმა უნდა, იკლო მას შემდეგ, რაც „იმერეთის სამხედრო გზამ“, რომელიც ეხებოდა ქუთაისს, კავშირურთიერთობა მეტწილად რკინიგზას დაუთმო. ამიტომ ორი მნიშვნელოვანი პროექტი დგას ქალაქის წინაშე: ერთია – განშტოების ხაზისა სადგურიდან ქალაქზე გავლით *ტყიბულის* ნახშირის მალაროებამდე (ერთადერთია კავკასიაში), რომელიც მდებარეობს რამდენიმე ვერსზე ჩრდილო-აღმოსავლეთით *ნაქერალას* მთებში; მეორეა – შემდგომი გზა რიონის ხეობის აღმა, *მამისონის* უღელტეხილის გავლით არდონის ხეობამდე და ვლადიკავკაზამდე. ქუთაისს აქვს სასიამოვნო მდებარეობა, სახელდობრ, სიმწვანე ამშვენებს ირგვლივ მთებს, რაც ქმნის დამახასიათებელ სურათს. ჰავა არაა ისეთი არაჯანმრთელი, როგორც დაბლობზე ჭაობიან სამეგრელოში, რადგან ზღვის დონიდან 600 ფუტის სიმაღლეზეა და მთის ფერდობებზე განლაგებული არე უკეთესად იწრიტება წყლისგან, რაც ხელს უშლის ციებიანი ანაორთქლის მსგავსის წარმოქმნას. ზამთარი რბილია (ზომიერი), ზაფხული ცხელი, თუმცა საღამოობით ზღვის ქარებს მოაქვთ სასიამოვნო სიგრილე. ქალაქის შიდა ნაწილი, რომელიც 12. 000-მდე მოსახლეს ითვლის და რომლის უდიდესი ნაწილი მდინარის მარცხენა ნაპირზე ძევს, არაა აშკარად თვალში საცემი: გარეუბნებში უმნიშვნელო, აქაიქ დაბალი სახლებიანი ქუჩები; რიონზე არის პატარა ბაღიანი ვილა, რომელშიც 1871 წელს იმპერატორი [1] მიიღეს; ცენტრში არის რამდენიმე დიდი საჯარო შენობა, ქუჩები რუსეთის პროვინციული ქალაქების მსგავსი; საკმაოდ უმნიშვნელო ბაზარი და რამდენიმე მორგენის¹ ფართის საზოგადო ბაღი მშვენიერი ძველი ხეებით. აქ მდებარეობდა ჩვენი სასტუმრო „დე ფრანსი“ (სასტუმრო „დე იალტა“-ს ტყუპის ცალი). ევროპელს წარმოადგენა

¹ მორგენი – ფართობის გერმანული საზომი = 0,25 ჰა-ს (გ. გ.)

არ აქვს ამ სახლში მოუწესრიგებლობის შესახებ: ჩვენს ოთახში (არსებულთაგან ყველაზე საუკეთესოში) იდგა ორი არამყარი (მოქანავე) სანოლი, პირველყოფილი საძილე დივანი და რამდენიმე საცოდავი სკამი; ამასთან სამ პიროვნებაზე ერთი პირსაბანი ტაშტი და ერთი შუშის ქილა (ჭიქა). დილის ტუალეტისას გვექონდა სიამოვნება, ერთადერთი წყლის დოქის შევსება გვეთხოვა კელნერისთვის, როცა ჩვენ არ შეგვეძლო ჭიდან მისი მოტანა. კელნერი იყო მეგრელი აზნაური, რომელსაც ხშირად ვერ მოძებნიდი და ასევე არასდროს იყო მომსახურების მოსურნე. ამდენად, გვექონდა თავისუფლება, ნაბანი წყალი ოთახის აივნიდან ქუჩაში გადაგვექცია და არავინ გაგვენაწყენებინა. ოთახის საშუალო ფასი იყო დღეში შვიდი მანეთი, რაზეც მეპატრონე ფრანგი *მუსიე ჰექტორი* იხდიდა ბოდის... ერთადერთი ასატანი იყო კვება, რომლის მიმართაც *მუსიე ჰექტორი* მეტ ყურადღებას იჩენდა თავისი ადრინდელი საქმიანობის წყალობით. გარდა აღნიშნული სასტუმრო „დე ფრანს“-ისა, ქუთაისში არის კიდევ მეორე, თუ არ მეშლება, სასტუმრო „კოლხიდა“ ან „მედეა“, თუმცა არ შემიძლია მის დახასიათებაზე ვისაუბრო.

თავად *გაგარინის* საშუალებით გავიცანით ზოგი წარმომადგენელი იქაური რუსი სამოხელეო სამყაროსი, რომლებთან ერთადაც გავატარეთ საკმაოდ სასიამოვნო დღეები. დღის პირველი ნახევარი მეტწილად ქალაქს ეძღვნებოდა, რომლის აღმოსავლური ხასიათი თუმცა ნაკლებად ჩანდა სიახლეების გამო, ვიდრე ბევრ სხვა ადგილებში. დღის მეორე ნახევარი (სალამო) გავატარეთ მშვენიერ პარკში, რომელიც მდებარეობს რამდენიმე წუთის სავალზე ზემოთ, რიონის მარჯვენა ნაპირზე, ძველი სამეფო სასახლის ნანგრევების ქვემოთ. აქ ჩვენ მთელი მოგზაურობის მანძილზე მოგვეცა საშუალება ნამდვილი აღმოსავლური მსახურის ეპოქალური გაცნობისა. უკვე სასტუმროში ვნახეთ პიროვნება სახელად *ალი*, რომელიც წარმოგვიდგა როგორც ერთგვარი კომისიონერი (სავაჭრო აგენტი). აქ, პარკში ჩვენ ის კვლავ ვნახეთ რამდენიმე ველური შესახედაობის სპარსელსა და

თათართან ერთად დანგრეულ შენობაში სხვადასხვა ქვაბებითა და ცეცხლით დაკავებული. საჭმელი, რაც მან ღია ჰაერზე (ხის მაგიდა და სკამები უკვე დაკავებული იყო) შემოგვთავაზა, იყო შედეგი სხვადასხვა და შეთანხმებული პროდუქტების, ნანახი ევროპულ სინამდვილეში: ჯერ გამოჩნდა ყურძენი, შემდეგ შემწვარი ქათამი ბრინჯით; ამას მოჰყვა ცხარედ შეკმარული ლაბით შევსებული შემწვარი ვაშლი (ძალზე რეკომენდებული); დაბოლოს, აღმოსავლეთის დამახასიათებელი თავი – ცხვარი ბრინჯით. მაჭმადიანების საყვარელი სანებლის – ნიორის შემოთავაზება მას აეკრძალა, თუმცა არ გვითქვამს უარი მათ სასმელზე; ჩვენ თავი შევიკავეთ ღვინისგან და დავლიეთ მხოლოდ ალე², რომელსაც აცივებდნენ პარკში ღრმა ჭაში, ანდა გრილად ჰკიდებდნენ ბანრით თითოეულ ბოთლს ისე, რომ შეხებოდა წყლის ზედაპირს. დესერტისას, რომელიც ისევ საუცხოო ყურძნის მტევანს შეადგენდა, ჩვენ ვკითხეთ ალის, ხომ არ ისურვებდა ჩვენთან ერთად ემგზავრა. ის დათანხმდა საკმაოდ იაფ პირობებს და, როგორც მომავალმა გვიჩვენა, ჩვენ საუკეთესო შენაძენი გავაკეთეთ.

ალის აკვანი (მეტაფორულად, თორემ აღმოსავლეთმა ეს ინსტრუმენტი არ იცის) დაირწა ლენქორანში კასპიის ზღვაზე. ჯერ კიდევ ადრე მშობლებთან ერთად გადავიდა შემახაში, ხოლო მოგვიანებით ის სხვადასხვა საქმეს ასრულებდა: იყო მსახური, მეჯინიბე, აბანოს მსახური კავკასიასა და სპარსეთში. ამჟამად ის იყო ქუთაისში აბანოს თანამფლობელი. მისი მთავარი ღირსება (როგორც უბრალო თურქისა) იყო წესიერება და წინდახედულობა; ამასთან, მისი სიმამაცე უკან იხევდა ყაჩაღების წინაშე, რომლებსაც ის ხედავდა ყოველი ხის უკან და იპყრობდა უსაზღვრო შიში; ის არაფრით აცნობიერებდა, რომ ჩვენ ყოველთვის არ დავდიოდით ამხედრებულები დატენილი და შემართული თოფებით. ამავე დროს ძალზე გამოგვადგა მისი ენათა დიდი ცოდნა: გარდა თალიშური დიალექტისა და თათრულისა (ეს იყო მისი პირველი და მეორე მშობლიური ენები), მას ესმოდა და ლაპარაკობდა საკ-

² ალე – ლუდის ინგლისური სახეობა (გ.გ.)

მაოდ თამამად რუსულად, ოსმალურ თურქულად, სპარსულად და ქართულად (მის ყველა კუთხურ დიალექტზე); წერასთან კი მწყრალად იყო. საუბრისას, რაც მე მის რუსულში შევამჩნიე, ამაყად ებრძოდა უღლებასა და ბრუნვებს. სხვა მხრივ, გარდა პატიოსნებისა, იყო გამოხატულად ერთგული – რაზეც დრ. პოლაკი სპარსეთის შესახებ თავის წიგნში სპარს მსახურზე წერს – და უღალავი გზაში, დიდკაცური ქალაქებში, გულკეთილი, უდარდელი, პირის ჩაგემრიელების მოყვარული, თავდაჯერებული – სახელდობრ მუდამ ამაზე ფიქრობდა, როცა სხვადასხვა თავსაბურავს იხურავდა... როცა ჩვენ ის დავითხოვეთ, გარდა დუჟინი მშვენიერი ტყავის ქუდეებისა, ჰქონდა რამდენიმე თურქული ფესი, არაბული კეფიჯე, უამრავი ყელსახვევი (ხილაბანდი). ალის მიერ წამოყენებული პირობები ჩვენთვის ძალიან მისაღები იყო, მისთვისაც ხელსაყრელი. ის ყოველთვის იღებდა 20 მანეთს – იქაური ვითარებისთვის გაუგონარი თანხა (ყოველ რვა დღეში რაიმე ტანისამოსს იძენდა).

ისე როგორც გერმანელი არ დატოვებს კონსტანტინოპოლს, რომ არ შეიძინოს ფესი, ანდა ეგვიპტეს, რომ არაბული ხილაბანდი ყელზე არ შემოიხვიოს, ასევე ჩვენც ვერ გავუძელით ცდუნებას, არ გამოვწყობილიყავით ჩერქეზულ კოსტიუმში. ალის მეშვეობით დაფუკავშირდით მკერავს [2], რომელიც მეორე დილით გამოგვეცხადა ხანჯლით ქამარზე და „არშინით“ ხელში. რადგან ის მხოლოდ იმერულად ლაპარაკობდა, ჩვენს შეკვეთას ჰქონდა გარკვეული სიძნელეები. მაგრამ ალის თარჯიმნობის ტალანტის წყალობით შევძელით ჩვენი სურვილების გაგებინება და თერძმაც ქალღმერთზე გადაიტანა ჩვენი ზომები. მე თვალში მომხვდა, რომ მისი ხელწერა იყო ძალზე ელეგანტური, როგორიც კი მინახავს ქართულ მხედრულში: რთული და გადაბმული ასოები მისი ხელიდან გამოსულ უსაყვარლეს არაბესკებს (ორნამენტებს) ჰგავდა. ჩერქეზული ტანსაცმელი, რომელიც მან რამდენიმე დღეში ჩაგვაბარა, საშინლად რთულია და სხვას ვერაფერს ვიტყვი, რომ მეჩვენა ძალიან არაპრაქტიკულად და მოუხერხებლად. მე კარ-

გად ვიცი, რომ ამ დასკვნით რუსი ოფიცრების უმეტესობასთან მწვავე წინააღმდეგობაში შევალ, რადგან ისინი კავკასიაში ამ სამოსს ხშირად და სიამოვნებით ატარებენ. ჩემი განაჩენი მხოლოდ გამოუცდელისაა, რომელსაც სურს მოკლე დროში ჩაიცვას და ამასთან თავისუფლად იმოძრაოს; ეს კი შეუძლებელია ამ სამოსში. ე. წ. კავკასიური თუ ჩერქეზული სამოსის წარმომავლობა უნდა ვეძიოთ ყაბარდოში, რადგან ამჟამადაც ეს მხარე არის მოდის დამდგენი, როგორც პარიზი და ლონდონი ევროპაში. ის მცირე ცვლილებებითაა შეტანილი მთის ხალხებში, ასევე ქართველებში, გურულების გამოკლებით. გამონაკლისის სახითაა მხოლოდ თათრებსა და სომხებში. რუსთაგან კაზაკებმა აითვისეს ის; ასევე, სხვადასხვა დანაყოფების ოფიცრებიც ატარებენ ხანდახან...

ამ სამოსის შემადგენელი ნაწილებია უპირველესად *ჩერკესკა* (ჩოხა) და *ბეშმეტი* (ანუ ახალუხი), ეს ორი გრძელი სერთუკი, რომლებსაც ერთმანეთზე [ჩაცმულს] ატარებენ. ბეშმეტი არის სახელოებიანი სერთუკი, რომელიც ნახევარ წვივამდე აღწევს. წინიდან ის ყელამდეა შეკრული დუგებით, ღილის კილოებით და აქვს დაბალი საყელო; ორივე მხარეს დიდი ჯიბეები ზემოდან ქვეითკენაა ჩაჭრილი. საბეშმეტე ქსოვილია ზოლიანი ან ყვავილსახიანი ბამბეული. მდიდრებს გამოსაჩენ ადგილებზე (ყელზე და სახელოებზე) ჩაკერებული აქვთ აბრეშუმის ქსოვილი. ჩერკესკას ატარებენ ბეშმეტს ზემოდან; ამიტომ ის ყველა მონაკვეთში უფრო ფართოა და გრძელი; სახელდობრ, ისე გრძელია, რომ აკეცილი უნდა ატარონ. წინიდან ის შუა მკერდამდე შეკრულია გასანთლული და დაგრეხილი ძაფის მიკროსკოპული ღილაკების და კილების რიგით. ესაა მომქანცველი და ხანგრძლივი საქმე. ყელზე ეს ორივე შორდება ერთმანეთს ისე, რომ ბეშმეტი მოჩანს. გულმკერდზე ორივე მხარეს მიკერებულია თითო რიგი (6, 8, 10) პატრონების ჩასაწყობი ჰილზების (ბუდეების), ხშირად ვერცხლით, ან ოქროთი განწყობილი; დიდებულებს ამ ბუდეებში ვერცხლის თავსახურიანი სპილოს ძვლის, ან რქის ჰილზები უწყვიათ,

რომელშიც საბრძოლო პატრონებია მოთავსებული. ბუდეების განლაგება დატენილი პატრონებისთვის ძალიან პრაქტიკულია. [ჩემს სამოგზაურო სამოსში მაქვს გერმანული სანადირო ქურთუკი, რომელზეც შეიძლება ასეთი ბუდეების მიმაგრება; ამიტომ მისი ხმარება ძალზე მოსახერხებელია]. ჩერკესკას ჯიბეები არ აქვს, მხოლოდ ჩანაჭერი, რომლის მეშვეობითაც ბეშმეტის ჯიბეში ჩაყოფ ხელს. საჩერქესკე ქსოვილი მეტწილად მტკიცე (უხეში) შალია და მუდამ ერთფერი. ჩემს დროს თეთრი ფერის ითვლებოდა ძალზე ელეგანტურად. დიდად აქებენ აგრეთვე მწვანე ფოლადისფერ ქსოვილს, რომელსაც ლეკები ამზადებენ და ითვლება გამძლე და წყალგაუმტარად. გადახრა ამ ფასონიდან, რაც მე ვნახე, უმთავრესად საქართველოშია (გრუზიაში). არაერთხელ შეამჩნევ შუალედურს ჩერქეზულსა და ძველ ეროვნულ სამოსს შორის. სერთუკები აქ უფრო მოკლეა და აღწევს მუხლს ზემომდე, ხოლო ზედა სამოსის სახელოები იდაყვიდან ისეა ჩაჭრილი, რომ მხრებზე გადაიგდება, ან შესაძლოა ზურგზე შეკვრა. ამას, სახელდობრ ხშირად ნახავ ქალაქებში სომხებთან, როცა ესენი არ ამჯობინებენ ევროპული სამოსის ჩაცმას. თუშები და ფშავლები ატარებენ თითბრის ბუდეს (ფუტლიარს) 6-8 პატრონისთვის, გადაკიდებულს კისერსა და მარცხენა მხარზე. ნვიმისა და სიცივისას საყოველთაოდ იხმარება ბურკა (ნაბადი), ნახევარწრის ფორმის სქელი ქეჩის ნაჭერი, რომლის გარე მხარე ბენვიანია. ის კისრის ირგვლივ ღვედით (თასმით) უკიდიათ და იცავს სხეულის ცალ მხარეს; ქარსა და ნვიმაში შეაბრუნებენ; ქარის მხრიდან თუ შეხედავ, პატრონი ჰგავს გიგანტურ სოკოს.

ფეხებს ფარავს მუქი ფერის ქსოვილის მჭიდროდ მორგებული ვიწრო შარვალი; მის ზემოდან [აცვიათ] ტყავის ან მაუდის გამაშები (პაჭიჭები), რომელიც ხშირად მორთულია ბუზმენტითა და ნაქარგით. აცვიათ დახურული ფეხსაცმელი, რომელსაც გამაშები კი არ იკავებენ, არამედ მისი ქვედა ბოლოდან ფეხსაცმლის ერთი ნაწილია გამოყოფილი. მე, აგრეთვე, ვნახე ფეხსაცმლის მაგივრად სანდლის მსგავსი, ზონარით შეკრული ტყავის

ნაჭერი (ქალამანი – გ. გ.). კაზაკები ატარებენ ნახევრად მაღალ იუხტის ჩექმას და ნაკლებად ვიწრო შარვალს.

მთელი ჩაცმულობიდან ყველაზე მრავალფეროვნად შექველად წარმოდგენილია თავსაბურავი. ამ მხრივ მთელ აღმოსავლეთში გახლავთ უწყვეტი ტენდენცია, როცა ერთი ხალხი მეორის ჩაცმულობას ზოგადად გადაიღებს, მაინც დიდ სიყვარულს იჩენენ თავიანთი წინაპრების თავსაბურავებისადმი. როგორც ეგვიპტურ ბარელიეფებზე, ისე ძველ სპარსულ კლდეშინაკვეთ გამოსახულებებზე და პერსეპოლისის ტაძრის კედელზე მუდამ ჩანს თავსაბურავები, რომლებიც ახასიათებენ ცალკეულ მოდგმას. კავკასიაში მყარადაა წარმოდგენილი ტყავის თავსაბურავი, რომელსაც ჩვეულებრივ ფაფახს უწოდებენ, თუმცა გვხვდება ათასნაირი ფორმისა და შესახედაობის. მთიელები საერთოდ ატარებენ მრგვალს, მაუდით გამოკრულს; სიდიდე კი, რა თქმა უნდა, იცვლება მოდის მიხედვით, მაგრამ სიმაღლე 20 სანტიმეტრზე დაბლა არ ჩამოდის. ამის საპირისპიროდ შეიძლება ნახო ორჯერ მაღალი და ისე გრძელბენვიანი ტყავი, რომ დიამეტრი სიმაღლეზე ოდნავ ნაკლებია. მასალა უკლებლივ ცხვრის ტყავია, უხეშიც და წმინდაც, შავი, ყავისფერი და თეთრიც. ქართველები ატარებენ საკმაოდ ნაწვეტებულ, ზემოთ ოდნავ ჩატეხილ თავსაბურავს ჩასაკერავის და ზედმეტი ზომის გარეშე. მაშინ როცა მთიელი ამჯობინებს გრძელბენვიან, ბანჯგვლიან ტყავს, ამას (ქართველს – გ. გ.) უყვარს თხელი, ხუჭუჭა ასტრახანული, ან, როგორც აღმოსავლეთში უწოდებენ, ბუხარული ტყავი. თათარი და სომეხი იხურავს ყოველნაირი ფორმისას; ხან მაუდგამოკრულს და ოქრონაქარგით, ხან უბრალოდ ნაწვეტილს და მოურთავს, როგორც სპარსელი გლეხები. უკანასკნელი ფორმისა აქვთ ასევე ებრაელებს სამეგრელოსა და იმერეთში; მხოლოდ მათი ქუდები თვალში საცემია ნამდვილად დამაფრთხობელი ზომით და უნებურად გვახსენებენ ძველ გერმანულ გამოსახულებებს ძველი ალთქმიდან. თავსაბურავის ხშირი ხმარების დიდი სარგებლის შესახებ ცხელ დარებში მე ზოგი რამ დამატებაში ვთქვი,

მაგრამ აქ მხოლოდ ავლნიშნავ, რომ, ჩემი შედარებით ხანმოკლე ყოფნისას ამ ქვეყანაში, თვით გამოვცადე ტყავის თავსაბურავის სარგებელი.

მეორე დამახასიათებელი საგანია *ბაშალიკი*. სიტყვა თურქულია და ნიშნავს მხოლოდ თავსაფარს. ეს ამჟამად ევროპაში იმდენადაა ცნობილი, რომ მე თავს შევიკავებ მისი საგანგებო აღწერისგან. ბაშალიკის მასალა კავკასიაში მეტწილად არის მოყვითალო რუხი ბენჯიანი ქსოვილი აქლემის ან თხის ბენჯისგან. ცუდ ამინდში ბაშალიკს იხურავენ ტყავის ქუდს ზემოდან; ამავე მიზნითაა შეტანილი მთელ რუსულ არმიაში. მხოლოდ იმერეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში ატარებენ ადგილობრივები ჩალმასავით შემოხვეულს სხვა თავსაბურავის მაგიერ. ამ ნივთის დიდ სიძველეს აღმოსავლეთში ადასტურებს ნეაპოლის მუზეუმში დაცული მოზაიკა ალექსანდრეს ბრძოლისა, სადაც სპარსელი მებრძოლი, რომელიც მეფეს თავის ცხენს სთავაზობს, ატარებს ბაშალიკს. რაც შეეხება სხვას, კიდევ უნდა ვახსენოთ შავი დაბალი *ქერის ქუდი* (ჩაჩი) გაშლილი ფარფლებით, რასაც ატარებენ თუშები, ფშაველები და ხანდახან ლარიბები *გრუზი-აში*. შემდეგია *ჩალმა* მაჰმადიანი მოლების, ტიროლოურის მსგავსი რუხი *ქერის ქუდი* სვანების და, სხვათა შორის, უჩვეულო „ბერეტი“, ან, უფრო უკეთ, გურულების, მეგრელებისა და იმერლების თავსაფარი. ესაა შავი ნაჭრის მრგვალი ფირფიტა (~ფაფანაკი – გ. გ.) წარჩინებულებთან ოქროთი ნაქარგი; (სიდიდით გერმანული სტუდენტური ქუდის წინაფრას გარეშე); მას ატარებენ თხემზე ზონარით დამაგრებულს და, ცხადია, არ იცავს არც მზისა და არც წვიმისაგან. გურიაში ის ჩვეულებრივია, ზოგ მხარეებში კი განდევნა ფაფანაკა და ბაშალიკმა; სრულიად განსხვავებულია ჩერქეზულისგან გურულთა სამოსი; ესაა საშუალო შუა საუკუნეების იტალიურსა (გენუელთა გავლენით) და თანამედროვე თურქულს შორის. განსაკუთრებული ჩაცმულობა კავკასიაში აქვთ ხევსურებს, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

როდესაც ვსაუბრობთ ტანსაცმელზე, არ უნდა დაგვავიწყდეს

იარაღი, რაც მთელ აღმოსავლეთში სამოსის განუყრელი ნაწილია. ჩერქეზულისთვის დამახასიათებელია ხანჯალი და ხმალი (შაშკა). ხანჯალი წარმოადგენს ორპირა მჭრელ სწორ დანას, სიგრძით 30-40 სანტიმეტრის, ერთი ან რამდენიმე სისხლის სადენი ღარით, რომლებიც მეტწილად პირის (ფხის) შუაში არაა დაქანებული; ტარი ხელისთვის საოცრად პატარა ჩანაჭერით, მაგრამ დამცავი საშუალების გარეშე; ქარქაში ერთფეროვანი ტყავგადაკრული. ხანჯალს ატარებენ სხეულის შუაში და არა გვერდზე დაკიდულს ქამარზე, რომელიც წარმოადგენს წვრილ, შავ ტყავის თასმას; ამას კი ყველა კავკასიურის მსგავსად ნაკერი (პირაპირი) ასევე შუაში აქვს და ამავ ედროს ჩერქესკის შესაკრავიცაა. ხანჯლის გარდა მასზე დაკიდული აქვთ ზეთის თუნუქა (ჰილზა). ესაა რთული ინსტრუმენტი, რომელშიც მოთავსებულია ტალკვესი, სახრახნისი, სადგისი და კაკვი და შესაძლო სხვა მსგავსი ნივთები... შაშკა არის ზომიერად მოღუნული ხმალი, ასევე ხელის დამცავის გარეშე. ის დაკიდული აქვთ სპეციალურ ვიწრო თასმის სამხარილლივეზე (პორტუპეა) ისე, რომ პირი მოღუნული მხრით წინ იყოს მარცხენა თეძოზე და ნახევრად დაქანებული. იარაღის ტარი და ქარქაში, ისევე როგორც კილოები და ღილები ქამარზე და სამხარილლივე ხშირად შავი ემალიანი ვერცხლითაა მორთული, რაშიც კავკასიელი ოქრომჭედლები დიდი ოსტატები არიან. მშვენიერ ძველ პირებს დიდი ფასი აქვთ, თუმც შაშკების პირები მეტწილად ზოლინგენიდანაა.

თოფები და დამბაჩები არ ეკუთვნიან აუცილებლად ჩაცმულობას. პირველს მეტწილად ბენვიან თხის ტყავის ბუდეში ზურგზე ატარებენ; მეორეს ქამარში [გარჭობილს]. დენტის რქა პატარა ჯიბეში აქვთ პატრონების ჰილზების ქვემოთ. აღჭურვილობაში შედის ჯაჭვის პერანგი, ფოლადის ჩაფხუტი საკისრე დამცავი რგოლებით, მკლავის და ფეხის ჯავშანი. ეს ყოველი ხშირი იყო მთის ხალხებში; დღეს კი მათ ყიდულობენ კოლეცციონერები და ნახავ მხოლოდ მდიდარ ოჯახებში, ან მთლად მოშორებულ ხეობებში, როგორიცაა ხევსურებში.

ასეთია ზოგადად მამაკაცების ჩაცმულობა. ქალთა შესახებ ნაკლებია სათქმელი. მთიელი ხალხების ქალები ხშირად ძველმანებში დადიან. მაჰმადიანები ისე არიან ჩადრში ჩამალული, რომ ვერაფერს ხედავ. როგორც დამახასიათებელი, თვალში საცემია მხოლოდ ქართველი ხალხების ქალთა ჩაცმულობა. სერთუქსა და კოფთაზე ბევრი არაფერი ითქმის, გარდა იმისა, რომ მეტწილად მხიარული ფერისაა. განსაკუთრებულია მაინც თმის მოვლა: ორივე მხარეს ყურებს ზემოდან ჩამოყრილია ორი ან სამი დაგრეხილი ნაწნავი; თავზე ერთგვარი დიადემა ხშირად წითელი ხავერდისაა, მორთული ოქროთი და მარგალიტით, რომლიდანაც ეშვება პატარა გაზის ვუალი. ეს თავსაბურავი მეტწილად ლამაზ და სწორ სახეს დიდი მონყენილი თვალებით და მკვეთრად გამოკვეთილი არწივისებური ცხვირით აძლევს რომანტიულ-მეოცნებე გამომეტყველებას, როგორიცაა წარჩინებული ქალები *დიუსელდორფის* სკოლის ნახატებზე (სურათებზე). გარკვეული ხნის შემდეგ ყოველი ინდივიდის ერთფეროვნება დამლელად მოქმედებს. ქუჩაში ქალებს მოხვეული აქვთ დიდი სქელი საბურველი – ჩადრა, რომელიც მუხლს დაბლა აღწევს და მთელ სხეულს ფარავს...

ქუთაისში ჩვენი ყოფნისას ყველაზე ღირსშესანიშნავი ამბავი იყო *გელათის* განთქმული მონასტრის მონახულება ქუთაისიდან 9 ვერსზე. შეკვეთილი კარგი კაზაკური ცხენებით დილით ადრე გავემართეთ გრაფ *ტიზენჰაუზენის* თანხლებით, რომელიც იყო ქუთაისის მთავრობის მოხელე. თავდაპირველად გზა გავიდა ქალაქის გეტოზე – ესაა გრძელი ქუჩა, რომელიც რიონის მარცხენა ნაპირის ახლოს ადის მაღლა. აქ ჩვენ პირველად მოგვეცა საშუალება მოვხიბლულიყავით იმერელი ებრაელების უზარმაზარი ფაფახებით. საერთოდ კავკასიაში ებრაელებს, რომელთაგან უმრავლესობა *თალმუდს* აღიარებს, ნაკლებად სცემენ პატივს; მითუმეტეს, რომ ისინი ყველა მოზრდილი მაღაზიიდან სომეხთა კონკურენციის გამო გამოყარეს. გამონაკლისს შეადგენენ ქრისტესთან მეგობრული და ანტითალმუდისტი *კარაიმები*, რომლე-

ბიც მცირე კოლონებად ცხოვრობენ ქვეყანაში. ებრაელთა უბნის ბოლოში გზა უხვევს რიონის ხეობიდან და ერთსაათიანი მგზავრობის შემდეგ მშვენიერ მწვანე გარემოში ჩვენ თვალწინ იდგა მონასტერი, რომელიც ბატონობს დაბლა ხეობაზე. მალეობს მალე მივალწიეთ და არქიმანდრიტის საცხოვრებლის აივნებიდან დავტკბით ხედით, რომლის მსგავსი ლამაზი კავკასიაში კიდევ აღარ მინახავს. ჩვენს ქვემოთ გადაიშალა ცოცხალ მწვანეში ლამაზად მბრწყინავი *წყალნითელას* (წითელი მდინარე) ხეობა. ეს მდინარე მოედინება ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაქერალას მთებიდან და ქუთაისს ქვემოთ ერთვის *ყვირილას*. ამ ხეობის უკან იმერეთის ლამაზი ფორმის მთებია, რომელთა შორის რიონი მოიკვლევს გზას მაღალი მთებიდან კოლხეთის დაბლობისკენ. კიდევ უფრო იქით ლეჩხუმისა და რაჭის უფრო მაღალი მთებია, რომელთა შორის ამაყად აღიმართება *ხომლის* კლდინი მასა, რომელზეც ოდესღაც მიჯაჭვული იყო *პრომეთე*. გვერდით ქედებს შორის ღიობიდან მთლად შორს მოჩანს თავისი სიმაღლით ჯერაც მძლავრი *თეთნულდის* თეთრთოვლიანი კონუსი. ფორმების მრავალფეროვნება, საფეხურებიანი (დატერასებული) სიმაღლეები და, უპირველეს ყოვლისა, მცენარეულის დიდებულება აძლევენ ამ სურათს თვალისმომჭრელ მომხიბვლელობას; ამასთან მოწმენდილი ამინდი და დილის სუფთა ჰაერი ჩვენს კმაყოფილებას სრულყოფილს ქმნიან. რადგან იქვე ეკლესიაში მესა სრულდებოდა, ჩვენ არ მოგვეწონა არამელოდიური ტონები და მთელი მესა დაფუთმეთ ბუნებით ტკბობას, სანამ ხელოვნებას მივუბრუნდებოდით. რამდენიმე ხანში გამოჩნდა არქიმანდრიტი, შესამჩნევად მშვენიერი კაცი, რომლის ღირსებასაც ერთგვარად ვნებდა (არ უხდებოდა) ღვთისმსახურების შემდეგ ფართოფარფლიანი რუხი ქუდის დახურვა. ის შეგვიძღვა ეკლესიაში. ეკლესია ბიზანტიური სტილისაა, ყველგან კავკასიაში განმეორებადი კონუსისებრი მწვანე სახურავით გუმბათზე. მშენებლობაში, რომელიც დაახლოებით XI საუკუნეში შედგა [3], ალბათ, გოლიათები დაეხმარნენ, რადგან გამოყენებული ქვების სიდიდე ყველაფერს აღემატე-

ბა, რაც ოდესმე მინახავს; ამასთან სამუშაო ისეთი სიზუსტითაა შესრულებული, რომ პირაპირი (შეერთების ხაზი) ჯერაც ისევე ნმინდაა და სრულყოფილი, როგორც შვიდი საუკუნის წინ. კედლები, ძირითადად პორტალისა (კარის) და ფანჯრების ირგვლივ მორთულია ბრტყელი (თხელი) რელიეფური ორნამენტებით; ესაა ხელოვნება, რომელშიც ბიზანტიელები ოსტატები იყვნენ. ხარისხიანი (გამძლე) ფორმების შეგრძნება და სუფთა ზედაპირის მდიდრულად მორთვის გენიალობა, რაც არასდროსაა გადამეტებული, ჩვენს დღევანდელ არქიტექტორებს ბევრს შეასწავლიდნენ. ხშირად განმეორებული ორნამენტი, უმეტესად შესასვლელების კედლებზე, ისევე აფსიდზე მხოლოდ მცირეაა წინ გამოწეული. ეკლესიას შიგნით ჩვეულებრივი ჯვრის ფორმა აქვს, როგორც ბერძნულ ეკლესიებშია. კედლები მთლიანად ფრესკებითაა დაფარული, რომელთა შორის ნათლად იკვეთება ორი პერიოდი. ზოგი გამოსახულება გვიან ბიზანტიური ხელოვნების მკაცრ გადახეხვის სტილს შეიცავს; მაშინ როცა მეორე ცხადად შუა საუკუნეებში და, კერძოდ, იტალიური სამხატვრო სკოლის აყვავების დროს უნდა იყოს აღდგენილი. ფიქრობენ, რომ გამოსახულებები რენესანსის პერიოდისაა და მხოლოდ ყურადღებით დაკვირვების შემდეგ შეიცნობ, რომ [თავდაპირველი] ბაზისი გაცილებით ძველია და აღდგენა ეკუთვნით მოგვიანო ოსტატებს, სავარაუდოდ გენუელი ოსტატების გავლენით, რომელთა ქალაქიც მაშინ პონტოს ქვეყნებში ძლიერი იყო. ასევე ახალ დროებასაც აქვს მონაწილეობა მიღებული ამ ფრესკებთან დაკავშირებით: სანყალმა გამოსახულებებმა, რა თქმა უნდა, დაუმსახურებელი სამწუხარო ბედი განიცადეს – ერთმა ხელოვნებამცოდნე რუსმა ჟანდარმერიის პოლკოვნიკმა გადააღებინა [4]. კანკელი მთლად დაფარულია ძვირფასეულობით – ბრწყინავენ ოქროთი და ძვირფასი ქვებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი ოქროს ჩარჩო(?), რომლებშიც ჩადგმულია სხვადასხვა ნივთი (საგანი); უპირატესად თვალში საცემია ზოგი ხატი (მინიატურა) ბერძნული წარწერებით ემაღზე (ჭიქურზე), რომლებიც როგორც მხატვრო-

ბით, ისე სანიმუშოდ მშვენიერი შესრულებით უნდა ეკუთვნოდეს ბიზანტიური ხელოვნების აყვავების ხანას და, ამდენად, გაცილებით ადრინდელია, ვიდრე თვით ეკლესია. ასევე არის აქ ზოგი წარწერიანი ქვა, რომლებიც არქიმანდრიტის სიტყვით ვერავინ გაშიფრა. მე გადავიღე მათი პირები და გერმანიაში მათმა მეცნიერულმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქრისტიანული ეკლესიის ეს განძი სხვა არაფერია, თუ არა წინასწარმეტყველი მუჰამედი 12 იმამთან ერთად და ასევე არაქრისტიანული წარწერა, რომლის ენაც არაბულია, ხოლო დანერილობა კუფური. ერთ ეკვდერში დაცულია ეკლესიის განძეულობა; ადგილის წმინდა მფარველი უნდა იძლეოდეს საკმაო უსაფრთხოებას ქურდების წინააღმდეგ, რადგან დამპალი სკივრი დაუანგული საკეცით, რომელშიც ეს ფასეულობა ძევს, მართლაც დაცულია. განძი შეიცავს უამრავ საეკლესიო სამოსს, რომლებიც შემკულია უმაღლესი ხარისხის მარგალიტებით. ყველაზე ყურადსაღები საგანი არის იმერეთის სამეფო გვირგვინი, ასევე მარგალიტებით მორთული არახჩინი ოქროს რგოლებით და წვეროში კი ჯვარი. ის თავზე ადგათ ეკლესიის ფრესკებზე გამოსახულ სხვადასხვა ადრინდელ მეფეთა სახეებს მონითალო-ქერა თმებით.

ეკლესიის გარეთ მონასტერში არის კიდევ უპირატესად საყურადღებო იმერეთის მეფის, თავისი დროის ძლიერი მბრძანებლის და წმინდა ადგილთა დამაარსებლის დავითის საფლავი [5]. ის განისვენებს ძველ ეკვდერში ეკლესიის სიახლოვეს, რომელიც გამრავლებული სუროთია დაფარული. სამარეს ადევს მძლავრი ქვის ფილა ხუცური წარწერით. სწორედ აქ ვიხილე პირველად ამ დამწერლობის საკუთარი დიდებული ხასიათი. არცერთი დამწერლობა ისე ხარისხიანად არ ამოიკვეთება ქვაში, როგორც ეს ძველი, დაუნანვერებელი ნიშნები (სიმბოლოები). საფლავის ახლოს დგას მისი ერთ-ერთი დიდი გამარჯვების ტროფეი – ქალაქ განჯის (ამჟამად ელისავეტპოლის) რკინის ჭიშკრის ფრთა [6] ასევე ცნობილი ხუცური შრიფტით; დიდხანს ის მიაჩნდათ დარუბანდის ჭიშკრად, ხოლო შრიფტი კუფურად, სანამ კომპეტენტურმა

მკვლევარმა ბროსემ [7] შეცდომა არ გაასწორა.

დამშვიდობებისას მოვავლეთ თვალი ლამაზ სანახაობას, შევსხედით ცხენებზე და აღმავალი და ქვიანი გზით გავემართეთ რამდენიმე ვერსით დაშორებულ *მონამეთას* მონასტრისკენ. ძნელი წარმოსადგენია უფრო დიდი კონტრასტი, რაც ამ ორ პუნქტს შორისაა. მაშინ როცა გელათი მთაზე მდგარი ამაყად ბატონობს მრავალ მილზე დაშორებულ არეზე, მონამეთა ეკვრის კლდის შვერილს მდინარე წყალნითელას წყნარ ხეობაში და თითქმის დაფარულია დიდებული მცენარეულით. ასეთი მდიდარი მცენარეული მე მხოლოდ კასპიის ზღვასთან ლენქორანში ვნახე, მაგრამ იქ აკლდა ორი ბუჩქი – დაფნა და ბზა, რომლებიც აქ ტყეში დიდად ფასობენ. ბზა იზრდება 20 ფუტი სიმაღლის ხედ; დაფნა თავისი დიდებული ფოთლებით მუხის ტანს ფარავენ; სურო და გარეული ვაზი ეხვევიან მას მაღლისკენ და ტოტებით მზისგან დამცველ სახურავს ქმნიან. კლდეებსა და პატარა მდელოს შორის, ქვემოთ ხეობაში მორაკრაკებს ნაკადული. თვით მონასტერში, გარდა ლომებზე დავანებული სარკოფაგისა (აკლდამისა), სხვა თვალში საცემი არაფერია. ჩვენ ხელიდან გავუშვით საშუალება, რომ გვესაუზმა, რისგანაც გელათში თავი შევიკავეთ და რომელზეც ახლა შუადღეს სამართლიანად ვფიქრობდით. ერთმა ბიჭმა, რომელიც ერთი კალათა ლელვით გზაზე შემოგვხვდა, [დანაკლისი} გარკვეულ წილად აგვინაზლაურა. დავბრუნდით ახლო ბილიკით, რომელმაც კოლხეთის დაბლობის მშვენიერი სურათი დაგვანახა. თუმცა იმის იქით მდებარე მთები უკვე შუადღის ბულში გახვეულიყო. როცა საღამოთი კვლავ დავბრუნდით ქუთაისში, ყველაფერი მიანიშნებდა მოახლოებულ წვიმაზე და ჩვენი გეგმა სვანეთში გადაწყვეტილი ექსკურსიის შესახებ მოიქუფრა.

ქუთაისში იმდენი მიმზიდველი რამ მოვისმინეთ სვანეთის შესახებ, რომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გადავწყვიტეთ გვეძია ბედნიერება მთელი კავკასიის ყველაზე დაუდგრომელ მხარეში.

ქუთაისში [დაბრუნებისას] სასტუმრო „დე ფრანსი“ ორი კლიენტით გამდიდრებულიყო – ორი ინგლისელი, რომლებიც

ვლადიკავკაზიდან მამისონის უღელტეხილით ჩამოსულიყვნენ... მათ სურდათ ოთხი კვირის განმავლობაში მოევლოთ ტფილისი, ერევანი, თავრიზი და თეირანი, ხოლო იქიდან რეშტის გავლით კასპიის ზღვით უკან დაბრუნებულიყვნენ (80 მილი ფოსტით და 150 მილი ცხენით). ორი სხვა ინგლისელი კი ქუთაისში ჩვენი პირველი ჩასვლისას იმყოფებოდა აქ (მათი სამოგზაურო გეგმის შესახებ ვერაფერი გავიგე). შემდეგი სტუმარი იყო სამართლის პროფესორი ოდესიდან, რომელსაც მთავრობის დავალებით უნდა შეეგროვებინა სხვადასხვა მოდგმათა ძველი სამართალი. ჩანდა, რომ ის ჩქარობდა, რადგან სამი დღე აფხაზების სამართლის შესწავლას მოანდომა (რომელთა ენაც არ ესმოდა), ხოლო სვანეთისას, ფიქრობდა ნაკლები დრო მიეძღვნა.

ქუთაისში მეორედ ყოფნისას ჩვენ მთავარ საქმეს შეადგენდა პროზაული ჩალაგება საბუთების (ქონების) მომავალი საფოსტო მოგზაურობისთვის. რუსულ ტელეგას (ფორანს) შეუძლია ყველაფერი დაამტკვიროს, და გადასარჩენად საჭიროა [ბარგის] გულმოდგინედ ჩალაგება. ჩვენ დაგვემართა, რომ ოთხთვალას რყევისა და ხეთქების გამო ერთი თუნუქის კოლოფიდან, რომელშიც იყო მწერების სანინაალმდეგო ფხვნილი, ამ უკანასკნელმა გვერდზე მდგომ ხორცის ექსტრაქტის თუნუქაში შეაღწია, ისე რომ ჭურჭელი არ გახსნილა: წმინდა მტვერი გაძვრა ორივეს სახურავ-საცობში. ქუთაისში დატოვებული ჩემოდნის გახსნისას გავაკეთეთ „სასიხარულო„ აღმოჩენა – ჩვენს არყოფნაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩაკეტილი იყო, მასში იმდენი ტარაკანა ჩასახლებულიყო, რომ დაეფარათ თეთრეული და ტანსაცმელი და ყოველი ნაკეციდან გამორბოდნენ ეს არასასურველი არსებები (ცხოველები). ჩვენ გადავწყვიტეთ საქმიან ქალაქებში და ნივთებში მუჭა-მუჭა დაგვეყარა მწერების სანინაალმდეგო ფხვნილი ამ უსიამოვნო სტუმრების მოსაშორებლად.

ამასობაში ჩვენი კავკასიური სამოსი შეიკერა და ჩვენ ისინი შევავსეთ ზოგი იარაღის შექენით. მეორე დღისთვის შევუკვეთეთ ორი ოთხთვალა, ხოლო საღამო გავატარეთ ჩვენს ნაცნობებთან

ერთად; საუბარი, რა თქმა უნდა, ეხებოდა უმთავრესად ჩვენს მოგზაურობას სვანეთში და მომავალ გეგმებს...

მეორე სადგურ *ყვირილამდე*, რომელიც ძვეს იმავე სახელის რიონის შენაკადზე, გზაზე რაიმე არაჩვეულებრივი სანახაობა არ გვხვდება. ის მიემართება კოლხეთის დაბლობისკენ დაშვებული წინამთებიდან, საიდანაც შიგადაშიგ ჩანს მთავარი ქედის თოვლიანი მწვერვალები, რომლებიც კვებავენ რიონის სათავეებს. მარჯვნივ მდებარეობს სულ უფრო შევიწროვებული ვაკე და მის იქით მცირე კავკასიის მთები. სადგურ *ყვირილასთან* შოსე ისევ უახლოვდება რკინიგზას, რომელიც ჩვენი მოგზაურობისას აქ იყო მისი ბოლო პუნქტი. რამდენიმე კვირაში კი ის გაიხსნა *ტფილისამდე*. მოძრაობის შესაფერისი იყო სადგურისა და ფოსტის შენობები. პირველი მოიცავდა არც თუ ურიგო რესტორანს. აქ ვნახე პირველად მძლავრი ორმაგი ლოკომოტივი (*ფაიერლეის* სისტემის), რომელსაც უნდა ეტვირთა სურამის ქედის მაღალ აღმართზე ოთხი ორლერძიანი ვაგონის განწევა.

მცირე კომენტარები

[1] 1871 წელს საქართველოს ესტუმრა იმპერატორი ალექსანდრე II (1855-1881).

[2] გერმანულ წყაროებში პირველად უნდა გვხვდებოდეს ქართველი მკერავი, რომელმაც ჩოხა შეუკერა ტილმანს ქუთაისში.

[3] გელათის მონასტრის აგება დაიწყო დავით აღმაშენებელმა 1106 წელს და დასრულდა დემეტრე I-ის დროს 1130 წელს.

[4] XIX საუკუნეში მოხდა საბოლოოდ ფრესკების შეკეთება; თუმცა რუსი მოხელეებისთვის არც ფრესკების გადაღებვა იყო უცხო.

[5] იმერეთის მეფედ იგულისხმება დავით აღმაშენებელი.

[6] ქალაქ განჯის რკინის კარის ფრთა 1132 წელს დემეტრე I-მა წამოიღო და გელათშია.

[7] მარი ბროსე (1802-1880) – ცნობილი ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი.

[8] ტილმანმა ყვირილადან სურამამდე ეტლით იმოგზაურა, რადგან ჯერ არ გახსნილიყო რკინიგზა თბილისისკენ, თუმცა ყველაფერი მზად იყო ძლიერი ლოკომოტივის ჩათვლით.

Gia Gelashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior scientific-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Max von Thielmann in Kutaisi

Summary

The German diplomat and Traveller Max von Thielmann visited Georgia in 1872. In his work „Journey in the Caucasus, Persia and Turkey in Asia“ (Leipzig, 1875) author describes the conditions of Kutaisi, its streets, buildings, parks, bazaar, communications, Hotel and its innkeeper and meal, national clothing and arms. He also visited monasteries of Gelati and Mozametha. Mentions The railway station of Kvirila.

თვალსაზრისი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
პროფესორი

სოფიო მიდელაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
პროფესორი

ავთანდილ დემეტრაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
პროფესორი

მშვიდობიანი სახელმწიფოს მშენებლობა აფხაზეთთან და ოსეეთთან ერთად

2013 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესორთა ერთმა ჯგუფმა, ბევრი ფიქრის შემდეგ, გადაწყვიტეთ დაგვეწყო ფუნდამენტური კვლევა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორც არის ტერიტორიული და ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, რამეთუ ამ მხრივ ჩვენი სახელმწიფოც დაზარალდა და დადგა მწვავე გამონწვევების წინაშე. მოკლედ რომ შევაფასოთ, საქართველომ დაკარგა ტერიტორიები და შეირყა სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშანი – სუვერენიტეტი. თუ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრინციპებს გავყვებით, ასეთ ვითარებაში საქმე გვაქვს გარე და შიდა მრავალმიზეზთა გამო ზედაპირულ და ტერიტორიულწართმეულ სახელმწიფოსთან. სწორედ ეს გახდა მთავარი მოტივატორი კვლევების დასაწყებად.

დიდი ფიქრის შემდეგ მაინც მივედით იმ დასკვნამდე, რომ

ჩვენი გუნდის ლაიტმოტივი უნდა გამხდარიყო ერთი ფიქრით, ერთი აზრით, ერთიანი ძალისხმევით აფხაზებსა და ოსებთან შერიგების გზების ძიება.

პირველი რიტაც დავინწყეთ ეს იყო ჩვენი გზავნილი აფხაზ და ოს ხალხს. შევეცადეთ გულწრფელები, ობიექტურები და მიუკერძოებლები დავრჩენილიყავით ჩვენი, აფხაზი და ოსი ხალხის წარულის, ანმყოსა და მომავლის შეფასებაში.

გზავნილი აფხაზ და ოს ხალხს

ომი, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ იყო ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და სამარცხვინო ფურცელი ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსური ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რომელიც ფუნდამენტურად ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ხალხების ერთად, ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების, განვითარებისა და კეთილდღობისაკენ სწრაფვას.

მიუხედავად ყველაფრისა, ვერ ვიცხოვრებთ იმ წარსულით, რომელმაც ჩვენი მომავალი დაანგრია, მით უმეტეს ვერ დავუტოვებთ ასეთ ქვეყანას მომავალ თაობებს, სწორედ ამიტომ გამოსავალი მხოლოდ ჩვენი ხალხების შერიგებაშია, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება თანდათანობით სხვა სასიკეთო ნაბიჯები მოლაპარაკებისა და მორიგებისათვის.

გვინდა დავუდასტუროთ ჩვენი გულწრფელი და ღრმა პატივისცემა აფხაზ და ოს ხალხს, მათ ეროვნულ ღირსებას, თვითმყოფადობას, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, კულტურული მემკვიდრეობის საუკუნოვან ტრადიციებს და ათასობით ერთობლივი ოჯახის საფუძველზე აღმოცენებულ ნათესაურ კავშირებს, აფხაზებისა და ოსების განსაკუთრებულ და დამსახურებულ ისტორიულ როლს საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საქმეში. გენეტიკურად ჩვენ, აფხაზები და ოსები მივეკუთვნებით ერთიანი, ყველაზე დაახლოებული ტიპის ტრადიციების და კულტურის ხალხებს.

ეს ყველაფერი კი იმედს გვაძლევს, შევრიგდეთ და კვლავაც ვიცხოვროთ საქართველოს გაერთიანებულ სახელმწიფოში, სა-

დაც ღირსეულად იქნებიან წარმოდგენილი აფხაზები და ოსები, როგორც განსაკუთრებული სტატუსისა და ფართო უფლებების მქონე გაერთიანებული სახელმწიფოს წევრი სუბიექტები.

სწორედ ამ მიზნისათვის დღეს ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მომზადდეს კომპრომისებსა და რეალპოლიტიკაზე დაფუძნებული სამშვიდობო ინიციატივების ახალი პაკეტი აფხაზებთან და ოსებთან შერიგების მიზნით, რისთვისაც მზად ვართ უარი ვთქვათ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათის ძველ სტანდარტულ მიდგომებზე, გავითვალისწინოთ მსოფლიოს გამოცდილების საუკეთესო და შედეგიანი პრეცედენტები, როგორიცაა ჰონკონგი-ჩინეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, იტალია-სამხრეთ ტიროლი და სხვა.

მხოლოდ ასეთი გზით სიარული მიგვაჩნია მკვლევართა ჩვენს ჯგუფს საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, აფხაზ და ოს ხალხთან ერთად დღეს არსებული ჯადოსნური წრიდან გამოსვლისა და გაყინული კონფლიქტების დასასრულის დასაწყისად.

წინასწარ ბევრს ვფიქრობთ იმაზე, თუ რამდენად გამოადგება, რამდენად აამოძრავებს, რამდენად აამოქმედებს, რამდენად წინ წაწევს და ხელს შეუწყობს გაყინული კონფლიქტების გაღწევას მსოფლიოში უკვე არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის პრეცედენტების ჩვენეული სიღრმისეული კვლევა, ანალიზი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გამოტანილი დასკვნები.

ამასთანავე, ჩვენს ხედვებს, თავმოყრილს წინადადებებში, და მათ საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს ვუდგებით პრინციპით – იქნება თუ არა შესაძლებელი მათი რეალიზაცია ახლა და უახლოეს მომავალში.

ერთში ნამდვილად ვართ დარწმუნებულნი, რომ მხოლოდ კონსესუსის, კომპრომისის, ინტერესთა ურთიერთგათვალისწინებისა და პოლიტიკური რეალობის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს ტერიტორიული მონყობისა და მართვის ახალი მოდელი, რომელიც ჯეროვნად გაითვალისწინებს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოს-

ეთის ინტერესებს საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან ერთად, როგორც ეს უკვე შეძლეს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჰონკონგთან მიმართებით და მშვიდობიანი გზით, შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყენებით ცდილობს ტაივანთან დაკავშირებით.

დღეისთვის მკითხველს უკვე მივანოდეთ კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის პოზიტიურ პრეცედენტებთან დაკავშირებული კვლევები და, ასევე, უშედეგო მცდელობები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთთან და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით. ეს ნაშრომებია: „ჰონკონგი, ჩინეთი – 1997“, „ძიებანი განდგომილი რეგიონების შემორიგებისათვის“ და „ბოსნია და ჰერცეგოვინა – 1995“.

აღნიშნული ნაშრომებიდან საჭიროდ ჩავთვალეთ შემოგთავაზოთ ძირითადი მომენტები ბოსნია და ჰერცეგოვინას პოსტკონფლიქტური სახელმწიფო მონყობის, მართვისა და მისი შესაძლებელი გამოყენების შესახებ საქართველოში. რატომ გავაკეთეთ ასეთი არჩევანი, მკითხველს ამის ამოხსნა არ უნდა გაუჭირდეს.

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო თანამეგობრობამ გააგრძელა რა თავისი საქმიანობა და მიიღო გადაწყვეტილება დაწყებულიყო მხარეთა მორიგების პროცესი, ამერიკის შეერთებული შტატების თაოსნობით შეუდგნენ მუშაობას ზოგად ჩარჩო შეთანხმებაზე ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის დამკვიდრების შესახებ, რომელიც საბოლოოდ შეთანხმებული და ხელმოწერილი იქნა მხარეების მიერ 1995 წელს დეიტონში (აშშ). აღნიშნულ შეთანხმებას ხელს აწერენ: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის რესპუბლიკა, ხორვატიის რესპუბლიკა, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო ადასტურებენ: ევროკავშირის სპეციალური მედიატორი, საფრანგეთის რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები.

აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება დღეს დეიტონის შეთანხმებადაა ცნობილი, რომლის სტრუქტურა შეიცავს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შემადგენლობაში შემავალ წარმონაქმნებს შორის დადებულ როგორც ძირითად ჩარჩო შეთანხმებას, ასევე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათის გადანყვეტილებებთან დაკავშირებულ შეთანხმებებს, მათ შორის:

- შეთანხმება სამშვიდობო დარეგულირების სამხედრო ასპექტების შესახებ;
- შეთანხმება რეგიონის სტაბილიზაციის შესახებ;
- შეთანხმება წარმონაქმნებს შორის გამყოფი ხაზისა და ამასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;
- შეთანხმება არჩევნების შესახებ;
- ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია;
- შეთანხმება ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ;
- შეთანხმება სპეციალური საერთაშორისო საპოლიციო ძალების შესახებ და სხვა.

რატომ არის ასეთი შინაარსისა და ფუნქციის მატარებელი ეს აქტები? საქმე ისაა, რომ ბოსნია და ჰერცეგოვინა ყოფილ იუგოსლავიაში შემავალი ყველაზე რთული შემადგენლობის სახელმწიფო იყო, როგორც მასში გაერთიანებული სუბიექტების, ისე ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით. აქ ცხოვრობენ მართლმადიდებელი ქრისტიანები (ბოსნიელი სერბები), მუსლიმანები (ბოსნიელები) და კათოლიკეები (ბოსნიელი ხორვატები). ამას ემატებოდა ტერიტორიული ურთიერთპრეტენზიები.

რაც შეეხება ჩვენს არჩევანს პროექტის სახით პრობლემის კვლევასთან დაკავშირებით:

პირველი – ამ მიმართულებით დღემდე საქართველოში არც ნაშრომი შექმნილა და არც რაიმე კვლევა ჩატარებულა;

მეორე – დღემდე ქართულად არ თარგმნილა და არ გამოცემულა არც ზოგადი ჩარჩო შეთანხმება ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში მშვიდობის შესახებ და არც სახელმწიფო მოწყობასთან

დაკავშირებული პოსტკონფლიქტური საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, არც ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუცია;

მესამე – საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტების დასრულების შემდეგ, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების დარეგულირებისათვის ხელსაყრელი პოზიტიური პოლიტიკური გარემოებები არსებობდა და ამის ფონზე დასანანია, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პოსტკონფლიქტური სახელმწიფო ტერიტორიული მონყობისა და მართვის მოდელი საქართველოს არც სახელმწიფო სტრუქტურებსა და არც პოლიტიკურ წრეებში განსჯის საგანიც კი არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა საკითხისადმი ჩვენი ინტერესი.

სადავო არც ის უნდა იყოს, რომ კონფლიქტის დარეგულირებისა და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფო მონყობისა და მართვისათვის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ **1995 წელს შეთავაზებული მოდელი**, სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და თეორიისათვის უნიკალურია და მსგავსი რამ ცნობილი არ არის. ამაში დარწმუნდებით, როცა გაეცნობით ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონსტიტუციას. სწორედ ამ სრულიად ახალი სახელმწიფო-სამართლებრივი მოდელის კვლევა, ანალიზი და სათანადო დასკვნების გაკეთება, რა თქმა უნდა, ფართო განსჯისათვის განგვანყობს. პარალელის გავლება, მსგავსებებისა და განსხვავებების ძიება და მიგნება საშუალებას მოგვცემს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ყოველივე ეს მივუსადაგოთ ქართულ სინამდვილეს და ჯეროვნად გამოვიყენოთ.

აუცილებლად მიგვაჩნია, ასევე, მოკლედ ვთქვათ ჩვენი კვლევის შედეგების შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გატარებული პოლიტიკის თაობაზე ჰონკონგთან მიმართებით. 1997 წლის პირველ ივლისს ჰონკონგის დედასახელმწიფოში დაბრუნება მართლაც უნიკალური მოვლენა და უკვე არსებული რეალობაა.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ფაქტობრივად ჰონკონგის ჩინეთში დაბრუნება მშვიდობიანად მოხდა, ასეთი პრეცედენტები კი მსოფლიოში ნაკლებად მოიძებნება. თუმცა, შეუთავსებლობის და დაპირისპირების წინაპირობები საკმაოდ ბევრი იყო. საკმარისია აღინიშნოს, აბსოლუტურად განსხვავებული, უფრო სწორად, დაპირისპირებული ორი სისტემის არსებობა: ერთი მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალიზმი და, მეორე მხრივ — ჰონკონგის კაპიტალიზმი. ეს წინააღმდეგობა გადაილახა, ძირითადად, ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი პრაგმატული და რეალპოლიტიკაზე დამყარებული პოლიტიკური ნებით. ჩინეთის ლიდერის დენ სიაოპინის მიერ შემუშავებულმა იდეამ — „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა“ — გარღვევა მოახდინა და გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰონკონგზე ჩინეთის სუვერენიტეტის აღდგენის თვალსაზრისით. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჰონკონგ-ჩინეთის გაერთიანებასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთისა და მისი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის როლი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰონკონგელთა ძალისხმევა გარანტირებული მომავლისთვის.

უპირველესად თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ჰონკონგს ეწოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი. საქმე მარტო დასახელებაში არ არის — სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ჰონკონგის კონსტიტუციით (ძირითადი კანონი) სწორედ სპეციალური უფლებამოსილება მიენიჭა. ჩინეთის სხვა ადმინისტრაციული რეგიონებისაგან განსხვავებით ჰონკონგში ძალიან მაღალია დამოუკიდებლობისა და მართვის ავტონომიურობის ხარისხი პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში, კომპეტენციათა და უფლებათა გამიჯვნაში ცენტრსა და რეგიონს შორის. ჰონკონგმა ცენტრალურ ხელისუფლებას გადასცა მხოლოდ საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვითი ფუნქციები. სამაგიეროდ, ჰონკონგის სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია, მისი გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება ჩინეთის

სახალხო რესპუბლიკის სასამართლოებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია დამოუკიდებლობის ხარისხი ეკონომიკურ საქმიანობაში. ჰონკონგს შეუწარმუნდა თავისუფალი პორტისა და ცალკე საბაჟო ტერიტორიის სტატუსი. ხაზი გვინდა გავუსვათ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას — ჯერ კიდევ, 1983 წელს ჩინეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ 1997 წლის პირველი ივლისიდან ჰონკონგი როგორც დამოუკიდებლად, ისე ჩინეთის მთავრობასთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობებში გამოიყენებდა სახელს — „ჰონკონგი, ჩინეთი“. ეს ასეც მოხდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სარისკო, იმპულსური გადაწყვეტილებების მაგივრად, მუშაობისას მხარეები იღებდნენ რაციონალურ, განონასწორებულ, ფრთხილ და, რაც მთავარია, საიმედო გადაწყვეტილებებს. მათი მუშაობისას არ დაფიქსირებულა უტაქტო და უხეში ქმედებები. ეს მარტო ერთი მხარისთვის სარგებლის ძიების კუთხით გამართული კი არა, სირთულეების ერთობლივი ძალებით დაძლევისა და საერთო მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული მოლაპარაკებები იყო.

ამრიგად, 1997 წლის პირველ ივლისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჰონკონგზე თავისი სუვერენიტეტი აღადგინა — ჰონკონგი დაუბრუნდა ჩინეთს. ამ უკანასკნელმა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეს ეტაპი წარმატებით დაამთავრა, რითაც საერთაშორისო სამართალში კონფლიქტის დარეგულირების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მშვიდობიანად გადანაცვების პრეცედენტი შეიქმნა.

მე-20 საუკუნის კონფლიქტების ანატომიისა და ისტორიული გეოგრაფიის გათვალისწინებით, ცხადზე ცხადია, რომ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონფლიქტის დარეგულირება ურთულეს პრობლემას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ მის გადანაცვლას საერთაშორისო თანამეგობრობა მთელი სერიოზულობით მოეკიდა. კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, ცალკეული სახელმწიფოები, თანამდებობის პირები, დიპლომატები, ექსპერტები, პოლი-

ტიკოსები. ამ დროს გამოვლინდა ყველა მონაწილის ერთიანი ნება საბოლოო მიზნის მისაღწევად, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად მთავარი მაინც ის იყო, რომ მათ ზურგს უმაგრებდნენ ისეთი წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები, როგორებიც იყვნენ აშშ-დან ბილ კლინტონი, საფრანგეთიდან – ჟაკ შირაკი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან – ჰელმუტ კოლი, დიდი ბრიტანეთიდან – ჯონ მეიჯორი, იუგოსლავიიდან – სლობოდან მილოშევიჩი და სხვები. საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების დიპლომატიურ კორპუსს სათავეში ედგა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონფლიქტის მოგვარების მთავარი არქიტექტორი, აშშ-ის ცნობილი დიპლომატი მადლენ ოლბრაიტი.

ასე რომ, თუ ჰონკონგ-ჩინეთის კონფლიქტის წარმატებით გადაწყვეტას თავისი „გმირები“ ჰყავდა დენ სიაოპინისა და მარგარეტ ტეტჩერის სახით, რომლებიც უნიკალური მიგნების ავტორებიც კი გახდნენ ერთ სახელმწიფოში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში) ორი დაპირისპირებული სისტემის (ჩინეთის სოციალიზმის ჩინური სპეციფიკით და ჰონკონგის მაღალგანვითარებული კაპიტალისტური სისტემის) თანაარსებობის შესაძლებლობის გამო, ასევე, თავისი გმირები ჰყავდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კონფლიქტის დასრულებასაც.

დიდი განსჯა არ სჭირდება იმას, რომ ჩვენ აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის დარეგულირებაში პროგრესს მივაღწიეთ 90-იანი წლების ბოლოს. თუმცა, სამწუხაროდ, სტატუს-კვოც ვერ შევინარჩუნეთ, რათა მერე საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობით წინსვლა გაგვეგრძელებინა, რაც საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ კონფლიქტების სრულმასშტაბიანი გადაწყვეტისათვის მხარეები პირისპირ მარტონი დავრჩით. აქ უნდა ვაღიაროთ, რომ სამწუხაროდ, არ გამოგვიჩნდნენ თავგადადებული სახელმწიფოები და მათი „გმირი“ მეთაურები. ასე გაგრძელდა გაყინული კონფლიქტის რეჟიმით ჩვენი და მათი ურთიერთობა 2008 წლის ომამდე. მერე მოვლენები რადიკალურად შეიცვალა საქართველოს ეროვნული

ინტერესების საზიანოდ, კერძოდ, ეს გახლავთ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უგულვებლყოფით რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია, მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება და ქართველთა გენოციდი. ეს ყველაფერი საერთაშორისო თანამეგობრობას ხელისგულზე უდევს და მთელი მსოფლიოსათვის თვალსაჩინო გახდა. თვალსაჩინოა ისიც, რომ დღეს კონფლიქტის მოგვარების ეს უაღრესად მნიშვნლოვანი საკითხი ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, გადადებულია განუსაზღვრელი დროით.

ჩვენი ჯგუფი კიდევ ორ პროექტზე აგრძელებს მუშაობას და მასაც განსჯისათვის მიაწვდის ქართველ მკითხველს და არა მარტო მათ, ესენია: **„აფხაზეთი განსაკუთრებული სტატუსით საქართველოს სახელმწიფოში“** და **„მშვიდობიანი ეკონომიკა კონფლიქტების დარეგულირებისათვის“**.

ჩვენ მიერ უკვე შესწავლილი და გაანალიზებული საერთაშორისო პრაქტიკა, მათ შორის წინამდებარე კვლევა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის და მართვის განსაკუთრებულობის შესახებ, ასევე, ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის სტატუსი ფართო უფლებებით, გვაძლევს შუალედური დასკვნის გამოტანის საშუალებას: შესაბამისი გარემოებების დადგომის პირობებში შესაძლებელი იქნება აფხაზეთი წარმოდგენილ იქნას საქართველოს სახელმწიფოში რესპუბლიკის სტატუსით, ყოველგვარი წინ ნაძღვარებული ავტონომიის გარეშე, განსაკუთრებული უფლებებით, ფაქტობრივად, დე ფაქტო და დე იურე მინისახელმწიფო, რომელიც დაფიქსირდება საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაეროსა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღიარებულ საერთაშორისო სამართლით დადასტურებულ ვალდებულებებში, საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებსა და საქართველოსა და აფხაზეთს შორის დადებულ კონსტიტუციურ ხელშეკრულებაში. უფლებამისილებათა გადანაწილების მაგალითების, ასევე, ზემოაღნიშნული პრეცედენტების შესწავლისა და ანალიზის შედე-

გად, მსჯელობის საგნად გამოგვაქვს ჩვენეული ხედვა ე. წ. სამხრეთ ოსეთის შესახებ; კერძოდ, იგი განხილულ იქნეს საქართველოს სახელმწიფოში სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის სტატუსით შესაბამისი ფართო უფლებამოსილებებით, რაც აღიარებული იქნება ისეთივე კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტებით, როგორც ეს წარმოვადგინეთ აფხაზეთთან მიმართებით.

დარწმუნებული ვართ, რომ როგორც აფხაზეთის, ისე ე. წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის ჩვენეული ხედვა განხილვასა და მსჯელობას ნამდვილად იმსახურებს; და, თუ პროცესი დაიძრა, ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს საქართველოს სახელმწიფო-ტერიტორიული მონყობისა და მართვის სრულიად ახალი მოდელის შექმნის დასაწყისს, რაც საბოლოოდ უნდა დასრულდეს საქართველოს სიღრმისეული ქმედითუნარიანი და შემდგარი სახელმწიფოს აშენებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ავტორები მხოლოდ იმით შემოიფარგლნენ, რომ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში მიუთითეს შემდეგი: „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია“. დღეს პრაქტიკულად ასეთი კონსტიტუციური კანონები ამ საკითხების მოსაწესრიგებლად არ მოგვეპოვება.

უფრო მეტიც, იმავე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მონყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. ასეთი მიდგომა ძირეულად მცდარია, ვინაიდან მე-3 პუნქტის მიხედვით, ჯერ უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მერე სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მონყობის გადასინჯვა, ე. ი. აფხაზეთისა და

ე. წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხის გადანწყვეტა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, არარეალური და პრაგმატიზმისგან ძალიან შორს მდგარია. ჩვენს გაკვირვებას იწვევს საერთაშორისო თანამეგობრობის „დუმილის უფლების გამოყენება“ ამასთან დაკავშირებით.

შესავალში აღვნიშნეთ, რომ ხედვებს, წინადადებებს, დასკვნებს ჩვენ ვუდგებით პრინციპით – იქნება თუ არა შესაძლებელი მათი რეალიზაცია ახლა და უახლოეს მომავალში. პროექტის ავტორები და მკვლევართა ჯგუფი დარწმუნებულნი ვართ, რომ ამჟამინდელი უძრაობა დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. იგი აუცილებლად პოლიტიკურად გააქტივდება და ამისათვის ჩვენ მზად უნდა ვიყოთ.

საქართველო ევროკავშირის ასოცირებული წევრია და უახლოეს პერიოდში შესაძლებლად მიგვაჩნია სტაბილიზაციის, მშვიდობის, თანამშრომლობისა და კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირების, დაახლოების, დიალოგის დაწყების და შერიგების მიზნით ევროკავშირმა საქართველოსა და მისგან განდგომილ რეგიონებთან ითანამშრომლოს სამომავლოდ ევროკავშირში ერთიან სახელმწიფოდ განწევრიანების იდეით. ფაქტობრივად, ეს იქნება გაყინული კონფლიქტის ადგილიდან დაძვრის ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი, ერთი მხრივ, განდგომილი რეგიონების ევროპიზაციის იდეის დასაწყისის დასაწყისი და, მეორე მხრივ, რეალური შეთავაზება, ამასთან ერთად, ჩვენი მთავარი ეროვნული ამოცანის შემადგენელიც. აფხაზეთის ახალი ხელისუფლებისათვის ქართველებთან ურთიერთობა სულ უფრო მეტად საინტერესო ხდება. სწორედ ეს არის მიზეზი ახალი ხელისუფლების სურვილისა საქართველოსთან დიალოგის დასაწყებად, პრინციპში როგორც მეზობელ სახელმწიფოსთან და ეს ყველაფერი მხოლოდ მათი პოზიციიდან. ახალი პოლიტიკური ძალა (ანუ მესამე ძალა) უდავოდ ანგარიშგასაწევია, მათ შორის აფხაზეთის ხელისუფლების მხრიდან. აღნიშნული პოლიტიკური ძალის მისწრაფებები არ ემთხვევა, რა თქმა უნდა, ხაჯიძისა

პოლიტიკური ძალების პოზიციებს. ე. წ. მესამე ძალის ლაიტი-მოტივი დასავლეთის ღირებულებებისკენ და დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყნის მშენებლობისაკენ არის მიმართული. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ისინი დასავლეთში განათლების მიღების, ამ სახელმწიფოების გაცნობის, საერთოდ დასავლეთის ცივილიზაციასთან ზიარების კუთხით, ძირითადად, ევროპის ქვეყნებში და ა. შ. რა თქმა უნდა, აინტერესებთ მათთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობები და შესაძლოა ამ მიმართულებამ ერთ-ერთ პირველ ადგილზე გადაინაცვლოს. სწორედ აქ შეიძლება ჩვენი თანაჩართულობა ევროპასთან ერთად. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ევროპასთან გაფორმებული ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ის იმის შანსს იძლევა, რომ თუ ევროპელები წინააღმდეგი არ იქნებიან ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური წარმოების ერთობლივი პროდუქცია მოხვდება ევროპის ბაზრებზე. ეს კიდევ ერთი შანსი იქნება აფხაზებისა და ოსების ევროპული გზის არჩევისათვის. რაც შეეხება ამ გზით ქართული, აფხაზური და ოსური პროდუქციის გატანას ევროპის ბაზარზე ეკონომიკური ეფექტი ექნება ყველასთვის მოგების გაზრდით.

რა თქმა უნდა, ჯერ არ გვაქვს სრული ოპტიმიზმის საფუძველი განდგომილი რეგიონებიდან, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ ევროკავშირის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება აუცილებელია, თუმცა ამ ვითარებაში თამაშგარე მდგომარეობაში არ უნდა გამოიყურებოდეს აშშ, ყოველ შემთხვევაში, პასიურ აქტორად, რაკილა მას ძალუძს რეალური და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა რუსეთთან მიმართებით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ შემდეგს: საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული და განსაკუთრებით მართვის მოდელის ძიებისას უნდა გამოვიდეთ საბჭოთა კავშირის დროინდელი მოკავშირე რესპუბლიკების შიდა ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ყავლგასული კლიშეებიდან და მივიღოთ სწორედ ის-

ეთი გადანყვეტილება, სადაც აფხაზებისა და ოსებისათვის ღირსეული ადგილი მოინახება, როგორც ტერიტორიული მონყობის, ისე სახელმწიფო მართვაში მათი ქმედითუნარიანი მონაწილეობით, როგორც ეს სიღრმისეულად შემდგარი სახელმწიფოებისათვის არის დამახასიათებელი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან კარგად გვესმის დიდი ილიას შეგონება: „არაფერია ამქვეყნად მუდმივი (მათ შორის გაყინული კონფლიქტებიც), გარდა თვითონ ცვლილებებისა და, რომ დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის შეუბლაღავად და დაუმონებლად უნდა განხორციელდეს“. სწორედ ამ გზით უნდა ვიაროთ და შევთავაზოთ აფხაზებსა და ოსებს ჯერ შერიგება, შემდგომ მოლაპარაკება და შეთანხმება მათი ღირსეული ადგილის დამკვიდრებით, დავარწმუნოთ გაერთიანებულ სახელმწიფოში ერთად თანაცხოვრების აუცილებლობაში, რასაც დღეისათვის ალტერნატივა არ აქვს, არც ჩვენთვის და არც აფხაზებისა და ოსებისათვის. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ მომავალში მხოლოდ ამ გზით მოგვინევს სიარული.

Jemal Gakhokidze

Professor, Georgian Technical University

Sophio Midelashvili

Professor, Georgian Technical University

Avtandil Demetrashvili

Professor, Georgian Technical University

Peaceful State Building together with Abkhazians and Ossetians

Summary

In 2013, at Georgian Technical University, a group of professors decided to start fundamental research into one of the most actual problems such as territorial and ethno-political conflicts in various regions of the world. Especially for this purpose, three precedents were selected and studied that have resulted in positive results, despite the sharp confrontation between the conflicting state and its regions. These include the cases of Hong Kong, South Tyrol and Bosnia and Herzegovina. During the research, we were convinced that it is necessary to search for new ways of conflicts resolution, which will be based only on *realpolitik*. Therefore, both the Georgian government and the international community need a different strategy for ending the deadlock in the conflicts. The research also showed that the frozen uncertainty of the frozen conflicts cannot continue for long in Abkhazia and so-called South Ossetia. As for the plans of our group, the realization of which must bring specific results, are as follows: to present our vision of the special status of Abkhazia within the State of Georgia, with its political, constitutional and legal, economic and social-cultural characteristics.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტიჟნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
აღ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22